საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№21 (256)
11 - 17 ივნისი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

5 ქართული პოლიტიკა გზად შიზოფრენიიდან მარაზმამდე

## არ შეგვეშალოთ!



### სირია

ბაშარ ასადი — ტირანი და მკვლელია, რადგან ამბოხებულ რეგიონებში იყენებს არტილერიასა და ავიაციას.

ამერიკის შტატებმა უნდა აღმოუჩინონ სამხედრო დახმარება ამბოხებულებს ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმურია, რადგან არსებობს ამბოხებული რეგიონები საბრძოლო მოქმედებებით.

### უკრაინა

პეტრე პოროშენკო — დემოკრატი და მშვიდობისმყოფელია, რადგან ამბოხებულ რეგიონებში იყენებს არტილერიასა და ავიაციას.

ამერიკის შტატებმა უნდა აღმოუჩინონ სამხედრო დახმარება ხელისუფლებას ამბოხებულების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საპრეზიდენტო არჩევნები ლეგიტიმურია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამბოხებული რეგიონები საბრძოლო მოქმედებებით. 4



## «ძალიან მეცოდება ირაკლი ღარიბაშვილი»

9

«ეს არის ამ მთავრობის ერთ-ერთი მძიმე და ბინძური საქმე. მჯერა, რომ ღარიბაშვილმა არაფერი იცოდა, მაგრამ მისმა უახლოესმა გარემოცვამ, რა თქმა უნდა, იცოდა ყველაფერი»



## რა ახალ ბრალდებებს უყენებს იური ვაზაგაშვილი შს მინისტრ ჭიკაიძეს?

11



«არჩევნებიდან ზუსტად ორ კვირას ვადროვებთ — ან მოეგებიან გონს, ან საიდანაც მოვაბრძანეთ, ისევ იქ მივაბრძანებთ»



12

## რა თანხების მითვისებაში ადანაშაულებენ თინა ხიდაშელს საგარეჯოელები და გამოაცხადებენ თუ არა მას პერსონა ნონ გრატად?

2 «ნაციონალური მოძრაობა» სამუდამოდ უნდა მოვაცილოთ ხელისუფლებას!»

3 «უკრაინა ევროკავშირში ვერ შევა!»

6 პეტრე პირველი თუ პეტრე უკანასკნელი?

«მამაჩემმა, ეტყობა, რაღაც ისეთი ნახა, რისი გამჟღავნებაც ამათ ხელს არ აძლევდათ» 10



არა — გარყვნილების პროპაგანდას, არა — მამათმავლობას და სიბილწეს! მოგიწოდებთ, შევიკრიბოთ შაბათს, 14 ივნისს, 13 საათზე კანცელარიასთან! 3



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნოდარ ხადური: «ნაციონალური მოძრაობის» მიერ აღებულ ვალებს ჩვენ ვისტუმრებთ

**„ძალიან ბევრს საუბრობენ, რომ ძალიან ბევრ ვალს ვიღებთ. 2012 წელს თითქმის 4,4 მილიარდი ლარი იყო სახელმწიფო ვალი, 2013 წელს მისი მოცულობა შემცირდა და ამჟამად 4,1 მილიარდი ლარია. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აღებულ ვალებს ჩვენ ვისტუმრებთ“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა 10 ივნისს ჟურნალისტებთან შეხვედრისას.** მისივე ინფორმაციით, 2013 წელს საქართველომ 194 მილიონი დოლარი საგარეო ვალი გადაიხადა, ხოლო 2014 წელს კიდევ 288 მილიონი დოლარის ვალის გადახდას გეგმავს.



## პატრიარქმა ბიზნესმენებს თხოვნით მიმართა

**10 ივნისს ხევსურეთში პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად სტუმრობისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბიზნესმენებს თხოვნით მიმართა, ქვეყნის რაიონების მატერიალური განვითარება საკუთარ თავზე აიღონ.**

უწმინდესმა ბერ-მონაზვნებსაც მიმართა და აღნიშნა, რომ სასაზღვრო რაიონებში ახალი მონასტრები უნდა აშენდეს, რათა ჩვენი საზღვრები გავაძლიეროთ.

„ბედნიერი ვარ, რომ დღეს ვიმყოფები ხევსურეთში. ბავშვობიდან მესმოდა ჩემი მშობლებისგან, რომ ხევსურეთი და ხევსურები ისეთი კუთხეა, ისეთი ხალხია, რომელიც იცავს ჩვენს კულტურას, ჩვენს ადათ-წესს და აი, დღეს ჩვენ ვიმყოფებით აქ. ვამაყობ იმით, რომ დღესაც გვყავს მრავალი თავდადებული და ცნობილი ხევსური ჩვენს ისტორიაში. მინდა, მივმართო ჩვენს ბერ-მონაზვნობას — სასაზღვრო რაიონებში უნდა შეიქმნას მონასტრები, რათა გავაძლიეროთ და დავიცვათ ჩვენი საზღვრები. ასევე მინდა, მივმართო ჩვენს ბიზნესმენებს: ყოველმა ბიზნესმენმა უნდა აიღოს თავის თავზე რომელიმე რაიონი, იქნება ეს მთა თუ არა. ისინი უნდა დაეხმარონ რაიონების მატერიალურ განვითარებას. იმედი მაქვს, რომ ყველა ბიზნესმენი შეისმენს ჩემს მოწოდებას და საქართველო იქნება ბედნიერი“, — განაცხადა უწმინდესმა.



## აშშ-ის მოსახლეობის ნახევარი ობამას საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგია

**პრეზიდენტ ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკას აშშ-ის მოსახლეობის 50% არ ეთანხმება. ამას მოწმობს ტელეკომპანია ABC-სა და გაზეთ The Washington Post-ის მიერ 1 ივნისს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები.**

სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ ეს ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია ობამას პრეზიდენტობის პერიოდში. თეთრი სახლის მეთაურის საგარეოპოლიტიკური კურსი მხოლოდ ამერიკელთა 41 პროცენტს მოსწონს. აშშ-ში მცხოვრებთა 58 პროცენტი უკმაყოფილოა იმით, რომ ობამა ცდილობდა, დაემალა 2012 წელს ლიბიის ქალაქ ბენღაზიში აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე ექსტრემისტთა თავდასხმა, რომელიც ელჩ ქრისტოფერ სტივინსის სიკვდილით დასრულდა.

ამასთანავე, ერთ საგარეოპოლიტიკურ საკითხში ობამას საზოგადოების დიდი მხარდაჭერა აქვს. **რესპონდენტების 77 პროცენტმა განაცხადა, რომ იწონებს რამდენიმე დღის წინათ გამოცხადებულ გადაწყვეტილებას, 2016 წლის ბოლოს ავღანეთიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გამოყვანის შესახებ.** ამერიკელები უკმაყოფილონი არიან ობამას არამხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკითაც.

მაგალითად, გამოკითხულთა 53 პროცენტს არ მოსწონს ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში, 56 პროცენტს — ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში გატარებული რეფორმები, 50 პროცენტს — საიმიგრაციო პოლიტიკა.

სულ კი ობამას მოღვაწეობას თეთრი სახლის მეთაურის პოსტზე ამერიკელთა 46 პროცენტი იწონებს, 51 პროცენტი კი უკმაყოფილოა.

# «ნაციონალური მოძრაობა» სამუდამოდ უნდა მოვაცილოთ ხელისუფლებას!»

**„ნაციონალური მოძრაობა“ სამუდამოდ უნდა მოვაცილოთ ხელისუფლებას ყველა ქალაქში, ყველა რაიონსა და ყველა სოფელში, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 10 ივნისს ბათუმში შეკრებილ მხარდამჭერებთან შეხვედრისას.**

როგორც პრემიერმა აღნიშნა, **2008 წლის ომის შემდეგ ქვეყანამ 4,5 მილიარდი დოლარის დახმარება მიიღო, რომელიც საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის ცოტა არ არის. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ეს ის ფულია, რომელსაც, წესით, ქვეყანა ფეხზე უნდა დაეყენებინა, მაგრამ რეალობა სხვაა.**

**„ყველამ ვიცით, რაშიც დაიხარჯა ეს ფული — სასახლეების მშენებლობაში და ერთი კაცის კაპრიზებში. ხალხს კი განუწყვეტლივ უმეორებდნენ, რომ ასეთი აღმშენებლობა არ ყოფილა ქვეყანაში არასოდეს. დღესაც ამას იმეორებენ და იტყუებიან. თუ ეს ასე იყო, რატომ არის ჩვენი ხალხი ასეთ მძიმე ყოფაში?! რატომ ვერ მოხერხდა ვერსად, ვიმეორებ ვერსად, ელემენტარული**



**პრობლემების მოგვარება, რაც სრულიად სამარცხვინოა 21-ე საუკუნისთვის.** სწორედ ამიტომ გამოუტანა ხალხმა განაჩენი „ნაციონალურ მოძრაობას“ და ჩამოაშორა ხელისუფლებას. სწორედ ამიტომ არის მოახლოებული არჩევნები მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ, თქვენთან ერთად, ისინი სამუდამოდ უნდა მოვაცილოთ ხელისუფლებას ყველა ქალაქში, ყველა რაიონსა და ყველა სოფელში. დღეს ისინი კვლავ ცდილობენ ხალხის მოტყუებას, მაგრამ ხალხი არ მოტყუვდება! ისე, როგორც არ მოტყუვდა საპარლამენტო არჩევნების დროს და ჩვენს პოლიტიკურ ძალას „ქართულ ოცნებას“ გვანდო ქვეყანა“, — აღნიშნა პრემიერმა.

**ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ არჩევნებშიც კიდევ ერთხელ გამოუცხადებს ხალხი ნდობას „ქართულ ოცნებას“ და ხელისუფლება ხალხთან ერთად დაძლევს ყველა პრობლემას.**



## მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილისთვის მოწმედ დაკითხვის შეთავაზებას ძალაში ტოვებს

**საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის მოწმედ დაკითხვის შეთავაზება ძალაშია. როგორც საქართველოს მთავარ პროკურატურაში განაცხადეს, იმ საქმეებზე, რომლებზეც სააკაშვილი მოწმედ გამოიძახეს, გამოძიება მისი დაკითხვის გარეშე გრძელდება, თუმცა შეთავაზება, როგორც დისტანციური, ასევე პროკურატურაში დაკითხვის თაობაზე, კვლავ ძალაში რჩება.**

პროკურატურის წარმომადგენლები არ აკონკრეტებენ, უკვე ცნობილი სისხლის სამართლის საქმეების გარდა, მიმდინარეობს თუ არა სხვა საქმეებზე გამოძიებები, რომლებშიც ყოფილი პრეზიდენტი ფიგურირებს.

მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარების შესახებ საქართველოს პროკურატურამ 2014 წლის 22 მარტს განაცხადა. სააკაშვილმა პროკურატურაში მისვლაზე უარი თქვა. ამის შემდეგ პროკურატურამ მას სკაიპის მეშვეობით დაკითხვა (დისტანციური) შესთავაზა, რაზეც სააკაშვილმა ასევე უარი განაცხადა.

პროკურატურამ სააკაშვილი რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ფარგლებში დაიბარა, მათ შორის: ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ 2006 წლის 28 იანვარს ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების: გ. ალანიას, ალ. ღაჭავას, მ. ბიბილურიძისა და ა. აფციაურის შეწყალების გამო, რომელიც განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის განკარგულებით; ტელეკომპანია ,,იმედში“ შეჭრა, დარბევა, უკანონოდ დაუფლება, გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა უკანონო ქმედება, რომლებიც დასრულდა 2011 წლის 6 ივლისს საქართველოს ხელისუფლებასა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის მემორანდუმის გაფორმებით; 2009-2012 წლებში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვა; პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენის მიზნით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმე; 2004 წლის ივნისში ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ისა და ტელეკომპანია ,,მზის“ კანონიერი მესაკუთრეებისთვის წილების იძულებით დათმობა; 2009 წლის 20 მაისს ე. წ. მუხროვანის ამბოხებისთვის ძებნილი პირების — კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის დაკავების სპეცოპერაციისას, გ. კრიალაშვილის ლიკვიდაციის, ლ. ამირიძისა და კ. ოთანაძის დაჭრის საქმე; 2012 წლის 24 თებერვალს სახელმწიფოს კუთვნილი შპს „აგრომეტის“ (აგრარული უნივერსიტეტის) ქონების გაფლანგვა; პრეზიდენტის 2012 წლის 31 ოქტომბრის განკარგულებით, მისი ბიძის, თ. ალასანიასთვის უპირატესობის მინიჭებით, სახელმწიფო ქონების შპს „ბეზეკისთვის“ უკანონოდ პრივატიზება; 2012 წლის თებერვალში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ტელევიზია „ტვ-25“-ის საარჩევნო პერიოდში გაკონტროლების მიზნით, მისი დამფუძნებლებისთვის 3 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაცემა; 2011-2012 წლებში მაღალი თანამდებობის პირების ორგანიზებითა და მონაწილეობით „ქართუ“ ბანკის ხელოვნურად გაკოტრების მიზნით, ბანკში იპოთეკით დატვირთული ქონების თვალთმაქცურად გასხვისების გზით გადამალვა.




## «ნაციონალური მოძრაობის» დაფინანსების საქმეზე EXIMUS HOLDING-ის დირექტორი პასუხისგებაში მისცეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ განსაკურებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე პასუხისგებაში მიეცა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია EXIMUS HOLDING-ის დირექტორი ალექსანდრე გოგოხია, რომელიც წარსულში შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ ხელმძღვანელობდა. ვინაიდან ალექსანდრე გოგოხია თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, მას ბრალდება წარედგინება დაუსწრებლად.**

გამოძიებით დადგენილია, რომ 2014 წლის აპრილის მეორე ნახევარში, გიორგი ღონიაშვილის ორგანიზებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა განიზრახეს პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად დ. კეზერაშვილის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული დავით კეზერაშვილის კომპანია EXIMUS HOLDING-ის კუთვნილი ანგარიშიდან თანხების საქართველოში უკანონო გადმორიცხვა ისე, რომ მომხდარიყო გადმორიცხული თანხების ნამდვილი დანიშნულების შენიღბვა და მისთვის კანონიერი სახის მიცემა, რომელიც შემდგომში მოხმარდებოდა პოლიტიკურ პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“.

**აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანია EXIMUS HOLDING-ის დირექტორმა ალექსანდრე გოგოხიამ და დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებმა დაამზადეს ყალბი ხელშეკრულება, რომელშიც მიუთითეს, თითქოს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულმა კომპანია BROOKTRADE-მ, კომპანია EXIMUS HOLDING-ს გაუწია სხვადასხვა მომსახურება, სანაცვლოდ კომპანია EXIMUS HOLDING-ი იღებდა 1 500 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებას.**

2014 წლის 4 მაისიდან 3 ივნისამდე პერიოდში ამ ყალბი ხელშეკრულების გამოყენებით ალექსანდრე გოგოხიამ, გიორგი ღონიაშვილმა და გამოძიებით ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა კომპანია EXIMUS HOLDING-იდან, კომპანია BROOKTRADE-ის ანგარიშზე ეტაპობრივად გადარიცხეს 760 000 აშშ დოლარი. უკანონოდ მოპოვებული ფულადი თანხებისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ შედგენილ იქნა ფიქტიური სესხის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე 760 000 აშშ დოლარი ასევე ეტაპობრივად გადმოირიცხა საქართველოში რეგისტრირებული ერთ-ერთი კომპანიის ანგარიშზე, რომელიც შემდგომ მიიღო დანაშაულებრივი ჯგუფის წევრმა გიორგი ღონიაშვილმა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომელიც სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე.



# ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სლოვაკეთი თავის ტერიტორიაზე ნატოს ჯარების განლაგების წინააღმდეგია



**ჩეხეთის კვალდაკვალ სლოვაკეთმაც უარი განაცხადა თავის ტერიტორიაზე ნატოს ჯარების განლაგებაზე.** „ვერ წარმომიდგენია ჩვენს ტერიტორიაზე ბაზები უცხო ჯარისკაცებით“, — განაცხადა 4 ივნისს ბრატისლავაში მოწყობილ სპეციალურ პრესკონფერენციაზე სლოვაკეთის პრემიერმინისტრმა რობერტ ფიცომ. უფრო ადრე თავის ტერიტორიაზე ნატოს ჯარების განლაგების შესახებ უარი განაცხადა ჩეხეთმა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გავლენის გაძლიერების წინადადებით აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა გამოვიდა.

## მარინ ლე პენი: უკრაინა ევროკავშირში ვერ შევა, ზღაპრების მოყოლა საჭირო არ არის!

**„უკრაინა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი ბევრი რამის გამო, მათ შორის — ეკონომიკის განვითარების დაბალი დონის გამოც, ევროკავშირის წვლილი კი უკრაინაში კონფლიქტის პროვოცირებაში დიდია“, — განუცხადა საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა ტელეჟურნალისტ სოფიკო შევარდნაძეს ექსკლუზიურ ინტერვიუში, რომელიც ტელეარხ Russia Today-ს ეთერში აჩვენეს.**




„ცხადია, რომ, როცა ევროკავშირმა უკრაინას პარტნიორობაზე შეთანხმება შესთავაზა, რომლის სანაცვლოდაც მას სამოკავშირეო ურთიერთობის გაწყვეტა მოუწევდა რუსეთთან, საქმეში ჩართეს შანტაჟი და შეუძლებელი იყო, ამას უკრაინაში არსებული უთანხმოების ცეცხლზე ნავთი არ დაესხა. ჩვენ ვიცით, რომ უკრაინის აღმოსავლეთში მცხოვრებთა ნაწილი რუსეთის მხარეს იმზირება, დასავლეთში მცხოვრები მოქალაქეების ნაწილი — ევროკავშირისკენ. ჩვენ ეს ვიცოდით და ამ უთანხმოების ცეცხლზე ნავთის დასხმა, ცხადია, სამოქალაქო ომის გასაღვივებლად პირობების შექმნას ნიშნავდა. ასე რომ, **ევროკავშირმა ცეცხლზე ნავთი დაასხა და ამის შემდეგ ის მხოლოდ აუარესებდა ვითარებას მუქარით, შანტაჟით, სანქციებით, რომლებიც, როგორც ვხედავთ, ხელს არ უწყობს იმას, რომ ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად ყველა მხარე მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს“**, — განაცხადა ფრანგმა პოლიტიკოსმა.

> **«ისეთი განცდა მაქვს, თითქოს წესები აღარ არსებობს, მათ გარდა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწესებს თავისი ინტერესების დასაცავად, მაგრამ აშშ-ის ინტრესები არ არის ჩვენი ინტერესები»**

მარინ ლე პენის აზრით, სანქციებმა მხოლოდ კონფლიქტის გაძლიერება გამოიწვია.

„ამ სანქციებმა სინამდვილეში ხელი შეუწყო პოზიციების გამკაცრებას. ამას აზრი არ აქვს. სანქციები მხოლოდ ამრავლებს პრობლემებს.

რუსეთის დეპუტატების და თვით სახელმწიფო სათათბიროს სპიკერის საწინააღმდეგო სანქციები დიპლომატიის ისტორიული ტრადიციებისგან მოწყვეტაა, როგორც წესი, დეპუტატებს სანქციები არ ეხებათ, მათ ხელს არ უშლიან, რადგან ხალხს წარმოადგენენ, — თქვა ლე პენმა, — ამიტომ **ისეთი განცდა მაქვს, თითქოს წესები აღარ არსებობს, მათ გარდა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწესებს თავისი ინტერესების დასაცავად. მაგრამ აშშ-ის ინტრესები არ არის ჩვენი ინტერესები**“. პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერის აზრით, უკრაინა ევროკავშირში ვერ შევა.

„უკრაინა ევროკავშირში ვერ შევა, ზღაპების მოყოლა საჭირო არ არის. უკრაინას არ აქვს ეკონომიკის ისეთი დონე, რომ ევროკავშირში შევიდეს, — განაცხადა ლე პენმა. — პლუს ამას, სიაში ის პირველი არ არის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ეკონომიკური დონე ძალიან დაბალია ჩვენთან შედარებით. მიმაჩნია, რომ ეს ტყუილია, მიმაჩნია, რომ **ეს იყო დაპირება, რომელსაც ვერ შევასრულებდით და ეს ყველამ მშვენივრად ვიცოდით“.**



## ევროკომისარი: უკრაინას არავინ დაჰპირებია ადგილს ევროკავშირში

**განვითარების ევროკომისიის კომისარმა ანდრის პიებალგსმა განაცხადა, რომ ევროკავშირს უკრაინისთვის არასოდეს მიუცია მის შემადგენლობაში შეყვანის პირობა, — წერს ლატვიური გამოცემა Delfi.**

პიებალგსმა აღნიშნა, რომ უკრაინას ჯერ კიდევ გადასაწყვეტი აქვს ბევრი პრობლემა იმისათვის, რომ ევროკავშირში მის მიღებაზე დაიწყოს საუბარი. ევროკავშირი კი მხოლოდ იმ ქვეყნებით გაფართოვდება, რომლებიც მზად არიან ამ გაერთიანებაში შესასვლელად.

**„უკრაინას არავინ დაჰპირებია, რომ ის ევროკავშირში ადგილს მიიღებს“,** — განაცხადა ევროკომისარმა და დასძინა, რომ „ევროკავშირს გაფართოების მადა სუსტი აქვს“.



## არა — გარყვნილების პროპაგანდას, არა — მამათმავლობას და სიბილწეს! მოგიწოდებთ, შევიკრიბოთ შაბათს, 14 ივნისს, 13 საათზე კანცელარიასთან



# რა კავშირშია არჩევნებთან ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება

**მამათმავლობა არის ის გარყვნილების სოლი, რომელიც პირველი ეჯახება ტრადიციებს, ზნეობას, სიწმინდეს და შემდგომ მას მოჰყვება ათასი სიბინძურე და სიბილწე.**

- **ჩვენი ვალია, ამოვიღოთ ამ კანონიდან მამათმავლობის ლეგიტიმაციის ყველა ნიშანი:**
  **ა) სექსუალური ორიენტაცია;**
  **ბ) გენდერული იდენტობა.**
- **ჩვენი ვალია, საკანონმდებლო, თუნდაც თვითმმართველობის, დონეზე ავკრძალოთ მამათმავლობის პროპაგანდა ნებისმიერი — პირდაპირი თუ ირიბი ფორმით; მათ შორის: გეიაღლუმები, ფლეშმობები თუ ლგბტ-ს აღმნიშვნელი სარეკლამო ატრიბუტიკის გამოყენება და ა. შ.**

ანტიდისკრიმინაციული კანონი შექმნილია და დაწერილია მხოლოდ ერთადერთი მიზნით — მამათმავლობა გამოცხადდეს ნორმად და გაუტოლდეს ცხოვრების ბუნებრივ წესს.

ამ კანონით იკრძალება, საჯაროდ ვამხილოთ სოდომგომორული ცოდვა და მას გარყვნილება ვუწოდოთ. ეს მათ დისკრიმინაციად ჩაითვლება.

ამავე კანონით მამათმავლებს, როგორც „ბუნებრივი ნორმის“ წარმომადგენლებს, ყველანაირი უფლება აქვთ, გაუწიონ თავიანთი ბინძური ცხოვრების წესს პროპაგანდარეკლამირება.

ამ კანონის საფუძველზე, საფრანგეთში იმ მზარეულსა და მკერავს, რომლებმაც გეიწყვილს ტორტის გამოცხობასა და კაბის შეკერვაზე უარი უთხრეს, თითო წელი ციხე მიესაჯათ.

სწორედ ამ კანონის საფუძველზე მუშავდება და უკვე შემუშავებულია სახელმძღვანელო, რომლითაც ჩვენს შვილებს უკვე დაწყებით კლასებშივე უნდა აუმაღლონ ტოლერანტური მგრძნობელობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის კუთხით.

და ასეთი საფრთხეების სია უგრძესია...

ამ არჩევნებზე არ არის ბრძოლა მხოლოდ ქალაქის დალაგებისთვის, უკეთესი ხელფასებისთვის ან მშენებლობისთვის (თუმცა ესეც, რა თქმა უნდა, საჭიროა). დღეს არის ბრძოლა ჩვენი შვილების გადარჩენისთვის, ჩვენი ზნეობის, სიწმინდის, ღირებულებების, ტრადიციების დაცვისა და გადარჩენისთვის.

რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტო საქართველოს ბრძოლა, ეს მსოფლიო ბრძოლაა სიწმინდესა და გარყვნილებას, კეთილსა და ბოროტს შორის.

მაგრამ ამ წუთას ჩვენ ჩვენი ვალდებულება გვაქვს და ჩვენ ჩვენი ბედი მოგვეკითხება.

დღეს საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ მთელი ქვეყნის, ერისა და ბერის წინაშე შეირცხვინეს თავი და ასევე, შეარცხვინეს მთელი საქართველო.

დღეს ორი პარტია ერთსულოვნად გაერთიანდა ზნეობისა და ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის და ვიცით, რომ ბევრი პარლამენტსა და ხელისუფლებაში არ იზიარებს ამ პოზიციას, ისინი მრავალშვილიანი მამები და დედები არიან, შეიძლება ბევრ საკითხში სამართლიანებიც და ბავშვებსაც ნათლავენ. იმედია, ეყოფათ გამბედაობა (და ამას მთელი გულით ვუსურვებ), რათა შეცვალონ და გააუქმონ ეს ბილწი კანონი.

მაგრამ, როდესაც დღეს კენჭისყრის დაფაზე გარკვევით ჩანს, რომ 114 დეპუტატი მომხრეა და არც ერთი — წინააღმდეგი, უკვე ღალატი და სირცხვილია სამშობლოს, ქრისტეს, ერის წინაშე, რომ კიდევ მათ მივცეთ ხმა ამ არჩევნებში; სირცხვილი და ღალატის ტოლფასია, ხმა მივცეთ ამ მამათმავლური კოაბიტაციის წარმომადგენლებს.

დღეს ამ არჩევნებში მათი სახელით მონაწილეობა ან მათი მხარდაჭერა ჩვენი შვილების გარყვნისა და გადაგვარების ტოლფასია, ჩვენი ღირსების მოსპობასა და უზნეობის მხარდაჭერას ნიშნავს.

**გურამ ფალავანდიშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელებმა საკუთარი, სხვა ქვეყნების სამართავად გამოზრდილი კადრები კარგა ხნის წინ ჩანერგეს ამ ქვეყნების ხელისუფლებაში. ისინი მათი ძაღლიშვილები არიან, მათ ინტერესებს ატარებენ და რაკი ეს ინტერესები მხოლოდ სხვის ხარჯზე შეიძლება გატარდეს, ეს „სხვა“ — საკუთარი ხალხი არის ხოლმე.**

# ორმაგი სტანდარტები და მეორადი სააკაშვილი

**„ძაღლიშვილია, მაგრამ — ჩვენი ძაღლიშვილი“ — ეს გამოთქმა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში, უფრო სწორად კი, მათ ხელდასხმულ სახელმწიფო გადატრიალებებსა და ამ გზით ხელისუფლებაში მოყვანილი მარიონეტების მიმართ აქტუალობას არ კარგავს. ტექნოლოგიები ვითარდება და, თუ ადრე გავლენის ქვეყნებში პრეზიდენტებად პირდაპირ ამერიკიდან გზავნიდნენ ან ცოლებად ამერიკის (ან ჰოლანდიის) მოქალაქეებს უმწესებდნენ (უკრაინის პრეზიდენტ იუშჩენკოს მაგალითი), ახლა მილიარდერების დანიშვნაა მოდური.**




ჩვენს ყოფილ ხელისუფლებას ეს მილიარდები დღესაც უკარგავს მოსვენებას, თითქოს თვითონ მეტი არ გაეზიდოთ ქვეყნიდან! თუმცა ჩვენმა მილიარდერმა მალევე იჯერა თავი პოლიტიკური თამაშებით და „სამოქალაქო სექტორს“ მიაშურა, **უკრაინაში კი ახლახან ახალი მილიარდერი პრეზიდენტის, პეტრე პოროშენკოს, ინაუგურაცია გამართეს და მას მრჩევლად, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი მილიარდერის დაუძინებელი მტერი – სააკაშვილი მიამაგრეს! როგორც ჩანს, იგი რუსეთის „დამარცხებაში“ ჩაუტარებს გაკვეთილებს უკრაინელ კოლეგას და, საქართველოს მსგავსად, ტერიტორიების 20%-საც დააკარგვინებს!**

ქვეყანაში, სადაც იანუკოვიჩს ნასამართლობა არ აპატიეს, **პრეზიდენტად იუშჩენკოს ნათელ-მირონი და მამით საბჭოთა „ცეხავიკი“ უდრტვინველად მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ის მამა — ალექსეი ვალცმანი (პოროშენკო დღევანდელი პრეზიდენტის დედის გვარია, რომელზეც მოგვიანებით მამაც გადაეწერა) ერთი დუჟინი მუხლებით იყო ნასამართლევი და 1986 წელს კომპარტიის რიგებიდან გარიცხული.** მიწერები, დატაცება, გაფლანგვა, სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, იარაღის ტარება და სხვა ბრალდებები მას ქონების კონფისკაციის ფასად დაუჯდა, მაგრამ ის ქვეყანა ამოტრიალდა, პოლიტიკაში მოსულმა შვილმა მას იუშჩენკოს პრეზიდენტობისას, 2009 წელს, უკრაინის გმირის წოდება უყიდა და ასე დაუამა წარსულის უსამართლობით მიყენებული ტკივილები.

უკრაინული მედიის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობა სწორედ პოროშენკომ დაუკვეთა, ამით კუჩმას ხელისუფლების დესტაბილიზაცია რომ გამოეწვია. გინდათ თუ არა, აქ კიდევ ერთი ქართული პარალელი გაგახსენდებათ — გიორგი სანაიას მკვლელობა და მისი გამოყენების მცდელობა დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. პარალელი სხვაც ბევრია — ბადრი პატარკაციშვილით და მისი მედია-ჰოლდინგით დაწყებული, ბიძინა ივანიშვილის მე-9 არხითა და „ინფო 9“-ით დამთავრებული. საბედნიეროდ, ფინალი ამ ორ მილიარდერს სხვადასხვა აქვთ, თუმცა **„მრჩეველ“ სააკაშვილს ოკენის გალმა არავინ ჰკითხა, როგორ მოახერხა მან კონკურენტი პატარკაციშვილის გზიდან ჩამოცილება და მისი ქონების დაპატრონება.**

სხვათა შორის, **ამ კვანძს კიდევ ერთი პერსონა აერთიანებდა — ბორის ბერეზოვსკი, რომელთანაც პოროშენკოსაც ერთობ ახლო ურთიერთობა ჰქონდა.** სიტყვამ მოიტანა და, ბერეზოვსკის გარდაცვალებაც ისეთივე ბურუსით არის მოცული, როგორც პატარკაციშვილისა და მათი კიდევ ერთი მეგობრის — ზურაბ ჟვანიას მკვლელობა.

**პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ პოროშენკომ მთელი თავისი ბიზნესიმპერია მამას – უკრაინის გმირ ალექსეი ვალცმანს „გადააბარა“.** მისი კონცერნის — „უკრმრეწვინვესტის“ შემადგენლობაში შედიოდა შვილობილი კომპანია „უკრმრეწვინვესტ — კონდიტერი“, კიევის კ. მარქსის სახელობის საკონდიტრო ფაბრიკა (24,9%), ვინიცის საკონდიტრო ფაბრიკა, ანალოგიური ფაბრიკები კრემენჩუგსა და მარიუპოლში (49%), შპს „უკრმრეწვინვესტ-ავტო“ – „უაზის“ და „გაზის“ მარკის ავტომობილების ოფიციალური დისტრიბუტორი, უკრაინაში „იჟ“-ის და „ზილის“ უმსხვილესი შემტანი, „კიას“ და „ჰიუნდაის“ (კორეა), „ისუძუს“ და „სუბარუს“ (იაპონია), „სააბის“ (შვედეთი), იაპონური „იამაჰას“ და „კავასაკის“ სკუტერებისა და მოტოციკლების ოფიციალური იმპორტიორი. წერტილი დავსვი, მაგრამ ეს ყველაფერი როდია: **პოროშენკოსვე ეკუთვნის „უკრაინის სათადარიგო ნაწილები“ (ყველა დეტალი და მაკომპლექტებელი ყველაფრისთვის, რაც მოძრაობს), სავაჭრო სახლი „ისტა“ (აკუმულატორების წარმოება), ჩერკასკის ავტოსარემონტო ქარხანა — სწორედ ის, რომლის გამოშვებული ავტობუსი „ბოგდანებითაც“ აავსო თბილისი სააკაშვილმა, ლუცკის საავტომობილო ქარხანა („ლუაზის“, „უაზის“ და „ვაზის“ მწარმოებელი), საზღვაო–სამდინარო ხომალდების წარმოება „ლენინური სამჭედლო“, „სატრანსპორტო–საექსპედიციო წარმოების“ ფილიალი (სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვები უკრაინაში, დსთ-ს ქვეყნებში, ბალტიისპირეთში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში), კომპანია „ავტოექსპო“, კიევის ტაქსოპარკი, შაქრის სამი ქარხანა, ლიპეცკის საკონდიტრო ფაბრიკა „ლიკონფი“ (რუსეთი).**

პოროშენკოს, აგრეთვე, ეკუთვნის ტელეკომპანია „მე-5 არხი“, რადიო „ნიკო-ეფ -ემი“ და გაზეთი „უკრაინის სიმართლე“ (ან „უკრაინის პრავდა“ – ვის როგორ მოეწონება). მართალია, პოროშენკო ირწმუნება, რომ პოლიტიკაში ყოფნის დროს მისი შემოსავლები ეცემოდა, მაგრამ მამამისის „მიწერებისადმი“ მიდრეკილებას თუ გავითვალისწინებთ, მიწერა აქეთაც შეიძლება და იქითაც! ასეა თუ ისე, პოროშენკოს ქონება დღეს 1,5 მილიარდად არის შეფასებული.

არა, ერთი ძველი ანეკდოტისა არ იყოს, „ჩვენი მაინც ყველასა სჯობს“! ივანიშვილს, უკრაინის პრეზიდენტისგან განსხვავებით, 7 მილიარდის აქტივები აქვს და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მედიისგან „ხელი დაიცალა“, პოროშენკომ კი იმხელა უკრაინაში „სულ რაღაც“ მილიარდ-ნახევარი იშოვა და მედიააქტივების გაყიდვის დაპირებას დებს, ოღონდ ვადებს არ აზუსტებს. **ეჰ, პეტრო-ბატონო, თქვენ რომ ქონების ღირებულებად გაქვთ ნაჩვენები, იმდენი ჩვენმა მილიარდერმა მარტო ქველმოქმედებაში დახარჯა და ხალხი მაინც უკმაყოფილოა მისი დანატოვარი ხელისუფლების!**

მაინც რა უნდა რჯიდეს ამხელა ბიზნესის მქონე კაცს, რომ სამოქალაქო დაპირისპირების ალში გახვეული ქვეყნის პირველი პირობა უნდოდეს? უკრაინაში **ბოროტი ენები ამბობენ, მთელი უკრაინიდან მარტო კიევი რომ დარჩეს, მაინც ჩაებღაუჭება ძალაუფლებასო.**

**სააკაშვილზეც სწორედ ამას ამბობდნენ – მარტო რუსთაველის პროსპექტის პრეზიდენტიც რომ დარჩეს, მაინც არ გადადგებაო, მაგრამ მოუწია წასვლა და ახლა საკუთარ „გამოცდილებას“ ყოფილ თანაკურსელ პოროშენკოს უზიარებს!**

მაინც რა ასწავლეს ამ სუბიექტებს ისეთი კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში, რომ ასე ჰგვანან ერთმანეთს? სააკაშვილი შევარდნაძის მთავრობის მინისტრი იყო, პოროშენკო – იანუკოვიჩის; ორივე დაუპირისპირდა საკუთარ „პატრონს“. **იქნებ სწორედ ეს ასწავლეს – ციხის შიგნიდან გატეხვა? ან იქნებ ის, თუ როგორ უნდა დაწერო საკუთარი ქვეყნისთვის კაბალური ხელშეკრულებები?** სააკაშვილზე ნუღარ შევჩერდებით, რადგან მისი ნაცოდვილარი ხელშეკრულებების კარგა გვარიანი ნაწილის შინაარსი დღესაც გასაიდუმლოებულია, ხოლო **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომლის გამოც უკრაინა ცეცხლის ალში გაეხვია და სახელმწიფო გადატრიალება მოიმკო, სწორედ პოროშენკოს სამინისტროს მიერ არის შემუშავებული!**

სხვათა შორის, პოროშენკოს „მე-5 არხმა“, როგორც თავის დროზე „რუსთავი 2–მა“ „ვარდების რევოლუციის“ წინ, ლომის წვლილი შეიტანა კიევის მაიდანის საინფორმაციო მხარდაჭერასა და სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებაში. ოღონდ, კიწმარიშვილისგან განსხვავებით, მას ნადავლის განაწილებისას წილი არ მოუთხოვია; უბრალოდ, აცადა დანარჩენებს და შემდეგ ქუჩაში დაგდებული ძალაუფლება აიღო.

პოროშენკომ ინაუგურაციაზე განაცხადა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთში სისხლისღვრა უნდა შეწყდეს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ უკრაინის არმიას მეორე დღესვე „გრადები“ დაეშინა საკუთარი მოსახლეობისთვის. თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა იმავე სიტყვაში პოროშენკომ ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენი საიმედო მოკავშირეები და მშვიდობის გარანტები არიან არმია, ფლოტი, ეროვნული გვარდია და პროფესიული სპეცსამსახურები“! ეს ყველა ჩამოთვლილი „გარანტი“ სწორედაც ისე განაგრძობს მოქმედებას, როგორც აქამდე – ბომბავს დაუმორჩილებელ რეგიონებს!

კიდევ ერთი საყურადღებო განცხადება პოროშენკოსგან: „გამოვიყენებ ჩემს დიპლომატიურ უნარს, რათა უზრუნველვყო ხელმოწერა ხელშეკრულებაზე, რომელიც ბუდაპეშტის მემორანდუმს შეცვლის (ნატოს ბუდაპეშტის სამიტის დოკუმენტი, რომელიც უკრაინას და საქართველოს ნატოში ოდესმე გაწევრიანებას ეხება– თ.დ.). ამ ხელშეკრულებამ უნდა მოგვცეს მშვიდობისა და უსაფრთხოების პირდაპირი და საიმედო გარანტიები — სამხედრო მხარდაჭერის ჩათვლით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში“.

ერთი სიტყვით, **პოროშენკო სიტყვასიტყვით იმეორებს სააკაშვილის რიტორიკას და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ნატოს სთხოვს! პრინციპში, „მეორადი“ სააკაშვილისგან ეს გასაკვირი არ არის; გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ უკრაინამ საქართველოს მაგალითზე ვერაფერი ისწავლა!**

**სააკაშვილის მმართველობისას ქართული პრესა წერდა, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ამერიკელი ინსტრუქტორები ისხდნენ და სწორედ მათი შემუშავებული სქემებით მართავდნენ ქვეყანას ნორჩი „კმარელები“ და „ნაციონალები“. ახლა უკრაინის სახელისუფლებო კულუარებში „ნაციონალური“ დესანტია ჩასხმული და „რეფორმების“ გამოცდილებას უზიარებს უკრაინელ კოლეგებს.**

**ამერიკელებმა საკუთარი, სხვა ქვეყნების სამართავად გამოზრდილი კადრები კარგა ხნის წინ ჩანერგეს ამ ქვეყნების ხელისუფლებაში. ისინი მათი ძაღლიშვილები არიან, მათ ინტერესებს ატარებენ და რაკი ეს ინტერესები მხოლოდ სხვის ხარჯზე შეიძლება გატარდეს, ეს „სხვა“ — საკუთარი ხალხი არის ხოლმე.** ამიტომაც, შესაშური თანმიმდევრულობით — ხალხი ღატაკდება, ხოლო ხელისუფალნი მდიდრდებიან! ამიტომ **სახელმწიფო იქცევა „ტერიტორიად“, რომელზეც გავლენას შეერთებული შტატები განიმტკიცებს. ამიტომ ამ „ტერიტორიაზე“ არსებული ნედლეული ამერიკული კორპორაციების ხელში გადადის, ხოლო ინტერესები ბოლომდე რომ იყოს დაცული, მაგალითად, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი საკუთარ შვილს გზავნის უკრაინაში და ნავთობისა და გაზის მომპოვებელი უმსხვილესი ჰოლდინგის „ბურისმას“ დირექტორთა საბჭოში ასაქმებს!** დანარჩენ უკრაინულ მეურნეობას სანდო კაცს — პოროშენკოს აბარებს და ზურგს კიდევ ერთი ძაღლიშვილით – სააკაშვილით უმაგრებს.

დიახ, **ისინი ამერიკელების ძაღლიშვილები არიან და, როგორც სჩვევიათ, ორმაგი სტანდარტებით უდგებიან საპრეზიდენტო არჩევნებს: სირიის პრეზიდენტი მოსახლეობის 88%-მა აირჩია, მაგრამ ის მკვლელი და ტირანია, რადგან ამბოხებულ რეგიონებში არტილერიასა და ავიაციას იყენებს; პოროშენკო დემოკრატი და მშვიდობისმყოფელია, რადგან ამბოხებულ რეგიონებში არტილერიას და ავიაციას იყენებს; სირიაში ამერიკელებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ ამბოხებულებს; უკრაინაში ამერიკელებმა დახმარება ხელისუფლებას უნდა აღმოუჩინონ ამბოხებულთა წინააღმდეგ;** სირიაში საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმურია, რადგან ამბოხებულ რეგიონებში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს; უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ლეგიტიმურია, მიუხედავად იმისა, რომ ამბოხებულ რეგიონებში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს!

**ერთი სიტყვით, ასეა ეს, ასინეთა, ოღონდ — პირიქით!**

**თამარ დავითულიანი**

**დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი საგულისხმო კანონზომიერება ფიქსირდება — მმართველი ძალა ჯერ სწრაფად აფართოებს გავლენის სფეროს და ხელისუფლების ყველა წარმოსადგენ ბერკეტს ეპატრონება, ხოლო მას შემდეგ, რაც ის ფაქტობრივ ერთპარტიულობას აღწევს, პრაქტიკულად დაუყონებლივ იწყება სწრაფი დეგრადაცია და კრიზისი, როგორც მმართველი ჯგუფის წიაღში, ისე მის ურთიერთობებში საზოგადოებასთან.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართული პოლიტიკა გზად შიზოფრენიიდან მარაზმამდე

**კვირას არჩევნებია. სოციოლოგების მონაცემებიდან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ გამარჯვება ეჭვს არ იწვევს, გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, ნოკაუტით თუ ქულებით მოიგებს. საყოველთაოდ გავრცელებულმა აზრმა მმართველი კოალიციის გარდაუვალი წარმატების შესახებ მას შეიძლება უსიამოვნო შედეგი მოუტანოს — „ოცნების“ მხარდამჭერების ნაწილი, დიდი ალბათობით, იხელმძღვანელებს მოსაზრებით „ყველაფერი ისედაც გადაწყვეტილია“ და საარჩევნო უბნებზე არ მივა. თუმცა ეს ტექნოლოგიური ხასიათის პრობლემაა, რომელიც არჩევნების შედეგებზე პრინციპულად მნიშვნელოვან გავლენას, სავარაუდოდ, ვერ მოახდენს. მთავარი კი ისაა, რომ ამ არჩევნების და „ქართული ოცნების“ მორიგი გამარჯვების შემდეგ, ორ წელიწადზე მეტხანს არანაირი სხვა (რიგითი) არჩევნების გამართვა არ იგეგმება. შესაბამისად, გარკვეული დროის განმავლობაში, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობა თავისუფალი იქნება წინასაარჩევნო მობილიზაციის ისტერიული სულისკვეთებისგან. სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდება თეთრი და შავი და უამრავი სხვა საინტერესო რამ.**



**სახელისუფლო პარტიის გადავარდნამ პოლიტიკურ მარაზმში (როგორც ეს შევარდნაძის მმართველობის წლებში მოხდა) ან პოლიტიკურ შიზოფრენიაში (სააკაშვილის პერიოდი) ქვეყნის ცხოვრებაში შეიძლება გაცილებით სერიოზული ცვლილებები შეიტანოს, ვიდრე ყველა ქართველმა მილიარდერმა შეერთებული შტატების მთელ ძლიერებასთან ერთად**

**დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი საგულისხმო კანონზომიერება ფიქსირდება — მმართველი ძალა ჯერ სწრაფად აფართოებს გავლენის სფეროს და ხელისუფლების ყველა წარმოსადგენ ბერკეტს ეპატრონება, ხოლო მას შემდეგ, რაც ის ფაქტობრივ ერთპარტიულობას აღწევს, პრაქტიკულად დაუყონებლივ იწყება სწრაფი დეგრადაცია და კრიზისი, როგორც მმართველი ჯგუფის წიაღში, ისე მის ურთიერთობებში საზოგადოებასთან.** დეტალები, თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულია, თუმცა ძირითადი ალგორითმი — ერთი და იგივე.

**„ქართული ოცნება“ (საუბარია პარტიაზე და არა კოალიციაზე), ჯერჯერობით პირველ (პირობითად) „გაძლიერების სტადიაში“ იმყოფება. მან ჯერ ვერ მიაღწია უპირობო დომინირებას ყველა სფეროში და კლასიკურ სახელისუფლო პარტიად არ ჩამოყალიბდა** (თუმცა, ზოგიერთმა ტენდენციამ შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, რომ საქმე აქეთ მიდის, თან სწრაფად). **არც ისე ბევრი დრო რჩება ყველა სახელისუფლო ბერკეტის სრულ გაკონტროლებამდე, ათასგზის** (პირდაპირ თუ ქვეტექსტში) **ანონსირებულ დამშვიდობებამდე კოალიციურ პარტნიორებთან და „ნაცმოძრაობის“ სრულ მარგინალიზაციამდე.** რა გველოდება ამის შემდეგ? ზემოთ აღწერილი, ჩვეული და, ალბათ, საბედისწერო ალგორითმი თუ რაიმე სხვა, მოულოდნელი და უჩვეულო?

რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ხელისუფლების პირველი პირის (ამ შემთხვევაში საუბარია ბიძინა ივანიშვილზე, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ოფიციალურ პოსტს არ იკავებს) და უცხოელი პარტნიორების მოქმედებაზე, მაგრამ ამის გარდა არსებობს ბევრი სხვა ფაქტორი, რომელთაც ქართული პოლიტიკური კონსპიროლოგია არ ითვალისწინებს, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება მარიონეტების თეატრის პრიმიტიულ მოდელამდე დაჰყავს. **სახელისუფლო პარტიის გადავარდნამ პოლიტიკურ მარაზმში (როგორც ეს შევარდნაძის მმართველობის წლებში მოხდა) ან პოლიტიკურ შიზოფრენიაში (სააკაშვილის პერიოდი) ქვეყნის ცხოვრებაში შეიძლება გაცილებით სერიოზული ცვლილებები შეიტანოს, ვიდრე ყველა ქართველმა მილიარდერმა შეერთებული შტატების მთელ ძლიერებასთან ერთად.** მსგავსი რამ არ ხდება ერთი, თუნდაც ძალზე გავლენიანი ადამიანის დაუდევრობის ან უცხო სახელმწიფოს ბოროტი განზრახვის გამო. ეს სისტემური პრობლემაა, რომელიც ქართული საზოგადოებისა და მისი ელიტის ცნობიერებაში არსებული კოგნიტური ხარვეზების ნიადაგზე აღმოცენდა.

ქართული საზოგადოების ნაწილისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია დემოკრატია თანმდევი პლურალიზმით და, მარტივად, დეტალებში ჩაღრმავების გარეშე რომ ვთქვათ, ყველა ადამიანის ყველა უფლების დაცვა. მაგრამ არის საზოგადოების მეორე, არანაკლებ (და, სავარაუდოდ, უფრო) მრავალრიცხოვანი ნაწილი, რომელიც თანახმაა „გონივრულ ავტორიტარიზმზე“ (განათლებული აბსოლუტიზმის არ იყოს). ეს ადამიანები მზად არიან, დათმონ უფლება — თავისუფლებების მთელი პაკეტი სტაბილურობისა და თამაშის მყარი (თუნდაც საკმაოდ მკაცრი) წესების სანაცვლოდ. აქედან მოდის ჯერ რბილი ავტორიტარიზმის, შემდეგ „განვითარების დიქტატურის“, ბოლოს კი სრულიად კომშარული რეჟიმების გამართლება. რაც ყველაზე საინტერესოა, საზოგადოების ეს ნაწილი ვერასოდეს აღწევს საწადელს, ანუ სიმშვიდესა და სტაბილურობას „გონივრული ავტორიტარიზმის“ ქოლგის ქვეშ.

მიზანშეწონილი არ არის, ამ ადამიანებს „მონებად დაბადებულები“ ვუწოდოთ, როგორც ამას ზოგიერთი ფსევდოლიბერალი (სინამდვილეში კი პირწავარდნილი „მიშისტი“) აკეთებს. მათ, უბრალოდ, არ იციან, როგორ მუშაობს დემოკრატია და, ამასთანავე, ფრიად გადაღლილები არიან მუდმივი არეულობისგან, ომებისგან და გაჭირვებისგან. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ მათი ლტოლვა ამ კოშმარის დასრულებისკენ წარმოადგენს ძირითად რესურსს, რომლის ნიადაგზე იბადებიან მონსტრუოზული და, ამავე დროს, სიცოცხლისუუნარო რეჟიმები, თავისი სახელისუფლო პარტიებით, რომლებიც საკმაოდ სწრაფად გადიან აღზევება-დაცემის ზემოთ აღწერილ ციკლს და კრახის მომენტში ქვეყანას ისევ სასტარტო წერტილთან აბრუნებენ.

იყო ასეთი ძველი საბჭოთა ანეკდოტი საბავშვო კონსტრუქტორზე, რომელიც შემდეგი ფრაზით სრულდებოდა: „როგორც უნდა ავაწყო, მაინც ყუმბარმტყორცნი გამოდის“. ასეა ქართულ პოლიტიკაშიც: როგორც უნდა ააწყონ მმართველი პარტია, ბოლოს მაინც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გამოსდით, თანაც არა აღზევების, არამედ უკიდურესი დაცემისა და დეგრადაციის ეტაპზე. კაცმა რომ თქვას, **ქართული ელიტის უდიდეს ნაწილს სხვა მოდელი ნანახი და გააზრებული არც აქვს, ახლის გამოგონება, ინტელექტუალური რესურსის მწვავე დეფიციტის გამო, არ შეუძლია და ისევ იმ ძველ საბავშო კონსტრუქტორს შლის და აწყობს.**

**თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ საქართველო დემოკრატიისთვის მზად არ არის** (ეს არასწორი მოსაზრებაა, თუმცა დროებით წარმოვიდგინოთ, რომ ეს ასეა) **და ფაქტობრივი ერთპარტიულობის იქით გზა არ აქვს, მაშინ დაფიქრება იმაზეც მოგვიწევს, თუ როგორ უზრუნველვყოთ სისტემის გრძელვადიანი სტაბილურობა და მმართველი პარტიის მიერ თამაშის გარკვეული წესების დაცვა ისე, რომ ის ჭკუანაკლულ სისხლისმსმელ მონსტრად არ გადაიქცეს.**

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება მმართველი ელიტის მუდმივი „წმენდა“ და ხელისუფლებიდან იმ ადამიანების გაძევება, რომელნიც კანონს არღვევენ და სახელისუფლო პარტიის მიერ დეკლარირებულ პრინციპებს უგულვებელყოფენ. ასეთ სიტუაციაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ კონტროლის მექანიზმებს ხელისუფლების შიგნით, არამედ კრიტიკას „ქვემოდან“, ძველად რომ იტყოდნენ, „სიგნალებს ადგილებიდან“ თუ „წერილებს რედაქციაში“ და ადეკვატურ რეაგირებას მასზე. როგორც კი მმართველი ძალა ამ წესების დაცვაზე უარს იტყვის, გარდაუვალი თვითგანადგურების გზას დაადგება (რეპრესიებსა და მასირებულ პროპაგანდას, მხოლოდ პროცესის შენელება შეუძლია, მაგრამ არა მისი შეჩერება).

თუ პოლიტიკურ სივრცეში, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, არ არსებობს სხვა ვარიანტი კლასიკური სახელისუფლო პარტიის და ფაქტობრივ ერთპარტიულობაზე დაფუძნებული სისტემის შექმნის გარდა, ჩვენ, ალბათ, შემდეგი რამ უნდა გავაცნობიეროთ: სწორედ ახლაა ის მომენტი, როდესაც შეიძლება სახელისუფლო პარტია (და რეჟიმი მთლიანობაში) მორიგ უდღეურ მონსტრად ჩამოყალიბებას გადავარჩინოთ და მივიღოთ შედარებით ნორმალური სისტემა, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ „ჩვეულებრივ დემოკრატიაზე“ უმტკივნეულო გადასვლის შესაძლებლობას მოგვცემს. **ამიტომ არის დღეს მნიშვნელოვანი ხელისუფლების წარმომადგენელთა ყველა უმსგავსობის მწვავე კრიტიკა — მაღალჩინოსნების პრივილეგიების თემა იქნება, ნეპოტიზმის თუ სხვ.** და ეს არა მხოლოდ მათ ინტერესებშია, ვინც დემოკრატიაზე ოცნებობს, არამედ მათ ინტერესებშიც, ვინც „ადამიანური ავტორიტარიზმისკენ“ მიისწრაფვის. ეს ორი ჯგუფი, რომელიც ფუნდამენტურ პრობლემებთან მიმართებაში ერთმანეთის მოწინააღმდეგეა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში (ერთობ პარადოქსულად) ტაქტიკური მოკავშირე ხდება.

არ შეიძლება, ხელისუფლების კონტროლის ფუნქცია მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს დაეკისროს, რომლისკენაც გვიბიძგებენ ისინი, ვინც გამუდმებით იმეორებს: „ბატონმა ბიძინმა უკეთ იცის, აცალეთ“. ბიძინა ივანიშვილი, ყველა მისი დადებითი თვისების მიუხედავად (სხვათა შორის, უარყოფითი თვისებებიც აქვს, თუმცა მისი მომხრეები ჯერ არ არიან მზად იმისთვის, რომ ამაზე ისაუბრონ), ჩვეულებრივი ადამიანია, რომელმაც შეიძლება შეცდომა დაუშვას. **ამას წინათ მან განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილით იმედგაცრუებულია. არადა, ერთი წელიც კი არაა გასული მას შემდეგ, რაც ეს კანდიდატურა თავის მხარდამჭერებს, მათი (პრაქტიკულად დაუფარავი) პროტესტის მიუხედავად, თავს მოახვია. არ არსებობს იმის გარანტია, რომ იმავეს მალე დავით ნარმანიასთან დაკავშირებითაც არ გააკეთებს.** მედიაში ხშირად ვრცელდება ცნობები იმის თაობაზე, რომ ივანიშვილი ძალზე უკმაყოფილოა ზოგიერთი მაღალჩინოსნით (მათი შრომის მაღალი ანაზღაურებისა და პრივილეგიებისთვის ბრძოლის გამო) და დახურულ კარს მიღმა ნოტაციებს უკითხავს. თუ ასეა, ეს იმ შეცდომების შედეგია, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა ადრე — კადრების შერჩევისა და მაღალჩინოსნების შრომის ანაზღაურების სისტემის შექმნის ეტაპზე დაუშვა. მოკლედ, **უშეცდომო ამქვეყნად არავინაა, მათ შორის ბიძინა ივანიშვილი, იმ დიდი დამსახურების მიუხედავად, რომელიც მას სააკაშვილის რეჟიმის დასამარებაში მიუძღვის. შესაბამისად, არ შეიძლება მისთვის ყველა წარმოსადგენი უფლებისა და მოვალეობის დელეგირება, როგორც ამას ზოგიერთი მისი, სავსებით გულმხურვალე მხარდამჭერი აკეთებს.** სინამდვილეში, ივანიშვილს (ან აშშ-ის ელჩს საქართველოში, რომლის ფიგურას ხშირად კონსპიროლოგიური კონსტრუქციების დედაბოძად განიხილავენ) ახალი სისტემის შექმნის პროცესში გაცილებით შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, ვიდრე საზოგადოებას ან თუნდაც მასში შემავალ ცალკეულ ჯგუფებს თავისი მოტივებით, მისწრაფებებით და (სიმართლე რომ ვთქვათ) ფობიებით.

გასაგებია, რომ **სააკაშვილის რეჟიმი სრული კოშმარი, სადიზმისა და გაუმაძღრობის განსახიერება იყო, მაგრამ, ალბათ, ისიც ფაქტია, რომ ჩვენ არ გვჭირდება „უკეთესი კოშმარი“,** არამედ — ნორმალური, ადეკვატური ხელისუფლება. იყო დრო, როდესაც ედუარდ შევარდნაძის მიერ შექმნილი, შსს-სა და „მოქალაქეთა კავშირზე“ დაფუძნებული სისტემა აღიქმებოდა, როგორც გაცილებით უკეთესი და უსაფრთხო, ვიდრე 90-იანების დასაწყისის სისხლიანი ქაოსი, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მის საფუძველზე, თუნდაც ფარდობითად, სამართლიანი და ეფექტური ან, როგორც მინიმუმი, რამდენადმე მყარი სახელმწიფო შექმნილიყო. რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც წინამორბედზე უკეთესი ხარ, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ეს (ცალკე აღებული) თითქმის არაფერს ნიშნავს. თუ საზოგადოება არ დაამყარებს მკაცრ კონტროლს მმართველ ძალაზე, თანაც სწორედ ახლა, იმ ორ წელიწადში, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე რჩება, „ქართული ოცნება“, დიდი ალბათობით, იმავე გზას დაადგება, რომელიც თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიარეს.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინა ყოველდღიურად განიცდის ზარალს, რომლის შეფასება ფინანსურ ეკვივალენტში, უბრალოდ, შეუძლებელია. ესაა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი, სიძულვილის ესკალაცია მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფს შორის, უდიდესი საიმიჯო დანაკარგები საერთაშორისო არენაზე და ა.შ.**

# პეტრე პირველი თუ პეტრე უკანასკნელი?

**7 ივნისს კიევში უკრაინის ახალი პრეზიდენტის — პეტრე პოროშენკოს ინაუგურაცია გაიმართა. სიტყვა, რომელიც მან ცერემონიაზე წარმოთქვა, არა ერთ საინტერესო გზავნილს შეიცავდა, მან, ფაქტობრივად, წარმოადგინა ტაქტიკური მონახაზი, რომლითაც ახლო მომავალში იხელმძღვანელებს და კომენტატორებს გაცილებით დეტალურად მსჯელობის შესაძლებლობა მისცა. მათი დასკვნები უკრაინის ახლო მომავალთან დაკავშირებით, როგორც წესი, პესიმისტურია, რადგან ამ ქვეყანას მშვიდობის დამყარებამდე საკმაოდ გრძელი გზის გავლა მოუწევს. ეს პროცესები მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რადგან დღეს უკრაინაში რეალურად მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის ბედი წყდება.**



**ინაუგურაციის დღეს მიხეილ სააკაშვილი უკრაინული ტელეარხების ეთერში დაჟინებით ურჩევდა პეტრე პოროშენკოს, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში არ შეეწყვიტა «ანტიტერორისტული ოპერაცია», რომელსაც უკვე, ასობით თუ არა, ათასობით (სხვადასხვა წყარო განსხვავებულ მონაცემებს აქვეყნებს) ადამიანის სიცოცხლე შეეწირა**

## სააკაშვილიდა აკლდათ

**ინაუგურაციის დღეს მიხეილ სააკაშვილი უკრაინული ტელეარხების ეთერში დაჟინებით ურჩევდა პეტრე პოროშენკოს, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში არ შეეწყვიტა „ანტიტერორისტული ოპერაცია“, რომელსაც უკვე, ასობით თუ არა, ათასობით (სხვადასხვა წყარო განსხვავებულ მონაცემებს აქვეყნებს) ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.** მან ასევე განაცხადა, რომ მალე უკრაინაში ჩავა „ქართველი რეფორმატორების გუნდი, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ქართული ეკონომიკური სასწაული შექმნა“. „ეკონომიკურ სასწაულში“ ფიგურანტი, სავარაუდოდ, იმას გულისხმობდა, რასაც საქართველოში „სოციალურ გენოციდს“ უწოდებენ. თუმცა ეს უკვე არა ჩვენი, არამედ უკრაინელების პრობლემაა; თუ მათი ახალი ხელისუფლება სრული სერიოზულობით აპირებს თანამშრომლობას სააკაშვილის ჯგუფთან, დიდი ალბათობით, არც ეკონომიკური „სასწაულები“ ასცდებათ, არც ზონდერების ხელკეტები, არც წამება და გაუპატიურება. ქართულ აუდიტორიას კი სააკაშვილის უკრაინული თავგადასავლები ნაკლებად აინტერესებს (და ეს კარგად აისახება სოციალურ ქსელებში), არამედ მხოლოდ ის, რატომ არ გამოაცხადეს ის აქამდე ძებნაში (და, შესაბამისად, როდის გამოაცხადებენ).

ძალისმიერი ოპერაციის გაგრძელების რჩევა მეტისმეტად ზოგად ხასიათს ატარებს. გაგრძელდეს, მაგრამ როგორ? ერთია ქალაქების მიწასთან გასწორება არტილერიით თუ ავიაციით და სამხრეთ-აღმოსავლეთში მკაცრი რეჟიმის შემოღება საფილტრაციო ბანაკებით და სულ სხვაა მეამბოხეთა ნელი, დროში გაწელილი „მოგუდვა“ მშვიდობიანი მოსახლეობის მაქსიმალური გაფრთხილების პირობებში. ეს ორი ვარიანტი (თავისი ქვევარიანტებით) სტრატეგიულ პერსპექტივაში უკრაინას სხვადასხვა შედეგს მოუტანს. ექსპერტების შეფასებით, ოპერაციები სამხრეთ-აღმოსავლეთში უკრაინას დღეში, როგორც მინიმუმი, 3 მილიონი დოლარი უჯდება (დაზიანებული ტექნიკის რემონტის და რიგი სხვა თანმდევი ხარჯების გათვალისწინების გარეშე). დაპირისპირების ზონაში მოქცეულია საწარმოები, რომელნიც ადრე ქვეყნის ექსპორტის დაახლოებით 25%-ს უზრუნველყოფდნენ. ამასთანავე, უკრაინა ყოველდღიურად განიცდის ზარალს, რომლის შეფასება ფინანსურ ეკვივალენტში, უბრალოდ, შეუძლებელია. ესაა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი, სიძულვილის ესკალაცია მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფს შორის, უდიდესი საიმიჯო დანაკარგები საერთაშორისო არენაზე და ა. შ. გასულ კვირას ამბოხებულებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, როდესაც რუსეთთან საზღვრის დაახლოებით ასკილომეტრიანი მონაკვეთიდან უკრაინელი მესაზღვრეები განდევნეს. ყველა დამკვირვებელს აინტერესებდა, რას იტყოდა ამ სიტუაციასთან დაკავშირებით პეტრე პოროშენკო თავის საინაუგურაციო სიტყვაში.

**„დაჟინებით მოვუწოდებ ყველას, ვინც აიღო იარაღი, დაყაროს ის. ამის პასუხად, ჯერ ერთი, ვაძლევ გარანტიას, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიან ისინი, ვის ხელებზეც არ არის უკრაინელი მეომრებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლი და მათ, ვისაც ტერორიზმის დაფინანსებაში წვლილი არ მიუძღვით.** ამასთანავე, კონტროლირებად დერეფანს დაქირავებულ მებრძოლებს რუსეთიდან, რომელნიც სახლში დაბრუნებას განიზრახვენ. მესამე — სამშვიდობო დიალოგი უკრაინის მშვიდობიან მოქალაქეებთან. მათთანაც კი, ვისაც ქვეყნის მომავალზე ჩემგან განსხვავებული შეხედულებები აქვთ, — განაცხადა პეტრე პოროშენკომ და დაჰპირდა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქის მოსახლეობას, რომ მალე სამშვიდობო გეგმას წარუდგენს, რომელიც ხელისუფლების დეცენტრალიზაციას და რეგიონში რუსული ენის თავისუფალ გამოყენებას ითვალისწინებს, აგრეთვე, „ადგილობრივი საზოგადოებების უფლებას თავიანთ ნიუანსებზე ისტორიული მეხსიერების, გმირთა პანთეონისა და რელიგიური ტრადიციების საკითხებში“. მან დადო პირობა, რომ ევროპელ პარტნიორებთან ერთად რეგიონში ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის. ალბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ფედერალიზაციის იდეაზე პოროშენკომ შემდეგი რამ თქვა: „უკრაინა იყო, არის და იქნება უნიტარული სახელმწიფო. ბოდვას ფედერაციაზე უკრაინაში საფუძველი არ აქვს“.

აშკარაა, რომ ყოველივე ეს მიუღებელი და არასაკმარისია დონეცკის და ლუგანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერებისთვის, რაც მათ პოროშენკოს განცხადების კომენტირებისას დააფიქსირეს. მაგალითად, ფედერალიზაცია მათთვის პროგრამა-მინიმუმია, რომელსაც შეიძლება მხოლოდ კიევის მიერ მთელი რიგი პირობების შესრულების შემდეგ დათანხმდნენ, ხოლო პოროშენკო მას სრულიად მიუღებლად მიიჩნევს. იგივე შეიძლება ითქვას ამნისტიასთან და სხვა თემებთან დაკავშირებით. ერთი შეხედვით, განსახილველი აქ არაფერია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ახალი პრეზიდენტი, შესაძლოა, აპირებს არა მოლაპარაკებებს ამბოხებულების ლიდერებთან, არამედ მათ სრულ პოლიტიკურ იზოლირებას, რაზეც კიდევ ორი მისი განცხადება მიანიშნებს.

**„დღეს ჩვენ გვჭირდება ლეგიტიმური პარტნიორი დიალოგისთვის. ბანდიტებთან ჩვენ არ ვილაპარაკებთ. ხოლო მოქმედი ადგილობრივი დეპუტატები უკვე აღარავის წარმოადგენენ. და ჩვენ მზად ვართ, გამოვაცხადოთ ვადამდელი ადგილობრივი არჩევნები დონბასში“,** — განაცხადა პეტრე პოროშენკომ და, სავარაუდოდ, სწორედ ამ პასაჟის უკან იმალება მისი გეგმის ძირითადი იდეა.

ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნის დროს, თვითგამოცხადებული რესპუბლიკა იქნება თუ სხვა, ადგილობრივი ელიტის ნაწილი უკმაყოფილო რჩება. ასე იყო ყველგან, ასეა დონბასშიც — მეამბოხეთა ლიდერებით უკმაყოფილოა არა მხოლოდ ოლიგარქი რინატ ახმეტოვი, არამედ მთელი რიგი შედარებით დაბალი რანგის ბიზნესმენებისა და ჩინოვნიკებისა, რომლებიც არ წყვეტენ ღია თუ ფარულ კავშირს კიევთან. პოროშენკო პრობლემის გადაწყვეტას, როგორც ჩანს, ამ ხალხზე დაყრდნობით გეგმავს და კონფლიქტის „დონბასიზაციას“ („ვიეტნამიზაციის“ და „ჩეჩენიზაციის“ მსგავსად) აპირებს. მარტივად რომ ვთქვათ, მას დონბასში ახმად (შემდგომ კი რამზან) კადიროვის ტიპის ფიგურა სჭირდება და კონფლიქტის მოქცევა შემდეგი სქემის ჩარჩოებში — „კარგი დონბასელები“ „ცუდი სეპარატისტების“ წინააღმდეგ. რინატ ახმეტოვმა ვერ შეასრულა „დონბასის კადიროვის“ როლი და ვერ მიაღწია რეგიონზე ისეთი ტიპის კონტროლს, როგორც იგორ კოლომოისკიმ დნეპროპეტროვსკის ოლქში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის გაკეთებას კიდევ ერთხელ არ შეეცდება (ან კიდევ, ამ როლს ვინმე სხვა შეასრულებს). მსურველი, სავარაუდოდ, საკმარისზე მეტი მოიძებნება, თუ პრიზი იქნება ისეთივე, პრაქტიკულად შეუზღუდავი ბატონობა ოლქზე, როგორიც კოლომოისკის დნეპროპეტროვსკში აქვს. პირველი, რის გაკეთებას პოროშენკო, როგორც ჩანს, გეგმავს, „კარგი დონბასელების“ ლეგიტიმაციაა, რაც, ასე თუ ისე, ლოგიკური გადაწყვეტილებაა. მეამბოხეთა სუსტი წერტილი ძალიან დაბალი ხარისხის, პრაქტიკულად არარსებული ლეგიტიმურობაა — თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში ახალ, აშკარად შეცვლილ რეალობაში არჩევნები არ გამართულა. თუმცა ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა ცენტრალური ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში რამდენადმე დამაჯერებელი არჩევნების ჩატარებას.

## რა ჩაიფიქრა პილპილის მბრძანებელმა?

პეტრე პოროშენკო ყოველთვის ცდილობდა, მოწინააღმდეგეებთან ფრონტალურ დაპირისპირებაში არ ჩაბმულიყო და წარმატების მიღწევის ალტერნარტიული გზა მოეძებნა; ამ მხრივ, ის რაღაცით ჰგავს ბიძინა ივანიშვილს. როდესაც უკრაინელი ოლიგარქები ერთმანეთს ხოცავდნენ (ხანდახან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მეტალურგიული და სხვა სამრეწველო გიგანტების დაპატრონებისთვის, პოროშენკომ მზერა გაუბედურებულ აგრარულ სექტორს მიაპყრო, რომელიც საკუთრების გადანაწილების პროცესში დიდად არავის აინტერესებდა. **კარიერის დასაწყისში პოროშენკო შავმა პილპილმა გაამდიდრა და ოლიგარქიული ოლიმპოსკენ გზა გაუხსნა.** სავარაუდოდ, ის ამ შემთხვევასიც შეეცდება შემოვლითი გზა მოძებნოს, თუ გარემოებები და უცხოელი პარტნიორები, სააკაშვილის მსგავს მრჩევლებთან ერთად, არ აიძულებენ ხისტ დაპირისპირებაში ჩაებას.

პოლიტიკა, რომელიც დონბასის ელიტაში შიდა კონფლიქტის გაღვივებას ითვალისწინებს, არასაკმარისია ამბოხებულების რადიკალური ნაწილის იზოლაციისთვის, ამიტომ ყურადღება პოროშენკოს მეორე გზავნილს უნდა მივაქციოთ. პირველსავე სამუშაო დღეს მან განაცხადა, რომ მოლაპარაკებებს რუსეთთან სიტუაციის ნორმალიზებაზე დაუყონებლივ დაიწყებს. როგორც ცნობილია, რუსეთს აინტერესებს „ანტიტერორისტული ოპერაციის“ შეწყვეტა (პოროშენკომ თქვა, რომ ერთი კვირის განმავლობაში ზუსტად ამის გაკეთებას აპირებს), ხოლო უკრაინას რუსეთის ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმება, რომელმაც ვლადიმერ პუტინს უკრაინაში ჯარის შეყვანის უფლება მიანიჭა. ცხადია, ეს მხოლოდ ერთი, საბრძოლო შეტაკებებთან უშუალო კავშირში მყოფი ასპექტია, თორემ სალაპარაკო რუსეთსა და უკრაინას გაზზე და უამრავ საკითხზე საკმარისზე მეტი აქვთ.

ამ მოლაპარაკებების დროს პოროშენკო, სავაუდოდ, შეეცდება, თავი კონსტრუქციულ პარტნიორად წარმოაჩინოს, მეტიც, შეიძლება რიგ დათმობებზე წავიდეს, რათა სავარაუდო მიზანს მიაღწიოს — ჩაითრიოს კრემლი „განმუხტვის“ პროცესში, მანამ ზემოთ ნახსენები „კარგი, ლოიალური დონბასელების“ ორგანიზებას მოახდენს. სავარაუდოდ, სწორედ ამა- ▶

ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნის დროს, თვითგამოცხადებული რესპუბლიკა იქნება თუ სხვა, ადგილობრივი ელიტის ნაწილი უკმაყოფილო რჩება. ასე იყო ყველგან, ასეა დონბასშიც — მეამბოხეთა ლიდერებით უკმაყოფილოა არა მხოლოდ ოლიგარქი რინატ ახმეტოვი, არამედ მთელი რიგი შედარებით დაბალი რანგის ბიზნესმენებისა და ჩინოვნიკებისა, რომლებიც არ წყვეტენ ღია თუ ფარულ კავშირს კიევთან.

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ინაუგურაციამდე პოროშენკომ დაიწყო საუბარი სახელისუფლო ვერტიკალის გამყარების აუცილებლობაზე და ოპონენტებმა დაუყოვნებლივ დიქტატორულ მისწრაფებებში დაადანაშაულეს

◀ში მდგომარეობს რადიკალ მეამბოხეთა იზოლირების გეგმის მეორე ძირითადი იდეა.

„ვიეტნამიზაცია“ თავის დროზე მიზნად ისახავდა ამერიკული ჯარის თანდათანობით დისტანცირებას უშუალო მონაწილეობისგან საბრძოლო მოქმედებებში და მათ ჩანაცვლებას ადგილობრივებით. პოროშენკოც, სავარაუდოდ, შეეცდება, მინიმუმამდე დაიყვანოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობა დაპირისპირებაში. დიდ ხარჯებსა და მზარდ ქაოსს თავი რომ დავანებოთ, ქალაქების დაბომბვა ავიაცია-არტილერიით ძალზე არაპოპულარული რამ არის. მაგრამ რამდენად გამოუვა ეს, სხვა საკითხია — ომს თავისი ლოგიკა აქვს. თუ უკრაინელი სამხედროები უცებ „გაჩერდებიან“, მეამბოხეები, დიდი ალბათობით, მკვეთრად გააქტიურდებიან და კონტროლის ზონას გააფართოებენ.

რა თქმა უნდა, ყოველთვის იარსებებს პრობლემის სწრაფი, ძალისმიერი „მოგვარების“ ცდუნება და მასზე დაფუძნებული ოპერაციების დაწყება შეიძლება (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე) პოროშენკოს ნების საწინააღმდეგოდაც მოხდეს. დეესკალაცია, თუკი ასეთს საერთოდ ვიხილავთ, სწრაფი, ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ იქნება.

მიუხედავად იმისა, დონბასის ძალისმიერ დამორჩილებას აპირებს პოროშენკო თუ მის შემორიგებას, პირველი ბრძოლა მოსაგები კიევში იქნება. მის ხელთ კონცენტრირებული ბერკეტები არასაკმარისია იმისთვის, რომ ამბოხებულ რეგიონსა და მთელ ქვეყანაში ეფექტური პოლიტიკის გატარება შეძლოს.

## კიევის ტორტი და ბოლო შანსი

**ინაუგურაციამდე პოროშენკომ დაიწყო საუბარი სახელისუფლო ვერტიკალის გამყარების აუცილებლობაზე და ოპონენტებმა დაუყოვნებლივ დიქტატორულ მისწრაფებებში დაადანაშაულეს.** 7 ივნისს კი მან დღევანდელი საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკის ერთგულება დაიფიცა და ხელისუფლების უზურპაციის იდეა უარყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ უკრაინის კანონმდებლობა, რომელიც გარდამავალ პერიოდში საქართველოს კონსტიტუციაზე უარესად გააუპატიურეს, მის დღევანდელ მდგომარეობაში ქმნის უამრავ შესაძლებლობას იმისთვის, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტომ ერთმანეთის მოქმედება დაბლოკოს და მწვავე კონფლიქტში შევიდეს. ასეთი ვითარება ფაქტობრივი სამოქალაქო ომის პირობებში დამღუპველია.

**მიუხედავად იმისა, რომ პოროშენკოს დასავლელი პარტნიორების სერიოზული მხარდაჭერა აქვს, უფლებების გაფართოების ნებისმიერი მცდელობა მისი ოპონენტების უმწვავეს კრიტიკას გამოიწვევს, რომელთა შორის პირველი იულია ტიმოშენკო იქნება.** მეორე მხრივ, პოროშენკოს მკვეთრმა მოძრაობებმა შეიძლება სხვა უკრაინელი ოლიგარქები დააფრთხოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სახელისუფლო ბერკეტების სერიოზული კონსოლიდაციის გარეშე, რამდენადმე შედეგიანი პოლიტიკის გატარება ამ პირობებში, უბრალოდ, შეუძლებელია.

უკრაინის ახალი ხელისუფლება ნატოში ინტეგრაციის საკითხს არ განიხილავს და, როგორც ჩანს, ქართველი კოლეგებისგან განსხვავებით, აცნობიერებს, რომ ხელშესახებ პერსპექტივაში ეს იდეა სრულად არარეალისტურია. უკრაინის ნეიტრალიტეტისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებთან დაკავშირებით, პოროშენკომ ინაუგურაციაზე შემდეგი რამ თქვა: „მე გამოვიყენებ მთელ ჩემს დიპლომატიურ გამოცდილებას, რათა ვუზრუნველყო საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც ბუდაპეშტის მემორანდუმს შეცვლის. ამ ხელშკრულებამ უნდა შექმნას მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიები — სამხედრო მხარდაჭერის ჩათვლით, თუ ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნება“ (ბუდაპეშტის მემორანდუმი, რომელიც უკრაინამ „ბირთვული კლუბის“ წევრებისგან ბირთვულ იარაღზე უარის თქმის სანაცვლოდ მიიღო, მსგავსი მექანიზმების ამოქმედებას არ ითვალისწინებდა). პოროშენკოს ეს განცხადება რეალისტურის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, რადგან თითქმის წარმოუდგენელია, რომ რომელიმე უცხო სახელმწიფომ საკუთარ თავზე უკრაინის დაცვის ვალდებულება აიღოს. ეს, ალბათ, უფრო მოსახლეობის შეგულიანების მცდელობა იყო, იმ სიტუაციაში, როდესაც უამრავი შიდა და გარე ფაქტორი უკრაინის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მუშაობს. თუმცა ამ სიტუაციაში ნეიტრალური სტატუსის მაქსიმალური გამყარება ერთადერთი შესაძლებელი ვექტორია; უკრაინის გაწევრიანება ნატოში გამორიცხული ჩანს.

**მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა პეტრე პოროშენკო, მისი რიტორიკა და პოლიტიკა, ის, ალბათ, უკრაინის უკანასკნელი მმართველია, რომელსაც ქვეყნის დამშვიდების და მისი მთლიანობის (სავარაუდოდ, ყირიმის გარეშე) შენარჩუნება შეუძლია;** აქ იგულისხმება მეტნაკლებად მისაღები ვარიანტი და არა ბოსნია-ჰერცოგოვინის მსგავსი ხელოვნური კონსტრუქციები. მოახერხებს თუ არა ამას? კაცმა რომ თქვას, სააკაშვილის მსგავს მრჩევლებს თუ მოუსმენს, დიდი ალბათობით, იანუკოვიჩზე უარესი კრახით დაასრულებს.

**დიმიტრი მონიავა**

პროფესორი დოდო ბერაია:

# ნარმანია აპირებს მილიონი ხის დარგვას? დარგვა კი არა, ბუნების დაცვის დღეს ასობით უნიკალური ხე გაჩეხეს!

**„საქართველო და მსოფლიოს“ ფონიჭალის მცხოვრები, პროფესორი დოდო ბერაია დაუკავშირდა, რომელიც აღშფოთებას ვერ მალავდა თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩადენილით და დახმარებას ითხოვდა. რა მოხდა ორიოდე დღის წინათ ფონიჭალაში და რას ითხოვს გამწარებული მოსახლეობა თავდაცვის სამინისტროსგან? გვესაუბრება დოდო ბერაია:**



— 9 ივნისს ფონიჭალაში, ზოოვეტის ინსტიტუტის ყოფილ ტერიტორიაზე, 50-60-წლიანი ხეები გაჩეხეს. ახლა იქ დროებით თავდაცვის სამინისტროა შეხიზნული. რა ხდება, არ ვიცი, — არსად ფიგურირებს, რომ ეს ტერიტორია თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება, — მიუხედავად ამისა, ხეები ამ სამინისტროს მოთხოვნით გაჩეხეს. როგორც კი ეს ამბავი შევიტყვეთ, მაშინვე ადგილზე მივედით და ვნახეთ, რომ გაჩეხილი ხეები დაბლა ეყარა — ნაწილ-ნაწილ იყო დაჭრილი, შემოყვანილი ჰყავდათ მანქანები და გაჰქონდათ. რატომ და რისთვის მოხდა ეს, არ ვიცით, ჩვენთვის არავის არაფერი უცნობებია, შემთხვევით შევიტყვეთ. როგორც გავარკვიეთ, გაჩეხვა უკანონოდ მოხდა და გეტყვით რატომაც: როცა მოვითხოვეთ, აეხსნათ, ვის მიერ იყო ეს ჩადენილი, გვაჩვენეს რაღაც საბუთი, რომელშიც ეწერა, რომ, თავდაცვის მინისტრის მოადგილის განკარგულებით, ორგანიზაცია „დელტას“ დაევალა ხეების გაჩეხვა და ამ ადგილზე ღია სამხედრო მუზეუმის მოწყობა. დიახ, რაღაც ღია სამხედრო მუზეუმი უნდა მოეწყოს ამ ტერიტორიაზე და ამიტომ დაჩეხეს ხეებიო, — გვითხრეს. კითხვა მაქვს — რაღა მაინცდამაინც ამ ადგილას, როცა ცარიელი ადგილი ძალიან ბევრია იმ ტერიტორიაზე? დანამდვილებით არც ვიცით, რატომ და ვისი დავალებით მოხდა ეს ვანდალიზმი.

**— ახლახან არ მითხარით, თავდაცვის სამინისტროს განკარგულების საფუძველზე მოხდა ხეების გაჩეხვაო? იმის თქმა გინდათ, რომ არ ჰქონდათ ამის უფლება?**

— დიახ, როგორც გვითხრეს, **თავდაცვის სამინისტროს გაუგზავნია წერილი თბილისის მერიისთვის და მას გაუცია ნებართვა, მაგრამ თვითონ თბილისის მერიას ამას არავინ ეკითხებოდა, რადგან ეს ტერიტორია არ ეკუთვნის, ეს ადგილი ეკუთვნის გარდაბანს.** შესაბამისად, **თბილისის მერიამ გასცა უკანონო ნებართვა 200 ძირი წიწვოვანი და 100 ძირი ფოთლოვანი ჯანმრთელი ხის მოჭრის თაობაზე.** ისიც კი უთქვამთ, ეს ხეები დაავადებული იყოო. არადა, არც ერთი სპეციალისტის დასკვნა არ დევს ამის დამამტკიცებელი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთი დასკვნა არ გვინახავს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მსგავსი დასკვნა ბუნებაში არ არსებობს. ჩვენ ვნახეთ მხოლოდ თბილისის მერიის გაცემული ნებართვა, რომელიც, ვიმეორებ, ყალბია, რადგან ეს ტერიტორია მას არ ეკუთვნის. მოსახლეობა აღშფოთებულია, უკლებლივ ყველა აპროტესტებს მომხდარს. ეს ხეები დარგეს ზოოვეტის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა. აქ იყო ხეივანი, რომელშიც ისვენებდა ხალხი. ახალგაზრდები, ბავშვები ხშირად სტუმრობდნენ იქაურობას.

**— და ეს ხდება იმ ფონზე, როცა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ამბობს, მილიონი ხე უნდა დაირგოსო... რაც არის, იმასაც ჩეხენ და ესენი რამის დამრგველები არიან?!**

— დიახ, სისულელეა ეს ყველაფერი, რისი დამრგველები არიან, კარგი, რა! დარგვა კი არა, ხეების გაჩეხვა ბუნების დაცვის დღეს დაიწყეს — 5 ივნისს. დიახ, სწორედ იმ დღეს გააჩანაგეს 150 ხე. როცა შევხვდით თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, დაგვპირდნენ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა, უკანონოდ ხეებს აღარ მოჭრიდნენ და გაარკვევდნენ ყველაფერს, თუმცა გადაგვაგდეს. გუშინ საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ არათუ შეჩერდა ეს უბედურება, არამედ გაგრძელდა. **მოგვატყუეს ამ უნამუსოებმა!** ჩვენ იმ დღესვე გავაპროტესტეთ ეს უკანონობა, დავრეკეთ ცხელ ხაზზე და, სხვათა შორის, ცხელი ხაზის ქვემო ქართლის წარმომადგენლები მაშინვე მოვიდნენ, მაგრამ მათაც განუცხადეს, ხეების მოჭრის ნებართვა თბილისის მერიამ გასცაო და გაისტუმრეს. ვიმეორებ: ეს ტერიტორია არ ეკუთვნის თბილისის მერიას. გადავამოწმე და ვიცი, რომ ეს ტერიტორია გარდაბანს ეკუთვნის, ისიც დაზუსტებით ვიცი, რომ არც თავდაცვის სამინისტროსია...

**— ვინ დაგპირდათ თავდაცვის სამინისტროდან, რომ მსგავსი უკანონობა აღარ განმეორდებოდა, ვის ესაუბრეთ?**

— თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაგვპირდა, რომ ხეების გაჩეხვა შეწყდებოდა. სამწუხაროდ, მისი არც სახელი ვიცი და არც გვარი. სამხედროა და არ ასაჯაროებენ მის ვინაობას, არც ტელეფონის ნომერს გვაძლევენ, რომ დავუკავშირდეთ და პასუხი მოვთხოვოთ. რას გვპირდებოდა, თუ ამ პრობლემის მოგვარება არ შეეძლო, რატომ მოგვატყუა? ასე უნდა მოექცნენ ხალხს? ნორმალურია, რასაც აკეთებენ ეს მატყუარები? ვიმეორებ, **ადგილობრივი მოსახლეობა აღშფოთებულია, მეტიც — გამწარებული! კატეგორიულად ვითხოვთ, რომ იმ ადგილზე კვლავ დარგონ ხეები, თანაც — წიწვოვანი და არა დეკორატიული მცენარეები!**

**— თუ ღია სამხედრო მუზეუმის მოწყობას აპირებენ, თქვენს მოთხოვნას ყურად, ალბათ, არავინ იღებს...**

— არ გვინდა იქ ღია სამხედრო მუზეუმის მოწყობა, ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ! მათ ამის უფლებას არ მივცემთ! თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს ურჩევნიათ, ხეები დარგონ და ამ სისულელეებზე ფიქრს თავი დაანებონ, წინააღმდეგ შემთხვევაში კარგი დღე არ დაადგებათ!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

## «თბილისის მერიამ გასცა უკანონო ნებართვა 200 ძირი წიწვოვანი და 100 ძირი ფოთლოვანი ჯანმრთელი ხის მოჭრის თაობაზე»

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მინისტრებს დანამატის სახით დაუწესდათ 4 335 ლარი სარგოსთან ერთად, რომელიც შეადგენს 3540 ლარს და ხელზე იღებენ 6300 ლარს. რაც შეეხება მინისტრების მოადგილეებს, აქ კვლავ დაურეგულირებელია ყველაფერი. ისეთი შემთხვევებიც არის, როცა მინისტრებზე მეტი შემოსავალი მათ მოადგილეებს აქვთ. მაგალითად, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეები თვეში იღებენ თანამდებობრივი სარგოს დაახლოებით ორმაგ ოდენობას, სამმა მათგანმა 2013 წელს პრემიის სახით მიიღო 190 ათას ლარამდე. ასევე ძალიან მაღალი პრემიები გაიცა იუსტიციის სამინისტროში. კერძოდ, მინისტრის ხუთმა მოადგილემ მიიღო 230 ათასი ლარი.“**

# ბიუჯეტის ვირთხები ეკონომიკის ნგრევას განაგრძობენ!

**ქვეყნის სათავეში პოლიტიკური გაიძვერობით, თაღლითობითა და ხალხის მოტყუებით მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ ის არ იკმარა, რომ, ფაქტობრივად, არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არ შეასრულა, ბოლო ხანს საბიუჯეტო თანხების უპრეცედენტო ფლანგვაც დაიწყო. სამინისტროები, დეპარტამენტები თუ ქვეუწყებები ხაზინის მახრებად იქცნენ. ჯამში, ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე გაცემული პრემიები უკვე რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს შეადგენს. ასე, მაგალითად, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მონაცემს თუ დავეყრდნობით, შემოსავლების სამსახურში მარტო 2013 წელს თორმეტმა პირმა პრემიის სახით 514890 ლარი მიიღო. 6 626 858 ლარი დაიხარჯა ამავე სამსახურში ავტოპარკის განახლებაზე და მათ შორის ყველაზე დიდი თანხა იქნა გადახდილი (2 437 470 ლარი) სპეცავტომანქანა რენტგენო სკანერი RAPISCAN Eagle M60 №UMB 784-ის შესაძენად.**



კოლოსალური თანხები გაიცა 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნებზეც. ამავე უწყების სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, პრემიებზე — 34310, ხოლო სახელფასო დანამატებზე 114 004 ლარი დაიხარჯა. ანალოგიური სურათია სხვა სახელმწიფო სტრუქტურებშიც — თავდაცვის, სასჯელაღსრულებისა თუ ეკონომიკის სამინისტროებში საქმე ასტრონომიულ რიცხვებთან გვაქვს. რაც შეეხება თვითონ ირაკლი ღარიბაშვილის „გასამრჯელოს“, ჯერჯერობით უცნობია, რამდენს იღებს პრემიერი ქვეყნის სამსახურში, თუმცა ის ფაქტი, რომ იგი თავის შემოსავლებს მკაცრად ასაიდუმლოებს, ეჭვებს თავისთავად აჩენს.

ასე თუ ისე, ხელისუფლება თავისას განაგრძობს და აქამდე რა ძირგამომთხრელი საქმეებიც აკეთა, ყველაფერი, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩა. როგორც ჩანს, ეს დაუსჯელობის სინდრომიც თავისას შვრება, ამიტომ მომავალშიც არ უნდა ველოდოთ, რომ ღაბაზგასქელებული მინისტრები „ჭამას“ მოუკლებენ...

„საქართველო და მსოფლიო“ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI)ანალიტიკოს **გოგა თუშურაშვილს** შეხვდა და ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე გაცემული პრემიების შესახებ ესაუბრა.

**— ბატონო გოგა, თქვენი ორგანიზაცია პერიოდულად აქვეყნებს ციფრებს, რომელმა მინისტრმა თუ მინისტრის მოადგილემ რა ოდენობის პრემია და სახელფასო დანამატი მიიღო. პირველ რიგში, რამ გამოიწვია თქვენი ინტერესი ამ საკითხისადმი და კონკრეტულად რა მონაცემებს ფლობთ?**

— IDFI-ის ერთ-ერთი მიმართულება არის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაბამისი დაწესებულებებიდან. ჩვენ ამ საქმიანობას ვაწარმოებთ 2009 წლიდან და ვცდილობთ, საზოგადოებას მივაწოდოთ ზუსტი მონაცემები. მინდა გითხრათ, რომ 2012 წლამდე უფრო რთული იყო სახელმწიფო სტრუქტურებიდან ინფორმაციის მიღება, პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ კი ეს პროცესი შედარებით გაიოლდა, მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მთელი რიგი დაწესებულებების შემთხვევაში, ეს განპირობებული იყო იმით, რომ ისინი გვაძლევდნენ წინა ხელისუფლების პერიოდში გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაციას, თავიანთ პრემიებზე ინფორმაციის მოწოდებისგან კი თავს იკავებდნენ და, ბუნებრივია, წინააღმდეგობას წავაწყდით. მაგალითად, **ფინანსთა, ეკონომიკის, შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროები იმ უწყებების მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ საწყის ეტაპზე დეტალურად მოგვაწოდეს ციფრები, ხოლო ამჯერად უკვე მოგვცეს მხოლოდ ჯამური ოდენობები, ანუ რას ვგულისხმობ: ისინი გვაწვდიან ყველა თანამდებობის პირზე ერთად რამდენი გაიცა და ამდენად, ვერ ვიგებთ, კონკრეტულმა პირმა რამდენი მიიღო.**

**— გამოდის, რომ სამთავრობო უწყებები ამ მხრივ თავიანთ ნებაზე არიან მიშვებულნი?**

— 2013 წლის მარტში იმჟამინდელმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც დარეგულირდა მინისტრების ხელფასები. **მინისტრებს დანამატის სახით დაუწესდათ 4 335 ლარი სარგოსთან ერთად, რომელიც შეადგენს 3540 ლარს და ხელზე იღებენ 6300 ლარს. რაც შეეხება მინისტრების მოადგილეებს, აქ კვლავ დაურეგულირებელია ყველაფერი. ისეთი შემთხვევებიც არის, როცა მინისტრებზე მეტი შემოსავალი მათ მოადგილეებს აქვთ. მაგალითად, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეები თვეში იღებენ თანამდებობრივი სარგოს დაახლოებით ორმაგ ოდენობას, სამმა მათგანმა 2013 წელს პრემიის სახით მიიღო 190 ათას ლარამდე. ასევე ძალიან მაღალი პრემიები გაიცა იუსტიციის სამინისტროში. კერძოდ, მინისტრის ხუთმა მოადგილემ მიიღო 230 ათასი ლარი.**

**— სამინისტროების გარდა, სხვა დაწესებულებებში რა მდგომარეობაა?**

— სხვაგან კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის კუთხით. ვგულისხმობ დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებს. მაგალითად, **ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის თითოეულ წევრს შემოსავლის სახით 2013 წელს მიღებული აქვს დაახლოებით 300 ათასი ლარი, რაც, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველგვარ ზღვარს სცდება.** თანაც ეს ციფრები ყოველწლიურად იზრდება და სულ უფრო მეტი სახსრები გაიცემა ბიუჯეტიდან. კიდევ ვიმეორებ: ამის კონტროლი არ ხდება და ჩვენ **დღეს, ფაქტობრივად, არ ვიცით, რა ნიშნით, რა პრინციპით ხარჯავს სახელმწიფო ამხელა თანხებს.**

**— თქვით, რომ გაურკვეველია, როგორ და რა პრინციპით გაიცემა პრემიები. ამის შესახებ თუ მიმართეთ შესაბამის უწყებებს?**

— ჩვენ გვაქვს კონკრეტული ციფრები და ამაზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამხელა თანხების გაცემა არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. რაც შეეხება, მივმართეთ თუ არა რომელიმე უწყებას, ახლა, როდესაც პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ უნდა შემუშავდეს სისტემა და ამ სისტემით უნდა გაიცეს პრემიები, ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთი რეკომენდაცია არის სწორედ ის, რომ გაიწეროს დეტალურად, რის საფუძველზე გაიცემა საპრემიო თანხა. დღეს რაც ხდება, კიდევ ვიმეორებ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ამის ასე დატოვება ქვეყნისთვის საზიანოა... **შეუძლებელია, ადამიანმა ისეთი სასწაული მოახდინოს, რომ ყოველთვიურად უზარმაზარი პრემიები მიიღოს.**

**— ჯამში რა თანხაა სახელმწიფო სტრუქტურებში გაცემული, ვგულისხმობ პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ პერიოდს?**

— **ჩვენი მონაცემით, 14 სამინისტროს მხოლოდ თანამდებობის პირებზე პრემიად გაცემულია 9 მილიონი ლარი. ჯამში კი, ალბათ, რამდენიმე ათეულ მილიონ ლარზეა საუბარი.**

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, ეს საკითხი გახდეს გამოძიების საგანი?**

— კანონმდებლობა არ არეგულირებდა და დღემდე არ არეგულირებს ამ საკითხს, ანუ **არ არის დაწესებული ზედა ზღვარი, არ არის განსაზღვრული, ვის რა რაოდენობით პრემიის მიღების უფლება აქვს და ესაა მთლიანად დამოკიდებული ამა თუ იმ კონკრეტული სტრუქტურის ხელმძღვანელის კეთილ ნებაზე.**

**— გამოდის, რომ უწყების ხელმძღვანელს შეუძლია, დღეს, ვთქვათ, ერთი მილიონი გამოუწეროს საკუთარ თავს?**

— საპრემიო ფონდში მაგდენი თანხა ფიზიკურად არ ექნებათ, მაგრამ თეორიულად ეს შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში დადგება მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო სამართლებრივად, როგორც გითხარით, ეს არ არის რეგულირებული და, შესაბამისად, რაიმე სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ცხადია, ვერ იქნება საუბარი.

**— ხშირად კრიტიკული განცხადებები ისმის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართითაც. რა მდგომარეობაა პრემიების კუთხით ცესკო-ში?**

— აქაც ანალოგიური სურათია. მაგალითად, **კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ თამარ ჟვანიას სახელფასო დანამატის სახით ყოველთვიურად მიღებული აქვს 10 ათასი ლარი. ზოგჯერ 15 ათასსაც იღებს და არის თვე, როცა მისი შემოსავალი შეადგენს 25 ათას ლარსაც.** ასევე ძალიან მაღალი პრემიები გაიცა მის მოადგილესა და თანამშრომლებზე.

**— თვითონ სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელები ხშირად ამბობენ, რომ დაბალი ანაზღაურების პირობებში კვალიფიციური კადრების მოზიდვას ვერ შეძლებენ. ამაზე რა აზრის ხართ?**

— ასეთი არგუმენტები მეც მომისმენია და მინდა გითხრათ, რომ ეს სრული აბსურდია. ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით და მოვიძიეთ ინფორმაცია — რა შემოსავალი ჰქონდათ კონკრეტულ პირებს, ვიდრე ისინი თანამდებობებზე დაინიშნებოდნენ. **კვლევამ აჩვენა, რომ, ფაქტობრივად, არც ერთი მინისტრის მოადგილეს, დღეს რომ პრემიებს ათასობით და ათიათასობით ლარს იღებს, ძველ სამსახურში ასეთი მაღალი ანაზღაურება არ ჰქონდა.** მაგალითად, სპორტის მინისტრის მოადგილის ამჟამინდელი შემოსავალი 58 960 ლარია, მანამდე კი მას, სულ რაღაც, 1200 ევრო ჰქონდა. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ არ არის აუცილებელი, კოლოსალური ანაზღაურება ჰქონდეს სახელმწიფო მოხელეს. აქ დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული, ვის რამდენი ეკუთვნის, რა დამსახურების გამო და, როცა კანონმდებლობა ამას დაარეგულირებს, არც ერთ მინისტრს თუ რომელიმე სხვა სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელს აღარ ექნება საშუალება, თავისი ნებით გადაწყვიტოს, 10 ათასს გამოუწერს თანამშრომელს თუ, მაგალითად, ერთ მილიონს.

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. ამას წინათ ირაკლი ღარიბაშვილმა კი განაცხადა, პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის სისტემა უნდა შემუშავდესო, მაგრამ ერთი რამ მაინც საკითხავია — ათასებსა და ასი ათასებს ნაჩვევი მაღალჩინოსნები კანონის შიშით მოიშლიან ბიუჯეტის ფლანგვას? ეჰ, ძნელია ჭამაში მოსული მადის გაქრობა და ქამრის შემოჭერა. არადა, ეს „ოცნებაც“ უკვე აღარ მუშაობს“; ხალხი ნელ-ნელა გამოდის ეიფორიის ბურუსიდან, კოალიცია სადაცაა საბოლოოდ გადაინაცვლებს პოლიტიკური ქოსატყუილების რიგებში.**

მოკლედ

## სამართალდამცავებმა მარიხუანის უკანონო მოხმარებისთვის 16 პირი დააკავეს

**სამართალდამცავებმა მარიხუანის უკანონო შენახვა-მოხმარებისთვის 16 პირი დააკავეს, რომელთაგან 15 გაუშვეს, ერთი კი პატიმრობაში დატოვეს. 16 ახალგაზრდა საირმის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი სახლიდან აიყვანეს, სადაც წვეულებას მართავდნენ.**

დაკავებულებს შორის არიან 2 ივნისს მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით გამართული აქციის მონაწილეები, ასევე „ფორმულა კრეატივის“ წევრები. დაკავებულთაგან ერთი პატიმრობაში დატოვეს, რამდენიმე ნარკოლოგიური შემოწმების შემდეგ რამდენიმე საათში გაუშვეს, ხოლო ვისაც მოხმარება დაუდგინდა, ხელწერილით გაათავისუფლეს, იმ პირობით, რომ სასამართლოზე გამოცხადდებიან.



„როდესაც ამ თემაზე ვესაუბრე ჩვენს ზემდგომს უშიშროებაში, სუს-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ მალხაზ ჩიკვილაძეს, აღმოჩნდა, რომ ზუსტად ეს მალხაზ ჩიკვილაძეა ის ადამიანი, რომელიც „ნაციონალებმა“ ჩანერგეს ოცნებაში“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლალი მოროშკინა:

# ძალიან მეცოდება ირაკლი ღარიბაშვილი

**წინასაარჩევნოდ კვლავ აქტუალურია სასჯელაღსრულების სისტემის თემები: 2.5 მლნ ლარამდე გაცემული პრემიები; „გისოსებს მიღმა საქართველოას“ ავტორ ლალი მოროშკინას სამსახურიდან გათავისუფლება; დიმიტრი დარბაისელის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტის დატოვება...**
**რატომ გაეხვია სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ამ სკანდალში, ვინ დგას რეალურად ამ ყველაფრის უკან? გავრცელებული ინფორმაციით, პრემიების გამოწერა მხოლოდ დიმიტრი დარბაისელის ნება-სურვილით არ მომხდარა. ვინ იყო მასთან ერთად ჩართული პრემიების გაცემის საქმეში? დარბაისელი ხელს ე. წ. კახური კლანისკენ იშვერს და აშანტაჟებს — დამნიშნეთ სუსი-ის უფროსად, თორემ თქვენს ვინაობას დავასახელებო. კულუარული ინფორმაციით, კახური კლანი ჩიხშია, ამიტომაც აღნიშნულ პოსტზე დარბაისელის კანდიდატურა უკვე განიხილება, მეტიც, დაინიშნება კიდეც, თუ კახა კალაძემ, რომელიც ამ დანიშვნის კატეგორიული წინააღმდეგია, ვერაფერი გააწყო. იმედია, პრემიერმინისტრი არ დაუშვებს, როგორც ამბობენ, „ნაციონალი“, ნარკომანი, მოსმენების „მასტერის“, ზონდერების მფარველი და ბიუჯეტის გამფლანგველი დარბაისელის ამ პოსტზე დანიშვნას. კონკრეტულად ვის გულისხმობენ კახურ კლანში? — ამბობენ, რომ ესენი არიან პრემიერის ნათესავი ზვიად ჯანყარაშვილი და შს მინისტრ ჭიკაიძის მოადგილე გიორგი ზედელაშვილი. გვესაუბრება ამ საკითხზე განგაშის ამტეხი ლალი მოროშკინა, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლეს.**



— ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც ჩატარდეს საჩვენებელი პროცესი და დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებიც „ოცნების“ დისკრედიტაციას ეწევიან?! სამი მილიონის მოპარვა ოცნების დისკრედიტაციაა. ზონდერების მაღალ თანამდებობებზე მუშაობაც „ოცნების“ დისკრედიტაციაა. სხვათა შორის, მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი, ვინც ამბობდა, რომ მზადდებოდა დარტყმა ღარიბაშვილზე, ვამბობდი, საბოტაჟს უწყობენ პრემიერს-მეთქი, ახლა მაინც ხომ გამოჩნდა, რომ ასეა?! **ძალიან მეცოდება ღარიბაშვილი, რადგან ფსიქოლოგიურად ძნელი ასატანია, როდესაც შენიანები გღალატობენ.** ვადებ თუ არა ჯანყარაშვილსა და ზედელაშვილს ხელს? მოდი, ასე ვიტყვი: აგერ — სასამართლო, აგერ — მინისტრი სოზარ სუბარი და გაარკვიონ სიმართლე. **დარბაისელი რომ აშანტაჟებს ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენლებს, ზუსტად ვიცი, მაგრამ ვინ იგულისხმება ამ მაღალ ეშელონში, გამოძიებამ დაადგინოს. დაიკითხოს სუბარი,** რომელიც ამბობს, რომ დარბაისელი მისი კადრი არ არის. ის ეწინააღმდეგებოდა ამ კადრების დანიშვნას და იოლად გაირკვევა, ვინ მფარველობდა დარბაისელს და რა მოხდა სინამდვილეში. მესმის პრემიერის, რომელიც ჩიხურ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან მისი კლანის წევრებზეა საუბარი, ამიტომ უნდა დაადგინოს სიმართლე და დასაჯოს დამნაშავეები, ხვალ ანალოგიურ მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდეს. **ეს არის ამ მთავრობის ერთ-ერთი მძიმე და ჭუჭყიანი საქმე. მჯერა, რომ ღარიბაშვილმა არაფერი იცოდა, მაგრამ მისმა უახლოესმა გარემოცვამ, რა თქმა უნდა, იცოდა ყველაფერი.**

**— ვის გულისხმობთ? ამბობენ, რომ შს მინისტრის მოადგილე ზედელაშვილის მითითებით გაიცა პრემიები და ეს თუ მართლა ასეა, რომელ გამოძიებაზეა საუბარი?! სიმართლის გარკვევის იმედი გაქვთ?**

— იმისთვის, რომ შევიტყოთ, რეალურად ვინ დაუკვეთა ეს ოპერაცია, პროკურატურამ უნდა დაჰკითხოს სოზარ სუბარი და მისი უწყების თანამშრომლები. პროკურატურას ამ საქმის გამოსაძიებლად ორი დღე დასჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე დაინტერესებულია ამ საქმის ბოლომდე მიყვანით.

**— ამბობთ, რომ სოზარ სუბარიც არ იყო საქმის კურსში. ოპერაციის დამკვეთის ვინაობა თუ იცის?**

— რა თქმა უნდა, არ იყო საქმის კურსში, ამიტომაც არის გამწარებული და განაცხადა, დარბაისელი ჩემი დანიშნულიარ არისო. ეს კაცი ზევიდან იყო დანიშნული — ხელისუფლების გაცილებით მაღალი საფეხურიდან. სოზარი უძლური იყო, მას ვერაფერს უხერხებდა... **როდესაც ამ თემაზე ვესაუბრე ჩვენს ზემდგომს უშიშროებაში, სუს-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ მალხაზ ჩიკვილაძეს, აღმოჩნდა, რომ ზუსტად ეს მალხაზ ჩიკვილაძეა ის ადამიანი, რომელიც „ნაციონალებმა“ ჩანერგეს „ოცნებაში“.** ჩვენი საუბრიდან რამდენიმე დღეში „ნაცებმა“ ყველაფერი იცოდნენ და როგორ სათავისოდ გამოიყენეს ეს ინფორმაცია, გახსოვთ. იმ მომენტში უკვე გასაგები იყო ჩემთვის, რაც მოხდა და ვინ ვინ იყო. **ახლახან მქონდა საუბარი „ოცნების“ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებთან, რომლებიც ამბობენ, არ ვიცოდით, დარბაისელი გათქვეფილი თუ იყო „ნაცებთანო“, თუმცა ეს მათ არ ამართლებთ.**

«ეს არის ამ მთავრობის ერთ-ერთი მძიმე და ბინძური საქმე. მჯერა, რომ ღარიბაშვილმა არაფერი იცოდა, მაგრამ მისმა უახლოესმა გარემოცვამ, რა თქმა უნდა, იცოდა ყველაფერი»

**— „ოცნებაში“ არავინ არაფერი იცის?! თქვენ გჯერათ ამის? იქნებ გვითხრათ, ვის ესაუბრეთ?**

— ამ ეტაპზე ვერ გავამხელ ამ ადამიანების ვინაობას, ერთს ვიტყვი — ზუსტად ამის შემდეგ დატოვა საქართველო დარბაისელმა. როგორც ჩანს, წინასაარჩევნოდ ხელს არ აძლევდათ ხმაურის ატეხვა და გაუშვეს.

**— უნდა გადამდგარიყო თუ არა თანამდებობიდან საქმეში ჩაუხედავი მინისტრი სოზარ სუბარი, რომელიც თანამშრომლებსაც კი ვერ ეწინააღმდეგება და დუმს? რატომ არ ამოგიდგათ მხარში და რატომ არ გააპროტესტა თქვენი გათავისუფლება?**

— ჩემი აზრით, არჩევნების წინ მინისტრს ჰქონდა თმენის ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის მრჩევლად ვითვლებოდი, დეპარტამენტის თანამშრომელი ვიყავი, შესაბამისად, არ ჩაერია, თუმცა ჩემი აღდგენა სუბარის უფლებამოსილებაში შედის. მე მხოლოდ სამსახურში აღდგენა არ მსურს, ჩემი მიზანი დამნაშავეების დასჯაა. **პასუხი უნდა აგოს ჩიკვილაძემაც, ის გაშიფრულია, სწორედ მისგან გაჟონა ინფორმაციამ „ნაცებთან“.**

**— გაუგებარია, რატომ ინარჩუნებს სუს-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობას „ნაცების“ მიერ ჩანერგილი კაცი...**

— რა გითხრათ, აბა? მე, ლალი მოროშკინა, რომელმაც შევაჩერე ციხის ბუნტი, გამათავისუფლეს სასჯელაღსრულების სისტემიდან, თანაც ვისი პატაკით გამათავისუფლეს? — ჯაბა მაღლაფერიძის, რომელმაც 2009 წლის 6 მაისს ქალაქის სამმართველოს წინ გამართულ აქციაზე დამარტყა! **სამსახურებში „ნაცების“ მიერ ჩანერგილი ზონდერების დატოვებას გამართლება არ აქვს. რით უნდა გამართლდეს ზონდერი ჯაბა მაღლაფერიძის იქ მუშაობა, რომელიც დარბევების უშუალო მონაწილეა?!** თუმცა ეს ყველაფერი სასამართლოთი გამოსწორდება. მზადდება სარჩელი, გარდა ამისა, სტრასბურგში უნდა შევხვდე წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრებს, ვისაუბრებ იმ დარღვევებზე, რომლებიც იყო ციხეებში, რომლებზეც ვახდენდი რეაგირებას, მაგრამ გამომიშვეს სამსახურიდან. ვფიქრობ, ცუდ მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. სხვათა შორის, **სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს გამოწერილი პრემიები არ აუღიათ, მათ, უბრალოდ, ხელი მოაწერეს იმ დოკუმენტს, რომელიც ყალბი აღმოჩნდა. 3 მილიონი დარბაისელმა გაიტანა.** როგორც ვიცი, **გახარია და მაჩაიძე არ დარჩებიან თანამდებობებზე.** გახარია ერთადერთია, ვისზეც არ მაქვს ინფორმაცია, ჰქონდა თუ არა კავშირი ზონდერებთან. აი, **მაჩაიძე კი ზონდერია — 26 მაისის აქციის დამრბევი და ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის თანამონაწილე.** ერთი მხრივ, გული მტკივა, რომ მიწევს სტრასბურში ჩასვლა და იმის მოყოლა, რაც ხდება საქართველოში, ეს კიდევ უფრო დაგვაშორებს მაპს, აგრეთვე, სხვა რაღაცებს და, სამწუხაროდ, მე ვიქნები ამის ერთ-ერთი ავტორი, მაგრამ ისე დიდია საქართველოში ნაცდამნაშავე კლანის მთავრობასთან კოაბიტაციის დონე, რომ მივეცი თავს უფლება, გამეტანა ეს ინფორმაცია საქართველოდან. ვიმეორებ, **მორალურად ჩემთვის მძიმეა, რომ მიწევს საქართველოდან ამ ამბის გატანა, მაგრამ ჩემი ოჯახის დაცვის სხვა ბერკეტი არ მაქვს.** თქვენ იცით, რომ ერთ-ერთმა ძალოვანმა განმიცხადა, თუ არ გაჩერდები, შენს ქმარს იარაღს ჩავუდებთო... სხვათა შორის, სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ გაირკვევა, დავტოვებ თუ არა საქართველოს მოქალაქეობას.

**— ეს მაპს კიდევ უფრო დაგვაშორებსო... ახლოს ვართ, რომ დაგვაშოროს?**

— პირდაპირ ვიტყვი: ვხედავ, რომ ეს არის დროის გაჭიანურება და საზოგადოების ყოფნა მოლოდინის რეჟიმში, რომელსაც დასასრული არ უჩანს.

**— სტრასბურიდან რომ დაბრუნდებით, იმედია, სუსის უფროსად დარბაისელი არ დაგხვდებათ...**

— მაგ ნარკომანს სასჯელაღსრულებაშიც არ უნდა ემუშავა. **მოინდომა ახლა სუს-ის უფროსობა! მაგან „გააშავა“ ციხე, მაგის პერიოდში მოიმატა აზარტულმა თამაშებმა ციხეში. აქვე განვმარტავ — აზარტული თამაშები მაღალ ზღურბლზე ადის მხოლოდ მაშინ, როცა ადმინისტრაცია საქმის კურსშია.** ცნობილია დარბაისელის კონტაქტები „კანონიერ“ ქურდებთან, პარიზშიც კი იყო წასული, კრიმინალურ ავტორიტეტებთან შესახვედრად. ადმინისტრაცია და ქურდები იყოფდნენ თამაშებიდან შემოსულ ფულს. გარდა ამისა, **ციხეში დიდი რაოდენობით შეიტანეს ფსიქოტროპული საშუალებები პატიმრების გასაბრუებლად. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ პრობლემა არ შექმნოდათ პატიმრების მხრიდან.** რაც შეეხება სუს-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ მალხაზ ჩიკვილაძეს, ეს კაცი თავის ხელქვეითებს არეკვინებდა ყველა იმ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მე ვასწავლი, — გაათავისუფლეთო. გარდა ამისა, უშუალოდ ეს ადამიანი იყო დაკავებული ჟურნალისტების გადაბირებით. მან არ იცის, მაგრამ **მისი საუბარი ჩაწერილი აქვს ერთ ჟურნალისტს და, თუ საჭირო იქნება და გამოძიება დაინტერესდება, ამასაც წინ დავუდებ.** ამ ჟურნალისტს შესთავაზეს დიდძალი თანხა, თუ ჩემ წინააღმდეგ დაიწყებდა აქტიურ პროპაგანდას, ააგორებდა ჭორებს. როდესაც ამ დეტალებს ვამბობ თქვენთან და დაიბეჭდება, მიხვდება, ვისზეც არის საუბარი, ამიტომ **ახლავე ვაფრთხილებ: ამ ქალბატონს თმის ღერი არ ჩამოუვარდეს თავიდან, თორემ ძალიან მძიმედ დაამთავრებს ცხოვრებას**! მხოლოდ ორი დაბალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორის მოსყიდვა შეძლეს, დანარჩენები მოვიდნენ და პირდაპირ მითხრეს, რაც ხდებოდა. ვერ გაითვალისწინა ამ არაკაცმა, რომ ჟურნალისტებთან თამაში არ შეიძლება!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

# უდანაშაულო მამაკაცმა ციხეში 17 წელი გაატარა

**ნიუ იორკის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ციხიდან გაეთავისუფლებინა მამაკაცი, რომელმაც მკვლელობის ბრალდებით ციხეში 17 წელი გაატარა.**

53 წლის როჯერ ლოგანი, მისი საქმის გადასინჯვის შემდეგ საპყრობილიდან გაათავისუფლეს. მამაკაცმა ციხეში 17 წელიწადი გაატარა.

ლოგანი 1997 წლის 24 ივნისს დააპატიმრეს შერკინ გიბსონის მკვლელობის ბრალდებით. სასჯელი, რომელიც 25-წლიან პატიმრობას ითვალისწინებდა, დიდწილად მისი მეზობლის ჩვენებას ეფუძნებოდა.

**მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გაირკვა: ქალი, რომელიც მოსამართლეებს არწმუნებდა, რომ დანაშაულის ადგილას ლოგანი ნახა, სინამდვილეში ინციდენტის ადგილას არ ყოფილა.**



სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„კიდევ ბევრი ისეთი საქმე გაიხსნება, რომლებიც შეძრავს მთელ საქართველოს და ჩვენ, ყველანი ერთად დავდგებით იმისთვის, რათა ეს ჯალათები მოხვდნენ ციხეში, აღარ იბოგინონ და წინასაარჩევნო პიარი არ გაიკეთონ მსგავსი ტრაგედიების ხარჯზე“

# ვინ დაუკვეთა რომან შამათავას თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცრის — პაატა ქარდავას მკვლელობა?

**2008 წლის აგვისტოში გაუჩინარებული თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცრის — პაატა ქარდავას საქმე გახსნილია. შსს-ს ინფორმაციით, პაატა ქარდავა კუდის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა და ხურჩის ტერაქტში ბრალდებულმა რომან შამათავამ ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლით მოკლა და ცხედარი ზღვაში გადააგდო. რომან შამათავა პაატა ქარდავას აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა. რატომ გაწირეს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცერი, ვინ იყო ამ შემზარავი მკვლელობის დამკვეთი და რომან შამათავასთან ერთად ვის დასჯას ითხოვს პაატა ქარდავას ოჯახი, — „საქართველო და მსოფლიოს“ პაატა ქარდავას შვილი ქრისტინე ქარდავა ესაუბრა.**



## ქრისტინე ქარდავა:

**დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გუნავას, ნარსიასა და გოროზიას დაგეგმილი იყო. მათი ნებართვის გარეშე ზუგდიდიდან, შეიძლება ითქვას, ჩიტიც ვერ გაფრინდებოდა**

— 2008 წლის 27 აგვისტოს მე და მამა ერთად გავედით სახლიდან. მარიამობისთვის ვემზადებოდით, სტუმრებს ველოდით და ბაზარში პროდუქტების საყიდლად წავედით. მამა მშვენიერ გუნებაზე იყო, რამე პრობლემა ან სანერვიულო რომ ჰქონოდა, შევატყობდი. მე ზუგდიდის ბაზრის კართან დამტოვა, თვითონ სამსახურში წავიდა და მითხრა, საქმეს რომ მოითავებ, დამირეკე და გამოვალო. მალევე დავურეკე, არ მიპასუხა, მეორედ რომ დავრეკე, მიპასუხა, — საქმე გამომიჩნდა, მიდი სახლში და მოვალო. **იმ დღის შემდეგ მამაჩემი თვალით არ მინახავს. მთელი 5 წელი წინ და უკან გვარბენინებდნენ, გვიმტკიცებდნენ, პაატა არ იყო ისეთი კაცი, ვინმეს სასიკვდილოდ რომ გაემეტებინაო.** აი, ამაზე მწყდება ყველაზე მეტად გული. **ზუგდიდის ძალოვანი სტრუქტურების ყველა წარმომადგენელი ხელს აფარებდა მკვლელს. ესენი იყვნენ თენგიზ გუნავა, კობა ნარსია, ზაზა გოროზია.** დარწმუნებული ვარ, **2 წლის ბავშვიც არ დაიჯერებს, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს უფროსი არის კაცი, რომლის თანამშრომლებსაც მამაჩემი გაყავთ ზუგდიდიდან, აბარებენ შამათავას და ეს არ იცის თენგიზ გუნავამ, ეს არ იცის კობა ნარსიამ. დავუშვათ, გოროზიამ დეტალები არ იცოდა, რადგან გუბერნატორი იყო და სამმართველოსა და სამხარეოს ამბებში შეიძლება ნაკლებად ჩახედულიც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მანაც ბევრი რამ იცოდა.** ასე ფიქრის საფუძველს მაძლევს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი საქციელი — მაქსიმალურად ხელს მიშლიდა, რომ პრეზიდენტამდე არ მივსულიყავი. ჩემს ძმას, როგორც კი დაინახავდა, თავს არიდებდა. რატომ აკეთებდა ამას, თუ მართალი იყო? როცა ადამიანი სუფთაა, ასე არ იქცევა. აი, ამას ვედავები მას. გუნავა კიდევ 5 წელი მიმტკიცებდა, რომ პაატა არ იყო ისეთი ადამიანი, ვინმეს მოეკლა. და დღეს ეს ადამიანი მეუბნება, „ქართული ოცნების“ მარიონეტი ხარო. უნამუსოდ ამბობს, როგორ გეკადრებათ, პაატა ქარდავა ჩემი მეგობარი იყოო. ნუ იტყუება, **გაჩუმდეს, პაატა ქარდავას ასეთი მოღალატე მეგობრები არ ჰყოლია.**

**— თავიდანვე უნდა დაგდგომოდათ გვერდით და დაედგინა, რა მოხდა რეალურად...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ როგორ გამოიძიებდა, აქ ხომ ერთი წრე იკვრება, ერთმანეთს ხომ არ დაიჭერდნენ, ერთმანეთს ხომ არ დააბეზღებდნენ?! **მათ ხელი დააფარეს მკვლელს.** მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი იცოდნენ, მეუბნებოდნენ, მამაშენი ისეთი კაცია, არ მოკლავდნენო, მასხრად გვიგდებდნენ, წინ და უკან უაზროდ გვარბენინებდნენ. ვის კართან აღარ ვიყავი ატუზული. ამას არასდროს ვაპატიებ მათ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მათი დაგეგმილი იყო. მათი ნებართვის გარეშე ზუგდიდიდან, შეიძლება ითქვას, ჩიტიც ვერ გაფრინდებოდა და ეს კაცი მიმტკიცებს დღეს, რომ საქმე, უბრალოდ, ვერ გამოიძია. და მე მას თურმე იმიტომ ვუპირისპირდები, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დამავალა, გუნავამ წააგოს არჩევნები. ნურას უკაცრავად! გუნავას არჩევა ჩემს ტკივილთან რა მოსატანია! ეს გავჩუმდით და აღარ გავდივართ ქუჩაში, თორემ იგივე ტკივილი მამოძრავებს დღესაც. ჩემი ქუჩაში გამოსვლა ამ არაკაცმა გუნავამ ისევ თავის სასიკეთოდ გამოიყენა — ჩემი სახელის დისკრედიტაციას ცდილობთო,— განაცხადა. **აუცილებლად უნდა დაიკითხონ გუნავა, ნარსია, გოროზია და ყველა, ვინც იმ დროს მის უწყებაში მუშაობდა.** ვიმეორებ: რა თქმა უნდა, გუნავამ ყველაფერი იცოდა და გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ვინ იყო დამკვეთი. შამათავას ვინ ეკითხებოდა პაატა ქარდავას სიცოცხლეს, ის რიგითი თანამშრომელი იყო. ვიღაცას არ აძლევდა ხელს, მამაჩემი ცოცხალი ყოფილიყო, ვიღაცას კუდი ეწვოდა, რადგან მამაჩემმა რაღაც იცოდა მის წინააღმდეგ.

კაცი დღეს რაღაც წინასაარჩევნო პიარს იკეთებს მამაჩემის ტრაგედიით და ამის შემდეგ ადამიანია?

მერწმუნეთ, მათ ამას არავინ შეარჩენს. **კიდევ ბევრი ისეთი საქმე გაიხსნება, რომლებიც შეძრავს მთელ საქართველოს და ჩვენ, ყველანი ერთად დავდგებით იმისთვის, რათა ეს ჯალათები მოხვდნენ ციხეში, აღარ იბოგინონ და წინასაარჩევნო პიარი არ გაიკეთონ მსგავსი ტრაგედიების ხარჯზე.** ამიტომ და უნდა გაირკვეს, ვინ არის ის ვიღაც. ესენი კიდევ რას აბრალებდნენ მამაჩემს, მის სულს როგორ აკადრებდნენ ამას, — აგენტი, მოღალატე იყოო. სხვათა შორის, მოღალატეს აქვს თავისი ადგილი და ეს ციხეა. **ღმერთი არ იყო შამათავა, მამაჩემისთვის სიცოცხლე რომ წაერთმია!**

**— გაქვთ ვინმეზე ეჭვი, ვინ შეიძლება ყოფილიყო ამ მკვლელობის დამკვეთი?**

— ვერავის დავადებ ხელს. ამას გამოძიება დაადგენს. როგორც ჩანს, მამას სერიოზული ინფორმაცია ჰქონდა — ეს იკვეთება. იცით, **2008 წელს მთელი ზუგდიდი რომ დაიცალა, მამა ხედავდა, ვინ სად გარბოდა და ვინ ვის ემხრობოდა.** ომის დროს მამაჩემს ზუგდიდი არ დაუტოვებია და ამის მოწმე ძალიან ბევრი ადამიანია. **ზუგდიდიდან არ გასულა კაცი, როცა მამაზე უფრო მაღალი თანამდებობის ხალხი სად არ იმალებოდა და ფორმას იხდიდა. ამან დაღუპა მამაჩემი. ეტყობა, რაღაც ისეთი ნახა, რისი გამჟღავნებისაც ამათ ეშინოდათ.** მკვლელობის მოტივს, იმედია, გამოძიება დაადგენს. თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ ვთხოვ ხელისუფლებას, რომ ბოლომდე დამიდგეს გვერდით და დასაჯოს ეს ჯალათები.

**— გაქვთ იმედი, რომ ყველა დაისჯება, ვისაც რამე წვლილი მიუძღვით ამ სასტიკ მკვლელობაში? ენდობით გამოძიებას?**

— ყველა გვეუბნება, გვპირდება, რომ დამნაშავეები დაისჯებიან. კიდევ კარგი, ღმერთს მადლობა, რომ ხელისუფლება შეიცვალა, თორემ დღესაც თაროზე იქნებოდა შემოდებული ეს საქმე. **გუნავა, ნარსია და სხვები ამ საქმეს, რა თქმა უნდა, არასდროს გახსნიდნენ, რადგან ამ საქმის გახსნით ბევრი მათგანი დაისჯებოდა.** დიდი იმედი მქონდა, რომ მამაჩემი ცოცხალი იყო. ყოველ ღამე ველოდი, კარზე მის დაკაკუნებას. გამოვრიცხავდი გავრცელებულ ვერსიას, რომ მამა სადღაც თავისი სურვილით წავიდა. **კაცი, რომელიც დღეში ათჯერ გვირეკავდა, კითხულობდა, რას აკეთებდნენ შვილები, მიატოვებდა ოჯახს და გადაიკარგებოდა?** ეს ხომ ისეთივე აბსურდია, როგორიც მისი აგენტობა?! იმასაც გამოვრიცხავდი, რომ დაჭერილი ჰყავდათ აფხაზეთში. ეს ვერსიაც გავრცელდა, თითქოს ვიღაც ტყვეში უნდოდათ გაცვლა. აფხაზეთში ვის არ დავუკავშირდით (ჩვენ დევნილები ვართ, მთელი სანათესავო იქ გვყავს), ყველა გვეუბნებოდა, არ გვყავს აქ ასეთი არავინ, საქართველოში ეძებეთო. ვფიქრობდი, იქნებ სადღაც ჰყავდათ გათიშულ მდგომარეობაში, ხომ ხდება ასეთი რამ? იმედი გვქონდა, რომ ერთ ბედნიერ დღეს, როცა ხელისუფლება შეიცვლებოდა, იპოვიდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი საშინელი ფაქტის წინაშე დავდექით. გვამიც რომ არ გვაქვს — ეს არის ყველაზე საშინელი! წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს, მამის საფლავზეც რომ არ შეგიძლია მიხვიდე. რამხელა ტკივილია! და წიკლაური კიდევ დგას და რაღაცებს გაიძახის, იმის ნაცვლად, რომ ოჯახს ელემენტარული თანაგრძნობა გამოუცხადოს. ეს თავხედი კაცი, არ სჯობდა, საერთოდ გაჩუმებულიყო? **გმირია მამაჩემის მკვლელი შამათავა ხომ, მამაჩემი კიდევ — მოღალატე, მე კი „ქართული ოცნების“ მიერ მართული?.. ვაი, ასეთ ხალხს და ვაი, ასეთ საქართველოს!**

«მამაჩემმა, ეტყობა, რაღაც ისეთი ნახა, რისი გამჟღავნებაც ამათ ხელს არ აძლევდა»

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

## Coodbye, «მანას», Coodbye!..

**3 ივნისს ყირგიზეთში ამერიკული ავიაბაზა „მანასის“ დახურვის ცერემონია გაიმართა. ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკის აეროპორტ „მანასში“ ამერიკული ავიაბაზა 2001 წლის დეკემბერში შეიქმნა ავღანეთში მებრძოლი კოალიციის ძალების დასახმარებლად. ეს ბაზა უზრუნველყოფდა ტვირთების გადატანას და თვითმფრინავების საწვავით მომარაგებას ჰაერში.** 2010 წელს ყირგიზეთის პრეზიდენტმა ალმაზბეკ ატამბაევმა განაცხადა, რომ სამოქალაქო აეროპორტში განლაგებული სამხედრო ბაზა უნდა დაიხუროს. მოგვიანებით ყირგიზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ს გადასცა ნოტა 2014 წლის 11 ივლისიდან გადაზიდვების ცენტრის მუშაობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ამერიკული ბაზის ლიკვიდაციის შემდეგ ყირგიზეთს დარჩება დაახლოებით 30 მლნ დოლარის ქონება — შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და გენერატორები. **ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ-ის ბაზა, რომელსაც ყირგიზებმა Coodbye უთხრეს, შესაძლოა, რუსეთმა, ჩინეთმა ან სულაც თურქეთმა დაიკავოს.**



**„ამ ყველაფრის შემდეგ როგორ ბედავს ჭიკაიძე და გაიძახის, — გამოიკვეთოს დანაშაული და დაისჯებიანო? არჩევნებიდან ზუსტად ორ კვირას ვადროვებთ — ან მოეგებიან გონს, ან საიდანაც მოვაბრძანეთ, ისევ იქ მივაბრძანებთ!“.**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ახალ ბრალდებებს უყენებს იური ვაზაგაშვილი შს მინისტრ ჭიკაიძეს?

**ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი მისი შვილის მკვლელების მფარველობაში შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს ადანაშაულებს. რამდენიმე თვის წინათ შს მინისტრმა „საქართველო და მსოფლიოს“ ექსკლუზიურ ინტერვიუში პირობა მისცა, რომ, თუ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეში გამოიკვეთებოდა ქალაქის პოლიციის უფროს გიორგი დალაქიშვილისა და მისი მოადგილე ოთარ მირზოევის დანაშაული, ისინი აუცილებლად დაისჯებოდნენ. როგორც ჩანს, პირობა პირობად დარჩა ან ეს ნაცებისდროინდელი პოლიციელები, ახლა უკვე ჭიკაიძის კადრები, ცამდე მართლები არიან და რა დანაშაულის გამოკვეთასა და დასჯაზეა საუბარი; ანდა დალაქიშვილის მხრიდან ჭიკაიძის შანტაჟს ხომ არ აქვს ადგილი? თუმცა ვინ იცის, რა არის მინისტრის გულგრილობის მიზეზი, ადრეც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ: ეს მუნდირის ღირსების დაცვა ხომ არ არის ან ის, რომ ძაღლი ძაღლის ტყავს არასოდეს დახევს?!**
**რა ეტაპზეა ზურა ვაზაგაშვილის საქმის გამოძიება და მონაწილეობდა თუ არა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე სიმონ მაჩაიძე ვაზაგაშვილის მკვლელობაში? — ამ თემაზე ᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ გვესაუბრება:**





**«არჩევნებიდან ზუსტად ორ კვირას ვადროვებთ — ან მოეგებიან გონს, ან საიდანაც მოვაბრძანეთ, ისევ იქ მივაბრძანებთ»**

— ადრეც მოგახსენეთ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ასევე შევახსენებ ბატონ ჭიკაიძეს, რომ მე მას წარვუდგინე მტკიცებულებები, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ **ქალაქის პოლიციის უფროსი გიორგი დალაქიშვილი სპეცოპერაციისას ჩემი შვილის მანქანიდან არა 150, არამედ 2 მეტრის დაშორებით იდგა.** ისიც მშვენივრად იცის ჭიკაიძემ, რომ არსებობს მტკიცებულებები, რომ დალაქიშვილმა, რაზმაძემ, ბეროძემ და ცააძემ აუტეხეს ჩემი შვილის მანქანას სროლა, სწორედ მათ გახსნეს ცეცხლი. ამის თვითმხილველები არსებობენ, ჩვენებებშიც უწერიათ ეს. **ამ ყველაფრის შემდეგ რომ იტყვის ჭიკაიძე, თუ გამოიკვეთება მათი დანაშაული, დაისჯებიან და არ ვმფარველობ მკვლელებსო, 8 წლის ბავშვიც კი მიხვდება, რომ მინისტრი იტყუება და მფარველობს დამნაშავეებს, უშუალოდ კი — გიორგი დალაქიშვილს.** ნებისმიერ ქვეყანაში, თუ მაღალი თანამდებობის პირები სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებენ, გამოძიების დასრულებამდე დროებით თავისუფლდებიან თანამდებობიდან; დანაშაულის გამოკვეთის შემთხვევაში კი — პასუხის აგებენ. ჩვენთან რა ხდება? სისხლის სამართლის საქმე აღძრულია, გამოძიება არ დასრულებულა და ერთ-ერთი ეჭვმიტანილი ქალაქის პოლიციის უფროსია. **როცა ქალაქის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გყავს დამნაშავე, უშუალოდ მკვლელი, ეს არის მესიჯის გაგზავნა თვითმხილველებისთვის, ყოფილი და მოქმედი პოლიციელებისთვის: „არ გაბედოთ დალაქიშვილის დადანაშაულება!“** რაც შეეხება ოთარ მირზოევს, ის დალაქიშვილის მოადგილე აღარ არის, სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს, ხოლო **მის ადგილზე ჩემი შვილის მკვლელობის კიდევ ერთი თანამონაწილე — ნიკა სამარღანაშვილი დანიშნეს.** სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **შსს სავსეა მერაბიშვილის კადრებით — ზონდერებითა და მკვლელებით!** ამ ყველაფრის შემდეგ რაღაზე უნდა ველაპარაკო ამ კაცს?

საკითხავია, თვითონ ჭიკაიძე რას საქმიანობდა იმ წლებში. 26 მაისის დარბევაში არ ვმონაწილეობდიო,— განაცხადა, თუმცა ჩვენ სხვა ინფორმაცია გვაქვს. დიახ, უამრავი ინფორმაცია მაქვს და უახლოეს მომავალში ისეთ ადამიანს მოვიყვან და გავაკეთებინებ განცხადებას, რომელსაც 2012 წლის არჩევნების დროს პირადად ჭიკაიძემ სცემა, ხელი მოტეხა.

— **სად და რატომ სცემა, ვინ არის ეს ადამიანი?**

— მას მალე გაიცნობს საზოგადოება. **ვურჩევ ჭიკაიძესა და ჩვენს მოყვანილ ხელისუფლებას, გონს მოეგონ, თორემ ხალხი განაწყენებულია და მერე გვიან იქნება. ხომ ხედავთ, ამ გაუბედურებულმა და ღირსებაშელახულმა ხალხმა თვითონ დაიწყო სამართლიანობის აღდგენა, მალე ლინჩის წესზე გადავა და ეს უშუალოდ ამ ხელისუფლების ბრალი იქნება**. ტექნიკურად გვიბიძგებენ ამისკენ.

ჩვენ ხომ არ გავყვირით, რატომ არ გუგუნებს ქარხნები, რატომ არ ყვავის სოფლის მეურნეობა და ეკონომიკაო, გვესმის, ამას დრო სჭირდება, მაგრამ ამდენი ხანი, წელიწადი და 8 თვე, არ სჭირდებოდა სამართლიანობის აღდგენას. **ეს მკვლელები, ზონდერები და დამნაშავე პროკურორები რომ უნდა გაათავისუფლო სამსახურებიდან, ამას წელიწადი და 8 თვე რად უნდა, ხალხო? სირცხვილია, რას უკეთებთ ამ გატყავებულ ქვეყანას?**

ჩვენ ახლა ჩავატარებინებთ არჩევნებს, რომ მტრის წისქვილზე წყლის დასხმა არ გამოგვივიდეს, „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებს ვგულისხმობ (ნარჩენებს კი ვეძახით, მაგრამ, მგონი, ეგენი მართავენ დღეს ქვეყანას) და არჩევნებიდან ზუსტად ორ კვირას ვადროვებთ — ან მოეგებიან გონს, ან საიდანაც მოვაბრძანეთ ისევ იქ მივაბრძანებთ, სხვა გამოსავალი არ არის.

**— და მაინც, რატომ მფარველობს შს მინისტრი დალაქიშვილს? ითქვა, ამ ადამიანმა ითანამშრომლა გამოძიებასთან, ნაცრეჟიმის საწინააღმდეგო ბევრი ინფორმაცია გასცაო, თქვენ თუ გსმენიათ რამე ამის თაობაზე?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ, რადგან კიდევ მჭირდება რაღაც მტკიცებულებები. ბევრი რამ დავადგინეთ და მალე გაგაცნობთ დამატებით მტკიცებულებებსაც.

სად არიან ის პროკურორები, პოლიციელები და მოსამართლეები 200 პოლიტპატიმარი რომ დაიჭირეს? პროკურატურა სავსეა ამ პროკურორებით. **ემზარ კვიციანს ბრალი წაუყენა თენგის ხარებავამ და დღეს, როცა ემზარ კვიციანი დაბრუნდა სიმართლის დასამტკიცებლად, ისევ თენგიზ ხარებავაა მისი პროკურორი.** ვინმეს თუ სმენია, რომ პროკურორს თავისი თავისთვის წაეყენებინოს ბრალდება? არა, რა თქმა უნდა. აი, ამიტომ არ მიდის ეს საქმეები წინ. **იგივე არ ხდებოდა მერაბიშვილის დროს? ამიტომ ვკითხე ჭიკაიძეს, რა სხვაობაა, ბატონო ალექსანდრე, თქვენსა და ვანო მერაბიშვილს შორის, ისიც მკვლელებს აწინაურებდა, შენც აწინაურებ-მეთქი.** ვერ მიპასუხა. ვიმეორებ, არჩევნებიდან ათ დღეში თუ არ დაიწყეს საქმეების გამოძიება, ხალხი ველარ მოითმენს, ურჩევნიათ, გონს მოეგონ.

— **მოეგებიან კი? თქვენი შვილის მკვლელობის ერთ-ერთი თანამონაწილე ქალაქის პოლიციის უფროსია, მეორე — სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მაღალ თანამდებობაზე. ჭიკაიძის გარდა, როგორც ჩანს, მთავრობის არაერთი წევრი აფარებს ნაცზონდერებს ხელს, ალბათ, „საჭირო ხალხია“...**

— სიმართლე გითხრათ, მე მხოლოდ ღარიბაშვილის იმედი მაქვს. როგორც ჩანს, აქ ასეთ რამესთან გვაქვს საქმე — ღარიბაშვილი ერთი წელი შს მინისტრი იყო და ჰყავდა იქ ეს ხალხი, რადგან შსს-ს მართვა მისთვის ადვილი არ იყო, მისთვის უცხო იყო ეს სტრუქტურა. ახლა ჭიკაიძემ რომ დაიწყოს ამ ადამიანების გამოყრა, პოლიტიკურად უკვე ღარიბაშვილისთვისაა კრახი. ალბათ, ეს არის მიზეზი, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, ჩვენ რა ვქნათ? **ჭიკაიძის დანიშვნა შს მინისტრად დიდი შეცდომა იყო!** ჩვენ კარგად ვიცით, ვინ წარუდგინა მისი კანდიდატურა ღარიბაშვილს და ვინ შეიყვანა ის შეცდომაში. ჯერჯერობით თავს შევიკავებ იმ ადამიანის გვარის დასახელებისგან. **ამ სასჯელაღსრულების სისტემაში რაღა მოხდა, ყველა დამნაშავე იქ როგორ არის მოკალათებული?! რა, თაფლის სკაა და ფუტკარი შეესია? ჯაბა რომ ჰყავთ იქ, მაღლაფერიძე, ეს არ არის შეცდომა? სიმონიკა მაჩაიძე, რომ ჰყავთ იქ, ჩემი შვილის მკვლელობის თანამონაწილე, ეს არ არის დანაშაული? და ამხელა პრემიებს რომ იწერენ ეს მკვლელები და ბიუჯეტის ფული რომ ჩაიდეს ჯიბეში, ეს არ არის სირცხვილი? ამაზე არ უნდა დაეკისროთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?** კბილაშვილი, მწარიაშვილი და ნაცვლიშვილი მთელი ერთი წლის განმავლობაში რომ მფარველობდნენ დამნაშავეებს, არ უნდა ეგოთ პასუხი? **სასჯელაღსრულების სამინისტრო ნაცზონდერების თავშესაფარი გახდა. შეხედეთ ამ ფოტოს, ხედავთ, ჩემი შვილის მანქანასთან ვინ დგას? — სიმონიკა მაჩაიძე, ჩემი შვილის მკვლელობის თანამონაწილე.** ძალიან მაინტერესებს, რატომ არ დაჰკითხეს სიმონიკა მაჩაიძე, რატომ აფარებენ ხელს? მისი ჩვენება არ დევს საქმეში და არა მარტო მისი; ზოგს საერთოდ არ ახსენებენ, ვითომ არც ყოფილან იქ. ასევე ძალიან მაინტერესებს, **გენერალ ლევან გვაზავას, რომელიც ყველა დანაშაულში მხილებულია, ვინღა მფარველობს დღევანდელ ხელისუფლებაში. ჩემი შვილის მკვლელობა მისი და ირაკლი ფირცხალავას დაგეგმილია, რომელიც უშუალოდ იქ იყო.**

მოვუწოდებ ჭიკაიძეს, სასწრაფოდ გადადგეს, ნებით დატოვოს თანამდებობა! სირცხვილია, ჭიკაიძე რომ არის საქართველოს შს მინისტრი. ეს 28 წლის გამოუცდელი ყმაწვილი ამხელა სამინისტროს ხელმძღვანელობს, როცა მისი წარსული თბილისის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კარგად იცის. მალე დაიწყებს ხალხი გამოსვლას ჭიკაიძის წინააღმდეგ და ამხელს მას დანაშაულებში. მოვუწოდებ სოზარ სუბარს, სასწრაფოდ გაათავისუფლოს სიმონიკა მაჩაიძე დაკავებული თანამდებობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერაფერი გაგვაჩერებს!

ესაუბრა
**ᲥᲔᲗᲘ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ**

მოკლედ

## „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს ცაგერში კვერცხები დაუშინეს

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი წერეთელმა განაცხადა, რომ მათი შეხვედრის ჩაშლა ცაგერის მოსახლეობასთან „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა აქტივისტებმა სცადეს.**

„როცა გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და პარტიის სხვა წარმომადგენლები ამომრჩევლებთან შეხვედრას მართავდნენ, რაღაც ჯგუფი მივიდა, ისროლეს კვერცხები, ადგილი ჰქონდა გარკვეულ გაწევ-გამოწევას. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი მოხდა ერთ საათში მას შემდეგ, რაც ხელისუფლების მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ ემიჯნება ყოველგვარ ძალადობას და არ დაუშვებს საარჩევნო პროცესის ძალადობით წარმართვას. ამოცნობილი არიან ინციდენტში მონაწილე პირები, გამოქვეყნდება მათი გვარები, მომხდარი ასახულია ვიდეოზე. ველით, რა რეაგირებას მოახდენს ხელისუფლება“, — აღნიშნა გიგი წერეთელმა.



საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მასონისტურ სიონისტური ძალები ყველასთან ამყარებენ კავშირს და თავად ხელს უწყობენ და ქმნიან ბევრ ორგანიზაციას, რომლებიც მსოფლიოში ქაოსს გამოიწვევენ და შემდეგ ეს ქაოსი სისხლისღვრაში გადაიზრდება, რომელსაც მართლმადიდებელი სამყარო წინასწარვე იცნობს, როგორც მესამე მსოფლიო ომს.“




# რა აკავშირებთ იეჰოვას მოწმეებს მსოფლიო პოლიტიკურ მმართველობასთან და რა მსოფლიო წესრიგის დამყარებას ელიან ისინი

**როგორც ცნობილია, იეჰოვას მომწეები თავს უწყინარი რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლებად მიიჩნევენ, ამჯერად კი ჩვენი ყურადღება ერთმა საყურადღებო დეტალმა მიიქცია. ახლახან ხელში ჩაგვივარდა იეჰოვას მოწმეების მიერ გამოშვებული ბროშურა, რომელსაც ისინი, ჩვეულებისამებრ, სახლებსა თუ ქუჩებში არიგებენ ხოლმე.**



**მამა ბასილი (ახვლედიანი):**

**საუკეთესო მექანიზმი, რომელიც ბოლო ჟამს ბოროტმა მოიფიქრა, არის მსოფლიო წესრიგის დამყარება, რომელსაც ერთი მსოფლიო მმართველი ეყოლება**

**ეს ფაქტი არც გაგვიკვირდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება ბროშურაზე გაკეთებულმა წარწერებმა მიიპყრო. მასზე მითითებულია, რომ გვიწვევენ იეჰოვას მოწმეების წლევანდელ სამდღიან კონგრესზე (13-15 ივნისს) — „გულთბილად გიწვევთ ბიბლიაზე დაფუძნებული მოხსენების მოსასმენად, რომლის სათაურია „ვინ იქნება მსოფლიოს საუკეთესო მმართველი?“. „ერთი მსოფლიო ერთი ხელისუფლება“ და ჩამოთვლილია კითხვები, რომლებზე პასუხის მოსმენაც (ბროშურის თანახმად), ზემოაღნიშნულ კონგრესზე იქნება შესაძლებელი. „რატომ გვჭირდება ერთი ხელისუფლება? შესაძლებელია, მთელ მსოფლიოს ერთი ხელისუფლება მართავდეს? ვის შეუძლია მსოფლიოს საუკეთესოდ მართვა?“**

**საინტერესოა, რა კავშირშია „უწყინარი რელიგიური ორგანიზაცია“ მსოფლიოს მმართველობასთან? რა კავშირი აქვთ მათ სახელმწიფო მართვის საკითხებთან? მით უფრო, რა კავშირი აქვთ მათ გლობალისტების, მასონების იდეოლოგიასთან? ეს ყველაფერი საინტერესოა, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიას მუდმივად ადანაშაულებენ, რომ ის პოლიტიკაში ერევა, რატომ არავის უჩნდება კითხვა მათთან დაკავშირებით? რა მსოფლიო წესრიგის დამყარებას ელიან იეჰოვას მოწმეები და რა მიზნები ამოძრავებთ ვითომდა უწყინარი რელიგიური ორგაზნიაციის წევრებს? შევეცადეთ, აღნიშნულ კითხვებზე პასუხები მართლმადიდებელი სასულიერო პირებისგან მოგვესმინა.**

**აკაურთას სიონის ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილი (ახვლედიანი):**

— ჩვენი მოსაზრებით, ჭეშმარიტი ღმერთი ერთია და ის მართლმადიდებლობაშია, ხოლო რასაც ეს ადამიანები აკეთებენ, არის წარმართული, არასწორი სწავლება, ღვთის მიერ დადგენილი საეკლესიო სწავლების დამახინჯება. აქედან გამომდინარე, ყველა მათი მოსაზრება ბოროტითაა ნაკარნახევი. ბოროტს სურს, რაც შეიძლება მეტი სული წაწყმიდოს და ამისთვის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზმი, რომელიც ბოლო ჟამს ბოროტმა მოიფიქრა, არის მსოფლიო წესრიგის დამყარება, რომელსაც ერთი მსოფლიო მმართველი ეყოლება. მათი მიზანია, ადამიანების ელექტრონულ კონცლაგერში შეყვანა და მათი ინდივიდუალური მართვა. ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, ეს (ბროშურასთან დაკავშირებით ვამბობ) ცალსახად ემსახურება და ერთ-ერთი პატარა წვეთია მსოფლიო წესრიგის შექმნისა და მსოფლიო მმართველის



**მამა დავითი (ქვლივიძე):**

**რაც ეს იეჰოვას მოწმეები გამოჩნდნენ, ისინი მსოფლიო მმართველობის შესაცვლელად ამზადებდნენ გზებს...**

მოსვლისთვის, რომელსაც ჩვენ — მართლმადიდებლები ანტიქრისტეს ვუწოდებთ.

**— იმ ფონზე, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიას მუდმივად ადანაშაულებენ, რომ ის პოლიტიკაში ერევა, რატომ არავის უჩნდება კითხვა სექტანტებთან დაკავშირებით? რა კავშირშია რელიგია და მსოფლიო მმართველობა?**

— თვითონ ტერმინი **მსოფლიო მმართველობა** უკვე გულისხმობს ქვეყნებში ძირეული ფუძემდებლური კულტურის, რელიგიის გაქრობას. მაშინ, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია ერევა პოლიტიკაში და გარკვეულ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, თუ დავუკვირდებით, ეს პოლიტიკური განცხადებები ნამდვილად არ არის. ეს არის თითოეული ადამიანის განცხადებები მათი ოჯახის და ზოგადად, საქართველოს შენარჩუნებისკენ, კეთილდღეობისკენ, განვითარებისკენ, რეაბილიტაციისკენ მოწოდებული. უბრალოდ, ამას პოლიტიკოსები და პოლიტიკანები, ხშირ შემთხვევაში, როგორც პოლიტიკურ განცხადებებს, ისე აფასებენ.

**— იეჰოვას მოწმეების ბროშურაზე მოცემულია ასეთი კითხვებიც: „რატომ გვჭირდება ერთი ხელისუფლება. შესაძლებელია მთელ მსოფლიოს ერთი ხელისუფლება მართავდეს?“ „ვის შეუძლია მსოფლიოს საუკეთესოდ მართვა?“ და მითითებულია, რომ ამ კითხვებზე პასუხს შეხვედრაზე მოვისმენთ. ასეთი იდეები მასონებს, გლობალისტებს აქვთ. ერთი შეხედვით, უწყინარ რელიგიურ ორგანიზაციას, რა კავშირი აქვს მათ იდეოლოგიასთან?**

— მასონისტურ სიონისტური ძალები ყველასთან ამყარებენ კავშირს და თავად ხელს უწყობენ და ქმნიან ბევრ ორგანიზაციას, რომლებიც მსოფლიოში ქაოსს გამოიწვევენ და შემდეგ ეს ქაოსი სისხლისღვრაში გადაიზრდება, რომელსაც მართლმადიდებელი სამყარო წინასწარვე იცნობს, როგორც მესამე მსოფლიო ომს. ეს გაუადვილებს ანტიქრისტეს მსოფლიოში გამეფებას. ყოველივე ამ მრავალწახნაგოვან დიდ მექანიზმში, რომელშიც ორმაგი სტანდარტები მეფობს, თუნდაც ე.წ. დემოკრატიულ ქვეყნებში, ამ დიდი მექანიზმის ერთ-ერთი პატარა ჭანჭიკია რასელის მიმდევარი საზოგადოება, რომელიც ამ ყველაფერს ემსახურება.

**— ბოლო დროს თბილისში საკმაოდ მომრავლდნენ სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები. როგორ უნდა მოიქცეს მართლმადიდებელი ქრისტიანი მათთან შეხვედრის დროს, როდესაც მას ბროშურას სთავაზობენ და საუბარს უწყებენ?**

— ხშირად გამიგია, როდესაც ადამიანი რასელისტს შეხვდება, ემოციურად და აგრესიულად გამოხატავს თავის გულისტკივილს. ადამიანურად შეიძლება გავუგოთ მათ, მაგრამ ამით მათ წისქვილზე ვასხამთ წყალს, რადგან, როდესაც აგრესიას იღებენ მართლმადიდებლებისგან, ისინი ამას თავიანთ თავს მოწამეობაში უთვლიან და შედეგიც არ მოაქვს. აგრესიის გამოხატულების ლოკალური შემთხვევებით ბევრი საკითხი ზიანდება.

როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს, არსებობს კეთილშობილი მრისხანება და დამღუპველი სიმშვიდე. მე პირადად მჯერა, რომ ერთ დღეს საქართველოს მოევლინება ღვთივკურთხეული პიროვნება მეფედ, რომელიც სწორედ ამ კეთილშობილი მრისხანებით დაარეგულირებს ყველაფერს და ისეთ გამართულ მართლმადიდებლურ კანონებს მიიღებს, რომლებიც დაარეგულირებს ურთიერთობებს ყველა რელიგიურ დენომინაციას შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპით, მაგრამ ერთი საფეხურით უპირატესობას მიანიჭებს მართლმადიდებლობას. სხვა რელიგიური მიმდინარეობების მიმართ საქართველოში აგრესიული განწყობა არასდროს ყოფილა, მაგრამ ამ უპირატესობითა და დომინანტობით ყოველთვის იქნება თითოეული ადამიანის ცნობიერებაში გამოხატული, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ მართლმადიდებლობაშია. ხოლო ეს აგრესია, რომელიც დღეს ამ ადამიანების მიმართ არსებობს, როგორც წინა, ასევე დღევანდელი ხელისუფლების ლოიალიურმა და არასწორმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია.



**დეკანოზი არჩილი (ქიტუაშილი):**

**ისინიც იმავე ხაზს ატარებენ, რომელსაც გლობალისტები და მასონები, რადგან ეს ყველაფერი, რაც ბროშურაზე წერია, ერთმნიშვნელოვნად მასონური იდეებია**

**მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი მამა დავითი (ქვლივიძე):**

— ეს ყველაფერი, რაც ბროშურაზე წერია, მსოფლიო მმართველობასთან დაკავშირებით, პირდაპირ კავშირშია იეჰოვას მოწმეებთან. მე სულ ამას ვამბობდი, რაც ეს იეჰოვას მოწმეები გამოჩნდნენ, ისინი მსოფლიო მმართველობის შესაცვლელად ამზადებდნენ გზებს და, როგორც ვხედავთ, შემდეგ თავიც გამოამჟღავნეს. აბა, ერთი მსოფლიოს ერთი ლიდერი რას ნიშნავს? თუმცა იეჰოვას მომწეებმა სახარება შეცვალეს, ახალი სახარება დაწერეს და, პოლიტიკაში რომ ჩაერიონ, მათგან რა გასაკვირია, განა არსებობს ამის მერე მათთვის ისეთი რამ, რასაც ვერ შეცვლიან და არ იტყვიან? მათთვის არაფერი წმინდა აღარ არსებობს. ამ ყველაფერზე პასუხი წმინდა მამებს, მაგალითად, ეფრემ ასურს აქვს კარგად გაცემული. გადახედეთ იეჰოვას მოწმეების ჟურნალს, შემდეგ — ეფრემ ასურის ნააზრევს და პასუხს იქ ამოიკითხავთ.

ნათქვამია, რომ ხე ნაყოფით შეიცნობაო. დააკვირდით, რას ქადაგებენ იეჰოვას მომწეები და ყველაფერი ცხადი გახდება.

**დაბა კაზრეთის წმინდა სამების ტაძრის წინამძღოლი, დეკანოზი არჩილი (ქიტუაშილი):**

— ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ანტიქრისტეს მოლოდინს და მისთვის ტახტის მომზადებას. როგორც ჩანს, ისინიც იმავე ხაზს ატარებენ, რომელსაც გლობალისტები და მასონები, რადგან ეს ყველაფერი, რაც ბროშურაზე წერია, ერთმნიშვნელოვნად მასონური იდეებია. მიჭირს წინასწარ ანალიზი, რადგან არ ვიცი, რას ილაპარაკებენ აღნიშნულ შეკრებაზე, მაგრამ ბროშურაზე მითითებული წარწერები პირდაპირ ნიშნავს ანტიქრისტესთვის ტახტის მომზადების მცდელობას. ვინაიდან ვიცით, რომ, ანტიქრისტე როდესაც მოვა, ის იქნება საუკეთესო მმართველი. ის ასე უნდა მოვიდეს და, როგორც ჩანს, ისინი ეხმარებიან.

**— იეჰოვას მოწმეების ქადაგებაში დღემდე მსგავსი რამ გაჟღერებულა მსოფლიოს მმართველობასთან დაკავშირებით?**

— მართალია, მათი სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ასე მძაფრად, მგონი, არ თქმულა. რაც შეეხება რელიგიური ორგანიზაციის საერო მმართველობასთან კავშირს, ასე ვიტყოდი: თავად ანტიქრისტეც არ იქნება მხოლოდ საერო მმართველო, ის სასულიერო მმართველიც იქნება, შესაბამისად, ეს ყველაფერი მხოლოდ ანტიქრისტესთვის ტახტის მომზადებას ემსახურება.

მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

**„სად, რომელ ევროპაში მიდის საქართველო მაშინ, როდესაც ევროპის მომავალი თვითონ ევროპელებისთვისაც გაურკვეველია? სად, რომელ ევროპაში მიიჩქარის საქართველო მაშინ, როდესაც საფრანგეთი და იტალია გერმანიის წინააღმდეგ გამოდიან, დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლით იმუქრება, მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში სეპარატიზმის ბაცილა ღვივდება, ხოლო ახალი ევროპარლამენტი ევროსკეპტიციზმით არის გაჯერებული?! ამ დოკუმენტზე ხელმომწერი, შესაძლოა, წყევლისა და ანათემის ობიექტად იქცეს“.**

## პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ომი ყველაფერს ჩამოწერს?!

**27 ივნისს საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას აწერს ხელს. მანამდე ქვეყანას 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნები ელოდება. აფხაზეთი ევრაზიული კავშირისკენ მიილტვის, დანარჩენი საქართველო კი — ნატოსა და ევროკავშირისკენ, იმ ორგანიზაციებისკენ, რომელთა შესახებაც თვითონ ამ ორგანიზაციების თავკაცები გვეუბნებიან, რომ საქართველოს წევრობის პერსპექტივა არ აქვს. „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ერთხელ განაცხადა: „პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას ჰპირდება ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს“. როგორი იქნება საქართველოს მომავალი? როგორ შეიცვლება ქვეყანაში ვითარება 27 ივნისის შემდეგ? — ამ შეკითხვებით რამდენიმე რესპონდენტს მივმართეთ:**



**ვალერი კვარაცხელია, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი:**

— ვინც აკონტროლებს აფხაზეთს, ის საქართველოს აკონტროლებს. ეს ფორმულა ნებისმიერ დროებით დაკარგულ ტერიტორიას მიესადაგება და ვრცელდება იქამდე, ვიდრე დამკარგავს ხელი არ ჩაუქნევია დაკარგულზე. დღეს **ტაო-კლარჯეთს თურქეთი აკონტროლებს, მაგრამ ამით ის საქართველოს ვერ აკონტროლებს, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე საქართველოს ხელი აქვს ჩაქნეული, ანუ უარი აქვს ნათქვამი. აფხაზეთსა ცხინვალში სხვა ვითარებაა. ამ ტერიტორიების კონტროლით რუსეთი მთელ საქართველოს აკონტროლებს,** მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი ფაქტობრივად დაკარგული გვაქვს, ამ კუთხის შემომტკიცებიის იმედი ჯერ კიდევ გვილვივის. ასეთ ვითარებაში საქართველოს მიერ გადადგმული ყველა პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ნაბიჯი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემის პრიზმაში უნდა იყოს გატარებული და ამ საკითხის გადაწყვეტისკენ მიმართული. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების ყველა თაობა საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა და მიდის, ვინაიდან, სულაც არ ყოფილან და დღემდე არ არიან „ჩვენი“. **აქ ყველა ხელისუფალი ამერიკელებმა მოიყვანეს, ყოველი მათგანი ამერიკულ საქმეს ემსახურებოდა და ემსახურება დღესაც. ამიტომაცაა, რომ საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის შემოერთებაზე უფრო მნიშვნელოვანი ევროპის ასოცირებული წევრობა ან მაპის მიღება ჰგონია. უფრო სწორად, არ ჰგონია (ასეთი სულელებიც არ არიან), მაგრამ დავალება აქვთ მიღებული და სამშობლოს ინტერესებს თავიანთი ბინძური მერკანტილური ვნებების დაკმაყოფილებაში ცვლიან. თქვენს შეკითხვას სრულიად ერთმნიშვნელოვნად ვუპასუხოზ: — ევროკავშირის ასოცირებული წევრობა თითქმის არაფერს ნიშნავს ევროკავშირის ნამდვილ წევრობასთან შედარებით, მაგრამ თითქმის მთლიანად სპობს ტერიტორიული გამთლიანების პერსპექტივას და გვაყენებს ახალი პრობლემების წინაშე.**

**— „ნაციონალებზე“ ამბობდნენ, მოსყიდულები არიან და ქვეყნისთვის დამღუპველ პოლიტიკას ატარებენო. როგორ ფიქრობთ, თვითონ „ნაციონალებს“ ხომ არ ჰყავთ მოსყიდული უცხოელები და ახლა უკვე „ოცნებაც“, რადგან, როგორც ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა, „პოლიტიკოსი, რომელიც ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია და ან უნამუსოდ გვატყუებს“?**

— მე მათ ნაძირალებად უფრო მივიჩნევ, ვიდრე ბრიყვებად. მათ ერთმანეთი კი არ ჰყავთ მოსყიდული, ისინი, „ნაცმოძრაობაც“ და „ოცნებაც“, ამერიკელებს ჰყავთ მოსყიდული და თავიანთი სცენარით ათამაშებენ. **რაც შეეხება ამერიკულ-ევროპულ სტრუქტურებს, ჩვენ იქ გაწევრების მინიმალური შანსიც არ გვაქვს, ვინაიდან ამერიკა-ევროპის მიერ დეკლარირებული გეოპოლიტიკური დოქტრინა ისე დაშორდა რეალობას, როგორც ცა და დედამიწა. ამერიკელები და ევროპელები სიტყვით აღიარებენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების — საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ რეალობა აბსოლუტურად სხვაა. დრო თვალნათლივ ადასტურებს, რომ ამერიკასა და ევროპას ამ რეალობის შესაცვლელად ბერკეტები არ აქვს.** ბოლო ორი თვის განმავლობაში დაუჯერებელი მოვლენები მოხდა: უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებულ ამერიკა-ევროპას რუსეთმა ყირიმი (საერთაშორისო სამართლის ყველა წესის დაცვით) ელვის სისწრაფით გამოაცალა ხელიდან, ჩინეთთან არნახული კონტრაქტები (მათ შორის, ბუნებრივი აირის სფეროში) გააფორმა და ევრაზიული კავშირი შექმნა, რომლითაც, საბოლოო ჯამში, მსოფლიოზე ამერიკის ერთპიროვნული დიქტატი დასრულა, რაც ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაა. რას წარმოადგენს ყოველივე ამის ფონზე აშშ-ის უპირობო მარიონეტი, უამრავი პრობლემით დამძიმებული, ღირებულებებარეული, ზნეობრივი დეგრადაციის გზაზე შემდგარი და დასაშლელად განწირული ევროკავშირი?

**ახალ ევროპარლამენტში ევროსკეპტიციზმი დომინირებს. გავლენიანი ევროპელი პოლიტიკოსები კი ევროპის კატასტროფულ შეცდომებზე ალაპარაკდნენ, როგორც უკრაინის მოვლენების, ასევე ევროპისა და ნატოს უკიდეგანო გაფართოების მიზანშეუწონლობის შესახებაც. გერმანიის ყოფილი კანცლერი ჰელმუტ შმიდტი საქართველოს ევროპის შემადგენელ ნაწილად განხილვას დაუფარავი სარკაზმით ეხმაურება. გერმანიის ასევე ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი კი რუსეთის რეაქციას უკრაინის მოვლენებზე აფასებს, როგორც ადეკვატურს და გასაგებს. სად, რომელ ევროპაში მიდის საქართველო იმ ვითარებაში, როდესაც ევროპის მომავალი თვითონ ევროპელებისთვისაც გაურკვეველია? სად, რომელ ევროპაში მიიჩქარის საქართველო იმ ვითარებაში, როდესაც საფრანგეთი და იტალია გერმანიის წინააღმდეგ გამოდიან, დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლით იმუქრება, მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში სეპარატიზმის ბაცილა ღვივდება, ხოლო ახალი ევროპარლამენტი, როგორც უკვე გითხარით, ევროსკეპტიციზმით არის გაჯერებული?!** სასაცილოა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ერთმანეთს ეცილებიან ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლების მოპოვებაში, მაშინ, როდესაც **ამ დოკუმენტზე ხელისმომწერი, შესაძლოა, წყევლისა და ანათემის ობიექტად იქცეს.** ნუ დავუკარგავთ, ამ შემთხვევაში მარგველაშვილი უფრო საზრიანი გამოდგა...

**— რა მოხდება 27 ივნისის შემდეგ?**

— ორი ვარიანტი არსებობს: **რუსეთი ან დაბლოკავს ამ დოკუმენტზე ხელის მოწერას, ან დოკუმენტზე ხელის მოწერის შემდეგ აამოქმედებს სხვადასხვა წნეხს. შედეგი ორივე შემთხვევაში ერთი იქნება — ევროკავშირისა და ნატოს მიღმა დარჩენა, მაგრამ პირველ შემთხვევაში, ეს უმტკივნეულოდ მოხდება; მეორე შემთხვევაში კი, ძალიან მტკივნეული იქნება. არ გამოვრიცხავ უკრაინის მსგავს მოვლენებსაც კი...**

**გელა ხუციშვილი,** პოლიტოლოგი:

— ვაღიაროთ, რომ ძალიან ბევრი ქვეყანა ევროკავშირისკენ აღარ მიილტვის, მაგალითად, თურქეთი, ის რუსეთთან თანამშრომლობს პროექტში „მშვიდობიანი კავკასია“.

ახლა შეხედეთ ევროკავშირში რა ვითარებაა: არავინ ლაპარაკობს, რა ურთიერთობა აქვთ



ევროკავშირის ხერხემალ გერმანიას რუსეთთან და ჩინეთთან. ეს ტაბუდადებული თემაა. ანგელა მერკელისა და პუტინის არასაშტატო გულთბილი ურთიერთობებიც გასათვალისწინებელია. გავიხსენოთ, პუტინის ვიზიტი ჩინეთში, მან გაზისა და ნავთობპროდუქტების რეალიზების დიდი ბაზარი მოიპოვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოს მდგომარეობა ძალიან საინტერესოა. მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე თუ ვინმე რამედ მიგვიჩნევს, სწორედ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ჩვენ საზღვაო ქვეყანა ვართ. **გავიხსენოთ, ყბადაღებული თემა ევრაზიული მაგისტრალის შესახებ: პარიზი-კონსტანცა-ფოთი-თბილისი-ბაქო-შანხაი. ჩვენ ხომ ამაზე ვაგებდით ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტიას, მაგრამ ამ ყველაფრისგან შორს ვართ და ვაცხადებთ, რომ არაფერი გვინდა და პირდაპირ ევროკავშირში შევდივართ. ვის ვუნდივართ ევროკავშირში?** ან რა პოზიციაზე უნდა ვიყოთ? მათ ხომ საზღვრები აღარ გააჩნიათ, ჩვენ ასეთ ვითარებაში კუნძულივით ვიქნებით. **აფხაზეთში დაწყებულ ამბებს ევროკავშირთან ხელშეკრულების დადებაზე მეტად 15 ივნისის არჩევნებს უფრო ვუკავშირებ. ის, რაც ზუგდიდში ხდება, მიანიშნებს, რომ ამ ქალაქში ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ძალიან მცირეა. არადა, „ქართული ოცნება“ თვლის, რომ ადგილობრივი არჩევნები უეჭველად უნდა მოიგოს. ეს იმას ნიშნავს, რაიმე შეცდომა რომ მოხდეს ზუგდიდში, აფხაზეთი ცხელი წერტილია და, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ცეცხლი მოედოს ყველაფერს.**

გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ ზუსტად 15 ივნისს სომხეთი აწერს ხელს ევრაზიულ კავშირში გაწევრებას. ყოვლისმცოდნის მანტიას ვერ მოვირგებ, მაგრამ **ის, რაც ხელისუფლების ვერტიკალებში ხდება, მიანიშნებს, რომ ქვეყანას არ ჰყავს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები.**

ასოცირებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა პრემიერ ღარიბაშვილს დააკისრეს, მისი რეიტინგი საკმაოდ მაღალია, მაგრამ, როგორც კი ის ხელს მოაწერს, მისი რეტინგი მკვეთრად დაეცემა არაქართულ მოსახლეობაში.

**ქართველი პოლიტიკოსები დაკვეთებს ასრულებენ და ისეთი დიდი თანხებია საქართველოში ჩადებული, შემდეგ სხვადასხვა თაროზე გადაწყობილი, რომ აუცილებლად უნდა ჩამოიწეროს, ამის დრო დადგა. გახსოვთ ფრაზა კინოფილმიდან „ღიმილის ბიჭები“: „ომი ყველაფერს ჩამოწერს, ვასია“?**

„მოსწრების პრინციპი“, რომელიც დაწყებულია და მაღალჩინოსანთა პრემიებში გამოიხატება, საცოდავი ადამიანების უკანასკნელ ბოგინს ჰგავს..

ევროკავშირი მირაჟია, უტოპია... ან რა შეიძლება დავარქვათ იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშის გვერდით ევროკავშირის დროშა ფრიალებს, სასაცილოები გავხდით, ბანანის რესპუბლიკას დავემსგავსეთ. **ევროკავშირის თემა შემოგდებულია და ქვეყნის დაშლას ითვალისწინებს.**

**— როგორ წარიმართება საქართველოს ცხოვრება 27 ივნისის შემდეგ?**

— ხელშეკრულება, რომელსაც ხელს ვაწერთ, ორ ნაწილად უნდა დავყოთ. პირველი ნაწილი — ეს არის ეკონომიკური ხელშეკრულება, მაგრამ ვინმეს წაუკითხავს? **ვინმემ იცის, როგორ გაიტანს ლაგოდეხელი გლეხი თავის პროდუქციას ევროპულ ბაზარზე? ფაქტია, რომ ბაზარი ჩვენ გავხდებით. პოლიტიკურ ნაწილზე ხელმოწერისგან კი თავი უნდა შევიკავოთ, რამე უბედურება რომ არ დაგვატყდეს. თავი უნდა შევიკავოთ, ისეთი განცხადებებისგანაც, როგორიც არის ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების საქართველოში განთავსება.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«ყველა ხელისუფალი ამერიკელებმა მოიყვანეს, ყოველი მათგანი ამერიკულ საქმეს ემსახურებოდა და ემსახურება დღესაც, ამიტომაცაა, რომ საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის შემოერთებაზე უფრო მნიშვნელოვანი ევროპის ასოცირებული წევრობა ან მაპის მიღება ჰგონია»**

მოკლედ

## ტყიბულში საწარმო პროცესის დროს 6 მეშახტე დაშავდა

**ტყიბულში მინდელის სახელობის შახტში საწარმო პროცესის მიმდინარეობისას 6 მეშახტე დაშავდა. ისინი ამჟამად ტყიბულის საავადმყოფოში არიან, სადაც პირველადი სამედიცინო დახმარება უტარდებათ.** დაშავებულებს, სავარაუდოდ, თბილისში, დამწვრობის ცენტრში გადაიყვანენ.

## საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: ევროკავშირის ქვეყნები უკრაინის მისაღებად მზად არ არიან



საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორან ფაბიუსის განცხადებით, **„ევროკავშირში შემავალი ქვეყნები უკრაინის მისაღებად მზად არ არიან“.** ეს განცხადება ფაბიუსმა პეტრე პოროშენკოს ინაუგურაციაზე ჩასვლის შემდეგ გააკეთა. **„როდესაც ჩემს ევროპელ კოლეგებს ვესაუბრები, ვხედავ, რომ უკრაინის ევკოკავშირში შესვლის იდეა მათ უმრავლესობას შორის მხარდაჭერას ვერ იმსახურებს. პეტრე პოროშენკოს საინაუგურაციო სიტყვა ნამდვილად პროევროპული იყო, შეიძლება იმაზე მეტად პროევროპულიც, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნები ელოდებოდნენ“,** — განაცხადა ფაბიუსმა.

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოსვლა, რომელმაც ყველა გონიერი ქართველის არამხოლოდ გაოცება, არამედ განრისხებაც გამოიწვია, რასაკვირველია, ემოციურად გათვლილი იყო და შეიძლება ითქვას, რომ არამხოლოდ უსუფაშვილის, არამედ მთელი რესპუბლიკური პარტიის იდეოლოგიის დემონსტრირებასაც წარმოადგენდა. თუკი ქვეყნის მართვის სადავეებთან მიშვებამდე რესპუბლიკელები თავშეკავებულად, მაგრამ ქვებუდანურად, არადემონსტრაციულად უპირისპირდებოდნენ ეკლესიასა და პატრიარქს, ახლა უკვე ღიად გაილაშქრეს.**

# ჰალსტუხიანი ეშმაკები!

**დავით უსუფაშვილი პოლიტიკური რესპექტაბელურობით გამოირჩევა, ამიტომ, თუ ვიტყვით, რომ იგი იდიოტია, არ იქნება უსუფაშვილის შეურაცხყოფა, ეს საზოგადოებას შეურაცხყოფს, რადგან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნამდვილად განსხვავდება დანარჩენი პოლიტიკოსებისგან. და, კაცმა რომ თქვას, იდიოტი ნამდვილად არ არის. სწორედ აქ იმალება საფრთხე საქართველოსთვის.**

დიდხანს ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა იმ თავხედობის შესახებ, რომელიც ამ რესპექტაბელურმა ადამიანმა იკადრა, თუ გნებავთ, გაბედა. ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებულ V საერთაშორისო სიმპოზიუმზე — „ღვთისმშობლის თაყვანისცემის ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში" — გამოსვლისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ქართველი და უცხოელი მეცნიერების წინაშე და კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის თანდასწრებით, მკრეხელური გამოსვლით ჭკუა დაარიგა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს და სხვა სასულიერო იერარქებს.

**გამოსვლა, რომელმაც ყველა გონიერი ქართველის არამხოლოდ გაოცება, არამედ განრისხებაც გამოიწვია, რასაკვირველია, ემოციურად გათვლილი იყო და შეიძლება ითქვას, რომ არამხოლოდ უსუფაშვილის, არამედ მთელი რესპუბლიკური პარტიის იდეოლოგიის დემონსტრირებასაც წარმოადგენდა. თუკი ქვეყნის მართვის სადავეებთან მიშვებამდე რესპუბლიკელები თავშეკავებულად, მაგრამ ქვებუდანურად, არადემონსტრაციულად უპირისპირდებოდნენ ეკლესიას და პატრიარქს, ახლა უკვე ღიად გაილაშქრეს.**

რესპუბლიკელებმა, როგორც იტყვიან, დრო იხელთეს და „თავისუფლების ინსტიტუტის" წიაღში (ტყუილად იბრალებენ წულუკიანი და ღარიბაშვილი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის ავტორობას) გამოზრდილი იქედნეს გამოშვებაც გადაწყვიტეს. მანამდე, სააკაშვილის მონა-დეპუტატების საშუალებით, ამ „ასპიტისებრთა ოჯახის", ანუ „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებმა რამდენიმე კანონში შეიტანეს ისეთი ცვლილებები, რომელთა თაობაზეც საზოგადოებამ ახლაღა შეიტყო.

ახლა კი, როცა ყველა „კვერცხს" ერთად მოუყარეს თავი, ხალხმა ნათლად დაინახა, რას უმზადებდნენ „ვარდნი და ნეხვნი", რომელთაც, როგორც ჩანს, „სწორად მოეფინა" ბიძინა ივანიშვილის მზე.

აქვე ისიც სათქმელია, რომ **უსამართლობა იქნება მხოლოდ რესპუბლიკელების პასუხისმგებლობაზე საუბარი, როცა ხელისუფლების, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლები მონუსხულებივით იმეორებენ, რომ ამ კანონის მიღება აუცილებელი იყო და ამ აუცილებლობას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ხსნიან.**

სულ მალე კი ყველაფერი გაცხადდა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რესპუბლიკელების კოლექტიური შრომის ნაყოფი ისე თამამად გაგვაცნო, რომ უეჭველია, „დიდ ფსიქოლოგთან" და „ყოვლისმცოდნესთან" შეთანხმებულია. ეს ადამიანები კი, თავის მხრივ, უფრო სერიოზული ძალების გავლენის ქვეშ არიან და, ბუნებრივია, ნაკისრ ვალდებულებებს გვერდს ვერ აუვლიან.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მსოფლიო რელიგიურ (და არა მხოლოდ!) წრეებში ცნობილია, როგორც ყველაზე მიმტევებელი ღვთისმსახური. ამჯერად კი უწმინდესი და უნეტარესი იმდენად შეაშფოთა კანონმდებელთა და მათი „უფლის" გაუგონარმა თავხედობამ, რომ რამდენიმეჯერ მოუწოდა, უარი ეთქვათ ჭეშმარიტი ღმერთის მოძღვრების უარყოფაზე, ბოლოს კი, მანამდე რომ არ უთქვამს, ისეთი რამ ბრძანა: **„როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო? უკანონობის დაკანონება დიდი ცოდვაა... არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ასეთ კანონს".**

**არც ერთი მორწმუნე, ანუ არამხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის, არამედ ერთნაირად მიუღებელია მუსლიმანებისთვის, გრიგორიანელებისთვის, იუდეველებისთვის, კათოლიკეთათვის...**

არ გაითვალისწინეს!

ჟურნალისტიკის წესია, რომ პუბლიკაციის ციტატით დაწყება არაპროფესიონალიზმის ნიშანია. პარლამენტის თავმჯდომარემ კი თავის გამოსვლა სწორედ ციტატით, ვრცელი ციტატით დაიწყო და მაშველად ჯემალ ქარჩხაძე იხმო.

მოდით, დავშალოთ ეს ვრცელი ციტატა — უსუფაშვილის მხსნელი ქარჩხაძის „სიბრძნე შეუწონელი", სინამდვილეში კი გაუგონარი მკრეხელობა.

ქარჩხაძე უსუფაშვილის პირით გვეუბნება, რომ **„...ორი ათასი წელი იწურება მას აქეთ, რაც თავს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად ვთვლით (ხოლო ამ სიმბოლოში, უნდა ვიფიქროთ, ეროვნული მისიის გასაღებიცაა ჩადებული) და ორი ათასი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც კი ვერ მივუახლოვდით მაღალ არსს. პირიქით, ჟიუტად და შეუპოვრად სულ იმას ვცდილობთ, უკან-უკან ვიაროთ; იმ ზომამდე, რომ დროდადრო სულიერი თვითმკვლელობის მცდელობაც კი გვაქვს".**



**პარლამენტის თავმჯდომარისთვის იმდენად უცხოა წმინდანის მიმართ კრძალვა და რიდი, რომ ამგვარი მკრეხელობის გამეორებასაც არ ერიდება და მით უფრო, პატრიარქის თანდასწრებით ბედავს ასე აგდებით საუბარს**

კი არ ვთვლით, საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და საქართველოს სულიერი მისიის შესახებ ქარჩხაძესა და უსუფაშვილზე ბევრად ჭკვიანი ადამიანები წერდნენ და ლაპარაკობდნენ არამხოლოდ შორეულ წარსულში, არამედ სულ ახლახან, გასულ საუკუნეშიც. მაგრამ ეს მისია ქარჩხაძე-უსუფაშვილისთვის გაუგებარი ან, რაც კიდევ უფრო ტრაგიკულად წარმოაჩენს ამ ორ პერსონას, მიუღებელია. ორი ათასი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც მივუახლოვდით და მეტითაც მაღალ არსს და სწორედ ამ მიახლოებამ გადაარჩინა საქართველო. ალბათ, ესეც გაუგებარია ქარჩხაძე-უსუფაშვილისთვის, თორემ სულ რამდენიმე წამით რომ დაფიქრებულიყვნენ იმაზე, თუ რამ მოიყვანა ჩვენი სამშობლო დღემდე, როგორ უძლებდა ქართველობა საუკუნეთა განმავლობაში ურიცხვი მტრის შემოსევებს, ცეცხლითა და მახვილით თუ ქვემძრომობით განადგურება-გადაგვარების ათასგვარ მცდელობებს (მათ შორის, ხაზგასასმელია — უგვან ქართველთა დახმარებითაც!), იქნებ მიმხვდარიყვნენ კიდეც, რომ მხოლოდ ღვთის ნებით შევძელით წარსულისგან აწმყოს შობა და დღევანდლამდე მოღწევა. **უკან-უკან სვლის მაგალითებიც ბევრია საქართველოს ტრაგიკულ ისტორიაში და გმირობის, ქრისტესთვის თავდადების უამრავი ფაქტიც შემოგვინახა ისტორიამ. სულიერი თვითმკვლელობის მცდელობა კი დროდადრო კი არა, სწორედაც რომ დღეს გვაქვს, როცა ხელისუფალთა ღვთისგარეგანობით კიდევ უფრო იხრწნება თაობები.**

ბოლო 23 წლის მანძილზე, დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან, მას შემდგომ, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მზრუნველობითა და რუდუნებით საქართველო უფლის გზას დაუბრუნდა, როცა ათასობით გამუსლიმანებული ქართველი მოექცა ქრისტეს რჯულზე, როცა ერის მწყემსმთავრის დაუღალავი ღვაწლითა და სულიერ მამათა მუხლჩაუხრელი შრომით ერი სწორ გზას დაადგა, სწორედ ამ დროს გამოვლინდა ბევრი სიავე და სიბილწე, რომელთაც ხელისუფალნი არათუ წინ აღუდგნენ და ეკლესიის მხარდამხარ შეებრძოლნენ, არამედ კიდევ უფრო წაახალისეს სწორედ დემოკრატიისა და ლიბერალიზმის სახელით.

ახლა ქარჩხაძე-უსუფაშვილის მორიგი მკრეხელობა მოვისმინოთ:

**„...ერთი წუთით პატარა რელიგიური სასწაული წარმოვიდგინოთ: ღვთისმშობელმა „თავისი" ქვეყნის ხილვა მოისურვა. რას ნახავს? ნახავს მონობის სენით შეპყრობილ კერპთაყვანისმცემლებს, რომელთაც თავისუფლება ბატონის გამოცვლა ჰგონიათ; ნახავს მდიდარ ფარისევლებს, რომლებიც საჩვენებელ და გამოყენებით ქველმოქმედებას ეწევიან იმ დროს, როდესაც მათ გვერდით ნამდვილი ადამიანები ნამდვილი სიკვდილით ნამდვილად იხოცებიან; ნახავს ცრუ ადამიანებს, რომლებიც რელიგიურობანას თამაშობენ და რწმენაც აღებმიცემობის საგნად უქცევიათ. წმინდა ღვთისმშობელი ასეთ ქვეყანაზე, გარწმუნებთ, უარს იტყვის. ლეგენდაც დამთავრდება და სიმბოლოც წაიშლება".**

ქარჩხაძე-უსუფაშვილს ღვთისმშობელი საქართველოში, ალბათ, ოფიციალურ ვიზიტად ან ტურისტად წარმოუდგენიათ, რომელმაც შეიძლება ქვეყნის ხილვა მოისურვოს. **პარლამენტის თავმჯდომარისთვის იმდენად უცხოა წმინდანის მიმართ კრძალვა და რიდი, რომ ამგვარი მკრეხელობის გამეორებასაც არ ერიდება და მით უფრო, პატრიარქის თანდასწრებით ბედავს ასე აგდებით საუბარს.**

რაკი ქარჩხაძის ამ მოსაზრებას მნიშვნელოვან სიმპოზიუმზე ამდენ ყურადღებას უთმობს, როგორც ჩანს, პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილიც ფიქრობს, რომ საქართველოში მხოლოდ **„მონობის სენით შეპყრობილი კერპთაყვანისმცემლები", „მდიდარი ფარისევლები"** (ასეთებს უსუფაშვილი, ალბათ, პირადად იცნობს კიდეც) და **„ცრუ ადამიანები"** არიან. ქარჩხაძე-უსუფაშვილისთვის ასეთია დღევანდელი საქართველო. ვთქვათ, მწერალი თავისუფალია თავის ნააზრევში, მაგრამ პოლიტიკოსი, ეს უკანასკნელი კი ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფალია, როცა ამბობს, რომ მონებისთვის, ფარისევლებისთვის და ცრუ ადამიანებისთვის ქმნის კანონებს, ვერ უნდა აცნობიერებდეს, რომ მთელ ქვეყანას შეურაცხყოფს? **შეიძლება მის ირგვლივ მხოლოდ მონობის სენით შეპყრობილებს ხედავს, კერპთაყვანისმცემლებიც მოუმრავლდებოდა ივანიშვილისგან პარლამენტის თავმჯდომარედ ნაკურთხს, მაგრამ მდიდრებს შორის მხოლოდ ფარისევლები არიან? ისეთი არავინ ეგულება, თუნდაც ერთი მაინც, ვინც მართლა სიყვარულით ეწევა ქველმოქმედებას, ვინც უანგაროდ ეხმარება გაჭირვებულებს? მხოლოდ ცრუ ადამიანები ახვევია გარშემო და არაფერი სმენია ჭეშმარიტად მართალ, სამშობლოს მოყვარულ ადამიანებზე?** ძალიან ცუდ წრეში ტრიალებს ჩვენი უპირველესი კანონმდებელი — მონების, ფარისევლებისა და ცრუთა ტყვეობაში იმყოფება და იქნებ ოდესმე (და რაც შეიძლება მალე!) მაინც გაუნათდეს გონება დ განთავისუფლდეს ამ ტყვეობიდან.

და ციტატის დასასრულ კიდევ ერთი გაუგონარი მკრეხელობა: თურმე **„წმინდა ღვთისმშობელი ასეთ ქვეყანაზე, გარწმუნებთ, უარს იტყვის".** თუ ჰგონიათ ქარჩხაძეს და უსუფაშვილს, რომ წმინდანზე შეიძლება ისე ილაპარაკო, როგორც პოლიტიკურ ოპონენტზე, ძალიან შემცდარან. ასეთი აგდებული დამოკიდებულების გამოა, რომ საზოგადოებას დღევანდელ მწერალთა და პოლიტიკოსთა არამხოლოდ ნდობა არ აქვთ, არამედ ამ უკანასკნელთა ულმერთოებისა და ურწმუნოების გამო ხალხისთვის ისინი კეთროვნები არიან; ცოტა დრო დარჩა და ეჟვნებსაც შეაბამენ. რაც შეხება „ლეგენდას", იმდენად უვიცები არიან, რომ ვერც კი აცნობიერებენ, როგორ უარყოფენ წმინდა მამათა სწავლებებს.

**„...კომუნიზმის მეტასტაზებს, როგორც აღმოჩნდა, ძალზე ღრმად გაუდ-** ▶

**ძალიან ცუდ წრეში ტრიალებს ჩვენი უპირველესი კანონმდებელი — მონების, ფარისევლებისა და ცრუთა ტყვეობაში იმყოფება და იქნებ ოდესმე (და რაც შეიძლება მალე!) მაინც გაუნათდეს გონება დ განთავისუფლდეს ამ ტყვეობიდან**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „მივმართავ კახა კალაძეს: იმედია, ხალხის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტთ ამ პრობლემას, ნუ შესწირავთ საგარეჯოს თინა ხიდაშელის ამბიციებსა და ინტერესებს!“

**გამს ფესვი ჩვენს ეროვნულ სხეულში,“** — ამბობს ქარჩხაძე უსუფაშვილის პირით. მანამდე კი მოთქვამენ **„ორი ათასი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც კი ვერ მივუახლოვდით მაღალ არსს“**-ო. მაინც რამდენი წლის წინ გაჩნდა კომუნიზმის სატყუარა საქართველოში? რამდენ საუკუნეს ითვლის? საქართველოს ეროვნულმა სხეულმა არ იგუა კომუნიზმის მეტასტაზები და მაშინაც კი, როცა ყველაზე რთული იყო მასთან ბრძოლა, ქართველი მაინც პოულობდა გამოსავალს და ინარჩუნებდა მამულის, ენისა და სარწმუნოებისადმი, აგრეთვე, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებას. **არავითარი კომუნიზმის მეტასტაზები არ მოსდებია ჩვენს ეროვნულ სხეულს. ეს მყვირალა ფრაზა მის ავტორს მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ შემდეგ ამ „მეტასტაზების“ წინააღმდეგ საბრძოლველად შემართულმა უფრო მედგრად აძგეროს ლიბერალიზმის მახვილი ეროვნულ სხეულს და საბოლოოდ მოსპოს იგი.**

და ბოლოს, წერილის პირველი ნაწილი დავასრულოთ ქარჩხაძე-უსუფაშვილის „შეუწონარი სიბრძნით“ (კინაღამ „სირეგვნე შეუწონარი“ წამომცდა): **„...თუ კარგად ჩავუკვირდებით, კერძოდ, მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ღვთისმშობელს თავისი წილხვედრი ქვეყანა არასოდეს უნახავს, საფიქრებელია, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ჯერჯერობით მხოლოდ პოტენციურადაა. გახდება თუ არა რეალურად, ეს ჩვენზე და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული“.**

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: შეიძლება მწერალმა ფანტაზიის აფრები აუშვას (ერთმა ხომ სცადა ამ არგუმენტით თავის მართლება; მართალია, უსუსურად), მაგრამ, როცა პოლიტიკოსი და, მითუმეტეს, პარლამენტის თავმჯდომარე თავისი გამოსვლის გასამყარებლად ამგვარ „არგუმენტებს“ იშველიებს, უდავოა, იგი იზიარებს მწერლის ამ „ფანტაზიას“. ამჯერად ეს დუეტი გადაჭრით აცხადებს, რომ **„ღვთისმშობელს თავისი წილხვედრი ქვეყანა არასოდეს უნახავს“**. წმინდა ქალწულს, ალბათ, პოტენციურ ინვესტორად აღიქვამს, რომლის მოხიბვლაც კანონმდებლობით, გამარტივებული ბიზნესგარემოთი და საგადასახადო სისტემით შეგვიძლია.

აი, ასეთი წარმოუდგენელი მკრეხელობები მოიყვანა ჩვენმა რესპექტაბელურმა პარლამენტის თავმჯდომარემ თავისი „სიბრძნით გაჟღენთილი“ სკანდალური გამოსვლის გასამყარებლად. არადა, როგორც ამ წერილის შესავალში ვთქვი, **დავით უსუფაშვილი ნამდვილად არ არის იდიოტი!**

**მომდევნო წერილში სწორედ ამ გამოსვლას გაგაცნობთ აბზაც-აბზაც და დარწმუნდებით, რომ საქართველოს იმაზე დიდი საფრთხე ემუქრება, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ეს ის შემთხვევაა, როცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამშობლოს დაპატრონებას ეშმაკები ცდილობენ, ჰალსტუხიანი ეშმაკები!**

**ბონდო მძინარაშვილი**

# რა თანხების მითვისებაში ადანაშაულებენ თინა ხიდაშელს საგარეჯოელები და გამოაცხადებენ თუ არა მას პერსონა ნონ გრატად?



**ორიოდე დღის წინათ „საქართველო და მსოფლიოს“ საგარეჯოდან დაუკავშირდა სახალხო პარტიის მხარდამჭერი, გამგებლობის კანდიდატი ალექსი არაბული, რომელმაც ადგილობრივი მოსახლეობის გულისტკივილი გაგვიზიარა. მისი თქმით, საგარეჯო სასმელი წყლის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას. საქმე ის არის, რომ წყლის სათავეებთან ნავთობკომპანია „კანარგო ჯორჯია“ ნავთობის მოძიებით სამუშაოებს აწარმოებს ბურღვითა და აფეთქებებით, რაც ქმნის წყლის დაკარგვის საშიშროებას. ბატონი ალექსი დახმარებას ვიცეპრემიერ კახა კალაძეს სთხოვს: „მინდა, მივმართო კახა კალაძეს და ვთხოვო, ხალხის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვიტოს არსებული პრობლემა, ნუ შესწირავს საგარეჯოს თინა ხიდაშელის ამბიციებსა და ინტერესებს“.**

— კომპანია „კანარგო ჯორჯია“ 95 წლიდან მუშაობს ჩვენთან და არაერთი პრობლემა შეგვიქმნა. 2004 წელს მათ მიერ ნავთობის არასწორი ექსპლოტაციის შედეგად ნინოწმინდის ერთ-ერთ ჭაბურღილზე ამოფრქვევა მოხდა და ნინოწმინდა, პატარძეული და საგარეჯო დაიტბორა. ნინოწმინდა და მისი მიმდებარე ტერიტორია პატარა ჩერნობილად იქცა. ნინოწმინდას დღესაც არ აქვს სუფთა წყალი. ჩვენ, **ბუნებრივია, გავაპროტესტეთ ეს, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიეთ, რადგან ამ ბიზნესს სააკაშვილის ოჯახი ლობირებდა.** სამწუხაროდ, არც იმხანად და არც დღეს მომხდარზე პასუხი არავის უგია. არადა, ამოფრქვევის შედეგად საშინლად გაიზარდა ონკოლოგიური და სხვა დაავადებების რიცხვი. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შეიძლება, ხვალ წყალი საერთოდ აღარ გვქონდეს. სამწუხაროდ, საგარეჯოში საშუალება იმისა, რომ სხვა წყაროდან მივიღოთ სასმელი წყალი, არ არსებობს. გასულ წელს გვქონდა „კანარგო ჯორჯიასთან“ კამათი. შემდეგ გამოვძებნეთ საერთო ენა ამ კომპანიის წარმომადგენელთან, ვინმე ნუკრი ჭელიძესთან და პრობლემაც მოგვარდა. ავუხსენით ამ კაცს მდგომარეობა, ავიყვანეთ ცივგომბორის ქედზე, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, როგორ შეიძლება დაიკარგოს წყალი მათი მუშაობის შედეგად. საბედნიეროდ, კაცმა გაიგო ჩვენი გასაჭირი და იმავე დღეს, ჩვენი თანდასწრებით, რაც კი მძიმე ტექნიკა ჰქონდათ (ბულდოზერები, ტრაქტორები) გაიყვანეს იქიდან. ბატონმა ნუკრიმ ჩამოიტანა ახალი რუკა, რომელზეც მონიშნული იყო, სად იწარმოებოდა ნავთობის საძიებო სამუშაოები და სად არა. იქ ჩვენი წყლის სათავეები უკვე მოხსნილი იყო. დავმშვიდდით, გვეგონა, ეს პრობლემა აღარ დაგვიდგებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად! **წელს მათ განაახლეს მუშაობა საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის — თინა ხიდაშელის ნებართვით.** ერთი კვირის წინათ ხიდაშელმა მოიწვია საგარეჯოს კულტურის სახლში ხალხი და ერთი საათის განმავლობაში უმტკიცებდა, „კანარგო ჯორჯიას“ საქმიანობა მომგებიანი და სიკეთის მომტანი იქნება საგარეჯოსთვისო. ჩვენ გამოვიყვანთ სხვა წყალსო და ა. შ. 50 მილიონს დებს ეს კომპანია და ნუთუ თქვენ წინააღმდეგი ხართ ასეთი ინვესტიციისო. ეს ქალბატონი საერთოდ არ ფიქრობს იმაზე, რას ეუბნება ხალხი, ლაპარაკობს მხოლოდ იმას, რასაც ეუბნება „კანარგო ჯორჯია“, რითაც თვითონ არის დაინტერესებული. წარმოიდგინეთ, უწყლოდ საგარეჯო უდაბნოდ იქცევა და ეს ქალბატონი გვიმტკიცებს,— აშენდებითო.

**— კი მაგრამ, რა ინტერესი შეიძლება ამოძრავებდეს თინა ხიდაშელს, რაზე გაქვთ ეჭვი?**

— სწორედ ეს არის ჩემი მთავარი კითხვა მასთან, რომელზეც, რა თქმა უნდა, ჩემი პასუხი მაქვს. **თინა ხიდაშელი უანგაროდ არაფერს აკეთებს. დოკუმენტების გარეშე, ცხადია, უფრო მკაცრ ბრალდებას ვერ წავუყენებ. კულტურის სახლში მე მას პირდაპირ განვუცხადე, დამნაშავე ხარ, პირადი ინტერესების გამო ჩვენ მიერ მოგვარებული პრობლემა ხელახლა შეგვიქმენი-მეთქი. შეხვედრაზე გამოვაცხადე, რომ ჩვენთვის ეს მაჟორიტარი დეპუტატი იქცა მაოხრებელ დეპუტატად.** წელიწად-ნახევრის განმავლობაში მისი მუშაობის შედეგებს კარგად ვხედავთ, **თინა ხიდაშელმა საგარეჯო ააოხრა — ზნეობრივადაც, სულიერადაც, ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც.**

**— ასეთი რა გააკეთა?**

— გაიხსენეთ, საგარეჯოს გამგებლის სკანდალური დაკავება საბიუჯეტო თანხების მითვისების გამო. ყველაფერს ხიდაშელს უთანხმებენ, მის გარეშე გამგებელი ერთ ნაბიჯს არ დგამს. გარდა ამისა, მოძებნა ისეთი ადამიანები, რომლებსაც არაფერი გაუკეთებიათ საგარეჯოსთვის და დაგვიყენა უფროსებად. ეს ქალბატონი ადვილად სამართავ ხალხს ირჩევს და ასაქმებს, ალბათ, ხვდებით რატომაც. ახლა კი ამ პრობლემაში გაგვხვია. **მთელი საგარეჯო ეუბნება, არ გვინდა მილიონები, არავითარი ინვესტიცია და ალტერნატიული წყალიო; ეს კიდევ გაიძახის, — არა, გინდათ, უნდა გავაკეთოთო! ვიმეორებ: თინა ხიდაშელის მოტივაცია უანგარო არ არის.** 4 ივნისს ჩვენთან ჩამოვიდნენ „ქართული ოცნების“ კახეთის კოორდინატორი და თბილისის ცენტრალური ოფისის წარმომადგენელი. მათ სწორად გაიგეს ჩვენი პრობლემა და გვითხრეს, პირველ პირებთან არის შეთანხმებული ეს საკითხი, კერძოდ, კახა კალაძესთან, რომელიც თვლის, უნდა შეწყდეს ეს სამუშაოებიო. მოგვიანებით ჩამოვიდა კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილიც, რომელსაც გულწრფელად სურს ამ საკითხის საზოგადოების ინტერესების სასიკეთოდ მოგვარება. ჩვენ შევთანხმდით, რომ სამუშაოები შეწყდება 15 ივნისამდე, შემდეგ საზოგადოებასთან შეთანხმებით ან გაგრძელდება, ან — არა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არც ერთი საგარეჯოელი არ დათანხმდება სამუშაოების გაგრძელებას. მაგრამ, თუ ასე მოხდა, შეიძლება ომი დავიწყოთ. **თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართავ თელაველებს: გონს მოეგონ, ეტყობა, თელავმა არ იცის, რომ მათაც ემუქრება პრობლემა. ის აფეთქებები და ბურღვა ერთნაირად დაარღვევს იმ ქედის, როგორც სამხრეთ-დასავლეთ, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. მინდა, გაიგონ ეს, ხმა ამოიღონ და, თუ საჭირო გახდა, ჩვენთან ერთად იბრძოლონ.** აქვე გეტყვით, რომ **„კანარგო ჯორჯია“ უტიფარი ორგანიზაციაა.** როცა ნინოწმინდაში აფეთქება მოხდა, ვთხოვეთ, ავადმყოფებისთვის მიეხედათ და ზარალი აენაზღაურებინათ, მაგრამ უმნიშვნელოდ აანაზღაურეს მხოლოდ. ეს ერთი. მეორე და მთავარი: **ის წყალი, რომელსაც ნინოწმინდელების დიდი ნაწილი დღესაც სვამს, უვარგისია, მასში ტოქსიკური ნარჩენებია. არადა, ჩვენ ვუთხარით „კანარგო ჯორჯიას“, რომ ალტერნატიული საშუალება წყლის, რომლის სათავეებიც არ იყო დაზიანებული, არსებობდა და ვთხოვეთ, იქიდან გამოეყვანათ წყალი. დაგვპირდნენ, გავაკეთებთო და არ გააკეთეს.** ახლა გეტყვით, რატომ გავუსვი ამას ხაზი.

გუბერნატორმა მითხრა, რომ სახელმწიფოს დადებული აქვს ხელშეკრულება ამ კომპანიასთან და ამ ხელშეკრულების გაუქმებას გარკვეული პრობლემები მოჰყვება ჩვენთვის. მათ უჭირთ დასაბუთება იმისა, რომ ეს ხელშეკრულება გასაუქმებელია. მე რაც გითხარით, საკმარისია იმისთვის, რომ არათუ გააუქმონ, არამედ თავზე გადაახიონ ხელშეკრულება. ვნახოთ, რას იზამენ. ვიმეორებ, არავითარი პრობლემა იმისა, რომ გავაუქმოთ ხელშეკრულება, არ არსებობს, რადგან, როგორც გითხარით, ამ კომპანიას ბევრი დარღვევა აქვს, მეტიც, დანაშაული აქვს ჩადენილი. **მივმართავ კახა კალაძეს: იმედია, ხალხის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტთ ამ პრობლემას, ნუ შესწირავთ საგარეჯოს თინა ხიდაშელის ამბიციებსა და ინტერესებს!**

**— წინასაარჩევნო დღეებში მოსახლეობის გაღიზიანება „ქართულ ოცნებას“ კარგს არაფერს მოუტანს... როგორი განწყობაა საგარეჯოს მოსახლეობაში — უჭერენ ამ ყველაფრის ფონზე ხელისუფლების კანდიდატს მხარს?**

— **„ოცნების“ კანდიდატი გამგებლის პოსტზე — გიორგი მზირიშვილი თინა ხიდაშელის კადრია, არასამთავრობოში მოღვაწეობს. ხალხში კი ავრცელებენ ხმას, თითქოს ეს ადამიანი ღარიბაშვილის კადრია, რადგან თინამ და მისმა გარემოცვამ კარგად იცის, რომ კომპრომეტირებულნი არიან და ხალხს მათი დანახვა არ სურს,** ამიტომ იყენებენ ღარიბაშვილის სახელს. პირდაპირ გეტყვით: **თუ არ გააყალბეს, მზირიშვილი ვერ გაიმარჯვებს.** სხვათა შორის, გუბერნატორთან მქონდა ამ თემაზე საუბარი და არავის აქვს სურვილი გაყალბებისა, პირიქით. **მე ვიცი ხალხის განწყობა და ვაცხადებ, რომ ეს კაცი გაყალბების გარეშე ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ, ვიცნობ რა თინას ფსიქოლოგიას, არ მეპარება ეჭვი, რომ ის ყველაფერს გააკეთებს მის გასაყვანად, ანუ გაყალბებასაც არ მოერიდება.** მაქვს ფაქტებიც: საუბნო კომისიის წევრებს მონიტორნიგს რომ უტარებდნენ, უთხრეს, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, ოღონდაც „ოცნების“ კანდიდატი გაიყვანეთო. რას ნიშნავს ეს? ერთადერთი, ვინც ასეთ დავალებას გასცემდა, თინა ხიდაშელია. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან **ვეუბნები ხიდაშელს: მეც და დანარჩენი საგარეჯოც აღრენილები ვართ და ნუ იზამს ისე, რომ პერსონა ნონ გრატად გამოვაცხადოთ. თუ საგარეჯოელებს უნდათ, რომ გაგრძელდეს თინა ხიდაშელის დანაშაულებრივი რეჟიმი, მაშინ კი, ბატონო, აირჩიონ „ოცნების“ კანდიდატი და, თუ უნდათ, რომ დამთავრდეს ეს პრობლემები, მაშინ ჩვენ დაგვიჭირონ მხარი.** ჩემნაირი კაცი ხიდაშელს ყველაფერს ამოუქექავს და სწორედ ეს არ უნდა, ეს აშინებს. დღევანდელი გამგებელი, მთელი ადგილობრივი ხელისუფლება თინას მარიონეტები არიან, თინა ხიდაშელი საგარეჯოს ერთპიროვნული მმართველია. ფიქრობს, როგორც ამათ უგდებდა კაპიკებს, თავად კი მილიონებს იჯიბავდა, ისე მოექცეს იმათაც. შარშან მან და გამგებელმა 300 ათასიდან თითქმის ერთი მეოთხედი მიითვისეს,— გახსოვთ, ალბათ, გამგებლის სკანდალური დაკავება,— ახლა 50 მილიონი მოდის „კანარგოდან“ და, მეოთხედი რომ მოტეხონ, როგორც ადრე გააკეთეს, ცუდი იქნება? აი, ამიტომ უნდა თინას საკრებულოს დაკომპლექტება მორჩილი, მარიონეტი კადრებით და ეს უნდა გაიგოს სრულიად საგარეჯოს მოსახლეობამ.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სამხედრო თვითმფრინავი საცხოვრებელ სახლებს დაეცა

**აშშ-მექსიკის საზღვრიდან 120 კმ-ით დაშორებულ ქალაქ იმპერიალში (კალიფორნიის შტატი) აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი, გამანადგურებელი Harrier AV-9B ჩამოვარდა.** გამანადგურებელი საცხოვრებელ სახლებს დაეცა და აფეთქდა. წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლი არ არის. პილოტმა კი კატაპულტირება მოასწრო. **იმავე დღეს წყნარ ოკეანეში, კალიფორნიის სანაპიროსთან ახლოს მცურავ ამერიკულ ავიამზიდ USS CARE Vinson-ის გემბანზე დაჯდომისას კატასტროფა განიცადა მოიერიშე გამანადგურებელმა F/A-18E Super Hornet-მა, რომელიც წყალში ჩავარდა.**



## ექსპერტი აშშ-ის ორმაგი სტანდარტის შესახებ: დასავლური ელიტა სიტუაციის მიხედვით მოქმედებს

**აშშ მხარს უჭერს უკრაინის არმიის მოქმედებას ქვეყნის აღმოსავლეთში, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელი სამხედროები მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავენ, — განაცხადა გამოცემა Chronicles მიმომხილველმა, წარმოშობით სერბმა ამერიკელმა მწერალმა სრჯა ტრიფკოვიჩმა ტელეარხ Russia Today-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„როცა ასეთ საქციელს სჩადის სირიის ლიდერი ბაშარ ასადი — ეს სამხედრო დანაშაულია და მშვიდობიანი მოსახლეობის გადასარჩენად აუცილებლად უნდა განხორციელდეს სამხედრო ინტერვენცია, — განაცხადა ექსპერტმა ტრიფკოვიჩმა, — **ხოლო, როდესაც უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო ან ვინმე სხვა, ვისაც ვაშინგტონი მხარს უჭერს, სამოქალაქო ობიექტებს, მათ შორის საავადმყოფოებს, ავიაციისა და არტილერიის გამოყენებით ბომბავს — ეს, რა თქმა უნდა, ლეგიტიმური ქმედებაა ტერორისტთა წინააღმდეგ**. ასე იმიტომ ხდება, რომ დასავლური ელიტა მოქმედებს სიტუაციის ეთიკის მიხედვით: მოქმედება ფასდება არა როგორც მოქმედება, არამედ იდეოლოგიური პოზიციის გათვალისწინებით, ვინ ჩაიდინა ეს მოქმედება“.

აპრილის შუა რიცხვებიდან ოფიციალური კიევი უკრაინის აღმოსავლეთში სადამსჯელო ოპერაციას ატარებს პროტესტის ჩახშობის მიზნით, ეს პროტესტი კი 22 თებერვალს მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალებით არის გამოწვეული. ამასთანავე, უკვე მესამე წელია, სირიაში მძვინვარებს სამოქალაქო ომი, რომელმაც 150 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ექსტრემისტული დაჯგუფებები, რომლებიც სამთავრობო ჯარებს უპირისპირდებიან, მშვიდობიან მოსახლეობასაც არ ინდობენ. **ამის მაგალითებია სომხების გაძევება ქალაქ კესაბიდან, მაალიულში ქრისტიანული მონასტრის დარბევა და სისხლიანი ანგარიშსწორება სირიელი ქურთების მიმართ.**



## ეგვიპტეს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

**ეგვიპტის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, მარშალმა აბდულ ფათახ ას-სისიმ სახელმწიფოს მეთაურის პოსტისთვის გამართულ არჩევნებში გაიმარჯვა.** ას-სისის მხარი დაუჭირა 23,7 მილიონმა ადამიანმა (ამომრჩეველთა 96%).

59 წლის **აბდულ ფათახ ას-სისის** პოპულარობა განაპირობა მისმა გაბედულმა მოქმედებებმა საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, რომელიც ხელისუფლებიდან ისლამისტების ჩამოშორებით დასრულდა.

# ამერიკული მსოფლიო წესრიგის დასასრული



**მრავალწახნაგოვანი მსოფლიოს სტაბილურობა მოითხოვს თანამშრომლობის ახალ ფორმებს, როცა ლიდერობა ერთი ქვეყნის მიერ კი არ არის მონოპოლიზებული, არამედ განაწილებულია. აუცილებელი იქნება საერთაშორისო ინსტიტუტების რეფორმირება და ისეთი ორგანიზაციების შექმნა, როგორიც არის G20. ძალიან მნიშვნელოვანია მშვიდობისა და მდგრადობის რეგიონული მექანიზმებიც.**

THE HINDU



**ჩანასახში არსებული ახალი მსოფლიოს წესრიგი იქნება არა ორპოლუსიანი ან მრავალპოლუსიანი, არამედ მრავალწახნაგოვანი.**

**მრავალწახნაგოვანი მსოფლიო ითვალისწინებს ბევრ რეგიონულ და მსოფლიო ლიდერ-სახელმწიფოს, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან ურთიერთდამოკიდებულების რთული ფორმებით.**

**გთავაზობთ ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის — ამიტავ აჩარიას სტატიას „ამერიკული მსოფლიო წესრიგის დასასრული“, რომელიც მან ინტერნეტგამოცემა The hindu-ს გვერდზე გამოაქვეყნა.**

ამერიკელი კრიტიკოსები რუსეთის მიერ ყირიმის მიერთებას ობამას საგარეო პოლიტიკის სისუსტით ხსნიან. სენატორი რესპუბლიკური პარტიიდან, ჯონ მაკკეინი, ობამას „აშშ-ის ისტორიაში ყველაზე მიამიტ პრეზიდენტს“ უწოდებს.

ამის მიუხედავად, ამერიკული ელიტის გარეთ მკვიდრდება თვალსაზრისი, რომ **უკრაინაში შექმნილი ვითარება არამხოლოდ ობამას ჩავარდნაზე მეტყველებს, არამედ აშშ-ის დასუსტებაზეც**. მაგალითად, აშშ-ში პაკისტანის ყოფილი ელჩის — მალიჰა ლოდჰის აზრით, ობამას კრიტიკოსთა უმეტესობას ჯიუტად არ სურს შეამჩნიოს, რომ **აშშ-ის ძლიერებასაც აქვს საზღვარი შეცვლილ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია, დამოუკიდებლად მიაღწიოს დასახულ მიზნებს და იბატონოს სხვა სახელმწიფოზე მძლავრი უხეში ძალის გამოყენებითაც კი.**

2012 წლის იანვარში კონგრესის წინაშე მოხსენებით წარმდგარმა ობამამ განაცხადა, რომ „ყველას, ვინც ამბობს, რომ ამერიკა სუსტდება ან მისი გავლენა მცირდება, არ ესმის, რასაც ამბობს“. თუმცა **დაზვერვის ნაციონალური საბჭოს 2012 წლის დეკემბრის ანგარიშში ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნების მზარდი განვითარების ფონზე აშშ მაინც რჩება თანასწორთა შორის პირველ სახელმწიფოდ, 1945 წელს დაწყებული ამერიკის ბატონობის ერა სწრაფად უახლოვდება დასასრულს“.**

### მზარდი სახელმწიფოები

მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი შეპირისპირების საერთაშორისო პროგრამების შედეგები მოწმობს, რომ **წლის ბოლოს ჩინეთმა, შესაძლოა, გაუსწროს აშშ-ს, ეკონომიკის სიმძლავრით მსოფლიოს მესამე ქვეყანა კი ინდოეთი გახდეს.**

**უკრაინის კრიზისის მთავარი გაკვეთილი არის ის, რომ აშშ თავისი მიზნებისთვის ველარ იყენებს მზარდ ქვეყნებს**.

ამერიკელი პოლიტოლოგი ჯონ აიკერბერი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ იმისგან დამოუკიდებლად, სუსტდება თუ არა ამერიკა, ლიბერალური წესრიგი, რომელიც მან შექმნა და რომელშიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბატონობდა, შენარჩუნდება და შეიძლება მთავარი გამოწვევებიც კი გადაყლაპოს, მათ შორის, ჩინეთიც. მაგრამ ეს მოსაზრება რომ არასწორია უკრაინის კრიზისმა აჩვენა. მით უმეტეს, რომ რუსეთმა აშშ და ნატო საბრძოლველად გამოიწვია. სწრაფად განვითარებადმა ქვეყნებმა (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გაეროს გენერალურ ასამბლეაზე თავი შეიკავეს ყირიმის რეფერენდუმის (ამ რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე მიიერთა რუსეთმა ყირიმი) კანონიერების რეზოლუციაზე კენჭისყრისგან. ეს მოსკოვმა გამარჯვებად შეაფასა.

გზავნილი უბრალო და ნათელია. **ამ ქვეყნებმა ამჟამინდელი საერთაშორისო წესრიგისგან გარკვეული სარგებელი მიიღეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერს უცვლელად დატოვებენ და აშშ-ს უსიტყვოდ დაემორჩილებიან**. უკვე ჩანს პირველი ნიშნები იმისა, რომ ინდოეთის მთავრობამ, ნარენდრა მოდის ხელმძღვანელობით, შესაძლოა, უფრო აგრესიული საგარეოპოლიტიკური კურსი აიღოს.

ჩნდება კითხვა: **რით შეიცვლება ერთპოლუსიანი მსოფლიო?** სხვადასხვა მოსაზრების გათვალისწინებით, ჩვენ მრავალპოლუსიანი მსოფლიოსკენ მივისწრაფვით. ზოგი ორპოლუსიანი სისტემის შექმნას ვარაუდობს, აშშ-ისა და ჩინეთის მონაწილეობით, მაგრამ **ჩანასახში არსებული ახალი მსოფლიო წესრიგი იქნება არა ორპოლუსიანი ან მრავალპოლუსიანი, არამედ მრავალწახნაგოვანი**.

**მრავალწახნაგოვანი მსოფლიო ითვალისწინებს ბევრ რეგიონულ და მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოს, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან ურთიერთდამოკიდებულების რთული ფორმებით**. ეს იქნება მრავალდარბაზიანი კინოთეატრის მსგავსი, რომლის სახურავის ქვეშ ერთდროულად სხვადასხვა ფილმს უჩვენებენ, თავიანთი რეჟისორებითა და მსახიობებით.

**მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო არენაზე აშშ კვლავაც დარჩება ძირითად ძალად, ის უკვე ველარ შეძლებს თავისი ინტერესების შესაბამისი მსოფლიო წესრიგის გამოძერწვას,** ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების საქმეში აშშ ერთ-ერთი ბურჯი იქნება განვითარებად ქვეყნებთან, რეგიონულ ძალებსა და ძველი და ახალი სახელმწიფოების კავშირებთან ერთად.

> **აშშ-ის დაზვერვის ნაციონალური საბჭოს 2012 წლის დეკემბრის ანგარიშში ნათქვამია: «მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნების მზარდი განვითარების ფონზე აშშ მაინც რჩება თანასწორთა შორის პირველ სახელმწიფოდ, 1945 წელს დაწყებული ამერიკის ბატონობის ერა სწრაფად უახლოვდება დასასრულს»**

**მრავალწახნაგოვანი მსოფლიო ერთპოლუსიანზე ნაკლებად სტაბილური ხომ არ იქნება?** მომავლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. ჟურნალი Economist-ი მისტირის აშშ-ის მიერ ძალაუფლების დაკარგვას, მას „შეკავების პოლიტიკის დაქვეითებას“ უწოდებს და თვლის, რომ ეს აშშ-ის მტრებს აღაფრთოვანებს, მის მოკავშირეებში კი დემორალიზაციას იწვევს.

მაგრამ „შეკავების პოლიტიკას“ არ შეეძლო, ხელი შეეშალა ძლიერი მოწინააღმდეგეების ზრდისთვის, მაგალითად, „ალ ქაიდასთვის“.

ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ სტაბილურობის უზრუნველყოფის ახალი მეთოდები, რომლებიც აქვთ ამერიკასა და მზარდ ქვეყნებს.

### გლობალური ურთიერთდამოკიდებულება

XIX საუკუნის მრავალპოლუსიან და მომავლის მრავალწახნაგოვან მსოფლიოს შორის ერთ-ერთი პრინციპული განსხვავება არის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. XIX საუკუნის ევროპაში ურთიერთდამოკიდებულება, ძირითადად, ეფუძნებოდა ვაჭრობას, მაგრამ ის კოლონიების ძებნაში ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მეტოქეობამ გააფუჭა. ამჟამინდელი ურთიერთდამოკიდებულება ფართოც არის და ღრმაც. ის მოიცავს არამხოლოდ ვაჭრობას, არამედ ფინანსებს, საწარმოების ქსელებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ შეთანხმებებს, რომლებიც XIX საუკუნეში არ არსებობდა.

**მრავალწახნაგოვანი მსოფლიოს სტაბილურობა მოითხოვს თანამშრომლობის ახალ ფორმებს, როცა ლიდერობა ერთი ქვეყნის მიერ კი არ არის მონოპოლიზებული, არამედ განაწილებულია. აუცილებელი იქნება საერთაშორისო ინსტიტუტების რეფორმირება და ისეთი ორგანიზაციების შექმნისთვის ხელშეწყობა, როგორიც არის G20. ძალიან მნიშვნელოვანია მშვიდობისა და მდგრადობის რეგიონული მექანიზმებიც.**

სტაბილურობისა და გავლენის შესანარჩუნებლად აშშ-ს ძალაუფლების გაყოფა მოუწევს. აშშ-ის გაერთიანებული შტაბების მეთაურთა კომიტეტის თავმჯდომარე მარტინ დემპსიმ ახლახან შენიშნა, რომ ცვალებადი საერთაშორისო სტრატეგიული ვითარების პირობებში აშშ-ს სულ უფრო გაუჭირდება სამხედრო ძალის გამოყენების დასაბუთება, ამერიკელებმა მომავალში უარი უნდა თქვან საომარ მოქმედებებში უშუალო ჩართვაზე და მეტი ყურადღება დაუთმონ „პარტნიორული კავშირების აგებასა და სხვა მოთამაშეების მოზიდვას“. ეს კი კიდევ ერთი ნაბიჯია მრავალწახნაგოვანი მსოფლიოსკენ.

www.thehindu.com




## 1.ამერიკელებმა შეიტყვეს, რომ მათ ხელისუფლება უსმენდა

**მოსმენების გამო ატეხილი სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა თვითონ ამერიკელი ხალხი, რომელიც განცვიფრდა, რა შორს შეტოპა აშშ-ის ხელისუფლებამ სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის. ამისათვის კი სამსხვერპლოზე თავისუფლება მიიტანა.** კვლევითი ცენტრის — Pew-ის მიერ 2014 წლის იანვარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, **ამერიკელთა 70 პროცენტს არ სურს თავისუფლების დაკარგვა, უსაფრთხოების გამოც კი. თუმცა აზრი იმის შესახებ, სნოუდენმა დააზარალა თუ არა აშშ მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნებით, გაიყო.** ჟურნალისტი გლენ გრინვალდი, რომელიც სნოუდენს მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნებაში დაეხმარა, ამტკიცებს, რომ **ეს ყველაფერი არ არის და მსოფლიო მალე შეიტყობს იმას, რაც თამაშის წესებს ძირფესვიანად შეცვლის.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 8 ყველაზე ხმაურიანი სკანდალი, რომლებიც სნოუდენის დოკუმენტების გამოქვეყნებამ გამოიწვია

ტელეარხ Russia Today-ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე გამოქვეყნდა 8 ყველაზე დიდი სკანდალის სია, რომელიც ედვარდ სნოუდენის მამხილებელი დოკუმენტების გასაჯაროების შედეგების მიხედვით შეადგინეს:



## 8. ავღანეთი და ბაჰამის კუნძულები: სამოთხე სატელეფონო საუბრების მოსასმენად

ერთი ქვეყანა კუნძულებზე მდებარე სამოთხეა, რომელსაც შეიარაღებული ძალები არ ჰყავს. მეორე სახელმწიფოს ზღვაზე გასასვლელი არ აქვს, იქ კლიმატი მკაცრია და უკვე რამდენიმე ათეული წელია, ომი მძვინვარებს. რა უნდა ჰქონდეთ მათ საერთო?

ამ ქვეყნების ყველა საშინაო და საგარეო სატელეფონო საუბარს აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო (ნუს) უსმენდა და ჩანაწერებს 30 დღის განმავლობაში ინახავდა. ამ ამბის გახმაურების შემდეგ ბაჰამის კუნძულებზე აღშფოთება მალე ჩაცხრა, რადგან ქვეყანამ, რომლის მოსახლეობაც 500 ათასი კაციც არ არის, ჩრდილოელ მეზობელთან ჩხუბი არ ისურვა.

ავღანეთში კი ბოლო წლებში იმდენი ნამდვილი ბომბი აფეთქდა, რომ საინფორმაციო ომი ბოლო ადგილზეა მოსახლეობის ინტერესების ჩამონათვალში.

კითხვა, რომელიც ნუს-ის თვალთვალითა და მიყურადებით დაღლილ აშშ-ის მოკავშირეებს გაუჩნდათ, ასეთია: **რისთვის უნდა ჩაიწერო სატელეფონო საუბრები მეზობელი ქვეყნის კანონმორჩილი მოსახლეობისა, რომელსაც ტერორიზმში იმდენივე გამოცდილება აქვს, რამდენიც სახლის სახურავებიდან თოვლის გადაწმენდაში?**



## 7. «გადატვირთვა»

**დიდ ბრიტანეთში მოქმედმა ამერიკელმა ჯაშუშებმა 2009 წელს ლონდონში G8-ის სამიტის მიმდინარეობისას ხელში ჩაიგდეს რუსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის ზესაიდუმლო გზავნილი.** ამ შემთხვევამ ბარაკ ობამას ორპირობა წარმოაჩინა, რადგან ამერიკელმა ჯაშუშებმა მედვედევის გზავნილი ობამასთან მისი პირველი შეხვედრიდან (სადაც მათ აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ისაუბრეს) რამდენიმე საათის შემდეგ „დაიჭირეს“.



## 6. ჯაშუშობა ისრაელის წინააღმდეგ

**ამერიკელები წლების განმავლობაში უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლებს.** „აშშ რეგულარულად ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას ისრაელის სამხედრო და დიპლომატიური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. განა მეგობრებს ასეთი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ?“ — აღშფოთებას ვერ მალავდა ისრაელის ტრანსპორტის მინისტრი ისრაელ კაცი. ქვეყნის მთავრობის მეთაური ბენიამინ ნეთანიაჰუ თავდაპირველად ჩუმად იყო, შემდეგ კი ამ პრობლემის გამოძიების განკარგულება გასცა. ნეთანიაჰუს საქციელი გასაკვირად მშვიდი იყო იმ სახელმწიფოების ლიდერების საქციელთან შედარებით, რომლებიც ნუს-ის თვალთვალის ობიექტები შეიქნენ, თუმცა ნეთანიაჰუმ, ალბათ, იცოდა ის, რაც არ იცოდნენ მათ.



## 5. რას ამბობდით ჩინელ ჰაკერებზე?

აშშ მრავალი წლის განმავლობაში ადანაშაულებდა ჩინეთს კიბერშპიონაჟში, მაგრამ, როდესაც ცნობილი შეიქნა, რომ ამერიკა უსმენდა და უთვალთვალებდა ჩინეთის უმაღლეს ხელისუფლებას, ამ ქვეყნის სატელეკომუნიკაციო გიგანტს — Huawei-ს და სახელმწიფო ბანკებს, უკვე ვაშინგტონს მოუწია ახსნა-განმარტებების მიცემა.

ამის შემდეგ **ჩინეთმა აშშ „ორმაგი სტანდარტების“ გამოყენებასა და „თვალთმაქცობაში“ დაადანაშაულა**.



## 4. აშშ-მა ბრაზილია გააბრაზა

**მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ლიდერი შეეცადა, კორექტული ყოფილიყო, როდესაც შეიტყო, რომ მის სატელეფონო საუბრებს აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო უსმენდა, მაგრამ ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმა რუსეფმა, ბრაზილიის ხელისუფლებისა და ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების წინააღმდეგ ჯაშუშობის გამო, რისხვა არ დამალა ჩრდილოელი მეზობლის მიმართ.** რესეფმა გააუქმა ოფიციალური ვიზიტი ვაშინგტონში, ემოციურად გამოვიდა გაეროში აშშ-ის მიერ საერთაშორისო ნორმების დარღვევის გამო და ინტერნეტზე ახალი გლობალური სამართლებრივი ნორმების დაწესებისკენ მოუწოდა გაეროს. **„ერთი ქვეყნის მოქალაქეების უფლება უსაფრთხოებაზე არ შეიძლება, გარანტირებული იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დარღვევით,“** — განაცხადა ბრაზილიის პრეზიდენტმა.



## 3.ანგელა მერკელიც არ დაინდეს

**გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაზრდილი ანგელა მერკელისთვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის ტელეფონს ნუს-ი უსმენდა, მძიმე აღმოჩნდა.** ამას ისიც დაემატა, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ უარი განუცხადა გერმანელებს მერკელის დოსიეს გადაცემაზე, ამერიკელებმა თავი აარიდეს გერმანელების მიერ მოსმენების შესახებ დასმულ კითხვებს. აპრილში გერმანიაში დაიწყო ნუს-ის ჯაშუშობის ფაქტების გამოძიება. ბერლინი ცდილობს, ვაშინგტონთან გააფორმოს შეთანხმება, რომელიც აკრძალავდა ამ ორი ქვეყნის ერთმანეთზე ჯაშუშობას, მაგრამ ობამამ მიანიშნა, რომ ასეთი შეთანხმების გაფორმების შანსი ნულის ტოლია.

## 2. სნოუდენი და აშშ-რუსეთის ურთიერთობა

**იმ მომენტში, როცა სნოუდენის მიერ მოპოვებული მამხილებელი დოკუმენტები გასაჯაროვდა, თვითონ სნოუდენი ჰონგკონგში იმყოფებოდა. მან, ვადაგასული პასპორტის მიუხედავად, ქალაქის დატოვება მაინც შეძლო.** ამერიკული სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი სამხრეთ ამერიკაში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ მას დიდი ხნის განმავლობაში მოუწია ყოფნა მოსკოვის აეროპორტის სატრანზიტო ზონაში. შემდეგ სნოუდენს თავშესაფარი შესთავაზეს რუსეთში, მაგრამ პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ სნოუდენის მოღვაწეობამ რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობა არ უნდა დააზარალოს.

სნოუდენის წარმომადგენელმა კი თქვა, რომ რუსეთი აშშ-ის კოლონია არ არის და ამერიკელთა მოთხოვნას სნოუდენის გადაცემის შესახებ კანონიერი საფუძველი არ აქვს. ამას მოჰყვა ობამას უარი მოსკოვში ვიზიტზე, G20-ის სანკტ-პეტერბურგის სამიტის წინ (2013 წლის სექტემბერი). რუსეთში განაცხადეს, რომ ვაშინგტონს კვლავინდებურად არ ძალუძს მოსკოვთან თანაბარ პირობებში ურთიერთობა.

რა თქმა უნდა, აშშ-სა და რუსეთს შორის განხეთქილების შეტანაში სნოუდენს დიდი წვლილი მიუძღვის, მაგრამ ეს მას თავისი სურვილით არ გაუკეთებია. როდესაც სნოუდენს ჰკითხეს, რატომ იმყოფება რუსეთში, მან უპასუხა: „ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ჰკითხეთ“.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ენგურის შესართავთან პორტის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკური აღორძინების იდეა ბუნებრივ-ეკოლოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილი, სოციალურად გამართლებული და ეკონომიკურად ეფექტიანი საქმიანობაა.

# სად და როგორ უნდა აშენდეს პორტი ანაკლიაში?

**ჩვენ ვერ შევცვლით ბუნების კანონზომიერებებს, ჩვენ ის უნდა გავითვალისწინოთ**

**ამჟამად მსოფლიო ოკეანის 50 კმ-იანი სიგანის სანაპირო ზოლში პლანეტის მოსახლეობის 27%-ზე მეტი და კოლოსალური ეკონომიკური პოტენციალია თავმოყრილი. საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის 90 % სწორედ ზღვებისა და ოკეანეების გავლით ხორციელდება. სავაჭრო ფლოტში კი 35 ათასზე მეტი ხომალდია. მათ შორის, სუპერტანკერების ტვირთამწეობა 0,5-1,0 მლნ ტონას აღწევს. ყოველი მათგანის გზა ზღვის ნაპირზე იწყება და ნაპირზევე მთავრდება. აქედან გამომდინარე, ცხადია, ზღვის სანაპირო ზონა თავისი ბუნებრივი განვითარებისას თანამედროვე ეპოქაში უზარმაზარ ანთროპოგენურ დატვირთვას განიცდის, განსაკუთრებით — პორტების მშენებლობისას, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ზღვის ფართო აკვატორიის დაკავებასთან, მოლოებისა (დამცავი მოლო (Breakwater) – სპეციალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა) და ტალღასატეხების აგებასთან, რაც სანაპირო ზონის რეჟიმის დარღვევას იწვევს და ნეგატიურ შედეგებს იძლევა. მაგალითად, მოსილვას და პორტის აკვატორიის გათავთხელებას, მიმდებარე უბნებზე ნატანის დეფიციტის შექმნას, ქვედა წარეცხვების (ხმელეთის მიმდებარე ზღვის ფსკერის ეროზია) გააქტიურებას და, როგორც შედეგი, მას მოყვება ძირითადი ნაპირების ნგრევა და დეგრადაცია. ამ ბუნებრივ პროცესში ადამიანის არაგონივრული ჩარევით გამოწვეული უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ მიმართული ნაპირდაცვითი საქმიანობის ჩატარება მეტად ძვირია; ამასთან, ის ამცირებს სანაპირო ზოლის ატრაქციულობასა და მის საკურორტო-რეკრეაციულ პოტენციალს.**



**ბატონი ერაგიას წერილში თავდაყირაა დაყენებული დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების, კერძოდ, სანაპირო გეომორფოლოგიასა და ლითოდინამიკაში დღეს უკვე ანბანურ ჭეშმარიტებად ქცეული დებულებები და მათი კავშირი პორტების დაპროექტებასა და ფუნქციონირებასთან**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, მისი გადაცემა მომავალი თაობებისთვის და ხანგრძლივი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა აშკარად მოითხოვს რიგი დარგებისთვის პროექტების შემუშავებასა და რეალიზებას. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენს ქვეყანას უამრავი შესაძლებლობა აქვს. მათ შორის არის საკმაოდ მიმზიდველი პროექტების განხორციელება შავი ზღვის რესურსების (კერძოდ, სანავსადგურო ინფრასტრუქტურის) ათვისების გზით.

**მსოფლიოს ზღვებისა და ოკეანეების ნაპირებზე (მათ შორის, საქართველოს ზღვისპირა პერიმეტრზე) პორტების (გაგრა, ოჩამჩირე, ყულევი, ფოთი, ბათუმი) მოწყობის ხანგრძლივი პრაქტიკიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სანაპიროს საკმაოდ ლაბილურ, დინამიკურ და მოწყვლად ზონაში აგებული კაპიტალური ნაგებობების ექსპლოატაცია უმეტეს შემთხვევაში გამოუსწორებელ და ნეგატიურ შედეგს იძლევა.**

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი საზღვაო პორტების აშენების მიზნით მოხერხებული არ არის. **ამის მთავარი მიზეზი ზღვის სანაპიროს გეომორფოლოგიური ნიშნებისა და გეოლოგიური აგებულების განსაკუთრებული თავისებურებებია: 1. ზღვისპირა ხმელეთი ნაკლებადაა დანაწევრებული; 2. ზღვისპირა ხმელეთი მდინარეების მიერ შემოტანილი ნაშალი მასალის დალექვის შედეგადაა ჩამოყალიბებული. სანაპიროც, ძირითადად, აკუმულაციური ხასიათისაა. ამიტომ მთელ პერიმეტრზე ხმელეთში ბუნებრივად შეჭრილი და მნიშვნელოვანი სიღრმის ზღვის ყურეები, ფაქტობრივად, არ გვაქვს.**

**სამაგიეროდ, ხმელეთის მიმდებარე ზღვის ფსკერი საკმაოდ რთული რელიეფით ხასიათდება და ზღვის შელფში (არცთუ იშვიათად, სანაპირო ზონაში) შეჭრილი ე.წ. წყალქვეშა კანიონების სათავეების სიმრავლით გამოირჩევა.** სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ზღვისპირა სანაპიროს ზოგიერთ მონაკვეთზე საპორტო მშენებლობისთვის შედარებით ხელსაყრელ პირობებს. ამის მიუხედავად, ზემოაღნიშნული მხოლოდ ნაწილობრივი პირობაა სრულფასოვანი პორტის მშენებლობისა და ეფექტიანი, ექსპლოატაციის თვალსაზრისით. ამიტომ მსოფლიოს დიდი საზღვაო პორტები ბუნებრივ, ღრმა და ღელვისგან დაცულ ყურეებშია განლაგებული. ხაზგასასმელია, რომ ასეთ პორტებში თითქმის არ შეიმჩნევა მათი ფუნქციონირებისთვის შემაფერხებელი აკუმულაციური მასალის (ალევრიტი, წვრილი ქვიშა) არსებობა და მისი გადაადგილება.

საქართველოს ვერც ერთი საზღვაო პორტი ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს სრულად ვერ აკმაყოფილებს. ეს გარემოება გაითვალისწინეს და კარგადაც გაანალიზეს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის მიერ ამ სანაპიროს შესასწავლად მოვლინებულმა სამხედრო ინჟინრებმა — შავროვმა და ჟარინცევმა, რომელთა ხელმძღვანელობითაც აშენდა რთული ბუნებრივი პირობების მქონე ფოთისა და ბათუმის პორტები. ცხადია, რომ **საქართველოში სრულფასოვანი საზღვაო პორტის მოწყობისთვის საჭიროა ვრცელი, ტალღებისგან დაცული ღრმა აკვატორიისა და ზღვის დიდი სიღრმეებიდან ხმელეთამდე მისასვლელი ღრმა ბუნებრივი „არხის“ მქონე პორტი-ყურესათვის სათანადო პირობების (ნაწილობრივად მაინც) ხელოვნურად შექმნა.**

**საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ასეთი ხელსაყრელი პირობები რამდენიმე ადგილზე გვაქვს. ერთ-ერთი ხელსაყრელი ადგილი მდინარე ენგურის ძველი შესართავია, სადაც წყალქვეშა კანიონის სათავეები სანაპირო ხაზთან ძალიან ახლოსაა (ნაპირიდან 150-200 მ) შემოჭრილი.** ამასთანავე, **ვრცელი აკვატორიის შექმნა შედარებით მარტივად სწორედ აქაა შესაძლებელი.** როგორც ჩანს, დასაპროექტებელი პორტის მიმდებარე ხმელეთთან საკმაოდ ახლოსაა ბუნებრივი დიდი სიღრმეები. ამის გამო, პორტის აკვატორიასა და ზღვის დიდ სიღრმეებს შორის მოქცეული წყალმარჩხი ზოლის სიგანე აშკარად მცირეა. ამ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პორტის მშენებლობის ღირებულებისა და მოძრაობის შემაფერხებელი ლითოდინამიკური პროცესების რეგულირების თვალსაზრისით.

დარგის სპეციალისტებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ საპორტო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რელიეფსა და სანაპირო პროცესებს. ჩვენ **ზემოთ ვახსენეთ აკუმულაციური მასალის უარყოფითი გავლენა პორტების ფუნქციონირების საქმეში. ამ თვალსაზრისით, ენგურის ზღვის შესართავი მომგებიანია, რადგან მდინარე ენგურის მაღლივი კაშხლის აშენების შემდეგ მისი თხევადი ჩამონადენი D მდინარე ერისწყალში იქნა გადაგდებული და მყარი ნატანიც თითქმის 4-ჯერ შემცირდა.** ამიტომ, ენგურის შესართავში პორტის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკური აღორძინების იდეა, ბუნებრივ-ეკოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილი, სოციალურად გამართლებული და ეკონომიკურად ეფექტიანი საქმიანობაა. ეკონომიკის ექსპერტთა თვალსაზრისით, ის შეიძლება გახდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამშვები მექანიზმი და მისი მამოძრავებელი ღერძი.

ამასთანავე, დგება პრობლემა, როგორი უნდა იყოს პორტის დიზაინი და განლაგება, მისი ფუნქციონირება ეფექტიანიც რომ იყოს და ბუნებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგეს. თანამედროვეობის ურთულესი საკითხი სწორედ ესაა. ამ პრობლემას ნათლად აჩვენებს ამჟამინდელი ფოთისა და ყულევის პორტების ფუნქციონირებისას შექმნილი ახალი პრობლემები.

ამ საკითხის შესახებ „საერთო გაზეთში“ (№14, 281, 16.04.2014) გამოქვეყნებულმა ვრცელმა წერილმა დასაწყისშივე გაგვაოცა თავისი პრეტენზიული სათაურით „თუ ანაკლიის პორტის მშენებლობა სპარტაკ ერაგიას პროექტის მიხედვით არ განხორციელდა, შეიძლება მივიღოთ ახალი ფოთი ან ბათუმი, რითაც სამუდამოდ დასამარდება ის საერთაშორისო მნიშვნელობის პერსპექტივა, რაც ანაკლიის პორტს გააჩნია“. ჩვენ შეიძლება, ამჟამადაც არ მიგვექცია ყურადღება ბატონი ერაგიას ყულევისა და ანაკლიის პორტების პროექტებზე, მაგრამ იმან, რაც ზემოთ აღნიშნულ საგაზეთო წერილში წავიკითხეთ, ძლიერ შეგვაშფოთა და გაგვაოცა. **ბატონი ერაგიას წერილში თავდაყირაა დაყენებული დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების, კერძოდ, სანაპირო გეომორფოლოგიასა და ლითოდინამიკაში დღეს უკვე ანბანურ ჭეშმარიტებად ქცეული დებულებები და მათი კავშირი პორტების დაპროექტებასა და ფუნქციონირებასთან.** წერილის შესავალ ნაწილში ასევე მეტად პრეტენზიულად წერია: „არავის ვეკითხებით, რადგანაც ჩვენი ქვეყნისთვის ვაშენებთ და არა საკუთარი ჯიბისთვის...“

დიახ, რადგან ეს პორტი ქვეყნის სასარგებლოდ უნდა აშენდეს, **საჭიროა, დეტალურად გაანალიზდეს ნებისმიერი ასეთი პროექტი, გრანდიოზულმა პროექტმა გრანდიოზული კატასტროფა რომ არ მოგვიტანოს.** ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მარტივი ჭეშმარიტება: ჩვენ ვერ შევცვლით ბუნების კანონზომიერებებს, ის უნდა გავითვალისწინოთ და მხოლოდ ასე ვიმოქმედოთ. **ერაგიას წერილში კი წინა ხელისუფლების მიმართ გამოთქმული ხმაურიანი და შეთქმულების თეორიის ელფერის მქონე პოლიტიკური განცხადებები საქმის ვითარებასა და ბუნების კანონზომიერებებს ვერ შეცვლის.**

ბატონი სპარტაკ ერაგია თავის დამსახურებად მიითვლის ყულევის პორტი-ტერმინალის მშენებლობას. სინამდვილეში, საქმის ვითარება სრულიად სხვაგვარია: **აქ (ყულევთან მიმდებარე) წყალქვეშა რელიეფი და ლითოდინამიკა უაღრესად არახელსაყრელია ღრმაწყლიანი პორტის ფუნქციონირებისთვის. ამის მიზეზი წყალმარჩხი ფსკერი და არაკონსოლიდირებული ფსკერული ნალექებია,** თუმცა ყულევში მაინც აშენდა პორტი-ტერმინალი. 2001 წელს ჩვენ მიერ (შ. ჯაოშვილი, გ. ლომინაძე) დაწერილ რეცენზიაში ამ პორტის ასაშენებლად წარმოდგენილი პროექტი უარყოფითად შევაფასეთ, არსებითი შენიშვნებიც მივეცით და პორტის მშენებლობის დაწყებამდე კვლევების ჩატარებაც მოვითხოვეთ. ჩვენ თავიდანვე ეჭვი გამოვთქვით ასეთი წყალმარჩხი ფსკერის პირობებში პორტისა და ე.წ. მისასვლელი არხის მშენებლობის მიზანშეწონილობაზე. მოცემულ პირობებში, პორტის მშენებლობა მოითხოვდა წყალმარჩხ ფსკერზე ღრმა ჯდომის ხომალდებისთვის ე. წ. პორტის მისასვლელი არხის გათხრა-მშენებლობას, რომელიც გულისხმობს პორტის აკვატორიაში შესასვლელი ზღვის ფსკერის ხელოვნურ დაღრმავებას. ▶

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პორტის უშუალოდ საოკუპაციო ზოლთან აშენება მეტად სარისკოა, ხოლო მეორე თვალსაზრისით, მას დადებითი როლი აკისრია, რადგან არ არის გამორიცხული, ეკონომიკური ეფექტიანობით აფხაზეთის მესვეურების დაინტერესება გამოიწვიოს და სასიკეთო აღმოჩნდეს კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

ჩვენი რეკომენდაციით, თუკი პორტის მშენებლობას მაინც დაიწყებდნენ, მისი აკვატორიის შტორმული ტალღების, არხის მოსილვისგან დაცვისა და მიმდებარე ნაპირების შენარჩუნების მიზნით დამცავი მოლოები მაინც უნდა აგებულიყო. გარდა ამისა, წარმოიქმნებოდა სხვა თანამდევი პრობლემებიც: კერძოდ, **მკვეთრად დაირღვეოდა სანაპირო ნატანის ბალანსი და საჭირო გახდებოდა დროდადრო მოლოებთან აკუმულირებული ნატანის ზღვის ნაპირის გასწვრივ გადანაწილება, ანუ ბაიპასინგის (bypassing – ტექნიკური ჰიდრავლიკური მოწყობილობის საშუალებით მასალის შემოვლითი გზით ტრანსპორტირება) პრაქტიკის განხორციელება. მოლოების აუშენებლობის შემთხვევაში, ჩვენ წინასწარვე ვივარაუდეთ პორტის აკვატორიაში ძლიერი და წელვადი ტალღების შეღწევა (აზიანებს აკვატორიაში მდგომ გემებს), პორტის მიმდებარე ნაპირების ძლიერი წარეცხვა, ე. წ. მისასვლელი არხის ინტენსიური მოსილვა, მისი პერიოდული რესტავრაციის აუცილებლობა და ა. შ.**

მიგვაჩნია, რომ **ს. ერაგიას მიერ აწ გარდაცვლილი აკადემიკოსის, ბატონ არჩილ კიკნაძის მეტად საეჭვო კონტექსტში ხსენება არაეთიკურია.** ბატონი ერაგია საუბრობს არჩილ კიკნაძის „აკვიატებებზე" — ღრმაწყლიანი პორტის კონცეფციაზე, რომელსაც სხვა აკადემიკოსებმაც (11 აკადემიკოსი) დაუჭირეს მხარი, ხოლო საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა და ა. შ. ბატონი არჩილ კიკნაძის მოღვაწეობას, მის წვლილს საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე არავის დაცვა არ სჭირდება. ის არამხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზეც ცნობილია, როგორც კვლევის წარმატებული ორგანიზატორი და, ამასთანავე, ბრწყინვალე და უნიკალური ბუნებისდაცვითი პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალი ღონისძიების ავტორი. ბატონ ერაგიას ეჭვი არ ეპარება კაგე-ბეს „მზაკვრულ" გეგმებში, რომლის ერთი ნაწილი ა. კიკნაძის პროექტი ყოფილა, ხოლო ძირითადი ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში ყოფილა ჩაფიქრებული, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. დიახ, ის დაპროექტებულია მდ. ენგურის კალაპოტში და გადადის მის მარჯვენა ნაპირზეც — ზუგდიდის რაიონის (ს. განმუხურის) ტერიტორიაზე, საიდანაც ჩრდილოეთი მიმართულებით თითქმის 3 კმ-ზე, სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე ვრცელდება და ამიტომ პორტი ებჯინება გალის რაიონის საზღვარს.

აღსანიშნავია, რომ ენგურის საზღვაო პორტის მნიშვნელობის შესახებ ორი საპირისპირო მოსაზრება არსებობს. **პირველი მათგანის მიხედვით, პორტის უშუალოდ საოკუპაციო ზოლთან აშენება მეტად სარისკოა, ხოლო მეორე თვალსაზრისით, მას დადებითი როლი აკისრია, რადგან არ არის გამორიცხული, ეკონომიკური ეფექტიანობით აფხაზეთის მესვეურების დაინტერესება გამოიწვიოს და სასიკეთო აღმოჩნდეს კონფლიქტის მოგვარების საქმეში.** აქედან გამომდინარე, საეჭვოა ს. ერაგიას საუბარი თავისი პროექტის უპირატესობაზე ტერიტორიული განლაგების თვალსაზრისითაც. თუ ის თუნდაც 5 კმ-ითაა დაცილებული საოკუპაციო ზონას, ეს აგრესორისთვის წინაღობას არ წარმოადგენს. 2008 წელს საქართველოში განვითარებულმა და ამჟამად უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა ეს თვალნათლივ დაგვანახვა!

აკადემიკოს არჩილ კიკნაძის პროექტის პირველი ვარიანტი ითვალისწინებდა პორტის მდ. ენგურის შესართავში განლაგებას, ხოლო მეორე ვარიანტში **გათვალისწინებული იყო მდ. ენგურის ჩამონადენის მოცილება აკვატორიიდან და 3 კმ-ით სამხრეთით, მდ. თიკორის კალაპოტში გადაგდება, პორტის აკვატორია კი ისევ ძველ ადგილზე რჩებოდა. საინტერესოა, რა მასალის მიხედვით დაასკვნა ბატონმა ერაგიამ, რომ ა. კიკნაძის პროექტის მიხედვით 450 ოჯახი უნდა გადასახლებულიყო?** ამ გეგმის მიხედვით, იქ, ძირითადად, თავისუფალ მიწებზე, ახალი საპორტო დასახლების გაშენებაა გათვალისწინებული და არა გადასახლება. ისე, ამგვარი მასშტაბის ობიექტის მშენებლობისას ვერ ავცდებით გარკვეული რაოდენობის მოსახლეების სხვა ადგილზე გადაყვანასა და მათთვის კომპენსაციის მიცემას, რაც ცალკე გადაწყვეტას საჭიროებს. სამწუხაროდ, აკად. ა. კიკნაძეს არ დასცალდა თავისი პროექტის კიდევ უფრო მეტად დახვეწა.

ბატონი ერაგია თავის წერილში აკრიტიკებს ბატონი კიკნაძის პროექტს, რომელიც 20 წლის წინათ შეიქმნა. **გასაოცარია, რის საფუძველზე აფასებს ბატონი ერაგია აკადემიკოს კიკნაძის პროექტს დილეტანტურ ნამუშევრად, როდესაც წერს, რომ პროექტი მან ზედაპირულად განიხილა, ხოლო მისი დეტალური შესწავლა კიდევ მეტ უარყოფითს დაგვანახებსო. სწორედ ეს არის არამხოლოდ დილეტანტიზმის, არამედ უმეცრების ნიმუში, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.** ბატონი ერაგია, მისი ნააზრევისა და შეფასებების მიხედვით, სრულიად არაკომპეტენტურია. ბატონი ერაგია სანაპირო ზონის მორფოდინამიკის საკითხებში რომ ვერ ერკვევა, კარგად ჩანს მისი წერილიდან. იგი წერს: „რაც შეეხება ენგურის კალაპოტის შეცვლას, ინჟინრულ-ტექნიკური თვალსაზრისით, ყველანაირად გაუმართლებელია, რადგან იგი დროთა განმავლობაში და მცირეოდენი ბუნებრივი სტიქიისას აუცილებლად დაუბრუნდება თავის ძველ კალაპოტს და მას ვერანაირი ბეტონი ვერ დააკავებს!". როგორც ცნობილია, მდ. ენგური 1978 წელს მდ. ერისწყლის ახალ კალაპოტში გადაისროლეს, თუმცა ის უკან აღარ მობრუნებულა.



**საქართველოში სრულფასოვანი საზღვაო პორტის მოწყობისთვის საჭიროა ვრცელი, ტალღებისგან დაცული ღრმა აკვატორიისა და ზღვის დიდი სიღრმეებიდან ხმელეთამდე მისასვლელი ღრმა ბუნებრივი «არხის» მქონე პორტი-ყურესთვის სათანადო პირობების (ნაწილობრივ მაინც) ხელოვნურად შექმნა**

**რა ვითარება გვაქვს დღეს ყულევში? სამწუხაროდ, გამართლდა თითქმის ყველა ის უარყოფითი პროგნოზი, რომლებიც ყულევის პორტის პროექტის შეფასებისას (შ. ჯაოშვილი, გ.ლომინაძე) შენიშვნების სახით გადავეცით ინჟინერ ს. ერაგიას.** კერძოდ, მშენებლებმა არ გაითვალისწინეს და არც აშენდა ყულევის პორტის აკვატორიის შემომსაზღვრელი მოლოები. შედეგად მივიღეთ ტალღებისგან დაუცველი აკვატორია და რამდენიმე კატასტროფული ინციდენტი ადამიანის დაღუპვის ჩათვლით. პორტის ფუნქციონირებისთვის (ისევე, როგორც ფოთში) მისასვლელი არხი მუდმივ წმენდასა და დაღრმავებას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ზღვის ნაპირზე მდ. ხობისწყლის შესართავის როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით დაიწყო ზღვის ნაპირის ძლიერი გარეცხვა. ზღვის შემოტევის შესაჩერებლად მდინარის მარჯვენა ნაპირზე ე. წ. ფლეთილი ქვა დაყარეს, რის გამოც დამახინჯდა ნაპირი. ამგვარი ღონისძიება ქვიშა-კენჭოვან ნაპირებზე არც მომავალში მოიტანს შედეგს. **ეს მეთოდი ნაპირების ე. წ. გამაგრებისთვის განვლილი პრაქტიკის უარყოფითი გამოცდილებაა და მასზე სპეციალისტებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში თქვეს უარი.**

ზღვის ნაპირის გარეცხვის ძირითადი მიზეზი სანაპირო ზონაში ნატანი მასალის ბალანსის მკვეთრი დარღვევაა, რაც ზღვის ფსკერზე გაჭრილმა მისასვლელმა არხმა გამოიწვია. გაჭრილი წყალქვეშა არხის მეშვეობით, შტორმის დროს ზღვის მძლავრი ტალღები შეუფერხებლად გადაადგილდებიან ნაპირისკენ და იქ ძლიერ ეროზიას იწვევენ. შტორმის შედეგად ნაპირიდან და ზღვის ფსკერის მეზობელი უბნებიდან ნატანი დიდი რაოდენობის მასალა არხში ილექება. არხის გაწმენდის შემდეგ ამოღებული მასალა სანაპირო ზონის ნატანის ბალანსიდან ამოვარდნილია და ნაპირს ვერ კვებავს, რადგან ის ნაპირიდან შორს, ღია ზღვაში იყრება. **სავალალო მდგომარეობაა მდ. ხობისა და მდ. ჭურიას შორის სანაპირო მონაკვეთზე.** იქ არსებული რელიქტური ნაპირგასწვრივი ზვინული, რომელიც იცავს ჭურიის ჭაობებს ზღვისგან, შტორმებით ირეცხება.

ს. ერაგია მართებულად აღნიშნავს, რომ ქვიშის ლუნები, სხვანაირად — ნაპირგასწვრივი ზვინულები — ჭაობებს ზღვის შემოტევისგან იცავს, მაგრამ ყულევის პორტი-ტერმინალი ხომ სწორედ ამ ზვინულების გარეცხვის მთავარი მიზეზია? თვითონ რელიქტური ზვინულები კი დაუცველი რჩება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭურიის ჭაობები ბუნებრივ რელიქტს მიეკუთვნება და რამსარის კონვენციითაა დაცული. **თუ აღნიშნული ზვინულის წარეცხვა არ შეწყდა, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ზღვის შეჭრა (ინგრესია) ჭურიის ჭაობებში. ეს კი ეკოლოგიურ კატასტროფას ნიშნავს.** ზვინულის დეგრადაციის შემთხვევაში ზღვა შეიჭრება ხმელეთის შიგნით, სულ ცოტა, ორი კილომეტრით. **ასეთია ის უარყოფითი შედეგები, რომელიც ყულევის პორტი-ტერმინალის არასწორ დაპროექტებასა და ექსპლოატაციას მოჰყვა.**

პორტის პროექტის სრულფასოვანი შედგენისთვის ასევე აუცილებელია წინასწარი კვლევების ჩატარება. პროცესების თვისობრივ შეფასებასთან ერთად (მიიღწევა დეტალური საველე კვლევითა და მიღებული მონაცემების ღრმა მეცნიერული ანალიზით) აუცილებელია, ჩატარდეს სხვა სახის კვლევაც. კერძოდ, მათემატიკური, სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით კომპიუტერული მოდელირება და მისი მეშვეობით პროცესების იმიტაციის შესაძლებლობა. ამგვარად არის შესაძლებელი სანაპირო პროცესების რაოდენობრივი სიდიდეების პროგნოზირება. ყულევის ტერმინალის დაპროექტებისას კი ამგვარი წინასაველე და კამერალური სამუშაოები არ ჩატარებულა. ამიტომ **მდ. ენგურის შესართავში კიდევ უფრო მასშტაბური და უარყოფითი შედეგებია მოსალოდნელი, თუ დაშვებულ შეცდომებს არ გავითვალისწინებთ, რაც ჩანს ს. ერაგიას მიერ შემოთავაზებულ ანაკლიის პორტის პროექტშიც.** აქაც, როგორც ყულევის შემთხვევაში, არ არის განსაზღვრული შემომზღუდავი მოლოების მშენებლობა, რომლებმაც უნდა დაიცვან პორტის აკვატორია ტალღებისგან და, აგრეთვე, წყალქვეშა კანიონის სათავეები ნაპირგასწვრივი ნატანის ნაკადით გამოწვეული მოსალოდნელი ეროზიისგან. მოლოების აშენების დადებითი მხარეა მათთან დროთა განმავლობაში დაგროვილი ნატანი მასალა, რომელიც ნაპირის ავარიული უბნების აღსადგენად, სამშენებლოდ და სხვა სამეურნეო მიზნებით შეიძლება გამოვიყენოთ. გარდა ამისა, პორტის მისასვლელი არხიც სრულიად დაცული იქნება მოსილვისგან. პროექტის ავტორებმა არ ისურვეს მეტად გრძელი და ძვირად ღირებული მოლოების მშენებლობა, რადგანაც შემოთავაზებულ პროექტში მისი სიგრძე დაახლოებით 1,5 კმ უნდა იყოს. აკადემიკოს ა. კიკნაძის პროექტში შემომზღუდავი მოლოების სიგრძე გაცილებით ნაკლებია და 0,5 კმ-ს არ აღემატება. ასევე არამართებულად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ბატონი ერაგიას პროექტი არ აზიანებს გარემოს და ზღვის ნაპირის გასწვრივ მხოლოდ 1000 მ-ს იკავებს. ზღვის ნაპირის გასწვრივ პროექტი მართლაც იკავებს 1000 მ-ს, მაგრამ უარყოფითი პროცესების გამო ნაპირი შეიძლება გაცილებით მეტ მანძილზე დაზიანდეს. ამასთანავე, პორტის აკვატორია ჭარბტენიან სირლმეში ვრცელდება 3,5-4,0 კმ-ით, რაც დაბინძურების საფრთხეს უქმნის მეზობლად მდებარე ჭურიის ნაკრძალს. მით უმეტეს, რომ კოლხეთის ზღვისპირა დაბალ უბნებზე ინტენსიური ატმოსფერული ნალექების მოსვლისას, მცირე მდინარეთა აუზებს შორის დროდადრო ზედაპირული წყლების ურთიერთგადადინება შეინიშნება.

**საქართველოს შავი ზღვისპირეთი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეა და მას მოვლა-პატრონობა სჭირდება. ნებისმიერი ასეთი მასშტაბის პროექტის მომზადებისას საჭიროა მისი ყოველმხრივი შესწავლა სპეციალისტთა ფართო წრის მიერ. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომა აგვაცილებს დიდ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზარალს.**

**მთავარი კი ის არის, თუ როგორ აღიქვამენ და გაანალიზებენ დასმულ საკითხს გადაწყვეტილების მიმღები პირები. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ვითარება ადეკვატურად იქნება შეფასებული და მიღებული იქნება ანაკლიის პორტის მშენებლობის ისეთი ვარიანტი, რომელიც ქვეყნისთვის სასარგებლოც და რაციონალურის იქნება.**

**საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ასეთი ხელსაყრელი პირობები რამდენიმე ადგილზე გვაქვს. ერთ-ერთი ხელსაყრელი ადგილი მდინარე ენგურის ძველი შესართავია, სადაც წყალქვეშა კანიონის სათავეები სანაპირო ხაზთან ძალიან ახლოსაა (ნაპირიდან 150-200 მ) შემოჭრილი. ამასთანავე, ვრცელი აკვატორიის შექმნა შედარებით მარტივად სწორედ მდინარე ენგურის კალაპოტშია შესაძლებელი**

**მელორ ალფენიძე,**
გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,

**გიორგი ლომინაძე,**
გეოგრაფიის დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის განყოფილების გამგე

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისლამური ფინანსების ინსტიტუტი გაფორმდა სულ რაღაც ორი წლის წინათ, მაგრამ უკვე მიმდინარე წელს, ექსპერტების პროგნოზების თანახმად, გლობალური ისლამური ფინანსური ინდუსტრია 2 ტრილიონი დოლარის მაჩვენებელს მიაღწევს.**

# ბრიტანული ბიზნესი შარიათის კანონებით

**ამ გაზაფხულზე ლონდონში, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოქროს დარბაზებში (Lancaster House) გაიმართა ლონდონისთვის უჩვეულო მიღება, რომელზეც შეიკრიბნენ პოლიტიკოსები, მაღალი რანგის ჩინოვნიკები, ბანკირები, სერიოზული ბიზნესის წარმომადგენლები, უცხოელები... წვეულებაზე წვეთი ალკოჰოლი არ იყო. მოკლე მოხსენებების შემდეგ გამომსვლელები სადღეგრძელოებს წყლითა და წვენებით ამბობდნენ. ღონისძიება დასრულდა საღამოს ლოცვისას. საქმე ისაა, რომ ეს ცერემონია იყო ლონდონის, როგორც უკვე ისლამური ფინანსების, ახალი ცენტრის პრეზენტაცია.**

ჯერ კიდევ 2013 წელს ბრიტანეთის ხელისუფლებამ განაცხადა საკუთარი გეგმების შესახებ, გამხდარიყო პირველი დასავლური ქვეყანა, რომელიც სუვერენულ სუკუკს (ობლიგაციის ისლამური ეკვივალენტი, შარიათის ქვეყნებში მოქმედი ფინანსური დოკუმენტი) გამოუშვებდა. ახლა სავსებით ნათელია, რომ ობლიგაცია საკი (იგივე სუკუკი) ისლამური ფინანსური სისტემის საკვანძო ინსტრუმენტად იქცა. ეს ფინანსური პროდუქტი თავისი არსით წარმოადგენს საინვესტიციო სერთიფიკატს, რომელიც უზრუნველყოფილია რეალური აქტივით და ადასტურებს აქტივების ნაწილზე მისი მფლობელების უფლებებს.

ამრიგად, **სუკუკი შარიათის კანონებით მოქმედებს და სრულად შეესაბამება ისლამური დაფინანსების პრინციპებს, რომელთა საფუძველშიც ჩადებულია აკრძალვა პროცენტული სარგებლის მიღებაზე. სუკუკის მფლობელებს აქვთ იმ შემოსავლიდან წილის მიღების უფლება, რომელიც ამ სუკუკის უზრუნველმყოფმა აქტივებმა მოიტანეს.**

ლონდონის მისწრაფება, იქცეს პირველ ევროპულ დედაქალაქად, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ტრადიციულების პარალელურად იმოქმედებენ ისლამური ფინანსური პროდუქტებიც, დამკვირვებლებმა აღიქვეს, ერთი მხრივ, როგორც ნდობა ამ ახალი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ; მეორე მხრივ კი, იმის მაუწყებელ სიგნალად, რომ ლონდონი ახლა რეალურად ღიაა ისლამური ფინანსებისთვის.

ცხადია, სკეპტიკოსები გააკრიტიკებენ ხელისუფლებას იმის გამო, რომ მან წითელი ხალიჩა დაუგო ნაკლებადშესწავლილ ისლამურ ფინანსურ ინდუსტრიას, რომელიც შარიათის კანონებით არსებობს და მუშაობს, მაგრამ ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ისლამური ახალგაზრდა ფინანსური სისტემის თვალნათელ უპირატესობებზე.

შეგახსენებთ, რომ **ისლამური ფინანსების ინსტიტუტი გაფორმდა სულ რაღაც ორი წლის წინათ, მაგრამ უკვე მიმდინარე წელს, ექსპერტების პროგნოზების თანახმად, გლობალური ისლამური ფინანსური ინდუსტრია 2 ტრილიონი დოლარის მაჩვენებელს მიაღწევს.** ეს სერიოზული განაცხადია. მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე ტენდენციები სავსებით ნათელია, ამიტომ ბევრი მიიჩნევს, რომ აქ სადავო არაფერია.

ამ ყველაფრის პარალელურად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების ზემოხსენებული ნაბიჯი იმ გაცილებით მასშტაბური სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილია, რომლის მიზანია ლონდონური სითისთვის ამჟამინდელი სტატუსის გარანტირება. სტატუსი, მართალია, სადავოა, მაგრამ ლონდონ-სითი აქამდე რჩება მსოფლიოს ფინანსებისთვის 21-ე საუკუნის უკიდურესად შემოსავლიან და თავისუფალ სავაჭრო მოედნად. ამგვარი სტრატეგიის მნიშვნელოვანი ასპექტი იქნება ისლამური ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა, მით უფრო, თუ ეს, როგორც ლონდონში იმედოვნებენ, სტიმულად იქცევა მუსლიმანური ქვეყნებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან ინვესტიციების ახალი ტალღისთვის.

დღეს ისლამური ფინანსების ბაზარზე საკვანძო მოთამაშეები არიან მალაიზია, ირანი და საუდის არაბეთი. თუმცა ირანი მაინც გარკვეულწილად იზოლირებულია გლობალური ისლამური ფინანსური ინდუსტრიისგან და ამის მიზეზი მხოლოდ საერთაშორისო სანქციები არ არის. ძირითადად, ეს მდგომარეობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ირანს სხვაგვარი, სხვა მუსლიმანური ქვეყნებისგან განსხვავებული მიდგომა აქვს შარიათის კანონებისადმი. ამან მისცა საშუალება ორ ცენტრს — მალაიზიასა და საუდის არაბეთს, მოცემულ სექტორში ლიდერები გამხდარიყვნენ. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ორმა ქვეყანამ არა მხოლოდ რეგიონული ფინანსური ცენტრების პოზიციები დაიკავეს აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, რომლის საშუალებასაც მათი ტერიტორიული სიდიდეც იძლევა და ძლევამოსილებაც, არამედ მიისწრაფიან გლობალურ რანგში ლიდერობისკენაც.

საჭიროა ყურადღებით თვალის დევნება ფორმირებული ოფშორული ცენტრებისთვის, რომელთაც სათავეში დარგის პიონერი ბაჰრეინი უდგას. 90-იანი წლების დასასრულს სწორედ ბაჰრეინში შემუშავდა და დაინერგა ისლამური საბანკო სისტემის სამართლებრივი ბაზა.

**მაგრამ დღეს წარმოუდგენლად ამბიციური დუბაი სულ უფრო ხმამაღლა და დაჟინებით გაჰყვირის საკუთარ სახელს. მან უკვე მოახერხა ბაჰრეინისთვის ფინანსური ცენტრის გვირგვინის მოპარვა და ახლა „ისლამური ეკონომიკის დედაქალაქის“ პოზიციის დასაკავებლად იბრძვის.**

დასავლეთში ლონდონი უდავოდ აღიარებული ფინანსური ცენტრია, მაგრამ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, რომ ლუქსემბურგი, ჰონკონგი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ასევე აცხადებენ პრეტენზიას, გახდნენ პირველი არამუსლიმანური სახელმწიფოები, რომლებიც სუვერენულ სუკუკს გამოუშვებენ.




**მაგრამ დღეს წარმოუდგენლად ამბიციური დუბაი სულ უფრო ხმამაღლა და დაჟინებით გაჰყვირის საკუთარ სახელს. მან უკვე მოახერხა ბაჰრეინისთვის ფინანსური ცენტრის გვირგვინის მოპარვა და ახლა «ისლამური ეკონომიკის დედაქალაქის» პოზიციის დასაკავებლად იბრძვის**




განსაკუთრებით სწრაფად დაიწყო ისლამური ფინანსური სექტორის განვითარება მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში არაბმა კომერსანტებმა რამდენიმე მომცრო ისლამური ბანკი დააფუძნეს. ამ ბანკებმა უმალ მიიზიდეს კლიენტების დიდი რაოდენობა, რადგან მათ დაჰპირდნენ, რომ ფინანსურ მომსახურებებთან წვდომა რელიგიური პრინციპებისა და კანონების დარღვევის გარეშე ექნებოდათ.




პირველი ისლამური ბანკი, რომელმაც მუშაობა მალაიზიაში დაიწყო, იყო „მალაიზიის ისლამური ბანკი“ (Bank Islam Malaysia Berhad), რომელიც 1983 წელს დარეგისტრირდა. BIMB-მა დაიწყო იმის მსგავსი ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების შეთავაზება, როგორიც ტრადიციულ ბანკებში იყო ხელმისაწვდომი. იყო მხოლოდ ერთი, მაგრამ საკვანძო გამონაკლისი, რომელმაც განსაზღვრა კიდეც ახალი ფინანსური სისტემის მომავალი — ყველაფერი შარიათის კანონებს შეესაბამებოდა.

**ასე დაიწყო მალაიზიამ თავისი, როგორც ისლამური ფინანსების მსოფლიო ცენტრის, ისტორია. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური დარგის ამ ახალი სექტორის გაჩენიდან პირველი ორი ათწლედის მანძილზე გარედან ცოტა ვინმე თუ აქცევდა ყურადღებას ახალ ინსტრუმენტებსა და ინსტიტუტებს.**

სერიოზული ინტერესის გამოვლენა დასავლურმა ბანკებმა 2000-იანი წლებიდან დაიწყეს, მას შემდეგ, რაც ნავთობზე ფასმა მატება დაიწყო. ექსპერტების შეხედულების თანახმად, დღეს ისლამური ფინანსების მომავალი ოპტიმისტურად გამოიყურება. ისლამური ბანკინგი ძალას იკრებს, მათი აქტივების ზრდის ტემპი კი მნიშვნელოვნად უსწრებს არაისლამური ბანკების ანალოგიურ მაჩვენებელს. ამიტომაც, როგორც „Ernst & Young“-ში მიიჩნევენ, ყველა საფუძველი არსებობს ვარაუდისთვის, რომ 2018 წლისთვის მხოლოდ ისლამური ბანკინგის მოცულობა 3,4 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება.

მიუხედავად ყველაფრისა, ამ დარგსაც ჰყავს მოწინააღმდეგეები. მაგალითად, ზოგიერთი მუსლიმანი კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ შარიათი მხოლოდ ხილული საბურველია იმ ტრადიციული ფინანსური სისტემისა, რომელშიც ფორმალურად იცავენ ისლამური კანონების სახეს, მაგრამ არა ისლამურ სულს.

ახალი სტრუქტურა „აკოპირებს“ ტრადიციული საბანკო საქმის ძირითად პრინციპებს და მსოფლიოს არაფერს სთავაზობს კარდინალურად ახალს. უფრო მეტიც, ბაზრის მრავალი მონაწილისთვის სუკუკთან მოპყრობის წესები აღიქმება, როგორც მთელი რიგი უსარგებლო შეზღუდვებისა, რომლებსაც, უბრალოდ, გვერდი უნდა აუარო.

**ისლამური ფინანსების დამცველნი მათში ხედავენ უნიკალურ საშუალებას, დაჩქარდეს ▶**

**ბარაკ ობამას პოპულარობის რეიტინგი ახლა 36-45 პროცენტებს შორის მერყეობს. იგი ახლა შორსაა 2008 წლის მასობრივი მხარდაჭერისგან, რომელიც ციფრებში 83%-ით გამოიხატებოდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **მუსლიმანური ქვეყნების ეკონომიკური ზრდა. იმავეს ვერ იტყვი შარიათის გულმხურვალე მომხრეებზე, რომლებიც სუკუკს რელიგიური ნორმებისგან სულ უფრო მეტი განცალკევებისთვის ადანაშაულებენ.**

მრავალი მუსლიმანი პრინციპულადაა ისლამური ფინანსების წინააღმდეგ განწყობილი. მაგალითად, ფიზიკური პირების ისლამურმა საბანკო მომსახურებამ დიდ ბრიტანეთსა და ეგვიპტეშიც კი ფიასკო განიცადა, დასავლურმა ბანკებმა ასევე უარი განაცხადეს ამ იდეაზე, რადგან მან შემოსავლების მხრივ იმედგაცრუება განაპირობა.

მაგრამ, ამასთანავე, **მიუხედავად ზოგიერთი დაბრკოლებისა, ისლამური ფინანსების სექტორი ზრდას განაგრძობს. იდეის მომხრენი დარწმუნებულნი არიან, რომ დროთა განმავლობაში ის ტრანსფორმაციას განიცდის და სულ უფრო მეტად შეესაბამება შარიათის სულს.**

არავის ეპარება ეჭვი, რომ მალაიზია და სპარსეთის ყურის ქვეყნები შეინარჩუნებენ საკვანძო რეგიონული მოთამაშეების როლებს, მაგრამ დასავლეთში ლიდერის ადგილი ჯერ არავისთვისაა განკუთვნილი. ასევე, არავინ იცის ზუსტად, თუ რა როლს შეასრულებს ამ ყველაფერში დიდი ბრიტანეთი. ისლამური ფინანსური სისტემის ერთ-ერთმა პირველმა თეორეტიკოსმა, ისლამური ფინანსური ინსტიტუტების აუდიტის კომისიის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, პროფესორმა რიფაატ კარიმმა უკვე წარმოაჩინა თავი, როგორც სუვერენული სუკუკუს ემისიასთან დაკავშირებული ბრიტანული გეგმების მომხრემ. მიუხედავად ამისა, იგი მიიჩნევს, რომ ბრიტანეთმა უნდა გააფართოოს ისლამური ფინანსური სისტემის ხედვა და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ემისიის გეგმებით, რადგან ემისია მხოლოდ გზის დასაწყისი უნდა იყოს.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსი სახელმწიფო მინისტრი, ბარონესა ვარსი გულმხურვალედ უჭერს მხარს ბრიტანეთში ისლამურ ბანკინგს და დარწმუნებულია, სახელმწიფოს გააჩნია იმდენი პოლიტიკური ნება, რომ ისლამელ ფინანსისტებთან ერთად შეასრულოს ღირებული როლი.

როგორც ბევრი მიიჩნევს, ლონდონი საკვანძო როლს ასრულებს ისლამურ ფინანსურ ინდუსტრიაში.

ისლამური ფინანსების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის ნახშირწყალბადებით, ლითონითა და სხვა ნედლეულით ვაჭრობა. დიდწილად ლონდონური საბირჟო სეგმენტის განვითარების მაღალი დონის დამსახურებით, მიიჩნევენ ექსპერტები, რომ ლონდონი ისლამური ფინანსების ველზე მსხვილი საერთაშორისო მოთამაშის როლს შეასრულებს.

მოკლედ, **ლონდონი ჩქარობს. მას დიდი სურვილი აქვს, გახდეს პირველი არამუსლიმანური ქვეყანა, რომელიც სუკუკს გამოუშვებს.**

inosmi.ru

# ბარაკ ობამა ილუზიებს ემშვიდობება

**ევროპელებმა და იაპონელებმა აშშ-ის პრეზიდენტი ვერ გაახარეს. 6 ივნისი ბარაკ ობამას ევროპული ოთხდღიანი ტურნეს უკანასკნელი დღე იყო. შედეგებისა და კომფორტულობის მიხედვით, მშვიდობის ნობელის მფლობელი ობამას სტუმრობა ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს — აღმოსავლურად და დასავლურად. პირველ ნაწილში ყველაფერი მშვენივრადაა ტრიუმფალური შეხვედრის ჩათვლით, მეორეში კი — მდგომარეობა დაძაბულია. ორ ნაწილს შორის განსხვავება ზუსტად ისეთივე იყო, როგორი სხვაობაცაა საბავშვო ბაღის ზეიმსა და უმაღლესი სასწავლებლის მისაღებ გამოცდებს შორის, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე.**



შვიდეულს მინუს რუსეთის ბრიუსელური შეხვედრა 4-5 ივნისს, როგორც მოსალოდნელი იყო, დასრულდა უკრაინული კრიზისისადმი მიდგომის საკითხებში სოლიდარობის დეკლარაციებით, რომლებშიც კონკრეტული საქმეები არ ჩაწერილა. გერმანიამ, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ უკვე კიდევ ერთხელ აღუთქვეს ობამას უკრაინის გამო რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაში მხარდაჭერა. ბარაკ ობამამ ასევე კიდევ ერთხელ გაიხარა ამით.

საერთოდ, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი ბრიუსელში ჩავიდა და ევროკავშირის „მოზრდილ" წევრებს შეხვდა, ეს რაღაც უფრო მეტს ჰგავდა, ვიდრე ვარშავიდან „დიდი ევროპის" დედაქალაქში გადაფრენაა. ეს ყველაზე მეტად ჰგავდა ბარაკ ობამას „გადასვლას" სასურველიდან სინამდვილეში, ვირტუალურობიდან — რეალობაში.

ვარშავაში აპლოდისმენტებით შეხვდნენ ნატოს ძალების გაზრდისა და „რუსეთის მოთვინიერების" შესახებ გამოსვლებს, ბრიუსელში კი — თავშეკავებით, ასევე, დაპირებით, რომ დაფიქრდებიან მოსკოვის წინააღმდეგ სანქციათა „მესამე პაკეტის" თაობაზე.

ამგვარი „დაფიქრების" შემდეგ ევროპელებისგან რეფრენებად ისმოდა ისეთი ფრთხილი ფრაზები, როგორიცაა „დრო ჯერ არ დამდგარა", „კიდევ დიპლომატიაა საჭირო", „რუსეთთან დიალოგი" და ასე შემდეგ. **კანადის პრემიერმინისტრის — სტივენ ჰარპერის პრესსამსახურის განცხადებით, ობამა ბებერ ევროპას იმის გამო ეწვია, რომ „აღკვეთოს დასავლეთის ქვეყნების ნებისმიერი იმპულსი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მიმართულებით".** ევროპაზე კანადის რეალური გავლენის გათვალისწინებით, ეს განცხადება საკუთარი შესაძლებლობების ძალიან გადაჭარბებულად შეფასების პირობებში გაკეთდა.

ამერიკის პრეზიდენტის მიერ ევროპაში გამართულ მოლაპარაკებათა მთელი სერიისა და „შვიდიანის" სამიტის შემდეგ მთავარი საკითხი, რომელსაც ევროპის ყველა მთავარი მედიასაშუალება განიხილავდა, უკიდურესად მარტივად ჟღერდა: შეხვდებოდნენ თუ არა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ნორმანდიის დღესასწაულების დროს?

თავად რუსეთის პრეზიდენტმა ფრანგულ რადიო „ევროპა-1"-ისთვის მიცემულ ვრცელ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნებისმიერ დროს მზადაა ბარაკ ობამასთან შესახვედრად. თუ ეს არ სურს აშშ-ს, ეს მისი არჩევანია და არა რუსეთის. თანამედროვე მსოფლიოში რუსეთის იზოლირება კი, უბრალოდ, შეუძლებელია, განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

**„რუსეთი მსოფლიოში უდიდესი ქვეყანაა ტერიტორიის მიხედვით. მისი გარშემორტყმა ძალზე რთულია. გარდა ამისა, მსოფლიო იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ამის გაკეთება ვირტუალურადაც კი შეუძლებელია. ჩვენ, რასაკვირველია, ვხედავთ აშშ-ის მცდელობებს, ზეწოლა განახორციელოს თავის მოკავშირეებზე დასავლურ საზოგადოებაში თავისი აშკარად ლიდერული პოზიციის გამოყენებით, რათა გავლენა მოახდინოს რუსეთის პოლიტიკაზე. რუსეთის პოლიტიკა ატარდება მხოლოდ ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ, რასაკვირველია, ვითვალისწინებთ ჩვენი პარტნიორების აზრს, მაგრამ ვიხელმძღვანელებთ რუსი ხალხის ინტერესებით",** — აი, პუტინის სიტყვები.

**კანადის პრემიერმინისტრის — სტივენ ჰარპერის პრესსამსახურის განცხადებით, ობამა ბებერ ევროპას იმის გამო ეწვია, რომ «აღკვეთოს დასავლეთის ქვეყნების ნებისმიერი იმპულსი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მიმართულებით»**

დიდი ანარიშით, რუსეთის გარეშე ბრიუსელის სამიტი უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა: ეს რაღაც ხუთს (საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, იაპონია) პლუს ორის (აშშ და კანადა) შეხვედრას უფრო ჰგავდა. არც ევროპელებმა და არც იაპონელებმა არ გამოავლინეს სურვილი, ბარაკ ობამა რუსეთის საწინააღმდეგო რაიმე რეალური სანქციებით გაეხარებინათ. რუსეთთან ვაჭრობის მოცულობის სხვაობის გათვალისწინებით — 400 მილიარდი ევრო ევროპისთვის და დაახლოებით 40 მილიარდი ევრო აშშ-ისთვის — სხვა რაიმეს მოლოდინი, უბრალოდ, უცნაურიც კი იქნებოდა.

მათ გარდა, ვისაც დიდი ხანია განვითარებული აქვს რუსოფობიის სინდრომი, არავის გახარებია სამიტზე რუსეთის არყოფნა. დიდწილად ეს აღქმულ იქნა, როგორც დროებითი აბსურდული გაუგებრობა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევს საერთაშორისო კვლევების ბელგიური ცენტრის ექსპერტი პეტერ დებერი.

„არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია რუსეთის მონაწილეობის გარეშე, — ამბობს იგი, — მაგრამ ახლა უპირველესი უკრაინაა. რუსეთის მონაწილეობის გარეშე ამ კრიზისის გადაჭრა შეუძლებელია, საჭიროა დიალოგში მისი ჩართვა, მაგრამ არსებობს სხვა საკითხებიც: ირანი, ჩრდილოეთ კორეა. ამ მოლაპარაკებებში რუსეთის მონაწილეობა უკიდურესად მნიშვნელოვანია. იგივე შეიძლება ითქვას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ტერორიზმისა და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ საკითხების გადაწყვეტისას მომავალში „დიდი შვიდიანის" ლიდერები რუსეთის არყოფნას იგრძნობენ".

ევროპაში, „ძველში" და არა „ახალში", ბარაკ ობამას რაღაც ვერ გამოსდის. პირდაპირ სამიტის წინა დღეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ არ აპირებს, გააუქმოს რუსეთთან კონტრაქტი ვერტმფრენმზიდი „მისტრალის" მიწოდების თაობაზე, თუნდაც ვაშინგტონის ძლიერი ზეწოლის შედეგად. რაც შეეხება გერმანიას, მან გამოაცხადა, რომ იწყებს სრულმასშტაბიან გამოძიებას აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისა და ქვეყნის მილიონობით მოქალაქის წინააღმდეგ ჯაშუშობასთან დაკავშირებით.

ის, ვინც ბარაკ ობამას ახლანდელ ევროპულ ტურნეს გეგმავდა, ძალიან ბევრ რამეს არ ითვალისწინებს. ეს შეხვედრები ვარშავაში კი არ უნდა დაწყებულიყო, არამედ იქ უნდა დასრულებულიყო. ბარაკ ობამას განცხადება იმის შესახებ, რომ მან უკვე სრული იზოლირება მოუწყო რუსეთსა და ვლადიმერ პუტინს, არანაირად არ შეესაბამება ევროპელთა გეგმებს.

5 ივნისის საღამოს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი პარიზში ფრანსუა ოლანდთან ერთად ვახშმობდა. 6 ივნისს იგი ბრიტანეთის პრემიერს — დევიდ კემერონსა და გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდა. ყველა ევროპელი ამბობს, რომ საჭიროა რუსეთთან დიალოგის წარმოება და არა კრიზისული დროისთვის ნაკლებმისაღებ ობსტრუქციაში გადავარდნა.

ამ თვალსაზრისით, ბარაკ ობამას ვერსიით, იზოლაცია გამოიყურება არა როგორც ვლადიმერ პუტინის, არამედ როგორც თავად ობამას თვითიზოლირება.

ევროპული სასახლის და აშშ-ის პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურებმა გამოაცხადეს: ნორმანდიაში ყველაფერი საგულდაგულოდ იგეგმებოდა, რომ შემთხვევითობები არ დაეშვათ 1944 წლის 6 ივნისს მეორე ფრონტის გახსნის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე, თუმცა ობამასა და პუტინის შეხვედრის შესაძლებლობას არავინ უარყოფდა. როგორც შემდეგ გაირკვა, პრეზიდენტები ხანმოკლე დროით მაინც შეხვდნენ იქ და უკრაინასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციები გაუზიარეს ერთმანეთს.

**ბარაკ ობამას პოპულარობის რეიტინგი ახლა 36-45 პროცენტებს შორის მერყეობს. იგი ახლა შორსაა 2008 წლის მასობრივი მხარდაჭერისგან, რომელიც ციფრებში 83%-ით გამოიხატებოდა.** აშშ-ის ყველაზე პატივსაცემი პრეზიდენტების სიაში, რომელსაც ყოველწლიურად ადგენს გელაპის სოციოლოგიური სამსახური, ბარაკ ობამა უმცროსი ჯორჯ ბუშის გვერდით დგას. მისი მუშაობა მოიწონა გამოკითხულთა 28%-მა, ბუშისა კი — 27%-მა.

მხოლოდ ძალზე გულუბრყვილო ადამიანს შეუძლია იფიქროს, რომ პრეზიდენტის ევროპული ტურნე ამერიკელებს აღაფრთოვანებს, მაგრამ ასეთი ადამიანების რაოდენობა დღითიდღე მცირდება...

stoletie.ru



## გამანადგურებელი სეტყვა ნებრასკაში

**აშშ-ის დასავლეთ შტატებს — ნებრასკას, აიოვას, ვაიომინგსა და კანზასს — სტიქიამ შეუტია.**

დიდი ზარალი განიცადა ნებრასკამ, რომელსაც ბეისბოლის ბურთისოდენა სეტყვა დაატყდა თავს. ბევრ დასახლებულ პუნქტში დაზიანდა სახლები და ავტომობილები, აგრეთვე, ელექტროგადამცემი ხაზები. ქალაქ ბლერში დაშავდა 27 ადამიანი და დაზიანდა 4500 ავტომობილი. **ზარალის საერთო რაოდენობამ 152 ათასი დოლარი შეადგინა.**



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ მოხდა, რომ 550 ათასი ადამიანისგან შემდგარი სახმელეთო ჯარი, რომლის 32 ათასი წარმომადგენელი ამჟამად ავღანეთშია მოწინავე ოპერატიულ ბაზებზე, ახერხებს, ომში გაუშვას მხოლოდ ორი საბრძოლოდ მზადმყოფი ბრიგადა, დაახლოებით 8 ათასი ადამიანის შემადგენლობით.**

# ამერიკული არმია კრახისკენ მიექანება


დუგლას მაკგრეგორი

**როდესაც ბაზრებზე ნგრევა იწყება და ეკონომიკური მაჩვენებლები ორნიშნა ციფრებით მცირდება, ინვესტორები პანიკაში ვარდებიან, ფასიანი ქაღალდების ფასი დაბლა მიექანება, ხელისუფლება კი კრახის ზღვარზეა, ვინაიდან ვერ ახერხებს, გაიგოს, რა უშლის ხელს მის კეთილდღეობას. საზოგადოება სვამს კითხვებს: რა მოხდა? როდის გამართავენ პოლიტიკოსები მოსმენებს? როდის გამოიძიებენ ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას და როდის ჩასვამენ ფინანსურ „ფოკუსნიკებს“ ციხეში, იმის მიუხედავად, რომ ისინი ციხეში არც ისე ადვილი ჩასასმელნი არიან? ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ასე მოხდა 1929 წლის ვარდნის შემდეგ.**



**ამ არმიას არ შეუძლია ებრძოლოს 21-ე საუკუნის მოწინააღმდეგეს, რომელსაც ჰყავს არმია, სამხედრო-საჰაერო ძალები, აქვს ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა**

ანალოგიური სიტუაცია იქმნება აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში, რომლის დამალვასაც ვერც ხელისუფლება ახერხებს და ვერც მასმედიის საშუალებები. პერლ-ხარბორის შემდეგ მეთიუ რიჯუეიას, ჯეიმს გევინისა და მარკ კლარკის მსგავსი კაპიტნები და მაიორები, რომელთაც შეეძლოთ, კარიერა უსახელოდ დაემთავრებინათ, იღებდნენ ახალ წოდებებს და მეთაურობდნენ იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ზუსტად 70 წლის წინათ, 1944 წლის ივნისში, ნორმანდიის სანაპიროებთან გადასხეს.

მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ბაზრების უეცარი კრახი არ ხდება და ასევე, არც არმიის კრახი. ვარდნა არმიაში, ისევე, როგორც ბაზარზე, ნელნელა მიმდინარეობს. პუბლიკა ამ პროცესს ნაკლებად აქცევს ყურადღებას და მხოლოდ მაშინ ამჩნევს, როდესაც უკვე ძალიან გვიანია.

2013 წლის დასაწყისში სახმელეთო ჯარების შტაბის მეთაურმა, გენერალმა რეი ოდიერნომ განაცხადა, რომ სახმელეთო ჯარების 125,2-მილიარდიანი საერთო წლიური ბიუჯეტის (საბრძოლო მზადყოფნის შესანარჩუნებელი 37,8 მილიარდი დოლარის ჩათვლით) შემცირების გამო იმ 550 ათასი ადამიანიდან, რომლებიც სამხედრო სამსახურში იმყოფებიან, შეიძლება გამოიყოს საბრძოლო მოქმედებებისთვის მზადმყოფი მხოლოდ ორი ბრიგადა. 2014 წლის მარტში უკრაინის მოვლენებისას, როდესაც რუსეთის არმიის სატანკო და მექანიზებული ნაწილების 80 ათასი სამხედრო მოსამსახურე სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო, ამერიკის სახმელეთო ჯარს არ შეეძლო ეფექტური და მანევრული საბრძოლო ძალებისთვის მოეყარა თავი ევროპაში ან სადმე სხვაგან.

როგორ მოხდა ამგვარი რამ? **როგორ მოხდა, რომ 550 ათასი ადამიანისგან შემდგარი სახმელეთო ჯარი, რომლის 32 ათასი წარმომადგენელი ამჟამად ავღანეთშია მოწინავე ოპერატიულ ბაზებზე, ახერხებს, ომში გაუშვას მხოლოდ ორი საბრძოლოდ მზადმყოფი ბრიგადა, დაახლოებით 8 ათასი ადამიანის შემადგენლობით.**

პასუხი უმარტივესია: ყველაფერი ეს სპეციალურად გაკეთდა.

1950 წელს, კორეის ომის წინ, აშშ-ის სახმელეთო ჯარში სამხედრო სამსახურში რეალურად მსახურობდა 593 167 სამხედრო. მიუხედავად ესოდენ შთამბეჭდავი შემადგენლობისა, არმიის დივიზიებში იყო შემცირებული შემადგენლობის ბრიგადები და პოლკები, რომლებიც თავიანთი საშტატო საბრძოლო ძლევამოსილების მხოლოდ ორ მესამედს ფლობდნენ. ტანკები თითქმის არ ჰქონდათ, არტილერიაც ცოტა იყო. სახმელეთო ჯარების 24-ე ქვეითი დივიზიის ოპერატიულმა ჯგუფმა „სმიტი“, რომელიც მსროლელებისა და მსუბუქი არტილერიისგან შედგებოდა, 1950 წლის ივლისში ძალიან სწრაფად დამარცხდა 300 ტანკის მქონე 90 ათასი ადამიანისგან შემდგარი ჩრდილოკორეული ჯარის შეტევის შედეგად.

მაგრამ ამ დამარცხების არქიტექტორები იყვნენ არა პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი, თავდაცვის მინისტრი ლუის ჯონსონი ან ამერიკის კონგრესი, საკუთარი ჯარი მარცხამდე მიიყვანეს ოთხვარსკვლავიანმა გენერლებმა, რომელთაც სურდათ, რომ არმიას სამუშაო ადგილები შეექმნა გენერლებისთვის და არა ეომა. იმისათვის, რომ არმიის კასტრირების შედეგად წარმოქმნილ კრიზისს გამკლავებოდა, ტრუმენმა სახმელეთო ჯარების რაოდენობა 400 ათასი ადამიანით გაზარდა და ამისათვის მეორე მსოფლიო ომის მრავალი ვეტერანი ჯარში დააბრუნა.

თუ თანამედროვე სახმელეთო ჯარს შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ის წარმოუდგენლად ჰგავს იმდროინდელ კორეასთან მეომარ არმიას. დღევანდელი სახმელეთო ჯარები ფლობენ მინიმალურ ბიუჯეტს, რომელმაც 2014 წელს 129,7 მილიარდი დოლარი შეადგინა და პირად შემადგენლობაში 550 ათასი ადამიანი ჰყავთ. **ამ არმიას არ შეუძლია ებრძოლოს 21-ე საუკუნის მოწინააღმდეგეს, რომელსაც ჰყავს არმია, სამხედრო-საჰაერო ძალები, აქვს ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა.** ბიუჯეტს რომ კიდევ 30-40 მილიარდი დოლარი დაემატოს და ეს თანხა უცხოეთში გაუთვალისწინებელი ოპერაციებისთვის იყოს განკუთვნილი, დღევანდელი სახმელეთო ჯარები ხარჯებით იოლად გადააჭარბებდა 1953 წლის იმ ჯარს, რომელიც მილიონ ადამიანს ითვლიდა და რომელთაგან 201 ათასი კორეაში იმყოფებოდა.

თუ თანამედროვე სახმელეთო ჯარების ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურას გადავხედავთ, აუცილებლად გაჩნდება ეჭვი, რომ 1953 წლის დროინდელი 134 მილიარდი დოლარითაც მშვენივრად მოხერხდებოდა მილიონიანი ჯარის შენახვა. დასაფიქრებელია შემდეგი რამ: მეორე მსოფლიო ომის დროს 11 მილიონ ამერიკელ ჯარისკაცს მეთაურობდა სულ ოთხი ოთხვარსკვლავიანი გენერალი. დღეს 550 ათასი ადამიანისგან შემდგარ სახმელეთო ჯარს სათავეში უდგას 11 ოთხვარსკვლავიანი გენერალი, რომელიც სერიოზულ ხარჯებს განაპირობებს. ამას არანაირი აზრი არ აქვს. თუ წარმოვიდგენთ, რომ სახმელეთო ჯარი არის ნიჩბებიანი ნავი ცხრა მგზავრით, გამოვა, რომ ოთხი მათგანი საჭეს მართავს, სამი ტაქტს ითვლის და მხოლოდ ორი უსვამს ნიჩბებს.

პრობლემის გადაწყვეტა ნათელია. საჭიროა აშშ-ის სახმელეთო ჯარების რეორგანიზება და რეფორმირება, რათა ამაღლდეს მისი სამხედრო მზადყოფნა და რეალური საბრძოლო ძლევამოსილება. საჭიროა შტაბების რაოდენობის შემცირება და მათთვის დიდი რაოდენობით საბრძოლო ნაწილების დაქვემდებარება. საჭიროა სამეთაურო სტრუქტურისა და უსარგებლო ხარჯების შემცირება. და ეს ყველაფერი რთული არ არის, იაპონიის თავდაცვის ძალებმა ეს ყველაფერი უკვე გააკეთეს.

აშშ-ის სახმელეთო ჯარების სამეთაურო-საშტაბო თანამდებობებზე მუშაობს პირადი შემადგენლობის 31%. არადა, იაპონიაში იგივე მაჩვენებელი 6%-ს არ აღემატება. აქვს რა დაახლოებით სამჯერ ნაკლები ბიუჯეტი და პირადი შემადგენლობა, ვიდრე აშშ-ის სახმელეთო ჯარს, იაპონიის სახმელეთო ჯარების საბრძოლო ფორმირებები 6000-7000 ადამიანისგან შედგება და აქვს გაცილებით მეტი საბრძოლო მზადყოფნაცა და ძლევამოსილებაც, ვიდრე აშშ-ის არმიის ნაწილებს.

**რუსეთის არმია იმავე მიმართულებით მიდის. დღეს ქვეყანამ, რომელსაც უფრო მეტი დივიზია ჰყავდა, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანას მთელი ისტორიის მანძილზე, დივიზიები დაშალა. მათ ნაცვლად შეიქმნა 80 საჯარო ფორმირება, რომელთაგან თითოეული მოიცავს, გენერლის მეთაურობით, 5000-6000 ჯარისკაცს.** 2019 წლამდე მათმა რაოდენობამ, შესაძლოა, 200-ს მიაღწიოს. აღნიშნული ნაწილები პირდაპირ ექვემდებარება კორპუსის მეთაურს, რომლის წოდებაც გენერალ-პოლკოვნიკია და რომელიც მეთაურობს საერთო საჯარო ოპერაციებს.

დივიზიისა და ბრიგადის შემადგენლობაში საბრძოლო ჯგუფების რაოდენობის შემცირება, მათი საბრძოლო ძლიერების გაზრდისა და სახსრების ეკონომიის გარეშე, პრობლემის გადაწყვეტა არ არის. 10 დივიზიის შემადგენლობაში ბრიგადების ორგანიზება, რაც 1990-იან წლებში ხდებოდა, არის უკანგადადგმული ნაბიჯი. ამ პროცესში უნდა ჩაერთოს კონგრესი, რათა მიღწეულ იქნეს ფუძემდებლური ცვლილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში ამერიკას ეყოლება ახალი ოპერატიული ჯგუფი „სმიტი“.

ოთხვარსკვლავიანი არმიის გენერლები, როგორც მოქმედნი, ასევე გადამდგარნი, ერთხმად აწუწუნდებიან, რომ სახმელეთო ჯარის შეცვლა ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესია.

ყველაფერი მარტივია: აშშ-ის სახმელეთო ჯარები სულს ღაფავენ. როგორც 1990-იან წლებში ამბობდა ბიზნესმენი პიტერ დრუკერი, „თუ გსურთ სიახლე, თავი დაანებეთ ძველის კეთებას“. კონგრესმა მოქმედება უნდა დაიწყოს. არანაირი აუცილებლობა არ არსებობს, ბოლომდე გადაივსოს არლინგტონის სასაფლაო.

**დუგლას მაკგრეგორი,**
**გადამდგარი პოლკოვნიკი, საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი, მეცნიერებათა დოქტორი და სამხედრო თემატიკის ხუთი წიგნის ავტორი.**

**Politico**

## Vodafone: 29 ქვეყნის ხელისუფლება მოქალაქეების სატელეფონო საუბრებს უსმენს

**„ფიჭური კავშირგაბმულობის ერთ-ერთმა ოპერატორმა Vodafone-მ განაცხადა, რომ მსოფლიოს 29 ქვეყნის ხელისუფლებას აქვს ტექნოლოგიები, რომლებიც მათ ამ კომპანიის აბონენტების სატელეფონო საუბრების მოსმენის საშუალებას აძლევს“, — წერს ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“.**

როგორც Vodafone-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, სპეციალური მოწყობილობა პირდაპირ არის მიერთებული კომპანიისა და მისი პარტნიორების ქსელებზე. და ეს მოწყობილობა სატელეფონო საუბრების რეალურ დროის რეჟიმში ჩაწერის ან მოსმენის საშუალებას იძლევა, ამასთანავე, შეუძლია დაადგინოს აბონენტის ადგილმდებარეობა.

კომპანია, რომელიც ევროპაში მოქმედებს, თავს იკავებს იმ ქვეყნების დასახელებისგან, რომლებსაც ასეთი ტექნოლოგიები აქვთ.






**ავღანეთის ოკუპაცია აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტია. ეს ომი უკვე 13 წელი გრძელდება და ბოლო არც ახლა უჩანს. ბარაკ ობამამ მისი შეწყვეტის პირობა ჯერ კიდევ საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის დროს დადო — 2007 წელს, მაგრამ მას წინასაარჩევნო დაპირებები ამ დრომდეც არ შეუსრულებია.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის ჯარების გაყვანა ავღანეთიდან: ობამა მომხრეა, პენტაგონი — წინააღმდეგი



**ბარაკ ობამა ემზადება ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ომის დასრულებისთვის: აშშ-ის ჯარების დიდი ნაწილი დღე-დღეზე წავა ავღანეთიდან. ამ მთიან ქვეყანაში წამოწყებული კამპანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის უდიდეს მარცხად იქცა მისი არსებობის ისტორიაში. ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტი ყველანაირად უარყოფს, რომ ნატომ, ოკუპაციის მრავალი წლის მიუხედავად, მაინც ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, შური ეძია 11 სექტემბრის ტერაქტების გამო და გაეგრძელებინა ომი კიდევ თუნდაც რამდენიმე წლით იმ იმედით, რომ თალიბანი ბოლოს და ბოლოს დაემხობა.**

თეთრი სახლის მეთაურმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ დადო პირობა, რომ ავღანეთის ოკუპაცია მალე დასრულდებოდა. მისი რწმუნებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჯარებს ავღანეთის მთები 2014 წელს უნდა დაეტოვებინა. და აი, **დათქმული დროც მოვიდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, აშშ სულაც არ აპირებს ავღანეთიდან წასვლას: ყველასთვის მოულოდნელად, ბარაკ ობამამ ახალი განცხადება გააკეთა და მსოფლიოს აცნობა, რომ აზიის ამ ქვეყანაში 2016 წლამდე დარჩება ამერიკული კონტინგენტი 10-20 ადამიანის შემადგენლობით.**

ცხადია, ვაშინგტონს უფრო მეტი სურდა. აშშ გეგმავდა, ავღანეთის ხელისუფლებასთან ხელი მოეწერა შეთანხმებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე 10 წლის ვადით 9 სამხედრო ბაზის განლაგების თაობაზე. მაგრამ ამერიკელების მიერ დანიშნულმა ხამიდ ყარზაიმ ყველას გასაკვირად და მრავალი წლის განმავლობაში პირველად დამოუკიდებლობა გამოამჟღავნა — კატეგორიული უარი განაცხადა ამგვარი შეთანხმების ხელმოწერაზე. როგორც ჩანს, მას შეეშინდა, საკუთარ თავზე აეღო პასუხისმგებლობა და გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა, განტევების ვაცი ქვეყნის მომავალი ლიდერი გამხდარიყო. ვინაიდან ავღანეთში აპრილში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო, 14 ივნისს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართება და ამ უბედურის სახელსაც მალევე გავიგებთ.

მეორე ტურში იბრძოლებს ავღანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი აბდულა აბდულა, რომელმაც არჩევნების პირველ ტურში მოქალაქეთა ხმების 45% დააგროვა, ხოლო მისი ოპონენტი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი, პირველ ტურში 31,6%-იანი მაჩვენებლის მომპოვებელი აშრაფ განი იქნება.

სავარაუდოდ, გამარჯვებულის სახელი აგვისტომდე არ გახდება ოფიციალურად ცნობილი, რადგან ავღანეთში არჩევნების პროცესის დარღვევის შესახებ უამრავი საჩივრის გამო პირველი ტურის შედეგებიც ხელახლა გახდა დასათვლელი და ამას კი ხანგრძლივი პროცესი დასჭირდა. სხვათა შორის, მიუხედავად თალიბების მუქარისა, არჩევნების პირველ ტურში მილიონობით ავღანელმა მიიღო მონაწილეობა. სამაგიეროდ, როგორც ამბობენ, გაცილებით უფრო რთული იქნება მეორე ტურის ჩატარება.

ახალ პრეზიდენტს უმალ მოუწევს მთელ რიგ ურთულეს პრობლემებთან შეჯახება. სავარაუდოდ, ეს იქნება ავღანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი აბდულა აბდულა. ნიშანდობლივია, რომ, როდესაც ბარაკ ობამა ავღანეთში ჩავიდა მოულოდნელი ვიზიტით, ხამიდ ყარზაიმ აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარი განაცხადა და შესთავაზა მას, ქაბულში 2 აგვისტოს — ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს ჩავიდეს.

ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უპატივცემულო დამოკიდებულება აშშ-ის მარიონეტის მხრიდან მისივე დამნიშნავის მიმართ უცნაურად გამოიყურება, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლოა, საქმე ეხებოდეს ეშმაკურ სვლას ან რაიმე პირად წყენას. შესაძლოა, ყარზაის, უბრალოდ, ეშინია, რომ რესპუბლიკაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მისი ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული, ან არ სურს, ხელისუფლებაში აბდულა იხილოს და ობამასადმი დემონსტრაციული უყურადღებობით გამოხატავს უკმაყოფილებას.

**ავღანეთის ოკუპაცია აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტია. ეს ომი უკვე 13 წელი გრძელდება და ბოლო არც ახლა უჩანს. ბარაკ ობამამ მისი შეწყვეტის პირობა ჯერ კიდევ საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის დროს დადო — 2007 წელს, მაგრამ მას წინასაარჩევნო დაპირებები ამ დრომდეც არ შეუსრულებია.** როგორც ჩანს, ობამას პრეზიდენტობის ვადაში ეს ომი ვერ დასრულდება: მისი პრეზიდენტობის მეორე ვადაც დასასრულს უახლოვდება, სამხედრო ოპერაციებს კი ავღანეთში ბოლო არ უჩანს.



**დათქმული დროც მოვიდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, აშშ სულაც არ აპირებს ავღანეთიდან წასვლას: ყველასთვის მოულოდნელად, ბარაკ ობამამ ახალი განცხადება გააკეთა და მსოფლიოს აცნობა, რომ აზიის ამ ქვეყანაში 2016 წლამდე დარჩება ამერიკული კონტინგენტი 10-20 ადამიანის შემადგენლობით**

ობამა აცხადებს, რომ ავღანეთში წესრიგის დასამყარებლად კიდევ ორ-ნახევარი წელი სჭირდება, ანუ 2016 წლამდე ამერიკული ჯარები, თუნდაც ნაკლები შემადგენლობით, კვლავაც საკუთარი ხიშტებით დაიჭერენ ავღანურ ელიტას. როგორც აშშ-ის პრეზიდენტი ახალ დაპირებაში აღნიშნავს, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ აშშ-ის უკანასკნელი ჯარისკაციც კი დატოვებს ავღანურ მიწა-წყალს.

წინამორბედებისგან განსხვავებით, ეს განცხადება სიმართლესთან ახლოსაა. ბარაკ ობამას ხომ ნამდვილად სურს, ამომრჩევლებს თავი დაამახსოვროს, როგორც საკუთარი დაპირებებიდან თუნდაც ერთის შემსრულებელმა ლიდერმა — შეწყვიტოს ავღანეთის ოკუპაცია. ობამას სურს, რომ მისი მმართველობა ასოცირდებოდეს არა მხოლოდ წარუმატებელ სამედიცინო რეფორმასთან, უდიდეს ეკონომიკურ დეპრესიასთან და აშშ-ის მიმართ მზარდ უკმაყოფილებასთან მსოფლიოს უკლებლივ ყველა კუთხეში. ამისთვის ხომ არ გადაუციათ მისთვის მშვიდობის ნობელის პრემია.

გარდა ამისა, და ეს მნიშვნელოვანია, აშშ-ს, უბრალოდ, არ აქვს ფული საომარი კამპანიის გასაგრძელებლად. ქვეყნის ეკონომიკა კრიზისშია და ძვირადღირებული სამხედრო თამაშისთვის სახსრები არ გააჩნია.

მაგრამ, ბარაკ ობამას გარდა, აშშ-ში სხვა მოთამაშეებიც არიან. მათ არ აინტერესებთ პრეზიდენტის განზრახვა და გეგმების დაწყობისას ხელმძღვანელობენ არა პირადი, არამედ სტრატეგიული ინტერესებით. ასეთები არიან სახელმწიფო დეპარტამენტი და პენტაგონი, რომელთა ჩინოვნიკებიც ავღანეთიდან ამერიკის ჯარის გასვლის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. მათ მშვენივრად იციან, რომ ეს ქვეყანა რეგიონში საკვანძოა და იდეალურად გამოდგება როგორც პაკისტანისა და ირანის, ასევე შუა აზიის ქვეყნების გასაკონტროლებლად. როგორც ჩანს, სწორედ პენტაგონმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა წამოწიეს წინა პლანზე იდეა, რომლის თანახმადაც შეთანხმების საფუძველზე ამერიკის ჯარებს ავღანეთში 2024 წლამდე ექნებოდათ დარჩენის უფლება.

ვიდრე აშშ-ის პრეზიდენტი ისტორიის სახელმძღვანელოში ადგილის მოპოვებისთვის იბრძვის, ავღანური კომპრადორული ელიტა ჩუმად ვარდება პანიკაში. ამერიკული ჯარების ქვეყნიდან გაყვანის შემდეგ მას ადგილი აღარ მოეძებნება რესპუბლიკაში, სადაც, დიდი ალბათობით, ლიდერის პოზიციებს თალიბები და რადიკალური სუნიტური დაჯგუფებები დაიკავებენ. ამასთან, ავღანელი ხალხი, თავისი კოლაბორაციონისტული ხელისუფლებისგან განსხვავებით, ომის სწრაფად დასრულების მოსურნეა: ავღანელებს მოსწყინდათ დაუსრულებელი ტერაქტები, უპილოტო საფრენი აპარატების შეტევები, ბოევიკებისა და ამერიკული სპეცრაზმის გამოხდომები. ადამიანებს მოსწყინდათ ორ ცეცხლს შუა ყოფნა და ომი.

**ავღანეთის მეზობლებიც ომის მალე დასრულების მომხრენი არიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ ისლამისტ რადიკალებს, თუ ისინი სახელმწიფო საზღვრის მიღმა გადაძრომას მოინდომებენ. მათ უფრო მეტად ეშინიათ ამერიკული ჯარის, რომელსაც შეუძლია, შეტევა განახორციელოს ავღანეთის მეზობლებზე — უპირველეს ყოვლისა, ირანსა და პაკისტანზე.** ოკუპაციით უკმაყოფილებას გამოხატავს რუსეთიც: შუა აზიაში აშშ-ის მისვლით ძირფესვიანად შეიცვალა იქაურ ძალთა ბალანსი და წონასწორობის დაკარგვა უკვე შემოუტრიალდა მსოფლიოს რეგიონული კონფლიქტებით.

ამრიგად, ავღანეთის ომში პირდაპირ ან ირიბად ჩართული მხარეები ორ ბანაკად გაიყვნენ: პირველები — ოკუპაციის გაგრძელების მომხრეები. ამ ბანაკში შედიან სახელმწიფო დეპარტამენტი, პენტაგონი და, რა თქმა უნდა, ავღანეთის კომპრადორული ელიტა, რომლის წარმომადგენლებიც ამ დრომდე ცოცხლები არიან მხოლოდ ამერიკელი ჯარისკაცების დამსახურებით; მეორენი — ჯარების გაყვანის მომხრენი. ამ ბანაკში აღმოჩნდნენ ბარაკ ობამა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, და ავღანეთის მეზობლები.

**ახლა კონფლიქტის დასრულება დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს აშშ-ში: „ომის პარტია“ თუ „მშვიდობის პარტია“. რუხი კარდინალები, რომელთაც შუა აზიაში ექსპანსიის გაგრძელება სურთ, თუ პრეზიდენტი, რომელმაც თავი დიდ ისტორიულ მოღვაწედ წარმოიდგინა.**

ნებისმიერ შემთხვევაში, აშშ-ის წინააღმდეგ უმძიმესი არჩევანი დგას: ან ახლა გაიყვანოს ჯარების დიდი ნაწილი და დამარცხება აღიაროს, ან გაიხანგრძლივოს ომისგან მიღებული სიამოვნება 2024 წლამდე და ფედერალური ბიუჯეტისთვის შავ ხვრელად აქციოს ის. მაგრამ ასე გრძელი ომი სულაც არ არის გამარჯვების გარანტია, დიდი ალბათობით, შედეგი იგივე იქნება, რაც ახლაა. თუ რაღაც ექსტრაორდინალური არ მოხდა, რადიკალური გარდატეხაც არ მოხდება.

აშშ-ის წინაშე ურთულესი არჩევანია: უდიდესი მატერიალური, ადამიანური და იმიჯური დანაკარგებით აკონტროლოს შუა აზია კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში ან უარი განაცხადოს უაზრო ომში მონაწილეობაზე, აღიაროს სამარცხვინო მარცხი, მაგრამ თავიდან აიცილოს უდიდესი მსხვერპლი.

ამ არჩევანს ობამა უახლოეს მომავალში გააკეთებს. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, სისულელეა მისი მშვიდობისმყოფელად მიჩნევა. იგი მხოლოდ პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობს და საკუთარი იმპერიის ინტერესებით. ამერიკული ჯარები რომც გავიდნენ წელს ავღანეთიდან, მოდუნება მაინც არ შეიძლება, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარი მიზნის მიღწევისთვის ყველაფერზეა წამსვლელი.

topwar.ru

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საზოგადოებრივ წყობილებას ცხოვრების დონესთან საერთო არაფერი აქვს. დემოკრატია ყველგან დამკვიდრდება, ხოლო კარგად იცხოვრებენ ისინი, ვინც ნავთობის, გაზისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა საბადოებს აკონტროლებენ.**

# რატომ ვერ გაიმარჯვებს დემოკრატია ვერასოდეს?




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-20 (254-255)

**მაქსიმ გორკი წერდა:**
**საოცრად უხერხული რამეა ფული —**
**აღებაც უხერხულია და მიცემაცო. წავიდა ის დრო.**
**რომანტიკული ზნეობრიობის ხანა დამთავრდა.**
**დღეს ფული ყველას სჭირდება — თავისუფლებისთვის მებრძოლებსაც, უფლებადამცველებსაც და ჟურნალისტებსაც.**
**მოსამართლეებსაც და ადვოკატებსაც.**



პოლიტოლოგებიც ამით ცხოვრობენ. ყოველ დღე (ზოგჯერ დღეში რამდენიმეჯერ) გვაქვს ბედნიერება, ტელეეკრანებზე ვიხილოთ სათნო პოლიტოლოგის ან ჩვენი უფლებებისთვის მებრძოლის ჩაპუტკუნებული და თვითკმაყოფილი სახე. მიწაში დებენ ავსა და უკეთურს და ასეთივე პათოსით ადიდებენ სიკეთეს. დაუკვირდები, ჩახედავ და პირკატა გეცემა, რადგან მათი ნაგინებიც და ნაქებიც სიცრუისა და ნაყალბევის ნაყოფია. თვითონაც ერზაც ანალიტიკოსები არიან, კარგად დაფინანსებული ვიღაცის მიერ.

სად ამოდუღს სიკეთის ეს წყარო?

სიკეთის ქვეყანაში, იქ, სადაც სიკეთის ძალა ბატონობს, ანუ დასავლეთში. იმპერიაც არსებობს სიკეთის — ამერიკის შეერთებული შტატები, რომელშიც ყველაფერი დალაგებულია და გარკვეული. ეს კეთილი სახელმწიფო ერთადერთი რამითაა შეშფოთებული — ადამიანის უფლებების დაცვით მთელ მსოფლიოში. ჰყავს მას მეგობარი ქვეყნები, რომლებიც დომინანტ ქვეყანასთან არიან შეზრდილნი და ყველაფერზე მეტად სურთ მშვიდობის სუფევა, ადამიანების ბედნიერება და შეძლებული ცხოვრება.

და სწორედ ამიტომ (არავითარი სხვა მიზეზისა გამო) ყველას, ვისაც არ სურს მშვიდობიანი, შეძლებული და ბედნიერი ცხოვრება, სიკეთის იმპერია და მისი მეგობრები ბომბავენ. იძულებულები არიან, ასე მოიქცნენ, რათა ცუდები კარგებად იქცნენ და იცხოვრონ მშვიდობიან გარემოში, შეძლებულად და ბედნიერად.

დაფიქრება არაა საჭირო, გაანალიზება ზედმეტია...

დასავლელ ობივატელს არც უჩნდება ცუდისა და კარგის გარკვევის პრობლემა. ნაფიქრია მის ნაცვლად, ბეჭედდასმული აქვთ ჭეშმარიტება. თუ მაინც დაებადებათ შეკითხვები, აუხსნიან. მადლობა ღმერთს, განმსაზღვრელი კრიტერიუმი ნაპოვნია: ცუდ სახელმწიფოებში არ არის დემოკრატია ან ცოტაა, ან საკმარისად ბევრი არ არის.

რახან ასეთი სახელმწიფოები ცუდია, მაშასადამე, ყველა სიავე, რაც მსოფლიოში ხდება, ამ სახელმწიფოთა ხელიდან გამოდის. და როცა ბოლო ცუდ ქვეყანაში გაიმარჯვებს კარგი დემოკრატია, აი, მაშინ კაცობრიობა ოქროს ხანაში შევა...

ამბობენ ამას და აბსოლუტურად არად დაგიდევენ, რომ დედამიწაზე მცხოვრები 6-7 მილიარდი ადამიანიდან ყველა ვერ იცხოვრებს თანამედროვე დასავლელი მომხმარებლის სტანდარტების დონეზე, პლანეტა ვერ გაუძლებს. დედამიწაზე არ არსებობს იმდენი რესურსი, რომ ყველა ქვეყნის ყველა მოქალაქეს შეეძლოს, სამ წელიწადში ერთხელ ახალი ავტომანქანა იყიდოს და სამ თვეში ერთხელ — მობილური ტელეფონი.

**რა გამოდის? დემოკრატია გაიმარჯვებს ყველგან, მაგრამ ერთნაირად კარგად ცხოვრება მაინც შეუძლებელი იქნება?** ცხადი ხდება, რომ საზოგადოებრივ წყობილებას ცხოვრების დონესთან საერთო არაფერი აქვს. დემოკრატია ყველგან დამკვიდრდება, ხოლო კარგად იცხოვრებენ ისინი, ვინც ნავთობის, გაზისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა საბადოებს აკონტროლებენ.

ეს განყენებული მსჯელობა არ არის. **დღეს აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში არაერთი სახელმწიფოა ისეთი, რომლებსაც „ცივილიზებული“ სამყარო „ცივილიზებულად“ თვლის, მაგრამ მათ ან არ აქვთ წიაღისეული მარაგი, ან, რაც აქვთ, იმას სხვა „დერჟავები“ აკონტროლებენ.** დემოკრატია თითქოს დამკვიდრებულია, მაგრამ კეთილდღეობა არ ჩანს. რაღა შორს წავიდეთ, საქართველო — „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებული ქვეყანა, სიღარიბის ინდექსით ყველაზე უფრო გაჭირვებულ ქვეყნებს შორის მოიხსენიებოდა.

**«თუ მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს თავისუფლება, უსაქმოდ დარჩება «უფლებადამცველთა» მთელი არმია. მათ ხომ სხვა არაფერი იციან «შავბნელი ძალების» და ტოტალიტარიზმის მხილების გარდა? ორივეს მოსპობის შემდეგ, რით უნდა ჭამონ პური?!»**

მაშასადამე, **დემოკრატია „სიკეთის იმპერიის“ ხმალამოწვდილი მცდელობით ყველგან გაიმარჯვებს, მაგრამ კარგად ცხოვრებას ყველა ვერ შეძლებს.**

საეჭვო დაპირებაა.

მსგავს რამეს გასულ ხუთშაბათს „მაესტროს“ ეთერში ჯეიმს აპატურაი დაჰპირდა საქართველოს მოქალაქეებს ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრებასთან დაკავშირებით, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდა ფორმულად: „ყველაფერი, რომელიც არაფერს ნიშნავს“.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, პატივცემული ჯეიმსის არგუმენტებს ღვარძლის მოსაცილებელ საცერში თუ გავცრით, დაგვრჩება ამაოთა ამაოების სრული შეგრძნება. მოკლედ, ასეთი: ბევრი ნაბიჯი კი გაქვთ ნატოსკენ წარმატებით გადადგმული, მაგრამ არასაკმარისია ის, რაც გააკეთეთ, და, საერთოდ, გაწევრდებით თუ არა, ნატოს საქმე არ არის, ეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებულმა ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონო.

აბა, გენმდივანი რასმუსენი, ყოველ ჩამოსვლაზე ნატოში მიღებას რომ გვპირდებოდა, თავს გვიქონავდა?

„რას მოდიოდი, პატარავ,
ჩემთან,
თუ თან მოგქონდა
დიდი ნაღველი?!“

ან ეს წავუმღეროთ გაცრუებული იმედის ნიშნად, ან აპატურაის შეფასებით დავიმშვიდოთ აფორიაქებული სული: **„საქართველოსთან ჩვენ გვაქვს ყველა პირობა, რომ განვიხილოთ ყველა პრობლემები“** (ასე გვითარგმნეს. სიტყვასიტყვით).

პრობლემების განხილვის იმედად ვიყოთ!

„ათეულობით წლების განმავლობაში პოლიტოლოგებისა და სხვათა თავისუფლებისთვის მებრძოლთა ურდოები ასობით მილიონ ადამიანს გვიმტკიცებდნენ, რომ **აყვავებული ცხოვრებისკენ მიმავალი გზა ერთადერთია და ეს გზა დემოკრატიაა. ჰოდა, გაიმარჯვა დემოკრატიამ. კარგად კი კვლავ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში ცხოვრობენ, ცუდად კი — მოზამბიკში, ვიეტნამში, კოლუმბიაში (დავუმატოთ საქართველოც — დემშუქურის სამშობლო).** რით შეიძლება ამ უცნაურობის ახსნა?“

ხომ არ გვატყუებენ?

ამ შეკითხვაზე პასუხის მიღებამდე დასკვნა ერთადერთი შეიძლება იყოს.

**„დემოკრატიამ არ შეიძლება გაიმარჯვოს მთელ მსოფლიოში. უფრო მეტიც, დემოკრატიამ არ უნდა გაიმარჯვოს მთელ მსოფლიოში!“**

ყველა სხვა შემთხვევაში, ნათელი გახდება, რომ იგი (დემოკრატია) სულაც არ არის აშშ-ისა და მისი მეგობრების მიზანი, არამედ წარმოგვიდგება პირობად და საშუალებად მისი (ამერიკის შეერთებული შტატების) ულრუბლო არსებობისთვის დანარჩენი მსოფლიოს ხარჯზე.

**„დასავლეთისთვის მთელ მსოფლიოში დემოკრატიის გამარჯვებაზე უარესი საერთოდ არაფერი მოიაზრება“.**

ასეთიაო „შიშველი“ სიმართლე, გვიმტკიცებენ კრიტიკულად განწყობილი ანალიტიკოსები.

მოძრაობა ყველაფერია — მიზანი არაფერი! დემოკრატიისკენ მუდმივი მოძრაობა უზრუნველყოფს ანგლოსაქსების მუდმივ დომინირებას ჩვენს პლანეტაზე და მათი ცხოვრების უმაღლეს დონეს.

მაქსიმალიზმია? შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ დღევანდელი ვითარება ამგვარად ფიქრის უფლებას გვაძლევს.

დაუგდეთ ყური:

**„თუ მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს თავისუფლება, უსაქმოდ დარჩება „უფლებადამცველთა“ მთელი არმია. მათ ხომ სხვა არაფერი იციან „შავბნელი ძალების“ და ტოტალიტარიზმის მხილების გარდა? ორივეს მოსპობის შემდეგ, რით უნდა ჭამონ პური?!** რა უნდა აკეთონ ლიბერალმა ჟურნალისტებმა? ვის დაკარგვიან, ვინ უნდა ეძებოს? ვინ გამოუწერს პრემიებს გაბედული და მამხილებელი სტატიების გამოქვეყნებისთვის? ვინ უნდა ამხილონ, თუ ირგვლივ ყველა საერთოსაკაცობრიო იდეალებისა და ჰუმანიზმის გულმხურვალე მხარდამჭერი იქნება? რა საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი ევროკომისრების ამხელა ფარამ და უთვალავმა „სხვაგვარად მოაზროვნემ?“

**როგორც გინდა, ისე ატრიალე, მაგრამ დემოკრატიის სრული გამარჯვება ყველა „დემოკრატისთვის“ სრული მარცხი იქნება.**

ცრუ დემოკრატებისთვის, რომლებიც დემოკრატიის პირბადეაფარებულები ძია სემის ჰარამხანისთვის არიან ნაყიდი. სწორედ ისინი, დედაკაცურად მონარნარე და თვალჟუჟუნა მამაკაცები წარმოგვიდგებიან დღეს დემოკრატიის შემფასებელ უმაღლეს ინსტანციად.

დასავლელი ცრუდემოკრატები.

ნიკოლაი სტარიკოვი თავის წიგნში „დოლარს ომი გადაარჩენს“ საკმაო ადგილს უთმობს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მხილებას, რომელიც დაწყევლილი არის მშობ- ▶

## თურქეთის პრემიერმა CNN პროვოკაციის მოწყობაში დაადანაშაულა

**თურქეთის პრემიერმინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა ამერიკული ტელეარხი სტამბოლში არეულობების მოწყობის წაქეზებაში დაადანაშაულა.**

თურქეთის მთავრობის მეთაურმა მმართველი პარტია „სამართლიანობისა და განვითარების“ წევრების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ამერიკული ტელეკომპანია CNN მწვავედ გააკრიტიკა. ერდოღანმა განაცხადა, რომ 31 მაისს არეულობები სტამბოლის მოედან ტაქსიმზე CNN-ის ჟურნალისტების წინასწარგანზრახულმა მოქმედებამ გამოიწვია. **„საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებმა, რომლებიც სტამბოლში პროვოკაციული რეპორტაჟების შესაქმნელად ჩავიდნენ, მიზანს ვერ მიაღწიეს, CNN-ის ჟურნალისტი აივენ უტოსონი კი არის ლაქია, რომელსაც სურდა, თურქეთში ქაოსი შემოეტანა,“** — განაცხადა თურქეთის პრემიერმა თანაპარტიელების წინაშე სიტყვით გამოსვლისას.



**გაზეთები და ტელევიზია მძლავრი იარაღია, ძლიერი. ამიტომაა, რომ დასავლეთის ყველა ძირითადი საინფორმაციო საშუალება ერთი ცენტრიდან კონტროლდება და წარიმართება. ხშირად პრიმიტიულად უხეში, მოუქნელი ფორმით, კურიოზულად გაუნათლებელი და არაკომპეტენტური ოფიციალური პირების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი არიან მასმედიასთან კონტაქტის და აშშ ადმინისტრაციის პოლიტიკის განმარტებისა და პროპაგანდის უფლებით.**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლიური ხალხის მიერ და აღზევებული დასავლეთის ლიდერების წრეში.

**საკუთარი ქვეყნიდან განდევნილი ეს არამზადა უკრაინაში მრჩევლად აპირებს დარჩენას, ალბათ, მეისრის როლში, რათა პოროშენკოს მატარებელიც იმ ჩიხში შეაგდოს, რომლიდანაც გამოსავალი არ არსებობს.**

ერთ-ერთი „შემფასებელი" „საერთაშორისო ამნისტიაა" (Amnisty Internatuional) — არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ეროვნული სექციები 56 ქვეყანაში ფუნქციონირებს და რომლის აქტივისტი წევრები მილიონზე მეტია. უმრავლესობა უანგაროდ მუშაობს, მის შტაბ-ბინაში 500-მდე კაცია დასაქმებული. წელიწადში ერთხელ ეს ორგანიზაცია აქვეყნებს ანგარიშს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. მისი არსებობის ძირითადი მიზანიც ეგაა. ანგარიშში პრაქტიკულად ყველა ქვეყანაა ჩამოთვლილი, მაგრამ მთავარ ბოროტმოქმედებად დასახელებულია აშშ და მისი მეგობარი ქვეყნების მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები.

ვინ აფინანსებს ამ ორგანიზაციის საქმიანობას? დასვამთ ამ შეკითხვას და გიპასუხებენ, რომ ფინანსური წყარო ნებაყოფლობითი შემოწირულობებია.

ძალიან მომრავლებულან მსოფლიოში ფილანტროპები(!).

## კორუფციის წინააღმდეგ თუ რეიტინგების შესადგენად?

ამაზე მნიშვნელოვანი ამოცანა არ აქვთ უფლებადამცველებს.

ჩვენც ამ აზრზე ვდგავართ.

როგორ წარმოუდგენიათ კორუფციასთან ბრძოლა?

„მოქალაქეთა ანტიკორუფციული სამართლებრივი მსოფლმხედველობის ფორმირება, გამჭვირვალობის ინსტიტუალიზაცია, კორუფციის არიდება ანტიკორუფციული მექანიზმების ქმედითობის უზრუნველყოფის გზით".

გაიგეთ რამე? არა? არცაა საჭირო, გვეუბნებიან დარგის სპეციალისტები. რატომ? იმიტომ, რომ მთავარი კორუფციასთან ბრძოლა კი არ არის, არამედ მსოფლიოში კორუფციის რეიტინგის შედგენა (Corruption Perceptions Index). ეს რეიტინგი არის მთელი რიგი ქვეყნების შესახებ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის საშუალება. თავისი არსით ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების დაყოფის მცდელობა ქრთამის აღება-მიცემის დონით ერთ რომელიმე ქვეყანაში.

სწორედ ასეთ „დამოუკიდებელ" რეიტინგებში „აღმოაჩენენ" იმ დამარხულ ძაღლის თავს, რომელიც აშშ-ისა და დასავლეთის მოწინააღმდეგეებს ძალიან ცუდად წარმოაჩენს.

ამათი ოქროს კვეთი აქ გადის.

თუ გსურთ, ქუჩაში გამოსულ ხალხს თქვენი პოზიცია გააგებინოთ, მეგაფონი უნდა გქონდეთ. სხვაგვარად, ხმის იოგებიც რომ დაიგლიჯოთ, ვერავის ვერაფერს გააგონებთ.

ასე რბილად გადავედით მასმედიის პრობლემაზე.

ცნობილი დებულებაა: **ვის ხელშიცაა ტელევიზია, ხელისუფლებასაც იგი ფლობს.** ნებისმიერი ძლიერი ხელისუფლება კომუნიკაციის ამ საშუალებაზე კონტროლს აწესებს. ასეა დასავლეთშიც. ყველა ძირითად საინფორმაციო საშუალებას იქ აკონტროლებს და წარმართავს ერთი ცენტრი.

ეს აშკარად გამოჩნდა დღესაც უკრაინის მოვლენების ცალმხრივად გაშუქების ფაქტში. ასე იყო სხვა დროსაც — სტარიკოვს მოჰყავს სააკაშვილის დროს ხუთდღიანი წაგებული ომის გამარჯვებად გასაღების მცდელობა ქართულ მედიაში.

იგი წერს: „...სააკაშვილი დარწმუნებული იყო, ელვისებური შეტევით გადაწყვეტდა ოსეთის საკითხს. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა დაემართებათ ადამიანებს, რამდენი დაიხოცება, თუ მსოფლიოს ყველა ეკრანზე სხვა რამეს გვიჩვენებენ... იქ გამოჩნდება ყვავილებით მორთული ქართული ტანკები; ხანდაზმული ქალები, რომელთა ცრემლს კორესპონდენტები ბედნიერების ცრემლს უწოდებენ... არავითარი ნანგრევები, არავითარი ცხედრები. დემოკრატიის საზეიმო ნაბიჯები და მისი აპოგეა — ცხინვალის მოქალაქეთა მიტინგები ცეკვისა და სიმღერის თანხლებით. კოკოითი, ხელბორკილდადებული ქართველი პოლიციელების ბადრაგს მიჰყავს. ახალგაზრდა და უშიშარი მიშიკოს პორტრეტების გარშემო გაჩაღებულია ფერხული. დიდება მას — საქართველო გაერთიანდა! ყველაფერი ჟანრის კანონებსაა დამორჩილებული — კარგებმა გაიმარჯვეს, ცუდებმა წააგეს".

სიმართლის გამგები არავინაა...

**გაზეთები და ტელევიზია მძლავრი იარაღია, ძლიერი. ამიტომაა, რომ დასავლეთის ყველა ძირითადი საინფორმაციო საშუალება ერთი ცენტრიდან კონტროლდება და წარიმართება. ხშირად პრიმიტიულად უხეში, მოუქნელი ფორმით, კურიოზულად გაუნათლებელი და არაკომპეტენტური ოფიციალური პირების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი არიან მასმედიასთან კონტაქტის და აშშ ადმინისტრაციის პოლიტიკის განმარტებისა და პროპაგანდის უფლებით.**

მათი მოვალეობაც ეგაა.

უახლესი მაგალითი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი ჯენიფერ ფსაკია, რომელმაც ბრიფინგების დროს სისულელეთა მაქსიმალიზმის დემონსტრაციით თავიც გაიბითურა და დეპარტამენტსაც თავი მოჭრა.

## თუ თქვენ არ მისვალთ დემოკრატიასთან,



## დემოკრატია მოვა თქვენთან!

**საკუთარი ქვეყნიდან განდევნილი ეს არამზადა უკრაინაში მრჩევლად აპირებს დარჩენას, ალბათ, მეისრის როლში, რათა პოროშენკოს მატარებელიც იმ ჩიხში შეაგდოს, რომლიდანაც გამოსავალი არ არსებობს**

სახდეპმა სასწრაფოდ მოაცილა ბრიფინგებს ეს უვიცი დედაკაცი.

იყო ფსაკი, მოვიდა ჰარპი.

სახელები შეიცვალა. სახეებიც. სხვა არაფერი.

მარი ჰარპი წარმართავდა 4 ივნისს გამართულ ბრიფინგს და „ჩამკითხავი" ჟურნალისტებს წინამორბედის თავდაჯერებით გაცემული პასუხებით უმტკიცებდა, რომ იგი ფსაკისნაირად არაკომპეტენტურია.

ან — უფრო მეტად.

ჟურნალისტი ქალი ეუბნება, რომ ეუთომ დაადასტურა — აფეთქებები ლუგანსკში ავიაშეტევაა და სხვა არაფერი. „დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები. კიევი კი უარობს, რომ მას ამ ინციდენტთან რაიმე კავშირი აქვს. თქვენ ვისი გჯერათ?

— თქვენ ლაპარაკობთ იმაზე, რაც 2 ივნისს მოხდა? ჩვენ ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები გვაქვს.

— ვისი გჯერათ: ეუთოსი თუ კიევის?

— ჩვენ ჯერ მხოლოდ ვერკვევით მომხდარში. ჩვენ ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები გვაქვს. პირადად მე, მართალი გითხრათ, არ მინახავს ეუთოს არავითარი დადგენილება, ამიტომ მომეცით უფლება, ჯერ შევისწავლო ეს. და, რა თქმა უნდა, ჩვენ მივესალმებით იმ თავშეკავებას, რომელსაც ავლენს უკრაინის მთავრობა რუსეთის ყოვლისდამთრგუნველი და მიუღებელი ჩარევის პირობებში. საწინააღმდეგოს დამამტკიცებელს ვერაფერს ვხედავთ".

ფსაკამდე ვერ ამაღლდა მის ჰარპი, მაგრამ ძალიან დაემსგავსა კი.

პარალელისთვის — ჯენიფერის მარგალიტები: **„გაზი დასავლეთ ევროპიდან უკრაინის გავლით რუსეთს მიეწოდება";** ან: როცა დონეცკისა და ლუგანსკის რეფერენდუმები შეაფასა, „კარუსელები" ახსენა *(ჩვენთვის კარგად ნაცნობი „კარუსელის" პრინციპით ხმის მიცემა)* და როცა ჟურნალისტი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შეეკითხა, ნიშნავდა ეს, რომ ბავშვები კარუსელებზე ტრიალებდნენ და თან ხმას აძლევდნენო, უპასუხა: პირველად გავიგეო ამ ტერმინის არსებობა და აუცილებლად გავარკვევო, რასაც ნიშნავს ეს ეგზოტიკური კარუსელი.

რატომ მანამდე არ გაარკვია?

იმიტომ, რომ დასადანაშაულებლად საკმარისი იყო განცხადება, რომ ამ საშინელი კარუსელის უკან დგას ვინ?..

რა თქმა უნდა, რუსეთი!

უბრძანეს ასე თქვიო და ასეც მოიქცა იქაური მოგელაძე.

და მოხდა გაუგონარი რამ: სასიხარულო ამბავი სწრაფად გავრცელდა. 6 ივნისს ფსაკმა (თუ ფსაკიმ), იმ ჟურნალისტების გასახარად, რომლებიც მისი ორიგინალური შემოქმედების უნიკალური ნიმუშებით ხალისობდნენ, თავის „ტვიტერზე" დაწერა, რომ არსად წასულა და რომ კვლავ თავის ადგილზე ზის: **„რუსეთის პროპაგანდისტული მანქანის მუშაობის მიუხედავად, მე ჯერ კიდევ აქ ვარ, როგორც ძლიერი, დემოკრატიული უკრაინა".** ეს, ცხადია, ისეთი მარგალიტი არ არის, როგორც მისეული მუქარა (ჯიუტი ქვეყნების დასაშინებლად თქმული) აშშ ფლოტის „ბელარუსის ნაპირებისკენ გაგზავნის" შესახებ.

**რატომ ვერ გათავისუფლდნენ ამ უვიცი დედაკაცისგან სახდეპში? უთუოდ იმიტომ, რომ იგი თავად სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის პროტეჟეა. ეს ერთი. და მეორე: საჯაროდ გაიმეორა ის, რაც რომელიღაც კაბინეტის სიმყუდროვეში უთხრეს.**

პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღეს.

ხომ შეიძლება, ასე ვიფიქროთ?

მარგალიტებს ფსაკი კიდევ ბევრს დააბნევს.

**პრესას უკონტროლოდ არავინ დატოვებს. იარაღის საწყობის კარს თუ საგულდაგულოდ არ ჩარაზავთ, ხვალ იმ იარაღით სხვა შემოგიტევთ. არ გამოკვებავთ საკუთარ არმიას, გამოკვებავთ სხვისას, — უთქვამს ნაპოლეონს. მასმედიაზე ზედგამოჭრილია — არ აჭმევთ ჟურნალისტებს, მათ სიამოვნებით გამოყენებენ თქვენი მოწინააღმდეგეები.**

„თავისუფალი სიტყვა, ადამიანის უფლებები, თავისუფალი პრესა ძლიერი იარაღია, რომელთაც მასობრივად იყენებენ განუწყვეტლად მიმდინარე ფარულ ბრძოლაში, რომელიც მსოფლიოს დასაპყრობად მიმდინარეობს".

ჩვენი სამყარო ფინანსებზე დგას. კარგია, ცუდია, ნუ ვიტყვით. ფაქტია. დღეს მთავარი ფულია. ფულით იზომება ყველაფერი — სახელმწიფოს სიძლიერე, იდეოლოგიის სისწორე, წარმატების ხარისხი და ადამიანებისა და კონტინენტების მნიშვნელობა. უწინ ომებს მიწებისა და რესურსების ხელში ჩასაგდებად იწყებდნენ. ამჟამად მთავარი ისაა, თუ ვინ დაბეჭდავს ფულს. ყველაფერ დანარჩენს „საბეჭდი მანქანა" იყიდის — ჟურნალისტებს, სასარგებლო წიაღისეულს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, მიწებსა და ტერიტორიებს. დავუმატოთ — ამომრჩეველთა ხმებსაც, პირდაპირი თუ შემოვლითი გზით.

**ფულით იზომება ყველაფერი — სახელმწიფოს სიძლიერე, იდეოლოგიის სისწორე, წარმატების ხარისხი და ადამიანებისა და კონტინენტების მნიშვნელობა. უწინ ომებს მიწებისა და რესურსების ხელში ჩასაგდებად იწყებდნენ. ამჟამად მთავარი ისაა, თუ ვინ დაბეჭდავს ფულს**

აბა, რატომ აკაკანდნენ საქართველოში არჩევნების კვირაძალს „ნაცები", როცა საფინანსო პოლიციამ ათიათასობით „ოფშორული დოლარის" უკანონო არხი გადაუკეტა?

ფული იყიდის ყველაფერს, რაც იყიდება, სინდისის ჩათვლით. შემდეგ შეეცდება იყიდოს ის, ვინც და რაც ეწინააღმდეგება.

ამისთვის კი საჭიროა კრიზისი.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**




## მილიარდერი ფორბსი დიდ დეპრესიას წინასწარმეტყველებს

**„დოლარის კრახი უდიდესი მოვლენა იქნება კაცობრიობის ისტორიაში. ეს იქნება პირველი ღონისძიება, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს შეეხება. ადამიანს ფული მართავს — ჩვენი სამუშაო, ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი საკვები და ურთიერთობებიც კი დამოკიდებულია ფულზე.**

არასოდეს ყოფილა ისეთი სიტუაცია, როგორიც ახლა არის — დოლარს კოლოსალური გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე, ეს დე ფაქტო მსოფლიოს ვალუტაა. სხვა ვალუტების კოლაფსი დოლარის კოლაფსთან შედარებით არაფერია. დოლარის კრახი აისახება არა მხოლოდ დოლარზე, არამედ სხვა არაუზრუნველყოფილ ვალუტებზე. ეს კრახი გამოიწვევს ყველა აქტივების კრახს და მისი შედეგები წარმოუდგენელი იქნება," — განაცხადა ჟურნალ „ფორბსის" აღმასრულებელმა დირექტორმა, ბიზნესმენმა და პოლიტიკოსმა, მილიარდერმა სტივ ფორბსმა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს არის, არც მეტი, არც ნაკლები, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ავადმყოფის ბოდვა და მცდელობა, შებღალვისა უკეთილშობილესი ჩოხოსნური მოძრაობის თითქმის საუკუნოვანი ისტორიისა, რომელსაც სათავე დაუდეს ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა: ვახტანგ კოტეტიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, პავლე ინგოროყვამ და ალექსანდრე აბაშელმა.

# რაინდთა მოთმინების ზღვარი

**მოვითხოვ: ბატონმა ცუცქირიძემ, კეთილი ინებოს და წარმოადგინოს ამ „აღიარების“ ვიდეო თუ სტენოგრაფიული ჩანაწერი ჩვენი გაზეთის მორიგი ნომრისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ასეთი მკრეხელობა, სხვა უამრავ ფაქტობრივ აბსურდსა და უზნეობასთან ერთად, თავდაპირველად გადაეცემა განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, შემდეგ კი იგი სამართლებრივ სივრცეში გადაინაცვლებს!**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2014 წლის 7 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, 26 აპრილს თუ რა ულამაზესი ღონისძიებით აღინიშნა ხაშურში დიდი ქართველი მამულიშვილის, „წმიდა დიმიტრი (ყიფიანი) — სამშობლოსათვის წამებულის“ დაბადების 100 წლისთავი.**

ამ ინფორმაციაში არის ჩემი მცირე ინტერვიუც, რომელსაც ისე აღუშფოთებია პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ანუ აკადემიკოსი, ბატონი ზურაბ ცუცქირიძე, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (30.V.2014) რუბრიკით „უსიამოვნო საუბარი“ გამოუქვეყნებია სტატია, რომელსაც მქუხარე სათაური აქვს — „მითვისებული იდეა“...

დავიწყოთ იმით, რომ ეს, საუბარი კი არა, ჩვეულებრივი სტატიაა, გნებავთ, მონოლოგი და ნუთუ ამდენი აღარ უნდა იცოდეს პედაგოგიკის დოქტორმა, თანაც განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ანუ აკადემიკოსმა?! „საუბარი“ მაშინ იქნებოდა, ვინმესთან რომ მართლაც ესაუბრა, ებაასა, ემუსაიფა, ემასლაათა, ვთქვათ, გაზეთის კორესპონდენტთან, რედაქციის რომელიმე თანამშრომელთან, თუნდაც, ბოლოს და ბოლოს, თქვენს მონა-მორჩილთან, თუკი, ცხადია, იკადრებდა იმ ჩოხოსანთან თავის გაყადრებას, რომელსაც, მისივე შეფასებით, „მხოლოდ ტაშ-ფანდურის ხელმძღვანელობა“ შეუძლია... **მაშინ ხომ ავუხსნიდი ერთობ საეჭვოდ ამჩატებულ პედაგოგიკის დოქტორს, თანაც განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ანუ აკადემიკოსს, თუ, სამწუხაროდ, რაოდენ არ არის იგი ინფორმირებული ჩოხოსან რაინდთა დასის მოღვაწეობის თაობაზე; შესაბამისად, აღარც გამოიტანდა ასეთ მართლაც აბსურდულსა და მკრეხელურ დასკვნებს**. აი, ეს იქნებოდა ნამდვილი საუბარი, სწორედ ისეთი „მშვიდი ლაპარაკი“, რომელსაც კატეგორიულად მიუთითებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეული სიტყვა „საუბრის“ განმარტებისას. **პედაგოგიკის დოქტორი კი შფოთავს, დრტვინავს, ბობოქრობს, ამ ჩოხოსნებს ისევ მე უნდა მივხედო, თორემ ძალიან გაუვიდათ თავს, სტუმარ-მასპინძლობაც კი არ იციანო... გვმოძღვრავს კიდეც — „ჩოხაში გამოწყობა, არა მგონია, თავისთავად იყოს რაინდობა. რაინდობა ადამიანის სულიერი მდგომარეობაა, რაც სიკეთის ქმნას, დამკვიდრებასა და დაცვას გულისხმობსო“.**

განსაკუთრებული **ეპითეტებით ამკობს თქვენს მონა-მორჩილს — „ამხელა ჩოხოსანი რაინდი“, „ჩოხოსან რაინდთა დასის ბელადი“ და მისთ**. არადა, თქვენს მონა-მორჩილს მხოლოდ ეღიმება ასეთ ქილიკზე — რაინდები ყველას ხომ არ გა- ▶



«ცოტა «ლეტნად» არი, აი...»



# პუბლიკაციის კვალდაკვალ

უკრაინის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის — ევგენი უშვერიძისა და მისი კოლეგების მიერ აგებული, სრულად აღჭურვილი და ამუშავებული გაზის ბალონების დამამზადებელი ქარხნის პრობლემებზე „საქართველო და მსოფლიომ“ ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე გამოაქვეყნა წერილი რუბრიკით „პრემიერმინისტრის საყურადღებოდ“.

სამწუხაროდ, პრობლემები არ გადაწყვეტილა, პირიქით, ისეთ ჩიხში შევიდა, რომლიდანაც გამოსვლა, ახალი ბარიერების წარმოქმნის გამო, კიდევ უფრო გართულდა.

არადა, პერსპექტივა, რომელსაც გვთავაზობს ბატონი ევგენი, მართლაც მიმზიდველია. ამის შესახებ წერილის გამოქვეყნება გვთხოვეს ავტორთა ჯგუფის წევრებმა — მეცნიერებმა, ინჟინრებმა, პრაქტიკოსმა მეურნეებმა.

წერილი საქართველოს პრემიერმინისტრის — ირაკლი ღარიბაშვილის სახელზეა გაგზავნილი, ანუ უმაღლესი დონის ხელმძღვანელის სახელზე; და როგორი რეაქცია ექნება მას ამ პრაქტიკულ შეთავაზებაზე, წარმოაჩენს, რამდენად არის დაინტერესებული ჩვენი მთავრობა მნიშვნელოვან სიახლეთა დანერგვით ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გზაზე.

# ღია წერილი
## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას უთუოდ ახსოვს, 2006 წლის სექტემბერში სააკაშვილმა როგორი პომპეზურობით აღნიშნა ჩვენი აშენებული, ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომანქანებისთვის მაღალი წნევის მთლიანლითონური ბალონების გამომშვები ქარხნის ექსპლოატაციაში შესვლა, მაგრამ რად გინდა: ქარხანამ გახსნიდან ერთ თვეში 1000 ბალონის გამოშვება შეძლო, საწარმო კი დაიხურა „პრივატიზაციის რეჟიმში გადასვლასთან“ დაკავშირებით. გულდასაწყვეტი ისაა, რომ მაშინ საქართველო მსოფლიოში მე-10 სახელმწიფო იყო, რომელშიც ამუშავდა ამ ტიპის საწარმო, რომელიც დღემდე გაჩერებულია. ეკონომიკის ყველა მინისტრსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, როგორც სააკაშვილის, ისე „ოცნებისას“, მივმართეთ თხოვნით, ქარხანა გადმოეცათ ჩვენთვის სიმბოლურ ფასად, ვინაიდან, 6-ჯერ აუქციონზე გამოტანის მიუხედავად, არც ერთ ინვესტორს არ გამოუთქვამს სურვილი ქარხნის შეძენაზე, ხოლო ბანკები სესხს არ გვაძლევდნენ, რადგან ქარხანა სახელმწიფო საკუთრება იყო.**

მაშინ, როცა საქართველოს მილიარდობით ქონება სიმბოლურ ფასად გადაეცათ ისეთ პირებს, რომელთაგან თითქმის ყველამ არათუ დაასაქმა ხალხი, არამედ გაანადგურა მუქთად შეძენილი, წინა თაობების მიერ დიდი შრომითა და რუდუნებით შექმნილი საქართველოს სიმდიდრე, ჩვენ უარით გვისტუმრებდნენ.

მოგახსენებთ, რომ ბალონების ქარხნის ჩვენთვის სიმბოლურ ფასად გადმოცემის შემთხვევაში, ბიზნესგეგმის მიხედვით მისი აღდგენის, გაფართოება-მოდერნიზაციის შემდეგ ქარხანაში დასაქმდებოდა 250 ადამიანი და წელიწადში მივიღებდით მოგებას, სულ მცირე, 6,0 მილიონ ევროს ოდენობით, რაც მოგვცემდა საშუალებას:

აგვეშენებინა ბაზალტის უწყვეტი ბოჭკოს (როვინგის) მისაღებად ორი ღუმელი;

შეგვეძინა ბაზალტოპლასტიკური არმატურის მისაღებად 1 ხაზი;

შეგვეძინა მატერიის საქსოვი ორი დაზგა;

დაგვემზადებინა კონვექტური შრობის ერთი დანადგარი;

დაგვემზადებინა 4 თბოგენერატორი სარწყავი წყლის პასტერიზაციისა და შენობის გასათბობად;

შეგვეძინა ერთი, პლასტავტომატი სოკოს მისაღებად საჭირო ცელოფნის პარკების დასამზადებლად;

შეგვეძინა მიცელიის სათესად მოსამზადებელი ლაბორატორიის დანადგარები;

შეგვეძინა მინების მოლირების ერთი ხაზი;

აგვეშენებინა ერთი 400 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართის მქონე სოფლის მეურნეობის პროდუქტების სადღელამისო მოყვანის მატერიაზე თესვის ორსართულიანი კომპლექსი თავისი სარდაფით, რომლის პირველ სართულზე განთავსდებოდა ხორბლის მოსაყვანად საჭირო კონვეიერი თავისი ინფრასტრუქტურით, ხოლო მეორე სართული მთლიანად დაეთმობოდა სოკოს მოყვანას.

სამ წელიწადში დავამზადებდით სოფლის მეურნეობის პროდუქტების შრობისა და ფქვილად ქცევის იმდენ დანადგარს, რამდენიც სავსებით საკმარისი იქნებოდა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში არ გაფუჭებულიყო არც ერთი კილოგრამი მოსავალი, მათ შორის, მანდარინი, ატამი და ყურძენი.

შესაძლებლობა გვექნებოდა, მაქსიმუმ სამ წელიწადში აგვეშენებინა რუსთავში, თბილისში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ახალქალაქში ბაზალტის უწყვეტი ბოჭკოს (როვინგის) მიღების საწარმოები, ხოლო საქართველოს ყველა რეგიონში — ფიბრობეტონის ქარხნები, რომლებიც დაამზადებდა როგორც საწარმოო ფიბრობეტონს, ასევე, ბაზალტოპლასტიკური არმატურით არმირებულ ფიბრობეტონის კონსტრუქციებს. ისინი რკინაბეტონის კონსტრუქციებზე 5-ჯერ მსუბუქი და ორჯერ იაფია. ქუთაისსა და თბილისში ავაშენებდით ბაზალტის უწყვეტი ბოჭკოსგან მატერიის, ბაზალტოპლასტიკური არმატურისა და მილების დამამზადებელ ქარხნებს.

შევძლებდით რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის დანერგვას, რომელიც მოგებას გაზრდიდა ხუთ წელიწადში 1,0 მილიარდ დოლარამდე და, ამასთან ერთად, 6-10-ჯერ შეამცირებდა ატმოსფეროს დანაგვიანებას მავნე აირებით.

რაც ყველაზე მთავარია, 7 წელიწადში ავაშენებდით რვასართულიან კომ- ▶



**წერილი საქართველოს პრემიერმინისტრის — ირაკლი ღარიბაშვილის სახელზეა გაგზავნილი, ანუ უმაღლესი დონის ხელმძღვანელის სახელზე; და როგორი რეაქცია ექნება მას ამ პრაქტიკულ შეთავაზებაზე, წარმოაჩენს, რამდენად არის დაინტერესებული ჩვენი მთავრობა მნიშვნელოვან სიახლეთა დანერგვით ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გზაზე**

**წამოიჭრა იდეა-პროექტი საქართველოში „მშვიდობისა და მეგობრობის სახლის“ მშენებლობისა, რომელიც უნიკალური იქნება ომებში, შეიარაღებულ კონფლიქტებსა თუ სამხედრო ოპერაციებში დაღუპულთა, ასევე მოგვიანებით გარდაცვლილ მეომართა უკვდავყოფის, მათ სახელზე სიმბოლურად დადებული თითოეული აგურის, ერებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების თვალსაზრისით.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ უტოლებენ თავს, თანაც პუშკინის ბრძნული შეგონებაც არ მავიწყდება, — **„ცივად მიიღე შექება და ცილისწამება და სულელ კაცსა არასოდეს შეეჭიდო...“,** — მაგრამ არსებობს ზღვარი, რომელსაც რაინდებიც აღარ ითმენენ. აი, სწორედ ეს ზღვარი გადალახა პედაგოგიკის დოქტორმა, თანაც განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ანუ აკადემიკოსმა, როცა ველარ მოთოკა ვნებები, არ იკმარა ჩვენი აბუჩად აგდება, არად ჩაგვითვალა, რაც დღემდე გაგვიკეთებია ქართული სულიერების სამსახურში, უნიჭო, უუნარო, უინიციატივო მასად გამოგვაცხადა, მოტაშფანდურეებად თუ გამოდგებიანო ოდენ და მერე, **ამით გული რომ იჯერა, ჩოხოსან პარლამენტარებსაც გადასწვდა, ანუ ბატონ ზვიად ძიძიგურსა და მის თანამებრძოლებს, რომლებსაც თურმე, ნუ იტყვით და, „უყოყმანოდ აღიარეს: ჩვენ და პედერასტები ზუსტად ერთნაირად ნორმალური ადამიანები ვართ და არავინ მოინდომოს ჩვენ შორის განსხვავების გამოჩხრეკაო...“**

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ **ეს არის, არც მეტი, არც ნაკლები, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ავადმყოფის ბოდვა და მცდელობა, შებღალვისა უკეთილშობილესი ჩოხოსნური მოძრაობის თითქმის საუკუნოვანი ისტორიისა, რომელსაც სათავე დაუდეს ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა: ვახტანგ კოტეტიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, პავლე ინგოროყვამ და ალექსანდრე აბაშელმა.**

ამიტომ მოვითხოვ:

**ბატონმა ცუცქირიძემ, კეთილი ინებოს და წარმოადგინოს ამ „აღიარების“ ვიდეო თუ სტენოგრაფიული ჩანაწერი ჩვენი გაზეთის მორიგი ნომრისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ასეთი მკრეხელობა, სხვა უამრავ ფაქტობრივ აბსურდსა და უზნეობასთან ერთად, თავდაპირველად გადაეცემა განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, შემდეგ კი იგი სამართლებრივ სივრცეში გადაინაცვლებს!**

**გოგი დოლიძე**

**P.S.** **მონოლოგის დასასრულ, უფალი ცუცქირიძე შენიშნავს, „ჩოხოსან რაინდთა დასის ბელადს“ რომ მის მიერ ახლად ნაკურთხ (სხვათა შორის, „ახლადნაკურთხი“ თუ „ახლადგამოქვეყნებული“ ცალ-ცალკე იწერება!) ჩოხოსნისთვის მოესმინა, მაშინ ავცდებოდითო ამ, არცთუ სასიამოვნო საუბარს... რაოდენ სამწუხაროა, რომ პედაგოგიკის დოქტორმა, თანაც განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ანუ აკადემიკოსმა, ვიმეორებ, არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა „საუბარი“ — საუბარი ახლა იწყება უფ. პედაგოგის დოქტორო, მანამდე თქვენი მონოლოგი იყო მხოლოდ.**

---

◀ პლექსებს თავისი სარდაფის სართულებით, რომლებიც დააკმაყოფილებდა საქართველოს მოთხოვნას ხორბალზე. ერთი რვასართულიანი კომპლექსი, თავისი სარდაფით, მესამე წლიდან მოგვცემდა 1,0 მილიონი ევროს წმინდა მოგებას და დაასაქმებდა 90 კაცს. 7 წლის შემდეგ საქართველოს წლიური მოგება იქნებოდა 12,0 მილიარდი ევრო, ხოლო დასაქმებული იქნებოდა ერთ მილიონზე მეტი კაცი. მომდევნო ხუთ წელიწადში ასეთივე რაოდენობის კომპლექსების აშენებით მთლიანად დაკმაყოფილდებოდა საქართველოს მოთხოვნილება ბრინჯზე, შაქარზე, ბოსტნეულსა და სამკურნალო მცენარეებზე.

პირველივე წელიწადს დაიწყებოდა უკაშხალო მიკროჰესების პროექტირება, ხოლო მეორე წლიდან — მასალების მომზადება და მშენებლობა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, 5 წლის თავზე საქართველოში წყალი გახდებოდა უფასო, დენი ეღირებოდა, მაქსიმუმ, 4 თეთრი, ხოლო გაზის გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე იქნებოდა 50 თეთრი. მომდევნო ხუთ წელიწადში მთლიანად გაუქმდებოდა სამრიცხველო მეურნეობა, დაუსაქმებელი არავინ დარჩებოდა. იპოთეკარების დავალიანებების დასაფარად მოსახლეობას დაუყოვნებლივ მიეცემოდა სახელმწიფოდან 2,0-პროცენტიანი სესხები გადახდის 1 წლიანი გადავადებით. ყველა მეანაბრეს დაუბრუნდებოდა თავისი თანხები, მაქსიმუმ, სამ წელიწადში. ერთ წელიწადში საპენსიო ვადა ქალებისთვის 55 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის 60 წელი გახდებოდა. ყველაზე მცირე პენსია 1000,0 ლარს მიაღწევდა.

ჩვენს ამ გაანგარიშებას საფუძველი გამოაცალა ეკონომიკის სამინისტრომ, რომელმაც ბალონების ქარხანა რატომღაც პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს გადასცა.

**ბატონო პრემიერმინისტრო, მადლობელი დაგრჩებით, თუ დაავალებთ ეკონომიკის სამინისტროს, საჯაროდ განგვიმარტოს, რა გახდა ასეთი გაუგებარი და გაუმართლებელი გადაწყვეტილების საფუძველი.**

**ბალონების ქარხნის ყოფილი თანამშრომლების სახელით:**

**ევგენი უშვერიძე — ქარხნის დირექტორი, ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე, უკრაინის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**

**ვლადიმერ კუჭუხიძე — მთავარი ინჟინერი;**

**ავთანდილ სვანიძე — წარმოების უფროსი;**

**ალექსანდრე გორდეზიანი — თერმული საამქროს უფროსი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი;**

**ვახტანგ წიკლაური — ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი, პროფესორი;**

**სლავა მეზონია — მეცნიერი-კონსულტანტი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი;**

**არჩილ ქვირია — მთავარი ენერგეტიკოსი;**

**მურმან მაჭარაძე — მაღალი ძაბვის ქვესადგურის უფროსი, პროფესორი;**

**მიხეილ ასიტაშვილი — საგლინავი საამქროს უფროსი**

---

# «წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა»

## თბილისში გაიხსნება «მშვიდობისა და მეგობრობის სახლი»

**70 წელი გავიდა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და სისხლისმღვრელი – მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ატომური ნგრევა გამოიწვია დედამიწაზე.**

ომში გამარჯვებულები არ არსებობენ — დამარცხებულია ყველა, ვინც მასში მონაწილეობდა და სიცოცხლე გაswირა მავანთა ამბიციების გამო, განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა. თითოეულ დაღუპულ ჯარისკაცს, რომელსაც სწამდა, რომ თავის სამშობლოს, ქვეყნად სიმშვიდეს და მომავალ თაობებს იცავდა (რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ყოფილა ასე), — ამერიკელს, ინგლისელს, რუსს, უკრაინელს, ქართველს, აფხაზს, ოსს, ჩეჩენს, ავღანელს (მათი ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება და შორს წაგვიყვანს) დედის, დის, მეუღლის, სატრფოს, შვილების უნუგეშო ცრემლი გაჰყვა თან. ბევრს საფლავიც არ ღირსებია, ყველა მათგანს შინ ცოცხლად დარჩენილთა სულიერი ტკივილი აერთიანებს, მათ შორის ქართველი დედებისაც, რომლებიც ოდითგანვე მეტოქის დედის დარდის თანაზიარნი გახლდნენ.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, **წამოიჭრა იდეა-პროექტი საქართველოში „მშვიდობისა და მეგობრობის სახლის“ მშენებლობისა, რომელიც უნიკალური იქნება ომებში, შეიარაღებულ კონფლიქტებსა თუ სამხედრო ოპერაციებში დაღუპულთა, ასევე მოგვიანებით გარდაცვლილ მეომართა უკვდავყოფის, მათ სახელზე სიმბოლურად დადებული თითოეული აგურის, ერებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების თვალსაზრისით,** ყოველ ქვეყანას ეყოლება თავისი წარმომადგენელი მანდილოსანი — ქართველი, რუსი, გერმანელი, ამერიკელი, ინგლისელი, უკრაინელი და ა. შ. დედის სახით, რომლებიც საქართველოში, „მშვიდობისა და მეგობრობის სახლში“ წელიწადში რამდენჯერმე (სიტუაციიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით) შეიკრიბებიან, დედამიწაზე არსებული ომისა და მშვიდობის, ასევე სხვა საჭირბოროტო თემებზე იმსჯელებენ და მათი გადაჭრის საკითხში საკუთარ წვლილს შეიტანენ. იმუშავებს ბეჭდვითი მედია, მოეწყობა გამოფენები, კონკურსები, სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, სპორტული შეჯიბრება, ლექციასაღამო, შეხვედრა, მონაწილეები და პროექტის თანამოაზრეები საკუთარ იდეებსა და გამოცდილებებს გაუზიარებენ ერთმანეთს. ამასთანავე, „მშვიდობისა და მეგობრობის სახლი“ ყოველ 30 აგვისტოს, რომელიც გაეროს მიერ მეგობრობის დღედ არის გამოცხადებული, უმასპინძლებს სიმღერის საერთაშორისო კონკურსს მშვიდობისა და მეგობრობის თემაზე, რომელიც, ვიმედოვნებთ, მსოფლიო ერებს შორის ურთიერთობის განმტკიცებასა და ურთიერთგაგებას შეუწყობს ხელს.

**პროექტი დღეს, ამ უკიდურესად დაძაბულ გარემოში, მნიშვნელოვნად და პოლიტიკურად გამართლებულ ნაბიჯად მიგვაჩნია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ პროგრესულად მოაზროვნე მთელი კაცობრიობისთვის, და ეს ჩვენ მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება აფხაზ, ოს, რუს ხალხთან შესარიგებლად, რომლებთანაც ტოლერანტული დამოკიდებულება ოდითგანვე გვახასიათებდა.**

მიუხედავად იმისა, რომ „მშვიდობისა და მეგობრობის სახლის“ მშენებლობას საერთაშორისო დატვირთვა გააჩნია და მის მხარდასაჭერად მრავალმა ქვეყანამ (განსაკუთრებით კი გერმანიამ, რომელიც დღესაც გრძნობს საკუთარ პასუხისგებლობას შვიდი ათეული წლის წინათ მთელ მსოფლიოში დატრიალებული ჯოჯოხეთის გამო, ასევე ისრაელმა, რომელმაც საკუთარ თავზე, ალბათ, ყველაზე მეტად იწვნია ფაშისტური რეჟიმის სასტიკი ძალა) თუ კერძო პირმა გამოთქვა მატერიალური და სხვა სახის დახმარების სურვილი (მათ შორის — ინვესტიციების სახითაც), ის, უპირველეს ყოვლისა, მაინც ჩვენი ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი და შემდეგი დადებითი მომენტებით ხასიათდება:

საქართველო, როგორც ამ იდეის მოთავე და სულისჩამდგმელი, გახდება მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობისა და თანაარსებობის მოსურნე ხალხებისა და სახელმწიფოების თავმოყრის პირველი, ერთადერთი და უნიკალური ცენტრი მსოფლიოში, აქედან გამომდინარე, ყველა პოზიტიური შედეგით;

**პროექტი დღეს, ამ უკიდურესად დაძაბულ გარემოში, მნიშვნელოვნად და პოლიტიკურად გამართლებულ ნაბიჯად მიგვაჩნია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ პროგრესულად მოაზროვნე მთელი კაცობრიობისთვის, და ეს ჩვენ მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება აფხაზ, ოს, რუს ხალხთან შესარიგებლად, რომლებთანაც ტოლერანტული დამოკიდებულება ოდითგანვე გვახასიათებდა**

გაჩნდება სამუშაო ადგილები, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, ამუშავდება გაცვლითი პროგრამები, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები დაუახლოვდებიან და საკუთარ გამოცდილებებსა და ცოდნას გაუზიარებენ ერთმანეთს, ტურისტების მოზღვავება წაადგება ეკონომიკის განვითარებას; ქართული კულტურა შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით, კიდევ უფრო გაიფართოებს საზღვრებს და თავადაც ფართო გზას მისცემს უცხო ქვეყნების კულტურის შემოჭრასა და დანერგვას ჩვენში;

ფაქტობრივად, ორ ურთიერთდაპირისპირებულ — ევროატლანტიკურ და ევროაზიურ კავშირს შორის ჩვენი ქვეყანა იქცევა ერთგვარ ხიდად, კეთილმოსურნე და მშვიდობიანი ფორმით რომ დაარეგულირებს ამ ურთიერთობებს და ამ საკითხის გარშემო ქვეყნის შიგნით არსებულ დაძაბულობასაც მოხსნის;

მართლმადიდებლური სარწმუნოება, ქართული ეკლესია სხვა რელიგიურ კონფესიებთან ერთად სათავეში ჩაუდგება ურთიერთდაახლოების, შერიგების, მიტევების პროცესის მიმდინარეობას, რეგულარული შეხვედრების დროს სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები ერთად განიხილავენ საჭირბოროტო და პრობლემურ საკითხებს და ამ სფეროში არსებული ყველა კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გარანტები გახდებიან.

ჩვენი ჩანაფიქრის მხარდასაჭერად შეიქმნა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „დედის ცრემლები“, რომელიც ორგანიზებას გაუწევს პროექტის განხორციელებას.

**იმედი გვაქვს, საქართველოს მთავრობა და საზოგადოება, ასევე ის სახელმწიფოები და რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები, რომლებისთვისაც ძვირფასია ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის იდეა, ომი და ძალადობა კი — მიუღებელი, მხარს დაგვიჭერენ და ყოველმხრივ შეგვიწყობენ ხელს, რათა ეს იდეა არ დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.**

ვფიქრობთ, რომ პროექტის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ბიზნესმენები, ყველა აღმსარებლობის საეკლესიო კომფესიები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლები და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო სტრუქტურები, რამეთუ ქრისტესმიერი რწმენისა და აღმსარებლობის მატარებელი ადამიანის სულში ღრმად არის ჩამჯდარი მიმტევებლობისა და შემწყნარებლობის ცნება.

ამ ღირსშესანიშნავი პროექტის ფუძემდებელია საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „დედის ცრემლები“ და „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა“.

უფალი იყოს ამ კეთილშობილური საქმის მფარველი და შემწე!

**დავით ჭითავა,**
**საქველმოქმედო ფონდი „დედის ცრემლების“ დამფუძნებელი;**

**რევაზ ნაცარიშვილი,**
**„საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის“ თავმჯდომარე**

---

## 3 წლის ბიჭუნამ წლინახევრის ძმა მოკლა

**არიზონას შტატში (აშშ) სამი წლის ბიჭუნას ხელში პისტოლეტი ჩაუვარდა და შემთხვევითი გასროლით წლინახევრის ძმა მოკლა.**

ტრაგედია 2 ივნისს ქალაქ პეისანში მოხდა. დედა 3 წლისა და 18 თვის შვილებთან ერთად მეზობელს ესტუმრა. უფროსმა ბიჭმა სახლში პისტოლეტი იპოვა და შემთხვევით გაისროლა. ტყვია თავში მოხვდა 18 თვის ბიჭუნას.

იარაღი, რომლითაც ტრაგედია დატრიალდა სახლის მფლობელ 78 წლის მამაკაცს ეკუთვნოდა.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ვიტამინების ნაკლებობა ზრდის გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ინფექციური, ნევროლოგიური დაავადებების რისკს და იწვევს ნივთიერებათა ცვლის მოშლას.**

# ყველაფერი ვიტამინების შესახებ




**ვიტამინები წარმოადგენს შედარებით იოლი აგებულებისა და სხვადასხვა ქიმიური ბუნების დაბალმოლეკულური ორგანული შენაერთების ჯგუფს, რომელიც აუცილებელია ორგანიზმისთვის.**

ვიტამინების კვლევას დიდი ისტორია აქვს. 1911 წელს პოლონელმა მეცნიერმა კაზიმირ ფუნკომ მიიღო კრისტალური ნივთიერება, რომელიც კურნავდა სხვადასხვა დაავადებებს. მან ამ ნივთიერებას ვიტამინი უწოდა (ლათინურად Vita სიცოცხლეს ნიშნავს, amini კი არის ქიმიურ ნაერთთა ერთგვარი კლასი, რომელიც შეიცავს აზოტს). მართალია, შემდგომმა კვლევებმა გვაჩვენა, რომ ზოგიერთი ვიტამინი ამინო ჯგუფს საერთოდ არ შეიცავს, მაგრამ სახელწოდება მაინც შემორჩა.

ვიტამინები მართლაც სასიცოცხლოდ აუცილებელ ნივთიერებებს წარმოადგენს. იმუნიტეტის ფორმირება, სისხლწარმოქმნა, უჯრედების ზრდა-გამრავლება, რეპროდუქციული ფუნქცია, ფაქტობრივად, ყველა ორგანოზე ზეგავლენა — ეს მათი დანიშნულებების მხოლოდ სქემატური და ზოგადი ჩამონათვალია. ვიტამინები და მინერალები ორგანიზმს ჰაერივით სჭირდება, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა ორგანიზმი შედარებით დასუსტებულია. **მათი ნაკლებობა ზრდის გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ინფექციური, ნევროლოგიური დაავადებების რისკს და იწვევს ნივთიერებათა ცვლის მოშლას.** ვიტამინები აუცილებელია საკვებიდან ენერგიის მისაღებად, სისხლის უჯრედთა წარმოსაქმნელად; აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს კანის, სისხლძარღვების, ძვლებისა და კბილებისთვის; მონაწილეობს მრავალ მეტაბოლურ რეაქციაში, განსაკუთრებით — ცილების დაშლასა და ახალი ცილების წარმოქმნაში, ამაღლებს რეზისტენტობას ინფექციის წინააღმდეგ და ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას.

**ვიტამინები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: წყალსა და ცხიმში ხსნადად.** წყალში ხსნად ვიტამინებს ეკუთვნის B ჯგუფის ყველა ვიტამინი და ვიტამინი C, ხოლო ცხიმში ხსნად ვიტამინებს — A, D, E და K ვიტამინები.

დღეისთვის 20-მდე ვიტამინია შესწავლილი. უკანასკნელი მონაცემებით, იაპონელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ორგანული ნაერთი, რომელსაც ვიტამინური თვისებები აქვს, თუმცა მისი როლი ადამიანის ორგანიზმში ჯერჯერობით უცნობია. თუ მეცნიერთა ვარაუდი დადასტურდა, ვიტამინების ოჯახი ახალი წევრით – B14 ვიტამინით შეივსება.

ყველა მათგანის საჭირო რაოდენობით მისაღებად უმეტესად ნორმალური კვებაც საკმარისია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემებით, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მხოლოდ 15%-ით არის დამოკიდებული სამედიცინო სამსახურის სწორ ორგანიზაციაზე, ამდენივეთი — ადამიანის გენეტიკურ თავისებურებებზე და 70%-ით — კვებასა და ცხოვრების წესზე. ბუნებრივია, სრულფასოვან კვებაში ძირითად საკვებ ნივთიერებებთან — ცილებთან, ცხიმებთან და ნახშირწყლებთან ერთად ვიტამინების, მინერალების, მიკროელემენტების მიწოდებაც იგულისხმება, ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ვიტამინების ნაკლებობას შიმშილობის პრობლემებს უკავშირებს.

თვით საკვების ან მასში ვიტამინების უკმარისობა პრობლემის მხოლოდ ნაწილია. ვიტამინების დაშლა და კვებითი ღირებულების დაკარგვა ასევე შეიძლება გამოიწვიოს სურსათის არასწორმა თერმულმა დამუშავებამ ან სოფლის მეურნეობაში კულტივირების ახალი მეთოდების დანერგვამ.

ვიტამინების დეფიციტი შეიძლება შინაგანმა ფაქტორებმაც გამოიწვიოს, მაგალითად, ვიტამინების ათვისების დარღვევამ კუჭ-ნაწლავის მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს, როცა საკვებში ვიტამინები საჭირო რაოდენობით არის, ორგანიზმი კი ვერ იწოვს. არის შემთხვევები (ზოგიერთი დაავადება, სტრესი), როდესაც ორგანიზმი მეტ ვიტამინებს მოიხმარს და ესეც დეფიციტის წინაპირობას ქმნის.

**ავიტამინოზი ემუქრებათ ბავშვებსა და მოზარდებს ინტენსიური ზრდის პერიოდში, ხანდაზმულებს, მწეველებს, ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებლებს, ქრონიკული დაავადებების მქონეთ, ადამიანებს, რომელთაც მძიმე ფიზიკური შრომა უწევთ, ორსულ და მეძუძურ ქალებს, ვეგეტარიანელებს, ბავშვებსა და მოზრდილებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენიდან.**

ვიტამინებზე დღიური მოთხოვნილება დამოკიდებულია ასაკზე, სქესზე, ფიზიკურ აქტივობაზე, დაავადებებზე. მათი სიჭარბე უსარგებლოა, ზოგჯერ მავნებელიც კი. **განსაკუთრებით საშიში ცხიმში ხსნადი ვიტამინების (A, D, E, K) ჭარბი მიღებაა, რომელთაც ორგანიზმში დაგროვება ახასიათებთ.** ჰიპერვიტამინოზი, ანუ ორგანიზმში ვიტამინების ჭარბი დაგროვება, ჰიპოვიტამინოზზე არანაკლებ მძიმე სიმპტომებით ვლინდება.

ვიტამინები ფარმაცევტულ ბაზარზე სხვადასხვა ფორმით იყიდება. მონოვიტამინები სამკურნალო მიზნით არის შექმნილი, პოლივიტამინები კი, ძირითადად, მათი დეფიციტის პროფილაქტიკისთვის ინიშნება. ისინი მხოლოდ ნატურალური ვიტამინების ასლებს წარმოადგენს და აგებულებით ნატურალური ვიტამინებისგან განსხვავდება. მათი უკონტროლო მიღება ქიმიური ნივთიერებების დისბალანსს იწვევს და ორგანიზმს ზიანს აყენებს.




საყურადღებოა ისიც, რომ ვიტამინების კომბინაციისას, შესაძლოა, მათი თვისებები შეიცვალოს. ასეთივე ცვლილებები, შესაძლოა, მათი და მინერალების ურთიერთქმედებასაც მოჰყვეს. ვიტამინურ-მინერალური კომპლექსების დანიშვნისას გასათვალისწინებელია მათი სრულყოფილი შემადგენლობა, ადამიანის მოთხოვნილება ამა თუ იმ მინერალსა და ვიტამინზე, ნებისმიერი წამლის, მათ შორის ვიტამინის, დანიშვნა ექიმის პრეროგატივაა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან პოპულარული გახდა სასუნთქი გზების მწვავე ინფექციების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის C ვიტამინის დიდი დოზების გამოყენება, რადგან იმ პერიოდში ნობელის პრემიის ლაურეატმა ლაინუს კარლ პოლინგმა ნაშრომი „C ვიტამინი და გაციება“ გამოსცა. ბოლო ხანს უამრავი მაღალი ხარისხის სამედიცინო კვლევა ჩატარდა, მაგრამ გაციებაზე C ვიტამინის გავლენა ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაადასტურა.

დღეს აფთიაქებში ათასგვარი ვიტამინი იყიდება: ერთი, ორი ან სამი კომპონენტისგან შემდეგარი ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსი, პოლივიტამინები, კანისთვის, თმისთვის, ფრჩხილებისთვის, თვალებისთვის, მამაკაცებისთვის, ორსულებისთვის, ბავშვებისთვის, ასაკოვანთათვის... მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი სამკურნალო საშუალებებია.

ბოლო ხანს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენს რაციონში მომრავლდა მზა პროდუქტები და კერძები, კონსერვები, ჩიპსები, პიცა, თეთრი პური, მაკარონი, შაქარი, ტკბილეული და ტკბილი სასმელები, ნივთიერებათა ცვლის სტრუქტურა საკმაოდ შეიცვალა. ვიტამინების ნაკლებობის პირველი ნიშნების შენიშვნისთანავე, უმჯობესია, ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ.

**A ვიტამინი გჭირდებათ, თუ კანი გამოგიშრათ, დაგიქვეითდათ მადა, გაგიფუჭდათ მხედველობა...** ორგანიზმში A ვიტამინის უკეთ შეთვისებას ცხიმი უწყობს ხელს. თუ დიეტაზე ხართ და უარი თქვით ცხიმიან საკვებზე, ორგანიზმს გაუჭირდება A ვიტამინის ათვისება. ამიტომ გაამდიდრეთ რაციონი ცხიმიანი თევზით, კვერცხის გულით, კარაქით. მიირთვით ყვითელ-ნარინჯისფერი პროდუქტები (სტაფილო, ტკბილი წიწაკა).

**B ვიტამინი გჭირდებათ, თუ ხშირად გაქვთ სურდო, უძილობა გტანჯავთ, თმას დაეკარგა ბრწყინვალება და გცვივათ, ამინდის ცვალებადობის დროს გეწყებათ თავის ტკივილი.** მიირთვით ბოსტნეული, მარცვლეული, კომბოსტო (უმი და მწნილის სახით), მსხვილად დაფქვილი ხორბლის პური და თხილი (ან მზესუმზირა) არანაკლებ 50 გრამისა დღეში.

**C ვიტამინი გჭირდებათ, თუ გიჭირთ კონცენტრირება, ცუდად გიხორცდებათ ჭრილობები, კბილების ხეხვის დროს სისხლი გდით ღრძილებიდან, გასუქდით, მიუხედავად იმისა, რომ უწინდებურად იკვებებით.** მიირთვით ციტრუსები, ბროკოლი, ისპანახი. დალიეთ ასკილის ნაყენი, ჩაი მატე. შეამცირეთ ან საერთოდ უარი თქვით ნიკოტინსა და ალკოჰოლზე, რომელიც ორგანიზმიდან გამოდევნის C ვიტამინს.

**D ვიტამინი გჭირდებათ, თუ ხშირად გაღიზიანებული ხართ, სისუსტეს გრძნობთ, სახსრები გაწუხებთ, გაგიუარესდათ კბილის საფარის მდგომარეობა.** D ვიტამინის ნაკლებობის გამო, რომელსაც ორგანიზმი ულტრაიისფერი სხივებიდან იღებს, ორგანიზმი ცუდად ითვისებს კალცს, ამიტომაც ზარალდება კბილები და ძვლები. ხშირად ისეირნეთ მზეზე, ეწვიეთ სოლარიუმს. პროდუქტებიდან მიირთვით: ოკეანის ცხიმიანი თევზი, სალათები მცენარეული ზეთით შეაზავეთ.

ვიტამინები და მინერალები მედიცინის მძლავრი იარაღია, მაგრამ საჭიროა მათი გონივრული გამოყენება, რათა უზრუნველვყოთ ორგანიზმის ჰარმონიული განვითარება, ფიზიკური სიჯანსაღე და სილაღე.



**A ვიტამინი გჭირდებათ, თუ კანი გამოგიშრათ, დაგიქვეითდათ მადა, გაგიფუჭდათ მხედველობა. B ვიტამინი გჭირდებათ, თუ გაქვთ სურდო, უძილობა, თმას დაეკარგა ბრწყინვალება, ამინდის ცვალებადობის დროს გეწყებათ თავის ტკივილი. C ვიტამინი გჭირდებათ, თუ გიჭირთ კონცენტრირება, ცუდად გიხორცდებათ ჭრილობა, კბილების ხეხვის დროს სისხლი გდით ღრძილებიდან, გასუქდით. D ვიტამინი გჭირდებათ, თუ ხშირად ღიზიანდებით, სისუსტეს გრძნობთ, სახსრები გაწუხებთ.**

## ყველაზე კრეატიული ყავის ჭიქები

ყავის სმა ერთგვარი რიტუალია. ამ „რიტუალს“ ზოგიერთი საყვარელი ჭიქითაც კი ასრულებს. ჩვენს ფოტოგალერეაში წარმოგიდგენთ კრეატიულ ყავის ჭიქებს.











www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


# შოკისმომგვრელი რეკლამები

**ამოთხრილი თვალი, სანტა-კლაუსის მოჭრილი თავი, ძროხის სექსუალური მოწველა და კიდევ უამრავი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ რეკლამის მკეთებლები საბოლოოდ შეიშალნენ ჭკუიდან.**




ტელეარხი **13th Stree**, რომელიც სპეციალიზირდება საშინელებათა ჟანრის ფილმებზე, თავისი სისხლიანი რეკლამებით მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მათი ბოლო „შედევრიც“ ასახავს არხის თემატიკას.



მოდური მარკის — **American Apparel**-ის კიდევ ერთი სკანდალური რეკლამა გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიას მუდმივად უხდება სასამართლოში სიარული სექსისა და სექსუალური პროვოკაციების ჩვენებისთვის. ამან რეკლამის მესვეურები სულაც არ შეაშინა.




საფოსტო სამსახურსაც კი შეუძლია თურმე, რომ შიშველი სხეული გვაჩვენოს. ამ მხრივ **Deutsche Post** პირდაპირი გზით წავიდა და ადამიანის ტორსში საფოსტო ყუთი პირდაპირ ჩატენა.




ბრიტანელი ნაყინის მწარმოებელი **Antonio Federici** თავისი სარეკლამო კამპანიის სლოგანით **„ნაყინი — ეს ჩვენი რელიგიაა“** ბევრჯერ მოხვდა ახალ ამბებში მისი რეკლამების აკრძალვის მოთხოვნით, რადგან ეს რეკლამები მორწმუნეების ნერვებზე მოქმედებდა: თავიდან იყო ფეხმძიმე მონაზონი, შემდეგ მონაზვნისა და მღვდლის კოცნა და ბოლოს... გაჩნდა ახალი შედევრი, რომელიც ფოტოზეა ასახული.




**United Colors of Benetton**-ის მორიგი ცნობილი მანიფესტი რასიზმის წინააღმდეგ: კომპანიამ ჩათვალა, რომ სხვადასხვა ფერის კანის მქონე ადამიანების კოცნა და ჩახუტება უკვე მოძველებული მეთოდია და შინაგან ორგანოებზე გადავიდა.



აჩვენო სხეულის რომელიმე დამახინჯებული ნაწილი ან ამოთხრილი თვალი — ესეც ყურადღების მიქცევის ერთ-ერთი ხერხია. ეს არც ლინზების და არც ვიდეოსაიტების რეკლამაა, ესაა **Wasabi Mama Itos**-ის რეკლამა.



სკანდალური ფოტოგრაფის — **ტერი რიჩარდსონის** ნამუშევარი მოდური პროვოკაციული მარკის — **Sisley**-ს რეკლამაა. კამპანიის საფუძველია თითქოსდა ცხოვრებიდან ამოჭრილი კადრები. ახალგაზრდობა ამ რეკლამების ფოტოებზე დაკავებულია სხვადასხვა უწყინარი საქმით: კოტრიალობენ მინდორზე, ჭამენ ბანანს, წუწნიან ჩუპა-ჩუპსს ან, როგორც ამ ფოტოზეა ნაჩვენები, გოგონა რძეს სვამს.



თურქული კომპანიის — **Pilates with Gerda-ს** რეკლამა სლოგანით: **„ძალიან ბევრ რამეს ატარებთ თან?“** — წარმატებული შოკის მაგალითად ითვლება. ფიტნეს-ცენტრები ნელ-ნელა იშორებენ სტერეოტიპებს და ყველანაირად ცდილობენ, კრეატიულები იყვნენ რეკლამის საქმეში. მუცელი მძიმე ჩანთის სახით, რომლის მოცილებაც აუცილებელია, არც თუ ისე ცუდი სარეკლამო ფოტოა.




კეთილი მიზნებისთვის სანტა-კლაუსისთვისაც შესაძლებლია თავის მოჭრა. ასე თვლიან მილანის სარეკლამო სააგენტოს „**Milc**“-ის კრეატიულად მოაზროვნე წარმომადგენლები.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





## წვენის უნიკალური შეფუთვა ბოულინგის მოყვარულთათვის

**კეგლების ფორმის 6 ბოთლის უნიკალური შეფუთვის წყალობით, მას შემდეგ რაც წვენი დაილევა შესაძლებელია მეგობრებთან ერთად მინი-ბოულინგის მოწყობა. ეს ბოთლი შექმნილია გარემოს დაცვისთვის და ბოულინგის სიყვარულისთვის.** სპეციალურად კომპანია Ford Jekson-ისთვის, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა გემოს მქონე სასმელებს, ბელარუსმა დიზაინერმა **კონსტანტინ ბოლიმონდმა** შექმნა ორი ფუნქციის მქონე შეფუთვა. ამ ბოთლიდან სასმელის დალევის შემდეგ აღარ მოგინდება მისი გადაგდება, რადგან ის ავტომატურად ხდება სათამაშო, რომელიც ძალიან გავს კეგლს და მოგინდება ბოულინგის თამაში. შეფუთვა დამზადებულია ორი მასალისგან, რაც მას უფრო სასიამოვნოს ხდის მოსახმარად და თვალსაც სიამოვნებს.

# Aero-X — მფრინავი მოტოციკლეტი



**ფანტასტებისა და ფუტურისტების ბევრი თაობა ოცნებობდა იმაზე, რომ ერთხელაც ენახათ ტრანსპორტის ასეთი სახეობა და მათი ოცნებაც ასრულდა. კომპანია Aerofex აპირებს 2017 წელში მასიურ წარმოებაში ჩაუშვას მსოფლიოში პირველი მფრინავი მოტოციკლეტი – Aero-X.**

მფრინავი მოტოციკლეტების (ჰოვერბაიკების) იდეა გაჩნდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. მას შემდეგ ვერავინ შექმნა გადაადგილების ამგვარი საშუალების სტაბილური ვარიანტი. შესაძლებელია, იდეა პირველმა განახორციელოს ამერიკულმა კომპანია Aerofex-მა. ყოველ შემთხვევაში, ჰოვერბაიკების მუშა ეგზემპლარები უკვე გაჩნდა.

ჰორიზონტალურად დაწყობილი ხრახნების წყალობით, ჰოვერბაიკს შეუძლია ჰაერში ფრენა ხუთი მეტრის სიმაღლემდე. მისი მოძრაობის საშუალო სიჩქარე შეადგენს საათში 70 კილომეტრს. ეს სიჩქარე ნორმალურ მოტოციკლეტზე ნაკლებია, მაგრამ ეს პლიუსი უფროა, ვიდრე მინუსი, რადგან ჯერ უცნობია, რამდენად ხშირად მიიღებენ მომხმარებლები ტრავმებს მისით გადაადგილებისას.

**ახლა Aero-X არსებობს საცდელი ეგზემპლარის სახით და მას შემქმნელები ამერიკის შეერთებული შტატების უდაბნოებში ცდიან, მაგრამ, გამოცდების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, 2017 წელს ჰოვერბაიკი Aero-X ჩაეშვება მასობრივ გაყიდვაში და, სავარაუდოდ, 85 ათასი ამერიკული დოლარი ეღირება.**







# სანთებელა მოწევის გადასაჩვევად



**მოწევის გადაჩვევის სურვილის შემთხვევაში, მთავარი თვითკონტროლია, მაგრამ ამას ვერ უმკლავდებიან ის მწეველები, რომლებიც, მრავალი წელია, დამოკიდებულნი არიან სიგარეტზე. პრობლემის გადაჭრაში მათ დაეხმარებათ ჭკვიანი სანთებელა Quitbit, რომელიც შექმნილია სპეციალურად იმისათვის, რათა ეტაპობრივად გადააჩვიოს ადამიანი მოწევას.**

Quitbit-ის შემქმნელები მას ადარებენ ფიტნეს-სამაჯურს — ის სპეციალური პროგრამის დახმარებით, რომელიც სინქრონიზირდება კომპიუტერთან ან ტელეფონთან, ადამიანის პერსონალური სპორტული მწვრთნელი ხდება. ასეა ჭკვიან სანთებელაზეც. Quitbit-ს მოჰყვება პროგრამული უზრუნველყოფა სმარტფონისთვის, რომლითაც თქვენ შეგიძლიათ შეადგინოთ პერსონალური გეგმა, თუ როგორ უნდა დაანებოთ თავი მოწევას, ხოლო თვითონ სანთებელა შეასრულებს ზემოხსენებული სამაჯურის მსგავს ფუნქციას. ის გააკონტროლებს, თუ რამდენჯერ და რამდენად ხშირად მოწევთ. ჩვეულებისამებრ, მწეველი თვითონ ვერ იგებს, რამდენად სწრაფად აღწევს საზიანო ჩვევა მათ ცხოვრებაში, ხოლო პრობლემის მიხვედრა პირველი ნაბიჯია მისი გადაწყვეტის გზაზე.

სანთებელა Quitbit აღჭურვილია პატარა ეკრანით, რომელსაც შეუძლია ერთ დღეში მოწეული სიგარეტის რაოდენობის დათვლა.

Quitbit აღარ ირთვება მას შემდეგ, რაც მისი მფლობელი გადააცილებს ერთი დღისთვის განკუთვნილი სიგარეტის რაოდენობას.

ერთი სიტყვით, ეს ჭკვიანი სანთებელა თავისით ვერ გადაგაჩვევთ მოწევას, მაგრამ ეს არის კარგი დამხმარე მათთვის, ვინც ნამდვილად აპირებს ბრძოლის დაწყებას მავნე ჩვევის წინააღმდეგ.

# ქაღალდის ხე



**ბიოინჟინრებმა ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტიდან შექმნეს გენმოდიფიცირებული ალვის ხე. მისი მერქნიდან ლიგნინის ადვილად ამოღებაა შესაძლებელი, რაც ქაღალდისა და ბიოსაწვავის წარმოების პროცესს ნაკლებხარჯიანს ხდის.**

ლიგნინი რთული პოლიმერული შენაერთია, რომელიც ძარღვოვანი მცენარეების უჯრედებს უფრო მაგარს ხდის. მერქნის დამუშავების პროცესში ლიგნინი ამოღებული უნდა იქნას, მაგრამ ეს ტექნოლოგია საკმაოდ დიდ ენერგიას მოითხოვს, ამავე დროს დიდი რაოდენობის ნარჩენებს წარმოშობს.

ხეების გენურ მოდიფიკაციებზე მუშაობისას კანადელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც ლიგნინის პოლიმერის უბრალო მოლეკულებად დაშლას უზრუნველყოფდა. ამ გენის ჩანერგვით მეცნიერებმა სწრაფად დაშლადი ლიგნინიანი ალვის ხე მიიღეს. ამასთანავე ხის სიცოცხლისუნარიანობა იგივე დარჩა. მსგავსი ცდებისას მეცნიერები ლიგნინის მახასიათებლებს თრგუნავდნენ, რაც, საბოლოო ჯამში, ხის ზრდის სისწრაფეზე აისახებოდა ხოლმე.

ახალი კვლევის შედეგები შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული მრეწველობაში, რაც ბუნებრივ და წიაღისეულ რესურსებზე დატვირთვას შეამცირებს.






## ყველაზე შეუფერებელი წყვილი

**31 წლის კაილი ჯონსი 91 წლის ქალზეა შეყვარებული. ფლორიდაში მცხოვრებმა კაცმა პარტნიორი 50 წლის დედასაც გააცნო.** როგორც კაილი ამბობს, ზოგიერთს ქერა ხიბლავს, ზოგს — შავგვრემანი, მას კი მასზე უფროსი ასაკის ქალები იზიდავენ. 60-წლიანი სხვაობა მათთვის არაფერია. ყველაზე უცნაური ისაა, რომ კაილი რამდენიმე პენსიონერს ერთდროულად ხვდებოდა. ბოლო 5 წლის მანძილზე კი 91 წლის მარიორი მაკქულზეა შეყვარებული. როგორც მამაკაცი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეყვარებული 91 წლისაა, მაინც შესანიშნავი საყვარელია და სექსიც იდეალური აქვთ. **„ჩემი შეყვარებულები ყოველთვის 60-დან 80 წლამდე ასაკისანი იყვნენ. მარიორი 6 შვილის დედაა და მეორე მეუღლესთან დაშორების შემდეგ 37 წელი მარტო იყო“,** — ამბობს კაილი.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## ყველაზე პატარა ჯიხურები

**ზომას მნიშვნელობა აქვს. როგორც ჩანს, კომპანია „კოკა-კოლაში“ ამ გამონათქვამის სჯერათ. ისინი მზად არიან, რომ მომხმარებელს წარუდგინონ სასმელი ნებისმიერი ზომის ქილაში.**

მაგალითად, მსოფლიო მწარმოებლის ბოლო რეკლამა შეეხო „მინი-კოკას“, სასმელს, რომელიც ჩამოსხმულია 0,2 ლიტრის მოცულობის ქილებში. რეკლამების შემდეგ კი გადაწყდა, რომ გერმანიის უმსხვილეს ქალაქებში დადგმულიყო პაწაწინა სავაჭრო ჯიხურები. უცნაურმა ჯიხურებმა მოსახლეობაში ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ ქილებში ჩამოსხმული „კოკა-კოლას“ გაყიდვა 278 პროცენტით გაიზარდა.

სარეკლამო კამპანია ჩატარდა Ogilvy & Mather Berlin-თან თანამშრომლობით. სწორედ მათ მოიგონეს ასეთი ჯიხურები, რომლებიც იმდენად საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა მოსახლეობისთვის, რომ თითეული ასეთი ჯიხური დღეში 400 ქილა „კოკა-კოლას“ ჰყიდდა, გამყიდველები კი პოპულარული სახეები გახდნენ.

ღონისძიების იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხის ყურადღება მოეცილებინათ გიგანტიზმიდან. ქალები ცდილობენ, გაიზარდონ მკერდი, კაცები ცდილობენ, გაიზარდონ კუნთები. სარეკლამო კამპანიის დევიზი იყო: **„პატარა ნივთები, რომლებიც ჩვენ გვაბედნიერებენ“.**




## დასაკეცი ხიდი «Heatherwick»



**როდესაც ჰისერვიკის (Heatherwick) დასაკეცი ხიდი არის ჰორიზონტალურ მდებარეობაში, ის ემსგავსება ჩვეულებრივ ხიდს, როგორიც ლონდონში ასობითაა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.** ლითონისა და ხისგან დამზადებული ხიდი წარმოადგენს საკმაოდ რთულ ჰიდრავლიკურ კონსტრუქციას, საჭიროების შემთხვევაში, ხიდი იკეცება ბორბლის ფორმად ერთ-ერთ სანაპიროზე და გზას უხსნის ნავებს.

დაკეცილ მდგომარეობაში ხიდი ჰგავს ვერტიკალურ ბორბლიან ძველებურ წყლის წისქვილს. საინტერეოა ის ფაქტიც, რომ, თუ ქარის სიჩქარე აღემატება 30 მილს საათში, მაშინ ხიდის ჰიდრავლიკური ელემენტების ძალა არ არის საკმარისი გაშლისთვის და ხიდი დაკეცილად რჩება. ლონდონის შთამბეჭდავი ხიდი იხსნება ყოველ პარასკევს Grand Union Canal-ზე. დასაკეცი ხიდი ბრიტანელი დიზაინერის — თომას ჰისერვიკის ნაშრომია, რომელიც 2004 წელს აშენდა, 2005 წელს კი ბრიტანეთის „Structural Steel“-ის ჯილდო მოიპოვა.









## ყველაზე უგუნური რეალითი შოუ



**ამერიკულ ტელეარხ Lifetime-ზე ახალი რეალითი შოუს ანონსს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რეალით შოუში ორსულ ახალგაზრდებს იწვევენ, მაგრამ მასში მონაწილეობის მიღების მსურველებს მშობიარობისას უარის თქმა მოუწევთ არა მხოლოდ საავადმყოფოზე, არამედ თავშესაფარზეც კი.**

„დაბადება ველურ ბუნებაში“ — ასე ჰქვია შოუს. მშობიარეები სამშობიარო ბლოკის ნაცვლად, პირდაპირ ბუნებაში გააჩენენ შვილებს. გარშემო არ იქნება ექიმი და არ იქნება თანამედროვე ინვენტარი. ადამიანები, რომლებიც შოუს უარყოფითად აფასებენ, აცხადებენ, რომ ეს ძალიან სახიფათოა, საშიში მოდაა და ბევრი დედისა და ახალშობილის ჯანმრთელობას საფრთხეში ჩააგდებს. თუმცა, კრიტიკის მიუხედავად, შოუს პროდიუსერები ირწმუნებიან, რომ მშობიარეცა და ახალშობილიც უსაფრთხოდ იქნებიან.

ამასთან, შოუში მონაწილეობის უფლება არ ექნებათ ორსულებს, რომლებიც პირველ შვილს ელოდებიან — იქ მხოლოდ „სტაჟიანებს“ ელიან.



## ქრისტეფორე კოლუმბის გემს მიაგნეს

**ამერიკელი წყალქვეშა მკვლევარების ჯგუფმა ხომალდ „სანტა მარიას“ მიაგნო. ამ გემით ქრისტეფორე კოლუმბმა 1492 წელს ამერიკის კონტინენტი აღმოაჩინა.**

ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბარი კლიფორდმა განაცხადა, რომ გემს ჰაიტის ჩრდილოეთ სანაპიროებთან მიაგნეს. კლიფორდმა „სანტა-მარიას“ ნარჩენები იმ ადგილას იპოვა, სადაც 500-ზე მეტი წლის წინათ კოლუმბის ხომალდი რიფზე „შეჯდა“. ხომალდი ჰაიტის ჩრდილოეთ სანაპიროზე 5 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს.

თავისი აღმოჩენის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად კლიფორდს ის არგუმენტი მოჰყავს, რომ ხომალდზე XV საუკუნის ზარბაზანი დგას.

იმისთვის, რომ არქეოლოგებმა შეძლონ ექსპერტიზის ჩატარება და კლიფორდის ვერსიის დადასტურება, საჭიროა ხომალდის ხმელეთზე ამოტანა. როგორც კლიფორდი აცხადებს, ხომალდის დიდი ნაწილი შემონახულია.

ნარჩენების სამომავლო კვლევა ჰაიტის ხელისუფლებისა და ტელეარხ History Channel-ის მხარდაჭერით განხორციელდება. ტელეარხი აღმოჩენის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებს.

შეგახსენებთ, რომ „სანტა-მარია“ ჰაიტის ნაპირებთან 1492 წლის შობას ჩაიძირა.

# გრიშა ონიანი: საქართველო აუცილებლად გახდება ევრაზიის კავშირის წევრი

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე გრიშა ონიანი.**

**— ბატონო გრიშა, სააკაშვილის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე სახელისუფლო პროპაგანდამ იმდენი გააკეთა, რომ საზოგადოების ცნობიერება გარკვეულ პოლიტიკურ კლიშეებში მოაქცია. დღეს კი შედეგი ასეთია: პროდასავლური ხარ, — ყველასთვის მისაღები ხარ; აკრიტიკებ დასავლეთს, — კრემლის აგენტის იარლიყი გარანტირებული გაქვს. თქვენი აზრით, საიდან იღებს სათავეს ეს პროპაგანდა და რა არის მისი საბოლოო მიზანი?**

— თუ ხალხი მაძღარია, მისი მართვა შეუძლებელია, მას დამოუკიდებელი აზროვნება აქვს და საკუთარი ნებით მოქმედებს, მაგრამ, როდესაც საზოგადოება ღატაკდება, ის იქცევა ცხვრის ფარად, რომელიც ან საკვებს მიჰყვება, ან ხმაურს. ეს ძალიან კარგად იციან იმ პროპაგანდის ავტორებმა და ამიტომ ჩვენი გამდიდრება არ დევს პროგრამაში. არავის სჭირდება ახლა აქ, ამ ცივილიზაციების გზაგასაყარზე, ქართველი კაცი იდგეს ჩოხა-ახალუხით ხანჯალზე ხელებდაწყობილი და მღეროდეს „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“. ეს ყველაფერი, რასაც ვამბობ, გაწერილია გეგმის სახით. ამდენად, ახლა მთავარი მუშაობა მიმართულია იქით, რომ ქალს როგორმე ფუნქცია შეუცვალონ, გახადონ კაცი და კაცს რამენაირად ქალი დაარქვან. აი, ასე აპირებენ ესენი ახალი ადამიანის შექმნას და, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ამ მახინჯმა იდეოლოგიამ უკვე დაატყო გარკვეული კვალი საზოგადოებას.

**— ახალი ადამიანის შექმნის მცდელობას ხშირად სტალინსაც აბრალებენ.**

— ახალი ადამიანის შექმნა როგორ უნდოდა სტალინს, როდესაც პატრიოტიზმს ნერგავდა და შრომის გმირობისთვის აჯილდოებდა ადამიანებს?! აშენებდა ფაბრიკებს, ქარხნებს, ხალხს უზნეობასა და გარყვნილებას კი არ ასწავლიდა. ახალ ადამიანს ახლა იგონებენ ესენი, როდესაც ქალს უნერგავენ მამაკაცის ჰორმონებს და პირიქით. ანდა ამათმა როგორ უნდა აკრიტიკონ სტალინი, შეხედეთ რა ხდება — **ერთეულებს აქვთ მილიარდები, ფული სად წაიღონ, არ იციან და ამ დროს ნახევარი პლანეტა მშიერია...**

**— ბატონო გრიშა, როგორ შეაფასებთ ევრაზიული კავშირის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პერიოდულ გამოსვლებს თბილისის ქუჩებსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში?**

— ცუდად დადგმული სპექტაკლია, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს არც სინამდვილესთან და არც საქმესთან. ამდენი ფერუმარილით შეფეთქილი უსახური ქალების წიოკი იმ საქმის გამო, რომელიც მათ საერთოდ არ ეხებათ და არც გაეგებათ, ამაზრზენი და მისაფურთხებელია. როგორც მე, ასევე ჩემს მეგობრებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად რუსული პოლიტიკის მხარდამჭერები ვართ, **წარმოდგენა არ გვაქვს, თუ საიდან მოვიდნენ, ვინ მართავს ან საით წასვლას აპირებენ ეს ერთი მუჭა პროვოკატორები.**

**— პირადად თქვენ რა შეხედულების ხართ ევრაზიის კავშირზე?**

— მივესალმები ევრაზიულ კავშირს.

**— როგორ აფასებთ საქართველოში ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობას?**

— უარყოფითად. **ხელისუფლებას ჰგონია, რომ ეკლესია მისი ქვემდებარეა და მართავს მას ისე, როგორც უნდა. იყენებს რა მის მაღალ რეიტინგს, არჩევნების დროს ავალებს ცსკ-ის მოვალეობის შესრულებას,** შედეგებიც სახეზე გვაქვს. რაც შეეხება ეკლესიას, ის უფრო მიიწევს ხელისუფლებისკენ და საერო მმართველობისკენ, ვიდრე ახორციელებს ეკლესიის შინაგანაწესს.

მართლმადიდებელ ეკლესიას არ აქვს არჩევანი დემოკრატიასა და ტოტალიზმს შორის, ის თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ცენტრალიზირებული მართვის სისტემაზეა აგებული და საქმიანობას აწესრიგებს საღმრთო რჯულის კანონით, რომელიც არ ექვემდებარება შესწორებას, აქედან გამომდინარე:

**მეუფე გრიგოლის ამასწინანდელი გამოსვლა ტელევიზიით, როდესაც მან მრევლს მიმართა, რომ როგორ შეიძლება კედელზე გვეკიდოს კირიონისა და ამბროსი ხელაიას სურათები და თან რუსეთისკენ ვიყურებოდეთო, სრული ნონსესია.** თუ ლგბტ-ს წინააღმდეგ მას შეუძლია მხოლოდ აზრი გამოთქვას, პატრიარქს პირადად და სინოდს საერთოდ უფლება აქვთ, განკვეთონ ეკლესიიდან ასეთი მღვდელმსახურები. თუ ეკლესია შიგნით განიწმინდება პოსტნაციონალური ნარჩენებისგან და ანტიქრისტეებისგან, სახელმწიფოსაც ნაკლები სურვილი და შესაძლებლობები ექნება ეკლესიის საქმეებში ჩარევის.

**— რას იტყვით სოხუმში განვითარებულ მოვლენებზე? ეს ყველაფერი სპონტანურად მოხდა თუ ესეც ხაფანგია?**

— ხელისუფლებაც და ექსპერტთა ჯგუფიც სისტემატურად გაიძახიან, რომ რუსეთს ნიღაბი ჩამოვხსენით. ვერ ვხვდები, რას ნიშნავს ნიღბის ჩამოხსნა: ნუთუ აქამდეც არ ვიცოდით, რომ რუსეთი ძლიერია, რომ რუსეთს კავკასიაში თავისი ინტერესები აქვს, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიით, როგორც სატრანზიტო ქვეყანა. რა გავიგეთ ახალი მას შემდეგ, რაც ნიღაბი მოვაშორეთ? გვინდოდა ნატოში შესვლა და რუსეთმა გვითხრა, ვერ შეხვალთო. დავკარგეთ აფხაზეთი და ოსეთი, ვერ შევედით ნატოში.



ირაკლი ალასანიას განცხადება საქართველოში ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების თაობაზე სიზმრადაც რომ ნახო, დილაუთენია გამდინარე წყალთან უნდა მიხვიდე და სიზმარი წყალს უნდა გაატანო, არათუ იგი მსჯელობის საგანი გახადო.

ქართულ პოლიტიკურ მოედანზე, აქ, ძირითადად, ოთხი ძალა თამაშობს: ხელისუფლება, ეკლესია, „ნაციონალური“ ოპოზიცია და ამერიკა.

**ხელისუფლებას ამერიკის მიერ ოფიციალურად ჩამორთმეული აქვს ქვეყნის მართვის ძირითადი საშუალება — ადმინისტრირება, რომლითაც წესრიგდება სახელმწიფოს მართვის ორგანოები.** ოპოზიციურ „ნაციონალისტებს“ კი დაუტოვეს და გაუძლიერეს კიდეც ჩასაფრებული კაცის პოზიცია, რომელიც ყოველგვარი საშუალებით მზადყოფნაშია, ზურგში ჩასცეს ხელისუფლებას მახვილი. სახელმწიფო მანქანას, რომელიც ოთხ ბორბალზე უნდა იდგეს, ამერიკის ადმინისტრაციამ მიუყენა მეხუთე ბორბალი, რომლითაც უნდა დამუხრუჭდეს ხელისუფლების მოძრაობა, თუ ის „ნაციონალების“ მიერ გაყვანილი გზიდან გადაუხვევს.

მეუფეები, მცირე გამონაკლისის გარდა, საკვირაო ქადაგებებში გუბერნატორების რუპორებად გადაიქცნენ.

ჩემს ახალგაზრდობაში თბილისში იყო ცნობილი მეხაშე იონა გრძელიშვილი. ის ნამდვილად ყველაზე სუფთა და გემრიელ ხაშს ამზადებდა. თვითონ პიროვნებაც ღირსეული იყო. შესანიშნავი წითელი აგურის სახლი ჰქონდა ვაკეში და აგარაკი — ოქროყანაში. ფული კი ბევრად მეტი გააჩნდა, ვიდრე ვინმე მაღალანაზღაურებად მეცნიერს ან ხელმძღვანელს. მაშინ რომ ვინმეს იონა დეპუტატობის კანდიდატად დაესახელებინა, ის შეურაცხყოფად მიიღებდა და ხალხსაც სასაცილოდ არ ეყოფოდა. იონა კარგი მეხაშე იყო და არა კარგი პოლიტიკოსი. დღევანდელი საარჩევნო პროცესი, თავისი დეპუტატობის კანდიდატებითა და მხარდამჭერებით, ძველად ავლაბრის შავ ბაზარზე კინტოების ჩხუბს წააგავს, რომლებიც გამვლელების ყურადღებას იქცევდნენ, რათა ჯიბგირებს ხალხისთვის ჯიბიდან ფული ამოეცალათ.

**ასეთ პირობებში და ასეთ გარემოში, როგორშიც ჩვენ ვართ, არც არჩევნები ღირს და არც ცხოვრება.** წარსულში ათეული წლები გარკვეულ საწარმოებს ვხელმძღვანელობდი და ვიცი, თუ რას ნიშნავს ქვეყნის განვითარება და აყვავება, რა რთული და ძნელი გზაა გასავლელი, მაგრამ იმ დანაპირების შეუსრულებლობა, რომელსაც მხოლოდ ნება სჭირდება და არ აკეთებ, ნიშნავს, რომ ან შემთხვევით ხარ არჩეული ხელისუფლად, ანდა ვიღაც ბოროტი ძალა გბოჭავს და არ გამუშავებს. **მითხარი: — მოვალ თუ არა, რიყეს რიყეს დავამსგავსებ და იმ უსახურ საყვირებს ჯართში ჩავაბარებო. ის სიმახინჯეები ისევ იქ დგას. სიონისა და მეტეხის მრავალსაუკუნოვან არქიტექტურას შუშის ხიდს მოვაშორებო და მტკვარს გავატანო. ხიდი ისევ იმ ადგილზეა გადებული. ველოსიპედს ავიღებ და იქ დავით აღმაშენებლის ძეგლს დავაბრუნებო... აბა, მითხარი, ვის გაახსენდა ან ველოსიპედი, ან დიდი მეფე?! თქვი, თუ კაცი ხარ, რომელია ამ ოთხთაგან შეუძლებელი, ხალხს რომ დაჰპირდი და არ შეასრულე?!** მე არ ვამბობ იმ რთულ და ძნელად მისაღებ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც რამით და რამდენადმე ხალხს და სახელმწიფოს იმიჯს დააზიანებს; და თქვენ გგონიათ, რომ დანაპირების შესრულება ჩვენს ხელისუფლებას არ უნდოდა? არა, ბატონო, არ დაანებეს. არ დაანებეს აღება, არ დაანებეს დანგრევა, არ დაანებეს დაჭერა, არ დაანებეს გაკეთება... და თქვენ გგონიათ, რომ დისკრიმინაციის კანონი ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო? არა, ბატონო, ეს კანონი ევროკავშირმა მიიღო რესპუბლიკელების ინიციატივით. და თქვენ გგონიათ, რომ ეს მთელმა საქართველომ არ იცის?

**ვთქვათ და, ჩატარდეს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები, გარწმუნებთ, დეპუტატების სიას ბრიუსელი და ვაშინგტონი ჩამოწერს და იმ სიიდან ერთი კაციც კი არ იქნება შეცვლილი. გამომდინარე აქედან, ჩვენ რიგგარეშე არჩევნები არ უნდა ჩავატაროთ. საქართველომ ჯერ უნდა მოიპოვოს დამოუკიდებლობა და, დამოუკიდებლად როცა ჩაატარებს არჩევნებს, მერე დაიწყება ქვეყნის აღმშენებლობაც.**

**— დასასრულ, როგორ ფიქრობთ, გახდება საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი?**

— ამის პერსპექტივა დღეს, ფაქტობრივად, ნულია.

**— გახდება თუ არა საქართველო ევრაზიის კავშირის წევრი?**

**— გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ევრაზიის კავშირს თუ სიცოცხლე უწერია, მისი ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო დერეფანი ევროპასა და აზიას შორის საქართველო უნდა იყოს.**

ამიტომ, ვფიქრობ, საქართველო აუცილებლად გახდება ევრაზიის კავშირის წევრი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## რუსუდან რიგვავას გახსენება

**ჩვენო ლამაზო მეგობარო, მართლაც რომ ლამაზო, 16 ივნისს 50 წელი შეგისრულდებოდა. შენი ღიმილი ახლაც გვათბობს. გიყვარდა სითბო, სიკეთე, თვით სიყვარული და ყოველი ჩვენგანი გიყვარდა განსაკუთრებულად, გიყვარდა გაზაფხული, ძალიან გიყვარდა.**

20 წელია გაზაფხული მაინც მოდის, მაგრამ რა გულსატკენია, რომ უშენოდ.

მაინც როგორი დიდი ტკივილი მოგვაყენე. ბოლოს რომ გნახეთ, ამხანაგის ბავშვს შენებურად მიეფერე: ვაიმე, რა პატარუნააო. ახლა თავს ვიჭერთ იმაზე, რომ შენებურად ვეფერებით და თან შენი თბილი, ალერსიანი ღიმილი გვახსენდება.

შენ იყავი სიცოცხლის და გაზაფხულის მოტრფიალე, ოჯახისშვილობით, თავმდაბლობით, ნიჭიერებით, გარეგნობითა და ადამიანურობით გამორჩეული. საოცრად კეთილმოსურნე, მუდამ მოკრძალებული და თავაზიანი, ავკარგიანი და უშურველი, ირგვლივ მყოფთა მიმართ ყურადღებიანი და მზრუნველი.

არასდროს დაგვავიწყდები — ბრწყინვალე პროფესიონალი, ულალატო მეგობარი, მოსიყვარულე შვილი, შესანიშნავი მეუღლე, განუმეორებელი დედაა.



რამდენი კეთილი საქმე დადე ქვაზე...

ასეთი იყავი, რუსო, ასეთი წახვედი ჩვენგან, ასეთი დარჩები მუდამ ჩვენი თაობის მეხსიერებაში.

შენს ნათელ კვალზე გაზრდილი შენი პატარა ზუკა — ზურაბ ჭილაძე დღეს ღირსეული, ჭკვიანი, კეთილშობილი, გულისხმიერი პიროვნება და შესანიშნავი მოქალაქეა.

**შენი მეგობრები**

**არქიტექტორ ამირან ბახტაძის ნახატი**


## მკურნალი საუკეთესო შედეგებით

**ნანა პაიჭაძე სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრისა და მენჯბარძაყის ართროზს, დისკოზს, საჯდომი ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს და ყველა იმ დაავადებას, რომლებიც ძვალ-სახსარს უკავშირდება.**

**გიორგი გოგიჩაიშვილი, ტელეწამყვანი:** მაწუხებდა კისრის მალების ოსტეოქონდროზი, მიჭირდა მოძრაობა, ქალბატონ ნანას მალამოს წყალობით შვება პირველივე კვირაში ვიგრძენი, მეორე კურსის მერე კი ტკივილები საერთოდ გამიქრა.

**ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი:** ქალბატონ ნანასთან მივედი ნერვის მწვავე ანთებით, რომელიც ოსტეოქონდროზმა და ლორდოზმა გამოიწვია. ქალბატონი ნანას მალამომ სასწაული შედეგი მომცა უმოკლეს დროში. მადლობა მას ამისთვის.

**ტელ. 599-54-64-81, 593-000-826**

## სიმაღლის მომატება — სწრაფად და ეფექტიანად

3-5სმ-ით მომატება კურსით 3-25 წლამდე. ძვლის მკვებავი ვიტამინების, მინერალების ნაკრებით, ვარჯიშებითა და მასაჟით, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება 5-15კგ-მდე თვეში ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით; მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება.

მკურნალობა — მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით.

**218-46-08, 558-15-63-33**
**ექიმი ნინო**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**



საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009